წმიდა ეფრემ ასური

სწავლანი

I

National Centre of Manuscripts

St Ephrem the Syrian

Teachings

Georgian Version

vol. I

Teachings of Our Venerable Father Ephrem
(Part One)
Translated into Georgian by Ephrem Mtsire (the Lesser), Karitchisdze

Edited by
Ekvtime Kochlamazashvili

PH Alilo
Tbilisi 2015

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

წმიდა ეფრემ ასური

სწავლანი

ქართული ვერსია

ტომი I

სწავლანი ღირსისა მამისა ჩუენისა
ეფრემისნი
(ნაკვეთი პირველი)
თარგმნილი ეფრემ მცირის
(კარიჭის ძის) მიერ

გამოსაცემად მოამზადა
ეკვთიმე კოჭლამაზაშვილმა

გამომცემლობა „ალილო“
თბილისი 2015

ღირსისა და ღმერთშემოსილი მამის, წმ. ეფრემ ასურის (IV ს.) თხზულებანი, და განსაკუთრებით მისი ასკეტიკური საკითხავები — ღმრთივსულიერ სწავლათა, თხრობათა, ლოცვათა და საგალობელთა კეთილსურნელოვანი ყვავილწნული — საუკუნეების განმავლობაში ატკბობდა კეთილმორწმუნე ქრისტიანთა სმენას, და სათნოებისაკენ წარმართავდა მათს გულსა და გონებას.

წმ. ეფრემის სწავლანი ასურულიდან მალევე უთარგმნიათ ქრისტიანული მწერლობის მქონე ყველა ენაზე (უშუალოდ ასურულიდან თუ ბერძნული შუალედური თარგმანის დახმარებით), მათ შორის ქართულადაც, და იგი იმთავითვე ქართველ სულიერ მოღვაწეთა სასურველ წიგნად ქცეულა. გიორგი მერჩულის გადმოცემით, წმ. გრიგოლ ხანცთელს ზეპირად სცოდნია წმ. ეფრემის გულშიჩამწვდომი საკითხავები. ეს კი ქართული თარგმანების ლიტერატურულ დახვეწილობასაც უსვამს ხაზს; სხვაგვარად ისინი ზეპირად სწავლისათვის ძნელად აღძრავდნენ ვისმე.

ამ უძველესი ქართული თარგმანების შემდეგ (ისინი სრულად თუ არა, ნაწილობრივ მაინც მოღწეულა ჩვენამდე), წმ. ეფრემის სწავლათა ქართულ ენაზე ამეტყველებას დიდი ღვაწლი დასდვეს X-XI სს-ის უდიდესმა ქართველმა მთარგმნელებმა — წმ. ეფთვიმე მთაწმიდელმა და წმ. ეფრემისავე მოსახელემ და მობაძავმა, ეფრემ მცირემ, კარიჭის ძემ.

ეფრემ ასურის საკითხავთა ქართული თარგმანების ერთი ნაწილი კრიტიკულად შესწავლილი და გამოცემულიცაა, მათი უმეტესობა კი ამჟამად პირველად ქვეყნდება. წინამდებარე წიგნით ვიწყებთ წმ. ეფრემის ასკეტიკურ სწავლათა ქართული კორპუსის გამოცემას, რომელიც ოთხ ტომად გვაქვს დაგეგმილი.

რედაქტორები

თინა დოლიძე, თამარ მესხი

© გამომცემლობა „ალილო“

ISBN 978-9941-0-7688-6 (ყველა ტომის)
ISBN 978-9941-0-7689-3 (პირველი ტომის)

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა

წმ. ეფრემ ასური (306-373), IV საუკუნის გამოჩენილი საეკლესიო მწერალი, ასურული პატრისტიკის მწვერვალადაა აღიარებული. გულში ჩამწვდომი ასკეტიკური საკითხავების, ლოცვებისა და საგალობლების ავტორი სინანულისა და სიწმიდით-ბრძნობის უდიდეს მოძღვრად გვევლინება. მართალია, მას შესანიშნავი ეგზეგეტიკური და პოლემიკური ნაშრომებიც შეუთხზავს, მაგრამ მისი შემოქმედების ძირითად თემად მაინც ზნეობრივი განწმედის, კრძალულებისა და საღმრთო სათნოების ქადაგება რჩება.[1]

წმიდა ეფრემი, წარმოშობით ნისიბიელი და მოღვაწეობით ურჰაელი (ედესელი), ძირითადად ასურულად წერდა. ზოგიერთი რამ ბერძნულადაც დაუწერია, ხოლო ასურულ ენაზე შეთხზული საკითხავები მალევე უთარგმნიათ ბერძნულად და ლათინურად,[2] და ასევე სხვა ქრისტიან ერთა ენებზე.

---

1 წმ. ეფრემის ხსენებას მართლმადიდებელი და სირიული ეკლესიები 28 იანვარს აღნიშნავენ, რომის ეკლესია კი — 18 ივნისს. მისი ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ იხ.: A. Baumstark, Geschichte der syrischer Literatur, Bonn 1922, S. 31-52.

2 წმ. ეფრემის თხზულებათა ბერძნული თარგმანების ტექსტები 6 ტომადაა გამოცემული: J.S. et St.Ev. Assemani, Sancti Patris Nostri Ephraem Syri Opera Omnia, in VI tomes, Romae 1732-1746. კვლევითი ლიტერატურა წმ. ეფრემის შემოქმედების შესახებ საკმაოდ მდიდარია: S.G. Mercati, Sancti Ephraem Syri Opera, Romae 1915. მ ი ს ი ვ ე: Alfabeti intromessi nelle versioni greche di Efremo Siro: EEBS, KG (1953). L. Hammersberger, Die Mariologie der Ephremischen Schriften, Insbruck 1938. J. Molitor, Der Paulustext des Hl. Ephräm, Rom 1938. A. Vööbus, Untersuchungen über die Authentizirät einiger asketischer Texte überliefert unter dem Namen Ephraem Syrus, Pinneberg 1947. მ ი ს ი ვ ე: Ein neuer Text von Ephraem über das Mönchtum: Oriens Christianus XLII (1958). R.M. Tonneau (ed.), Sancti Ephraem Syri in Genesim et in Exodum Commentarii, Louvain, 1955 E. Beck (ed.), Des Heiligen Ephraem des Syrers Hymnen Contra Haereses, Louvain 1957. მ ი ს ი ვ ე: Des Heiligen Ephraem des Syrers Hymnes de Fide, Louvain, 1955. მ ი-

ქართულადაც წმ. ეფრემის თხზულებები ადრიდანვე უთარგმნიათ და ქართველ ასკეტთა საყვარელი საკითხავი გამხდარა. ამას მოწმობს გიორგი მერჩულის (X ს.) გადმოცემა, რომ წმ. გრიგოლ ხანძთელს (VIII-IX სს.) ზეპირად სცოდნია წმ. ეფრემის საკითხავები.[1]

კ. კეკელიძე წმ. ეფრემის თხზულებათა ქართულად თარგმნას რამდენიმე ეტაპად წარმოგვიდგენს:

(1) IX-X სს-ში შესრულებული ორმოცამდე თხზულების ანონიმური თარგმანი,[2]

(2) ეფთვიმე მთაწმიდელის († 1028) მიერ თარგმნილი ხუთი თხზულება,[3]

(3) წმ. ეფრემის ასკეტიკურ თხზულებათა თითქმის სრული კორპუსის თარგმნა ეფრემ მცირის (XI ს. მეორე ნახ.) მიერ, ორ ტომად, „ეფრემ პირველისა" და „ეფრემ მეორის" სახელწოდებით,[4] და

(4) სხვადასხვა დროს ანონიმურად თარგმნილი 16 თავი.[5]

ეფრემ მცირის თარგმანის შესახებ მკვლევარი შენიშნავს:

სივე: Die Theologie des Hl. Ephraem in seinen Hymnen über den Glauben: Studia Anselmiana XXI, Rom 1949. მისივე: Ascétisme et Monachisme chez S. Ephrem: L' Orient Syrien III (1958), 273-298. B. Outtier, Saint Ephrem d'après ses biographies et ses œuvres: Parole de l'Orient, IV, 1973, p. 11-34.

1 „ნეტარი მამაჲ გრიგოლ თჳსით აგარაკით მარტოჲ შთამოვიდოდა ხანცთას, და მგზავრ სლვასა ზეპირით წმიდისა მამისა ეფრემის თქუმულთა საკითხავთა იტყოდა გოდებით ტირილსა შინა" (ცხორებაჲ გრიგოლ ხანცთელისაჲ: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I, დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი 1963, გვ. 305).

2 კ. კეკელიძე, უცხო ავტორები ძველ ქართულ ლიტერატურაში: მისსავე კრებულში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V, თბილისი, 1957 წ., გვ. 47-49.

3 იქვე, გვ. 49-50.

4 იქვე, გვ. 50-52. „ეფრემ პირველში" კ. კეკელიძე 18 თავს ითვლის, „ეფრემ მეორეში" — 32-ს.

5 იქვე, გვ. 52-53.

„ეფრემ ასურის სწავლანი... უთარგმნია ეფრემ მცირეს და უწოდებია მათთვის ასკეტიკონი“.[1] ამ ცნობას დაზუსტება სჭირდება. „ასკეტიკონი“ წმ. ეფრემის „სწავლათა“ კრებულისათვის არც ავტორს უწოდებია და არც ქართველ მთარგმნელს. ჩვენამდე მოღწეულ არც ერთ ხელნაწერში ასეთი სათაური არ გვხვდება. იგი მხოლოდ ერთგან თავფურცელზე მიუწერიათ გვიანდელი ხელით (როგორც ჩანს, წმ. ბასილი კესარიელის „ასკეტიკონის“ ანალოგიით) — „ეფრემის ასკეტიკონი“ (A154, 1r, ზემო კიდეზე, ნუსხურად). თავად მთარგმნელი კი წმ. ეფრემის „სწავლათა“ ორტომეულს „ეფრემ პირველისა“ და „ეფრემ მეორის“ სახელით მოიხსენიებს;[2] ორივე ერთად კი — წმ. ეფრემის „სწავლანია“. უმეტესწილად სწორედ ასე მოვიხსენებთ მას ჩვენ ქვემოთ, და ზოგჯერ — კვლევით ტრადიციაში დამკვიდრებული სახელითაც („ასკეტიკონი“).

წმ. ეფრემის „სწავლათა“ ძველი თარგმანის ტექსტი შეისწავლა და გამოსცა ი. აბულაძემ.[3] გამოიცა აგრეთვე იმავე ავტორის სხვა რამდენიმე ძველი საკითხავი, რომლებიც IX-X სს-ის სინურ, კლარჯულ და უდაბნოს მრავალთავებშია შეტანილი.[4]

1 იქვე, გვ. 50.

2 იმ ხელნაწერებში, რომლებშიც ორივე „ეფრემია“ გაერთიანებული, მათ საზღვარზე მთარგმნელის ანდერძი ჩაურთავთ, რომელშიც ვკითხულობთ: „საცნაურ იყავნ, ვითარმედ სჯმეონწმიდისა და თუალისა წიგნთა ორ წიგნად არს ეფრემი. და თუ ერთად სწერდეთ ვინმე, ესრეთვე ადგილსა აჩენდით, რამეთუ ესრეთ ითქმის: ეფრემი პირველი და ეფრემი მეორე“. წმ. ეფრემის თხზულებათა ქართული თარგმანების უფრო დეტალური ბიბლიოგრაფია მოცემულია ე. გაბიძაშვილის ნაშრომში: ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები (ბიბლიოგრაფია) 2, ასკეტიკა და მისტიკა, თბილისი, 2006 წ. გვ. 40-43, 90, 91, 150-151, 154, 229 263, 274, 289, 290, 294 etc.

3 მამათა სწავლანი, X და XI ს.-თა ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა ილია აბულაძემ, ა. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1955 წ., გვ. 183-304.

4 სინური მრავალთავი 864 წლისა, აკაკი შანიძის რედაციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით, თბილისი, 1959 წ., გვ. 112-114, 263-265. კლარჯული მრავალთავი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო თამილა მგალობლიშვილმა, თბილისი 1991 წ., გვ. 269-273, 285-294. უდაბნოს მრავალთავი, ა. შანიძისა და ზ. ჭუმბურიძის რედაქციით, თბ., 1994, 101-108.

წმ. ეფრემის შემოქმედების სომხური და ქართული ვერსიების კვლევას მრავალი ნაშრომი მიუძღვნა ფრანგმა მეცნიერმა ბ ე რ ნ ა რ უ ტ ი ე მ.[1] ქართული თარგმანების ლექსიკას იკვლევდნენ ი. ა ბ უ ლ ა ძ ე და ზ. ს ა რ ჯ ვ ე ლ ა ძ ე, და მათი კვლევის შედეგები ფართოდ აისახა მათს ლექსიკოგრაფიულ ნაშრომებში.[2] ლ. ა ხ ო ბ ა ძ ე მ კი წმ. ეფრემის „სწავლათა“ ძველი რედაქციების შესწვალა სადისერტაციო ნაშრომით დააგვირგვინა.[3]

---

1 საკუთრივ ქართულ თარგმანებს ეხება მკვლევარი სტატიებში: B. O u t t i e r, Une homélie sur le jeûne et la pénitence attribuée à saint Ephrem en géorgien: *Bedi Kartlisa,* XXXII, 1974, p. 109-117. **მ ი ს ი ვ ე:** Les recueils géorgiens d'œuvres attribuées à saint Ephrem le Syrien: *Bedi Kartlisa,* XXXII, 1974, p. 118-125. **მ ი ს ი ვ ე:** Prières à Marie [textes traduits du syriaque, de l'arménien et du géorgien]: *Cahiers marials* 95, 15 nov. 1974, p. 58-61. **მ ი ს ი ვ ე:** Les recueils arméniens et géorgiens d'œuvres attribuées à saint Ephrem le Syrien: *Actes du XXIX° Congrès international des Orientalistes, Orient chrétien,* Paris, 1975, p. 53-57. **მ ი ს ი ვ ე:** La réception des œuvres de saint Éphrem le Syrien chez les chrétiens d'Arménie et de Géorgie, dans : Saint Ephrem, un poète pour notre temps I, Antélias 2007, p. 227-230 (Patrimoine syriaque, Actes du colloque XI). **მ ი ს ი ვ ე:** Une exhortation d'Ephrem le Syrien à des moines en géorgien? Le ms. Sinaï géorgien 97 (CPG 2152-2945-4135.4-4145.16), dans: Sur les pas des Araméens chrétiens. Mélanges offerts à Alain Desreumaux, Paris 2010, 219-230.

2 ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1973. ზ. ს ა რ ჯ ვ ე ლ ა ძ ე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1995. **მ ი ს ი ვ ე:** ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბ., 2001. **მ ი ს ი ვ ე:** ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984, გვ. 584, 592.

3 სადისერტაციო ნაშრომის ნაწილები გამოქვეყნდა ცალკეულ სტატიებად: ლ. ა ხ ო ბ ა ძ ე, ეფრემ ასურის სახელით ცნობილი ერთი თხზულების გამო („აბრაჰამ მონაზონისათჳს და ძმისწულისა მისისა მარიამისთჳს“: მრავალთავი (ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი) VI, თბ., 1978, გვ. 35-41. **მ ი ს ი ვ ე:** „სამძალის“ მნიშვნელობის გაგებისათვის ძველ ქართულში: მრავალთავი (ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი) VII, თბ., 1980, გვ. 131-135. **მ ი ს ი ვ ე:** ეფრემ ასურის თხზულებათა ქართული თარგმანების ურთიერთმიმართებისათვის: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, თბ., 1981, №2, 110-125. **მ ი ს ი ვ ე:** ეფრემ ასურის თხზულებები ქართულ მრავალთავებში: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, თბ., 1982, №3, 53-65.

წმ. ეფრემის თხზულებათა ორი ქართული თარგმანის (ეფთვიმე მთაწმიდელისა და ეფრემ მცირის) მონოგრაფიული შესწავლა დაისახა მიზნად ლ ე ი ლ ა დ ა თ ი ა შ ვ ი ლ მ ა. მოამზადა კიდეც „ასკეტიკონის“ ორტომეულის ეფრემ მცირისეული თარგმანის ტექსტი (A 673 და A 62 ხელნაწერების მიხედვით) და მისი გამოკვლევა (ავტორისავე შეფასებით – „საკმაოდ მოზრდილი“!) რაღაც საფეხურამდე მიიყვანა, მაგრამ, სამწუხაროდ, ნაადრევი გარდაცვალების გამო მკვლევარმა ვერ მოახერხა ამ საქმის გასრულება. გამოაქვეყნა მხოლოდ სამი სტატია ეფთვიმესა და ეფრემის თარგმანების ცალკეულ საკითხებზე.[1]

უფრო მოგვიანებით, ახალგაზრდა მკვლევარმა ინგა გავაშელმა გამოქვეყნა წმ. ეფრემის ორი საკითხავი მეორედ მოსლვლის თემაზე,[2] და მათი შინაარსობრივი ნათესაობა დააფიქსირა.

2008 წელს წმ. ეფრემის თხზულებათა ქართული ვერსიის კვლევას მეც მივყავი ხელი. პირველ ყოვლისა, ვცადე, მომეძიებინა ლ. დათიაშვილის მიერ მომზადებული ტექსტი „ასკეტიკონისა“, და მისსავე გამოკვლევასთან ერთად წიგნად გამომეცა. ამ პუბლიკაციის განხორციელება ძალზე სასურველი იყო, რადგანაც მას დაემყარებოდა და გაიოლდებოდა ჩემი შემდგომი კვლევა. მაგრამ, სამწუხაროდ, ლ. დათიაშვილის ნაშრომს ვერ-

---

1 ლ. დ ა თ ი ა შ ვ ი ლ ი, ეფრემ ასურის „სწავლათა“ ეფთვიმე ათონელისეული თარგმანები: ფილოლოგიური ნარკვევები, თბ., 1981, 3-15. მ ი ს ი ვ ე: ეფრემ მცირის მთარგმნელობითი მოღვაწეობის ისტორიიდან: „ძველი ქართული მწერლობის მატიანე“ I, თბ., 1984, 40-49 (აქ გამოკვლეულია „ეფრემ მეორეში“ ჩართული ორი იამბიკო: „სიტყუაჲ ოთხმარცუალი“ და „სიტყუჲ შჯდმარცუალი“). მ ი ს ი ვ ე, ზოგიერთი რამ ეფრემ ასურის „ასკეტიკონის“ ეფრემ მცირისეულ თარგმანთან დაკავშირებით, ლიტერატურული ძიებანი XXIII, 2002, 96-106. ამ სტატიაში მკვლევარმა გაგვიზიარა ძალზე საინტერესო ლექსიკოლოგიური დაკვირვებები, რაც ბერძნულ დედანთან ეფთვიმე მთაწმიდელისა და ეფრემ მცირის თარგმანთა შეპირისპირებას ეფუძნებოდა. ამავე ნაშრომში გვამცნობს ავტორი, რომ კრიტიკული ტექსტის მომზადებისათვის მას მხოლოდ ორი ხელნაწერი (A 673 და A 62) გამოუყენებია.

2 ი. გ ა ვ ა შ ე ლ ი, ძველი ქართული თარგმანი ეფრემ ასურის საკითხავებისა მეორედ მოსვლისათვის: რელიგია, №1, 2010, გვ. 21-35; №2, 2010, 21-35.

სად მივაკვლიე. ამიტომაც შევუდექი წმ. ეფრემის „სწავლათა“ (ე.წ. „ასკეტიკონის“) ეფრემ მცირისეული თარგმანის კრიტიკული ტექსტის ხელახლა მომზადებას.

აღმოჩნდა, რომ ლ. დათიაშვილის მიერ გამოყენებული A 673 და A 62 ხელნაწერების გარდა კიდევ რამდენიმე ხელნაწერი ყოფილა ჩვენამდე მოღწეული,[1] მათ შორის – უფრო კვალიფიციურად გადაწერილებიც, ვიდრე A 673 და A 62 ხელნაწერებია, და, მაშასადამე, კრიტიკული ტექსტის დადგენისათვის ბევრად უკეთესი პირობები გვექმნებოდა, ვიდრე ლ. დათიაშვილს.[2]

„ასკეტიკონის“ ეფრემ მცირისეული თარგმანი აღმოჩნდა ბრწყინვალე ლიტერატურული ძეგლი (ღრმა სულიერ მნიშვნელობასთან ერთად), ძალზე მდიდარი ლექსიკით, გამოსახვის ფორმებით, დედანთან ნაირგვარი მიმართებით და ა. შ. ასე რომ, იგი უამრავ მასალას იძლევა ფილოლოგიური კვლევისათვის მრავალი მიმართულებით: (1) თარგმნის პროცესის თავისებურებათა განსაზღვრა ეფრემ მცირის კოლოფონების ანალიზის საფუძვლზე (მათი უმეტესობა აქამდე გამოქვეყნებული არ ყოფილა). (2) ლექსიკოლო-

1 Jer.106 (XIII), A 1115 (XII), Ath.23 (ბლ.) // 83 (ცაგ) (XIII), K 8 (XVIII), K 67 (XVIII), A 391 (XVIII), A 196 (XVIII), A 154 (XVIII), A 362 (XVIII s.), A 166 (1710 წ.), Q 44 (XVIII ს.). ვფიქრობთ, გამორიცხული არაა, ჩვენს სიძველეთსაცავებში წმ. ეფრემის „სწავლათა“ სხვა ხელნაწერებიც (სრული ან ფრაგმენტული) აღმოჩნდეს, რადგანაც ზოგიერთი კოლექცია სრულად და ზედმიწევნით ჯერ კიდევ არაა აღწერილი.

2 ლ. დათიაშვილის მიერ გამოყენებულ A 673 ხელნაწერს, რომელიც დახვეწილი კალიგრაფიით გამოირჩევა, პირობითად XIV საუკუნით ათარიღებენ აღმწერელნი (ზუსტი თარიღი ხელნაწერს არ უზის), და ალბათ ასეცაა, მაგრამ, როგორც ტექსტის ზედმიწევნითი შესწავლით დავრწმუნდით, მასში ბევრი მცდარი ფორმაა გაპარული (ან დეფექტური დედნის, ან გადამწერის დაბალკვალიფიციურობის მიზეზით), თანაც ნაკლულია (ფურცლების ამოცვენისა და დაკარგვის გამო). მეორე ხელნაწერი, რომლითაც ლ. დათიაშვილს უსარგებლია (A 62, XVIII საუკუნისა) ფიზიკურად კი სრულია, მაგრამ გამართულობით ბევრად ჩამორჩება A 673-საც კი. ასე რომ, მარტო ამ ორ ხელნაწერზე დაყრდნობით მკვლევარი ვერ შეძლებდა ეფრემ მცირის თარგმანის თავდაპირველი სახის აღდგენას. სხვა თუ არა, მათზე ბევრად უკეთესი სამი ხელნაწერის (Jer.106, A 1115, Ath.23) გათვალისწინება მაინც აუცილებელი იყო, თუმცა, სამწუხაროდ, არც ისინი აღმოჩნდა ბოლომდე გამართული.

გიური გამოკვლევა და ქართულ-ბერძნულ შესატყვისობათა ლექსიკონის შედგენა. (3) „ასკეტიკონის“ ცალკეული სტატიების მიმართების განსაზღვრა მათს ადრინდელ თარგმანებთან, (4) ბიბლიურ ციტირებათა ეფრემისეული ვარიანტების წარმოჩენა, (5) ეფრემ ასურის „ასკეტიკონის“ რეცეფცია ქართულ სასულიერო ლიტერატურაში...

კრიტიკული ტექსტის მომზადების პარალელურად, „ასკეტიკონის“ სხვადასხვა საკითხის კვლევას მივუძღვენი რამდენიმე სტატია, რომელთა ერთი ნაწილი გამოქვეყნდა, სხვები კი გამოცემის პროცესშია.[1]

ეფრემ მცირის თარგმანის გამოწვლილითი შესწავლის ამოცანამ ჩვენ წინაშე დააყენა ეფრემ ასურის თხზულებათა ადრინდელი თარგმანების შესწავლის საჭიროებაც, ამ თარგმანთა ურთიერთმიმართებისა და ეფრემ მცირის მთარგმნელობითი სიახლეების წარმოსაჩენად. ძველი თარგმანების ერთი ნაწილი, როგორც უკვე ვთქვით, გამოქვეყნებულია, ზოგიერთი ტექსტი კი დღემდე ოდენ ხელნაწერებშია დაუნჯებული. ამიტომაც ეფრემისეული თარგმანის ტექსტის მომზადების შემდეგ ჩვენი კვლევითი გეგმა გავაფართოვეთ და ეფრემ ასურის თხზულებათა ყ ვ ე ლ ა ქ ა რ თ უ ლ ი თ ა რ გ მ ა ნ ი ს შემოკრება დავისახეთ მიზნად. მთელი ამ მასალის დიდი მოცულობის გამო იგი ოთხ ტომში განაწილდა: ეფრემ მცირისეულ „ეფრემ პირველსა“ და „ეფრემ მეორეს“ პირველ და მეორე ტომებს ვუთმობთ, ეფრემამდელ თარგმანებს

1 ე. კ ო ჭ ლ ა მ ა ზ ა შ ვ ი ლ ი, საუნჯის სახისმეტყველება წმ. ეფრემ ასურის „ასკეტიკონში“: ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი IV, 2011. მ ი ს ი ვ ე: ეფრემ მცირის ერთი უცნობი კოლოფონი სვიმეონ მეტაფრასტის „ეფრემ ასურის ცხოვრების“ ლიტერატურული წყაროს შესახებ: ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი IV, 2011. მ ი ს ი ვ ე: წმ. ეფრემ ასურის „სიტყუაჲ მამათათჳს შესუენებულთა“ და მისი ძველი ქართული თარგმანები: ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი VII, 2014. მ ი ს ი ვ ე: წმ. ეფრემ ასურის სახელით წარწერილი სამი ასკეტიკური საკითხავის ურთიერთმიმართებისათვის: ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი VII, 2014. მ ი ს ი ვ ე: ეფრემ მცირის შენიშვნა 40 სებასტიელი მოწამის შესასხმელად წმ. ბასილი კესარიელისა და წმ. ეფრემ ასურის მიერ წარმოთქმულ ჰომილიათა ურთიერთმიმართების შესახებ: ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი VIII, 2015.

კი მომდევნო ორ ტომში გამოვცემთ. ამჯერად ოთხტომეულის პირველ ტომს, „ეფრემ პირველს“ ვთავაზობთ ძვირფას მკითხველს.

ახლა მოკლედ — ეფრემ მცირისეული თარგმანის შემცველი ხელნაწერების შესახებ:

Jer.106

ესაა წმ. ეფრემის „სწავლათა“ სამ საუკეთესო ხელნაწერთაგან ერთ-ერთი (A 1115 და Ath.23-თან ერთად). ამჟამად ინახება იერუსალიმის საპატრიარქო ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში. აღმწერელი (რ. ბლეიკი) პალეოგრაფიული ნიშნებით მას XIII-XIV სს.-ით ათარიღებს.[1] ხელნაწერი შეიცავს მხოლოდ „ეფრემ პირველს“ (1r-222v). მცირედ თავბოლონაკლულია: თავში აკლია დაახლოებით სამი ფურცელი, და წყდება ასთავის („თუ ვითარ ვინ მოიგოს სიმდაბლე“) 75-ე თავზე. ხელნაწერს აკლია შიგნითაც: თითო ფურცელი — 116 და 212 ფურცლების შემდეგ, სამი ფურცელი — 218-ის შემდეგ. ბიბლიური ციტირებების ადგილები ყველგან „იოტებითაა“ აღნიშნული სტრიქონთა კიდეებზე. ასეთი „იოტები“ სხვა ხელნაწერებშიცაა დასმული.

A 1115

ქ. შარაშიძემ, რომელმაც დეტალურად აღწერა ეს ხელნაწერი, XII ს-ით დაათარიღა იგი,[2] შეიცავს 245 ფურცელს. ნაკლული და ფურცელარეულია. შეიცავს „ეფრემ პირველის“ ფრაგმენტებსაც და „ეფრემ მეორისასაც“, მთარგმნელისეული „შეისწავეებით“.[3] როდესაც ქ. შარაშიძე ამ ხელნაწერის აღწერაზე მუშაობდა, იგი დაშლილ-დაფურცლული ყოფილა. ამჟამად აკინძულია, მაგრამ მართებული თანამიმდევრობით ფურცლების დალაგება ამკინძველთ ვერ მოუხერხებიათ.

---

1 R.P. Blake, Catalogue des manuscrits Géorgiens de la Bibliothèque Patriarcale Grecque a Jérusalem. L'Orient Chrétien, 3e Série, T. III (XXIII), №№ 3 et 4, 1922-23.

2 საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები (A კოლექცია), შეადგინა ქრისტინე შარაშიძემ, კორნელი კეკელიძის საერთო რედაქციით, ტ. IV, თბ., 1954, 114-119.

3 „შესწავებანი“ სხვა ხელნაწერებშიც გვხვდება, მეტ-ნაკლები ინტენსივობით.

რადგან A 1115 ხელნაწერის შესწავლის დაწყებამდე მე უკვე გამზადებული მქონდა „ეფრემის“ ტექსტის ციფრული ვერსია სხვა ხელნაწერების მიხედვით, ჩემთვის ძნელი აღარ აღმოჩნდა არეული ფურცლების დაჯგუფება ცალკეულ ფრაგმენტებად, რის შემდეგაც მათი ვარიანტები დავურთე კრიტიკულ ტექსტს.

„ეფრემ პირველიდან“ დარჩენილი ფურცლები დაჯგუფდა 7 ფრაგმენტად. თითოეული ფრაგმენტის ფარგლებში ტექსტი უწყვეტად გადადის ფურცლიდან ფურცელზე, ფრაგმენტებს შორის კი ხან ერთი ფურცელია დაკარგული, ხან ორი-სამი. თითოეული ფრაგმენტის ტექსტი იკრიბება სხვადასხვა ადგილას ჩაკინძული ფურცლებისაგან, შემდეგი თანმიმდევრობით:

(1) პირველი ფრაგმენტი შეიცავს ერთადერთ ფურცელს, რომელიც 2-ითაა აღრიცხული. სხვა ფრაგმენტები კი რამდენიმე ფურცელს შეიცავენ:

(2) 4; 8-22; 26-35; 37; 36; 39; 38; 40-41 (მომდევნო ფრაგმენტმდე, ე. ი. 42-ე ფურცლამდე 1 ფურცელია დაკარგული).

(3) 42-47; 51-53; 119-122; 48.

(4) 54; 217; 96; 49-50; 97; 109; 55-56; 223 (2 ფურცელი აკლია 118-მდე).

(5) 118; 70 (118ა ფრაგმენტი არის მოგლეჯილი 70-ე ფურცლიდან) (3 ფურცელი აკლია 68-მდე)

(6) 68 (1 ფურცელი აკლია 77-მდე)

(7) 77; 59; 57; 64-65; 61; 58; 80-82; 67; 63; 60; 66; 226; 83-84; 123-128; 85; 129-135; 92; 136-138.

„ეფრემ მეორის“ ფრაგმენტები კი შემდეგი თანმიმდევრობით განლაგდა: 1, 3, 5-7, 23-25, 62, 69, 71-76, 78-79, 86-91, 93-95, 98-101, 102-103, 104-108, 110-117, 139-157; 158, 159-207; 234; 208-216; 218-222; 229; 227-228; 230-231; 232-233; [224, 225; 235-245].

თუ ოდესმე გადაწყდება A 1115 ხელნაწერის ხელახლა აკინძვა ფურცლების მართებული მიმდევრობის აღდგენის მიზნით, ეს მიმდევრობა უკვე ცნობილია.

Ath.23 (ბლ.) // 83 (ცაგ),

ათონის მთის ქართველთა მონასტრის ხელნაწერი, რ. ბლეიკის დათარიღებით, XVI-XVII სს-ისა.[1] შეიცავს მხოლოდ „ეფრემ პირველს“ (1r-174r). მცირედ ნაკლულია (რამდენიმე ფურცელი აკლია 90-91 და 102-103 ფფ. შორის, ორი ფურცელი – 31-32 შორის, ერთი ფურცელი – 3-4 და 163-164 ფფ. შორის). 25-26 ფფ. შორის ერთი ფურცელი ამოვარდნილია და გადატანილია სხვა ადგილას, სადაც აღრიცხულია 107-ით (თანაც 107-ე ფურცელი უკულმაა ჩადებული). 106-ის შემდეგ რამდენიმე ფურცელი დაკარგულია, და შემდეგ ტექსტი გრძელდება 108-ე ფურცლიდან (თავი ლთ) 31-ე ფურცლის დიდი ნაწილი მოჭრილია, დარჩენილია მხოლოდ მცირე ზოლი. ასევე, დაზიანებულია რამდენიმე ფურცელი ხელნაწერის ბოლო ნაწილში.

A 673

კალიგრფიული ხელნაწერი. პირველმა აღმწერელმა, თ. ჟორდანიამ XIII-XIV სს-ით დაათარიღა.[2] შეიცავს „ეფრემის“ ორივე ნაწილს: „ეფრემ პირველსა“ (1r-149r) და „ეფრემ მეორეს“ (150r-212v), ორივეს დეფექტებით. თავნაკლულია (იწყება „სათნოებისათჳს“ თქმულის მეშვიდე თავიდან); თითო ფურცელი აკლია 8, 44, 59, 68, 138 და 144 ფურცლების შემდეგ. მე-7 ფურცელი შებრუნებითაა ჩაკინძული. ხელნაწერი წყდება 212v-ზე. გადამწერს დედნად გამოუყენებია დაზიანებული ნუსხა, რაც გადაწერის შეცდომების წყარო გამხდარა. დედნის დეფექტი განსაკუთრებით მკვეთრად ჩანს 58r-ზე: გადამწერს ვერ შეუნიშნავს დედანში ფურცლის ნაკლებობა, და იმავე სტრიქონში აგრძელებს ერთი ფურცლის შემდგომ ტექსტს. დეფექტი ამ ხელნაწერიდან ქუთაისის ისტორიული მუზეუმის K 8 ხელნაწერშიც გადასულა, რომელიც მისგან გადაუწერიათ (იხ. K 8, 570r). A 673-სა და K 8-ში

1 R.P. Blake, Catalogue des manuscrits Géorgiens de la bibliothèque de la Laure d'Iviron au mont Athos: L'Orient Chrétien, 3e Série, T. IX (XXIX), №№ 1 et 2, 1933-34, pp. 136-138.

2 Ф. Д. Жордания, Описание рукописей Тифлисскаго Церковнаго Музея Карталино-Кахетинскаго духовенства, Книга II, Тифлисъ 1902, 145-147.

დაკლებულ ტექსტს ვავსებთ A ხელნაწერიდან, სადაც ამ ფრაგმენტს 101v-102v გვერდები უკავია.

A 673-ში ყურადღებას იქცევს ორთოგრაფიის სიჭრელე. სახელდობრ, პარალელურად გვხვდება „უე“ და „უ“ ფორმები (ჭარბობს „უე“).

K 8

ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერი (XVI ს.), „წელიწდის სადღესასწაულო მეტაფრასი და ღირსისა ეფრემ ასურისა სწავლანი“, გადაწერილი აფხაზეთის კათალიკოს ეფთუმეს ბრძანებით.[1] წმ. ეფრემის „სწავლათა“ ტექსტს უკავია 474r-967v ფურცლები („ეფრემი პირველი“ – 474r-709r, და „ეფრემი მეორე“ – 709r-967v).[2] ვარიანტების შედარება ააშკარავებს, რომ K 8-ის გადამწერს დედნად გამოუყენებია A 673 ხელნაწერი, რომელიც K 8-ის დამზადების ჟამს ჯერ კიდევ სრული იყო. სწორედ მისგან უნდა იყოს გადმოწერილი „ეფრემ მეორის“ ბოლო თავის („ანდერძი წმიდათა შორის მამისა ჩუენისა ეფრემისი“) სათაურთან მიწერილი „შეისწავე“, რომელშიც მთარგმნელი (ეფრემ მცირე) ამ თავს მიიჩნევს სვიმეონ მეტაფრასტის „წმ. ეფრემ ასურის ცხოვრების“ წყაროდ. სხვა ხელნაწერებში ეს მინაწერი შემორჩენილი არაა. მხოლოდ A 391-ის შესაბამის ადგილას (263r) სათაურშივე მიუწერიათ ხსენებული „შეისწავეს“ ბოლო ფრაზა: „უკ˜თუ დღესასწაულსა მისსა იკითხო, კ˜თლა ჰყო“.[3]

---

1 წიგნის ბოლოში დართული ანდერძი გვაუწყებს: „წმიდაჲ ესე წიგნი, ბრწყინვალებაჲ და შუ“ნიერებაჲ ეკლესიათაჲ, კეთილად მსმენელთა და მკითხველთა განმანათლებელი, წელიწდის დღესასწაულის მეტაფრასი და ღირსის ეფრემ ასურის სწავლაჲ, სულთა მზრდელი და საუკუნოჲსა ცხორებისა მომატყუებელი წმიდაჲ წიგნი ესე პირველ ნეტარკსენებულს ბატონს კათოლიკოზს ეფთუმეს დაეწერინებინათ და გელათს წმიდის გიორგის საყდრისათჳს შეეწირათ...“ (986r).

2 იხ.: ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I, შედგენილია ე. ნ ი კ ო ლ ა ძ ი ს მიერ, თბ., 1953, 48-60.

3 ე. კ ო ჭ ლ ა მ ა ზ ა შ ვ ი ლ ი, ეფრემ მცირის ერთი უცნობი კოლოფონი სვიმეონ მეტაფრასტის „ეფრემ ასურის ცხოვრების“ ლიტერატურული წყაროს შესახებ: ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი IV, 2011.

K 67

გადაწერილია 1730 წელს თბილისში, მთავარდიაკონ გარსევანის მიერ, ეპისკოპოს იოსებ მანგლელის ბრძანებით.[1] შეიცავს რამდენიმე ასკეტიკურ ძეგლს: „ეფრემის“ ორივე ნაწილს (3r-118r; 119რ-239r), პალადი კაპადუკიელის „ლავსაიკონს“ და კასიანე ჰრომის სამ თხზულებას („თხრობაჲ წესსა და განგებასა ეგჯპტისა და აღმოსავლეთისა მონასტერთა საკრებულოთასა“, „რვათა მათ გულისსიტყუათათჳს“ და „მიწერილი ლეონტის მიმართ, მოქალაქობისათჳს წმიდათა მამათა სკიტისათა“). ერთხანს ინახებოდა ჯრუჭის მონასტრის წიგნთსაცავში, საიდანაც გადაუტანიათ ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში.[2]

A 391

თავბოლონაკლული ხელნაწერი, შეიცავს მხოლოდ „ეფრემ მეორეს“ (277 ფურც.). თავში აკლია დაახლ. 6 ფურცელი; წყდება ბოლო თავზე (ანდერძი ეფრემ ასურისა). თ. ჟორდანიამ ხელნაწერი დაათარიღა XVII ს-ით,[3] თ. ბრეგაძემ – XIV-XV სს-ით.[4] 255r-ზე, „შესუენებულთა მამათა“ მეორე საკითხავის

---

1 ხელნაწერს ბოლოში ერთვის ანდერძი: „დიდებაჲ ღმერთსა, სრულმყოფელსა ყოვლისა კეთილისასა! ღირს ვიქმენ აღწერად წიგნისა ამის ღმრთისა სათნოჲსა მე, ფრიად ცოდვილი იობ წინამძღვრის ძმისწული, მთავარდიაკონი გ ა რ ს ე ვ ა ნ, – ეფრემისა და ლავსაიკონისა სრულისა, ბრძანებითა მანგლელ ეპისკოპოს ი ო ს ე ბ ი ს ი თ ა. ღმერთმან უწყის, რაც ოდენ ძალ-მედვა, სიმართლეს ვეცადე და სასოებით ვიმუშაკე, მაგრამ ადამის მონათესავე კაცი უცთომელი არ იქნების. თუ სადმე ასო მეტ-ნაკლები შეცთომით მომსლვოდეს, ნუ მწყევთ, არამედ შენდობას ჰყოფდეთ ჩემ ცოდვილისათჳს. აღიწერა ქალაქსა ტ ფ ი ლ ი ს ი ს ა ს ა, წმიდასა მონასტერსა ს ი ო ნ ი ს ა ს ა, ქრონიკონსა **უიბ**“ (325v).

2 იხ.: ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I, გვ. 202-205.

3 Ф. Д. Ж о р д а н и я, Описание рукописей Тифлисскаго Церковнаго Музея Карталино-Кахетинскаго духовенства, Книга I, Тифлисъ 1901, 384.

4 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, ტ. I_{IV}, შეადგინეს თ. ბ რ ე გ ა ძ ე მ, მ. ქ ა ვ თ ა რ ი ა მ, ლ. ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ე მ, ელ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი ს რედაქციით, თბილისი 1985, გვ. 157-158.

სათაურთან, მიწერილია: „წაურთე, მკითხველო“ (იგულისხმება წართვა ანუ გადაბმა წინა თავთან, შესვენებულთა I საკითხავთან).

A 62

გადაწერილია კათალიკოზ-პატრიარქ დომენტის ბრძანებით, 1706 წელს, რასაც მოწმობს ორი ანდერძი — მომგებელისა (363r)[1] და გადამწერისა (174v).[2] შეიცავს „ეფრემის“ ორივე ნაწილს სრულად (3r-174r; 175r-362v),[3] 364 ფურცელს. ნაწერ-

1 „შეწევნითა ზესთა-ზესისა ღ˜ისათა აღვაწერინეთ წ˜ჲ ესე სულთა განმანათლებელი ე ფ რ ე მ ი, რომელი ძჯრად პოვნიელ იყო ქუეყანასა ამას საქართველ˜სსა; ჩუენ, დავითიან-პანკრატიონმან, ს˜დ ერანის მდივანბეგის ლ ე ო ნ ი ს ძ ე მ ა ნ, და ყოვლისა საქართველოს კ˜ზ-პატრიაქმან დ ო მ ე ნ - ტ ი მ, სულთა ჩუენთა საოხად და ცოდვათა ჩუენთა მისატევებელად.

აწე რამანცა კაცმან განხრწნას ანუ დაჭრას ანუთუ წარაკდინოს ანუ დაჰკარგოს, რისხავს-მცა მამაჲ, ძე და სული წმიდაჲ, და ღ˜ის მშობელი მარიამ, და ყ˜ნი წმიდანი ზეცისანი და ქ˜ყნისანი, და ჩ˜ი პატიოსანი სუეტი ცხოველი, და მას შინა დამკჯდრებულნი წმიდანი მოწამენი.

ვინცა ესე ჩემი ნაღვაწი ცუდ ყოს, ღმერთმან ცუდ ყოს ყოველი მისი განგებული კეთილი, სახლი და ყოფაჲ წყეულ და კრულ იყოს, და ცოდვათა ჩემთა ნაცვლად იგიმცა დაისაჯება. ვინცა ჩ˜ნთ˜ს შენდობაჲ და ლოცვა ყოთ, ღ˜ნ შენდობით და კურთხევით გამყოფოსთ, ა˜ნ. ქ˜კსა **ტჟდ**, ქ˜ს აქათ **ჩღვ**“ (= 1706).

2 „ზე ადიდე, ღმერთო, დავითიან-პანკრატიონი, საქართველოს მეფეთ შაჰრავანდედი კ˜ზი პატრიაქი დ ო მ ე ნ ტ ი, რომლისა ბრძანებითა აღიწერა წმიდაჲ ესე ე ფ რ ე მ ი. ღმერთო და სვეტო ცხოველო, აკმარე სიცოცხლესა და კარგად ყოფაში, და მას საუკუნესა შეუნდევ ყოველნი ბრალნი და შეცოდებანი მისნი; და გამოაჩინე წინაშე შენსა, ვითარცა დიდი ბასილი, დღესა მას დიდსა განკითხჯსასა, ამინ. ქკ˜სა ტჟდ; ქრისტეს აქათ ჩღვ“ (= 1706 წ.).

3 ტექსტის სისრულეს რატომღაც უარყოფს 1973 წელს გამოსული აღწერილობა, თუმცა იქვე თითქმის სრულადაა მოყვანილი „ეფრემის“ თავთა ჩამონათვალი: „თხზულებას აკლია ბოლო თავი, „ანდერძი წმიდათა შორის მამისა ჩუენისა ეფრემისი“ [იხ.: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, ტომი I_1, შეადგინეს თ. ბ რ ე გ ა ძ ე მ, მ. ქ ა ვ თ ა რ ი ა მ და ლ. ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ე მ, ელ. მ ე - ტ რ ე ვ ე ლ ი ს რედაქციით, თბ., 1973, 212]. ნამდვილად კი ეს თავი ხელნაწერს არ აკლია, და უკავია 351v-362v გვერდები. ამასვე ადასტურებდა თავის დროს თ. ჟორდანიაც (Ф. Д. Ж о р д а н и я, Описание рукописей Тифлисскаго Церковнаго Музея... Книга I, 56).

ია ორ სვეტად. კიდეებზე ერთვის მთარგმნელის ლიტერატურულ-ლექსიკოლოგიური შენიშვნები.[1]

A 196

გადაწერილია ბესარიონ ორბელიშვილის მიერ (XVII-XVIII სს.), რაც გაცხდებულია მის ანდერძ-მინაწერებში.[2] შეიცავს „ეფრემის" ორივე ნაწილს (1r-105v; 107r-265v), პალადი ჰელენოპოლელის „ლავსაიკონს" და კასიანე ჰრომის სამ ასკეტიკურ თხზულებას („თხრობაჲ წესსა და განგებასა ეგჳპტისა და აღმოსავლეთისა მონასტერთა საკრებულოთასა", „რვათა მათ გულისსიტყუათათჳს" და „მიწერილი ლეონტის მიმართ, მოქალაქობისათჳს წმიდათა მამათა სკიტისათა"). „ეფრემი" თავნაკლულია, იწყება „ნეტარებანით". ტექსტის შესწავლისას გავარკვიეთ, რომ ზოგიერთი ფურცელი გადანაცვლებით ყოფილა ჩაკინძული: 1-9-ის შემდეგ ფურცლები უნდა დალაგდეს ასეთი თანმიმდევრობით: 12-13-14-15-10-11-16; მე-16 ფურცლიდან 82-მდე თანმიმდევრობა დაცულია; 82-ის შემდეგ კი სწორი მიმდევრობის აღსადგენად ფურცლები ასე უნდა დალაგდეს: 82-90-91-83-84-85-86-87-88-89-92. ამის შემდეგ მისდევს რიგზე. ხელნაწერი აღწერილია მ. ქავთარიას მიერ.[3]

A 154

გადაწერილია XVIII ს-ში, ეპისკოპოს რომანოზის, გიორგი ერისთვის შვილის შეკვეთით,[4] პავლე მწერ-

1 იხ.: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, ტომი I_1, გვ. 212-213.

2 „ქრისტე, შეიწყალე ყოვლად უღირსი ბესარიონ, რომელმან უღირსებით ჴელ-ვყავ წერაჲ ამისი" (105r); „ქრისტე, ნათელო დაუღამებელო, განმანათლე, უღირსი ბესარიონ, ამ წიგნის სრულ-მყოფელი" (265v).

3 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, ტომი I_2, შეადგინეს თ. ბრეგაძემ, ც. კახაბრიშვილმა, თ. მგალობლიშვილმა, მ. ქავთარიამ, ლ. ქუთათელაძემ და ც. ჯღამაიამ, ელ. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1973, 336-227.

4 „მომიკსენე მე, უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა, ცოდვილი ამისი აღმწერი საფასითა რომანოზ არქიერი, მდაბალი და უღირსი. შენდობა ყავთ, უფალნო ჩემნო, ა˜ნ" (366r).

ლის მიერ.[1] რომანოზს იგი შეუწირავს დავითგარეჯის მონასტრისათვის.[2] ასკეტიკური კრებული, იმავე შედგენილობისა, როგორიცაა A 196. „ეფრემის“ ტექსტი სრულია (1r-133v; 134r-264r). 1r-ზე ზემო აშიაზე გვიანდელი ხელით ნუსხურად წარწერილია: „ეფრემის ასკეტიკონი“. ერთვის მთარგმნელის (ეფრემ მცირის) მინაწერები. დაწვრილებითაა აღწერილი ლ. ქუთათელაძის მიერ.[3]

A 362

XVIII ს-ის ხელნაწერი. ადრე ეკუთვნოდა ქვათახევის მონასტერს (შეუწირავს იოსებ დეკანოზის ძეს იოანე ავალიანს 1862 წელს). შეიცავს „ეფრემის“ ორივე ნაწილს (1r-123r; 124r-259v), ასევე „ლავსაიკონსა“ და კასიანე ჰრომის სამ ასკეტიკურ თხზულებას (შდრ. A 196, A 166, K 80 და A 154). ტექსტის ორთოგრაფია შერყვნილია ჲ-მეტობითა და ჲ-ნაკლებობით, ცალკეული სიტყვების არასწორი დაწერილობით.

დეტალურადაა აღწერილი თ. ბრეგაძის მიერ.[4]

A 166

ასკეტიკური კრებული; შეიცავს „ეფრემის“ ორივე ნაწილს (1r-212v; 214r-450r), პალადი კაპადუკიელის „ლავსაიკონს“ და კასიანე ჰრომის ორ თხზულებას („თხრობაჲ წესსა და განგებასა ეგჯპტისა და აღმოსავლეთისა მონასტერთა საკრებულოთასა“ და „რვათა მათ გულისსიტყუათათჯს ბოროტთა“). გადაწერილია 1710 წელს ხუცესმონაზონ ნიკოლოზ ჯორჯაძის მიერ გარეჯის მამა დოდოს მონასტერში. თავისი ნაშრომი მას დოდოს მონასტრისათვისვე შეუწირავს, რასაც გვაუწყებს „ეფრემის“

---

1 მოხსენებულია ანდერძში: „ქრისტე ღმერთო, სრულმყოფელი ამისი შეიწყალე პ ა ვ ლ ე“ (266r).

2 „მდაბალ[მა] არქიერ[მა] რ ო მ ა ნ ო ზ, გ ი ო რ გ ი ერისთვის შვილმა შემოვსწირე წმიდა ესე „ეფრემი“ წმიდას თავითს ჩემდა მოსახსენებლად. ვინც იხილვიდეთ, მომიხსენებდეთ. თვესა სეკდენბერსა **კზ, ჩღმთ**“ (366r).

3 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, ტომი I_2, გვ. 215-220.

4 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, ტ. I_{IV}, გვ. 81-87.

ბოლოში მიწერილი ვრცელი ანდერძი (451r). „პირველი ეფრემი“ ძნელად იკითხება, საღებავის გაჟონვისა და ალაგ-ალაგ დაზიანების გამო, მეორე ეფრემი — უკეთესად. ხელნაწერი აღწერა ც. კახაბრიშვილმა.[1]

K 80

ასკეტიკური კრებული; შეიცავს „ეფრემის“ ორივე ნაწილს (1r-159v; 160r-318v), პალადი კაპადუკიელის „ლავსაიკონს“ და კასიანე ჰრომის სამ თხზულებას („თხრობაჲ წესსა და განგებასა ეგჯპტისა და აღმოსავლეთისა მონასტერთა საკრებულოთასა“, „რვათა მათ გულისსიტყუათათჳს“ და „მიწერილი ლეონტის მიმართ, მოქალაქობისათჳს წმიდათა მამათა სკიტისათა“). გადაწერილია 1757 წელს სიონის დეკანოზ ნიკოლოზის მიერ, არქიმანდრიტ გერმანე წინამძღვრიშვილის შეკვეთით.[2] ერთხანს ინახებოდა ხონის წმ. გიორგის ეკლესიის წიგნთსაცავში, საიდანაც გადაუტანიათ ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში.[3]

---

1 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, ტომი I_2, გვ. 248-250.

2 ხელნაწერს ბოლოში ერთვის ანდერძი: „უფალო იესო ქრისტე, შეიწყალე ყოვლითურთ განათლებულის და განწმედილის მანგლელ არქიერის ი ო ს ე ბ ი ს არქიმანდრიტი გ ე რ მ ა ნ ე წ ი ნ ა მ ძ ღ უ რ ი ს შ ვ ი ლ ი, რომელმან აღვაწერინე წიგნი ესე სულთა განმანათლებელი ეფრემი ლავსაკონითურთ, სრული და შემკობილი, საფასითა კონდაკისა ჩემისაჲთა, საკსრად სულისა ჩემისა და მოსაკსენებელად. რომელმანცა ინებოს ნათესავისა ჩემისაგან გამოკუებად ჩემსა შემდგომად წიგნი ესე, დიდმან ანუ მცირემან, იგიმცა გამოეკუების ყოვლისა კეთილისაგან. აღიწერა კელითა უღირსისა მღდელისა, სიონის დეკანოზის ნ ი კ ო ლ ო ზ ი ს ი თ ა. გევედრები მკითხველთა, მცირედცა კსენებასა ჰყოფდეთ ჩემ ცოდვილისა მწერლისათჳსცა. დასრულებულ იქმნა წიგნი ესე ძალითა ღმრთისაჲთა თუესა სეკდენბერსა **ა**, ქრისტეს აქეთ **ჩღნზ**“ (433r). იოსებ მანგლელ ეპისკოპოსს, რომლის ხელქვეითაც მსახურობდა ამ წიგნის მომგებელი გერმანე არქიანდრიტი, ასეთივე შედგენილობის წიგნი გადაუწერინებია მთავარდიაკონ გარსევანისათვის. იხ. აქვე ზემოთ K 67 ხელნაწერის აღწერილობა.

3 იხ.: ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I, გვ. 220-221.

K 654

ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში ეს ხელნაწერი მოხვდა გელათის მონასტრიდან. შემორჩენილია მცირე ფრაგმენტი (78 ფურცელი), ძალზე დაზიანებული: რვეულები დაშლილია, ფურცლები ამოცვენილი და არეული. შეიცავს ფრაგმენტებს „ეფრემის“ ორივე ნაწილიდან. ხელნაწერის აღმწერელი ე. ნიკოლაძე მას XVI საუკუნით ათარიღებს.[1]

Q 44

ფრაგმენტული ხელნაწერი XVIII საუკუნისა, შემორჩენილია მხოლოდ 22 ფურცელი. შეიცავს ეფრემ ასურის „სწავლათა“ პირველი ნაწილის, „ეფრემ პირველის“ პირველ ოთხ თავს: (1) „ეპისტოლე იოანეს მიმართ მონაზონისა, მოთმინებისათჳს“ (1r-3v); „სათნოებისათჳს, ჭაბუკისა მიმართ მონაზონისა, თავნი ოთხ“ (3v-9v); „სათნოებისათჳს წინასიტყვა, თავნი ათ“ (9v-15v); „სიტყუანი მოღუაწებითნი სიტყჳსა ამისთჳს, ვითარმედ: ეკრძალე თავსა შენსა, თავნი იბ“ (15v-22r, ბოლონაკლული). შერყვნილია ორთოგრაფია. კრიტიკული ტექსტის დადგენისათვის თითქმის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. აღწერილია ე. მეტრეველისა და ქ. შარაშიძის მიერ.[2]

ჩაწერის კომპაქტურობისათვის აქ აღწერილ ხელნაწერებს წინამდებარე გამოცემაში პირობითად აღვნიშნავთ ლათინური ანბანის მთავრული ასოებით:

A – Jer.106 (XIII-XIV)
B – A 1115 (XII)
C – Ath.23 (XVI-XVII)
D – A 673 (XIII-XIV)
E – K 8 (XVI)

---

1 ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. II, შედგენილია ე. ნ ი კ ო ლ ა ძ ი ს მიერ, თბ., 1964, 300-301.

2 საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, მუზეუმის ხელნაწერთა ახალი (Q) კოლექცია, ტ. I, შედგენილი ე. მეტრეველისა და ქრ. შარაშიძის მიერ, ილ. აბულაძის რედაქციით, თბ., 1957, გვ. 59.

F – K 67 (1730 წ.)
G – A 391 (XVII)
H – A 62 (1706 წ)
I – A 196 (XVII-XVIII)
J – A 154 (XVIII)
K – A 362 (XVIII)
L – A 166 (1710 წ.)
M – K 80 (1757 წ.)
N – K 654 (XVI)
O – Q 44 (XVIII)

როგორც ჩვენი მოკლე მიმოხილვიდან ჩანს, ხელნაწერები სხვადასხვა სისრულისაა. ACO ხელნაწერები მხოლოდ „ეფრემ პირველს“ შეიცავს, G – მხოლოდ „ეფრემ მეორეს“, BDEF-HIJKLMN კი – ორივე მათგანს (სრული ან ფრამენტული სახით). გამართულობის თვალსაზრისით – ჩვენამდე მოღწეულთა შორის საუკეთესო სამეულია A, B და C, მაგრამ დედნისეული უბიწოებისაგან ისინიც დიდად არიან დაშორებული, რაც კრიტიკული ტექსტის დადგენას ძალზე აძნელებს.

A და C ხელნაწერები რედაქტირებული ჩანს მათ გადამწერთა მიერ. ეს „რედაქტირება“ გამოწვეული უნდა იყოს არა ამბიციური თვითნებობით, არამედ გადამწერთა ხელთ არსებული დაზიანებული (ძნელად ამოკითხვადი) დედნების გაუგებარი ადგილების აღდგენის სურვილით. გადამწერთ, როგორც ჩანს, ხელთ არ ჰქონიათ მეორე დედანი (პირველი დედნის ნაკლოვანი ადგილების აღსადგენად), და არც ბერძნული წყაროსათვის მიუმართავთ, არამედ საკუთარი მოსაზრებით შეუვსიათ დედანში წაშლილი თუ დაზიანებული ადგილები. ზოგჯერ მათი კონიექტურა საკმაოდ დამაჯერებელი ჩანს, მაგრამ ბერძნულ წყაროსთან შედარება სხვა ვარიანტს გვიჩვენებს, ისეთ ვარიანტს, რომელიც სხვა, უფრო გვიანდელ და ნაკლები კვალიფიციურობით შესრულებულ ქართულ ხელნაწერებშია დაცული. მართალია, გვიანდელი ხელნაწერები A, B და C-ს დიდად ჩამორჩებიან საერთო გამართულობის დონით, მაგრამ იქ, სადაც ისინი ბერძნულ დედანს ეთანხმებიან, ხოლო A, B და C მათგან განსხვავებულ ვარიანტს

გვთავაზობენ, ჩვენ მთარგმნელისეულად მივიჩნიეთ სწორედ გვიანდელ ხელნაწერთა ჩვენება, ხოლო ABC ვარიანტები სქოლიოში ჩავიტანეთ.

ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება, რაც „ეფრემის" ქართულ ხელნაწერთა უმეტესობას ახასიათებს, ესაა აპოსტროფისა და მახვილის დასმა ცალკეულ სიტყვებზე. ეს ნიშნები ზოგ ხელნაწერში უფრო იშვიათია, ზოგან კი უფრო ხშირი (გვხვდება ერთისა და იმავე სიტყვის სხვადასხვა მარცვალზე მახვილის დასმის შემთხვევებიც). წინამდებარე გამოცემაში ისინი ყველგან აღნიშნილი გვაქვს.

ტექსტის დადგენისათვის სრულად ვიყენებთ ძველ და უკეთეს ხელნაწერებს (ABCD), სხვა ხელნაწერების ვარიანტებს კი გამოკრებით ვუთითებთ სქოლიოში, რადგან მათი ორთოგრაფიული სიჭრელის სრული ასახვა კრიტიკული ტექსტის დადგენას ვერაფერში შეეწეოდა.

შენიშვნებს (ხელნაწერის ტექნიკური მდგომარეობის დახასიათებას, ანდერძ-მინაწერების ტექსტების ციტირებას) ვარსკვლავით აღვნიშნავთ სქოლიოში, ვარიანტებს — არაბული ციფრებით, ბიბლიურ ციტატებს — მრგვალ ფრჩხილებში ჩასმული ციფრებით.

წმ. ეფრემის „სწავლათა" ტექსტს წავუმძღვარეთ მათი ავტორის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი თხზულებების ძველი ქართული თარგმანების ტექსტები:

1. ცხორებაჲ და განგებაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა უდაბნოჲსა მთიებისა და მონაზონთა მოძღურისა ეფრემისი.[1]

2. ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ეფრემ ასურისაჲ.[2]

3. შესხმაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა ეფრემ ასურისაჲ, თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ნოსელისაჲ.[3]

---

1 ტექსტი დადგენილია ორი ხელნაწერის მიხედვით: ბრიტანეთის მუზეუმის Add.11281 და თბილისის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის A 249.

2 ესაა სვიმეონ მეტაფრასტის თხზულება. ქართული თარგმანი შემორჩენილია ერთადერთ A 79 ხელნაწერში.

3 ტექსტი დადგენილია გრიგოლ ნოსელის თხზულებათა ოთხივე ხელნაწერი კრებულის მიხედვით: Ath.49, A55, A108 და Ath.14.

4) ფრაგმენტი წმ. ამფილოქე იკონიელის „წმ. ბასილი დიდის ცხოვრებიდან“, წმ. ბასილისა და წმ. ეფრემის შეხვედრის შესახებ.[1]

5) ღირსისა მამისა ჩუენისა ეფრემ ასურისა მიერ შესხმაჲ დიდისა და ღმერთშემოსილისა ბასილისი.[2]

1 ამფილოქე იკონიელის თხზულება ქართულ ენაზე სამი რედაქციითაა ცნობილი. წმ. ბასილისა და წმ. ეფრემის შეხვედრის ეპიზოდი მოგვყავს სამივე რედაქციიდან: ტბეთის მრავალთავის (A19), პარხლის მრავალთავის (A95) და იერუსალიმის საპატრიარქო ბიბლიოთეკის № 36 ქართული ხელნაწერისა.

2 ტექსტი დადგენილია ორი ხელნაწერით: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის A 90 და ქუთაისის ისტორიული მუზეუმის № 8.

წმ. ეფრემ ასურის
ცხოვრებისა და მოღვაწეობის
ამსახველი თხრობანი

ცხორებაჲ და განგებაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა უდაბნოჲსა მთიებისა და მონაზონთა მოძღურისა ეფრემისი*

ვიწყო შეწევნითა ღმრთისაჲთა და ძალითა უფლისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსითა[1] და მეოხებითა წმიდისა ღმრისმშობელისაჲთა და შუვამდგომელობითა[2] სულისა წმიდისაჲთა, რამეთუ იგი არს დასაბამ და სრულება სიტყჳსა ამის ჩუენისა უძლურისა. ესე არს დასაბამი — განგებაჲ წმიდისაჲ პირველითგან ვიდრე აღსასრულადმდე ცხორებისა მისისა ქალაქსა შინა კურთხეულსა ურაჰისასა, რომელ არს შუვამდინარისაჲ.[3]

[დედ-მამა წმ. ეფრემისა]

ესე წმიდაჲ ეფრემ იყო ნათესავად ასური, და მამაჲ მისი იყო ქალაქისაგან ნასიბინისა, რომელ-იგი არს მოსაზღვრე ბერძენთა და სპარსთა, და მას ჟამსა არღა დაეპყრა იგი სპარსთა. ხოლო დედაჲ მისი იყო ემიდელი. და იყო მამაჲ მისი მთავარი ნასიბინს შინა და მსახურ კერპისა ერთისა, რომელსა სახელი ერქუა აპოლონ. და შემოდგომად ჟამთა დასცა იგი ივბიანოს, წმიდამან და კურთხეულმან მეფემან, და ჴელმწიფობასა წმიდისა კოსტანტინე მეფისა უშვა მამასა თჳსსა ჭაბუკი ესე, რომლისათჳს მნებავს მითხრობად სიტყჳსა ამის ჩუენისა, ვინაჲთგან გამოირჩია იგი ღმერთმან დედის მუცლით[4] თჳსითგან, ვითარცა

---

* ტექსტი დადგენილია ორი ხელნაწერის მიხედვით: ბრიტანეთის მუზეუმის Add.11281 (XI ს), 246r-274r და A 249 (X-XI), 1r-38v (ძველი პაგინაციით — 78r-111v, თავბოლონაკლული). ვარიანტებს პირობითად აღვნიშნავთ A და B ასოებით, შესაბამისად. ტექსტი აქამდე ორგზის გამოიცა: G. Garitte, Vies géorgiennes de S. Syméon stylite l'Ancien et de S. Ephrem: CSCO, vol. 171, Scriptores Iberici, t. 7. Louvain 1957, 78-117, მამათა ცხორებანი (ბრიტანეთის მუზეუმის ქართული ხელნაწერი XI საუკუნისა), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ვ ა ხ ტ ა ნ გ ი მ ნ ა ი შ ვ ლ მ ა, თბ., 1975, 211-233. წინამდებარე გამოცემაში ტექსტი დანაწევრებულია რამდენიმე მონაკვეთად (პირობითი სათაურებით), წმ. ეფრემის ცხოვრების უმთავრესი მოვლენების აქცენტირების მიზნით. ასევე გასწორებულია წინა გამოცემების ზოგიერთი ლაფსუსი.

1 ქ˜ესითა A. 2 შოვამდგომელობითა A. 3 შოვამდინარისაჲ A. 4 მოცლით A.

(246vA) იერემია წინაჲსწარმეტყველი, რაჲთა ამხილოს ყოველსა საცთურსა მწვალებელთასა და უნათობდეს ყოველთა მკჳდრთა ქუეყანისათა ბრწყინვალებითა მოძღურებისა მისისაჲთა, რამეთუ გამოერჩია იგი მადლსა მას საღმრთოსა და დაცვულ იყო, რაჲთა არა ეზიაროს ნაზორევთა მათ შეგინებულთა და შესაკრებელთა საძაგელებისათა, რომელნი-იგი შეკრბებოდეს თაყუანისცემად კერპსა მას მამისა მისისასა, ეშმაკთა მათთჳს და სათნოებათა მათ საჩინოთა, რომელსა ხედვიდეს ჭაბუკისა ამას თანა, რამეთუ ყრმაღა იყო ჯერეთ, და ვერღარა შეუძლებდეს ეშმაკნი მიხედვად მისა მიმართ სახლსა შინა მამისა მისისასა, რამეთუ ვერ შემძლებელ იყვნეს მიდრეკად ნებისა მათისაებრ მადლისა მისგან, რომელი წინაჲსწარ ვაკსენეთ მისთჳს, რომელიცა-იგი ჰფარვიდა მას. და მის ზედა აღესრულა სიტყუაჲ იგი უფლისაჲ ჭეშმარიტად ანანიაჲსა მიმართ პავლჱსთჳს, რომელსა იტყჳს, ვითარმედ: ჭურად რჩეულად გამომირჩევიეს ჩემდა იგი.

და დღესა შინა ერთსა იხილა იგი მამამან მისმან ქრისტიანესა[1] ვისმე თანა ზრახვასა ქალაქსა შინა და აღივსო მისთჳს გულისწყრომითა და რისხვითა და სწავლა იგი უწყალოდ გუემითა. და შემდგომად მისა ჰრქუა მას მამამან მისმან, (247rA) რამეთუ: „ესერა შევალ შენთჳს, რაჲთა შევწირნე შესაწირავნი ღმრთისა, რაჲთა შეგინდოს შენ“.

და ვითარცა შევიდა და აღასრულა ზორვაჲ იგი მისი ჩუეულებისაებრ თჳსისა წინაშე კერპისა მის თჳსისა, მაშინ იწყო ეშმაკმან მან ბილწმან სიტყუად მისა მიმართ და ეტყოდა მას ესრეთ,[2] რამეთუ: „მე უწყი შენთჳს, მრავალთა წელთა ზრუნავ ტაძრისა ამის ჩემისათჳს. ხოლო ვედრებაჲ ესე შენი ჩემდა მომართ ძისა შენისათჳს ვერ შემძლებელ ვარ მითუალვად შენგან, ვითარცა-იგი ვერ შესაძლებელ არს ყოფად ცაჲ ქუეყანად, ეგრეთვე[3] არცაღა ჩემი ეგების, რაჲთამცა მას შინა ნაწილი გინათუ განსუენებაჲ იყო. ხოლო უკუეთუ გნებავს, რაჲთა აღვასრულო ნებაჲ შენი, მაშა განაძე იგი და განდევნე სახლისა შენისაგან, რაჲთა არა იყოს იგი მჯდომად ჩემდა, რამეთუ მე უწყი, ვითარმედ ძჱ ესე შენი განმდევნელი ღმერთთაჲ ყოფად არს“.

1 ქ˜ეანესა A. 2 ესრჱთ A. 3 ეგრჱთვე A.

და მეყსეულად გამოვიდა გარე მამაჲ მისი კერპისა მისგან და ჰრქუა ძესა თჳსსა: „აღდეგ და ვიდოდე, ვინაჲცა გნებავს, სახლსა ჩემსა ნუმცა მიხილავ უკუნისამდე, რამეთუ მტერი ხარ ღმერთთაჲ“.

[ეფრემი იაკობ ნისიბიელთან]

მაშინ ყრმაჲ იგი აღივსო სიხარულითა დიდითა, რამეთუ თჳთ იგი ამისთჳს წადიერ იყო და მოხარულ. მაშინ გამოვიდა სახლისაგან მამისა თჳსისა და არარაჲ აიღო მის თანა, ამისთჳს, რამეთუ არა (247vA) უწყოდა, თუ ვინაჲ წარვიდეს იგი ანუ ვისა მივიდეს. არამედ მადლი იგი ღმრთისაჲ, რომელი დამკჳდრებულ იყო მის თანა, სცვიდა მას და წარუძღუა მას ეკლესიად ქრისტიანეთაჲსა[1] და მივიდა წმიდისა ამბა იაკობის ეპისკოპოსისა ნასიბინ ქალაქისა.

და იყო იგი სრული კაცი, მოშიში ღმრთისაჲ და შემკული ყოვლითა სათნოებითა. და მადლი ღმრთისაჲ იქმოდა ძალთა და სასწაულთა დიდ-დიდთა მის მიერ, და წინაჲსწარ სცნობდა დაფარულთა საიდუმლოთა სულისა წმიდისა მიერ, რომელი-იგი დამკჳდრებულ იყო მის შორის. და ვითარცა შევიდა წინაშე მისსა ნეტარი ესე ეფრემ და აუწყნა მას ყოველნი საქმენი მისნი, განიხარა მისთჳს ფრიად და შეიწყნარა იგი ყოვლითა სიყუარულითა და დაადგინა იგი სადგურსა მას წიგნის მსმენელთა თანა.

ხოლო ჭაბუკი ესე დღითი-დღედ ჰმატებდა წადიერებითა და მოსწრაფებით სწავლასა სარგებელისათჳს სულისა თჳსისა და მოსწრაფე იყო მარხვასა და ლოცვასა, და წადიერად და გულსმოდგინედ მიისწრაფინ ეკლესიად, რაჲთამცა ისმინა წიგნთაგან წმიდათა. და შევიდა წმიდისა ამის ამბა იაკობ ეპისკოპოსისა თანა საეპისკოპოსოს, და ისწრაფდა მუნამდის, ვიდრემდის იქმნა ამბაძველ წმიდისა მის ღმრთისა ეპისკოპოსისა (248rA) განგებასა მისსა. და რაჟამს ხედვიდა წმიდაჲ იგი გამოწულილვასა და გამოძიებასა განგებისა მისისასა, აღივსებოდა მისთჳს სიხარულითა და მხიარულებითა, და მარადის განამტკიცებდა საქმეთა თჳსთა სიტყუათაგან ცხორებისათა წიგნთაგან წმიდათა. და

1 ქ˜ეანეთაჲსა A.

არათუ ხოლო წმიდასა მას თანა ოდენ საყუარელ იყო იგი, გარნა ყოველთა თანა შვილთა ეკლესიისათა. და შემდგომად მცირედისა ჟამისა სრულ იქმნა ყოვლით-კერძოვე ნათლითა და ღმრთისმოშიშებითა.

მაშინ სირცხჳლეულ იქმნა ეშმაკი, რომელმან-იგი გამოაძო სახლისაგან მამისა თჳსისა, და ვერღარა შემძლებელ იყო ხედვად მისა.

ხოლო ეშმაკმან, წინააღმდგომებისა მისისათჳს და დაწუვისაგან მის მიერ, ინება, რაჲთამცა შთააგდო იგი ცუდადდიდებულებასა, რაჲთამცა დააბრკოლნა შვილნი ეკლესიისანი და ყოველნი მორწმუნენი. და აღაშფოთა კუალად ამბა იაკობცა ეპისკოპოსი და რომელ-იგი მტერობითა ღონჱ იძია მის ზედა ეშმაკმან მან წმიდასა ეფრემს ზედა, რაჲთამცა ავნო მას დიდისა მის პატივისა მისისათჳს, რომელი-იგი აქუნდა მას ყოვლისა ერისაგან, მადლითა მით სულიერითა გამოეცხადა განგებაჲ წმიდისა მის ღმრთისა კაცისაჲ და უფროჲსღა ემატა მით სიყუარული მისი წინაშე პატიოსნისა მის ეპისკოპოსისა, და (248vA) ამაღლდა და დიდებულ იქმნა მის თანა პატივი და საქმჱ მისი უფროჲს პირველისა მის.

[ქალის შეცდენის ბრალდება]

რამეთუ იყო მუნ კაცი ეკლესიისა ნისიბინისა მნათჱ, და სახელი მისი ეფრემვე. და ვითარცა იხილა, რამეთუ ეპისკოპოსმან და ყოველთა შვილთა ეკლესიისათა შეიყუარეს წმიდაჲ ესე, რამეთუ აღივსო იგი შურითა წინააღმდგომებად მისა. და რომელთამე დღეთა შინა დაეცა მნათჱ იგი ერთისა ვისმე წარჩინებულისა მოქალაქისა ასულისა თანა ქალწულისა, და მიუდგა მის კანდელაკისაგან.

მაშინ ჰრქუა მან ქალსა მას: „ოდეს შეგაცნას მამამან შენმან, არქუ მას, ვითარმედ: ეფრემ ესე, რომლისათჳს იტყჳან, ვითარმედ წმიდაჲ არს იგი, შემოვიდა ჩემდა დღესა ერთსა და მან შემამთხჳა ესე“.

და ვითარცა ეუწყა მამასა მის ქალისასა საქმჱ ასულისა თჳსისაჲ, ჰრქუა მას: „ვინ არს, რომელმან იკადრა და გიყო შენ ესე საქმჱ?“

მაშინ მიუგო და ჰრქუა მას: „ეფრემ მიყო ესე, რომლისათჳს იტყჳან კაცნი, ვითარმედ წმიდა არს იგი“.

და მეყსეულად წარვიდა იგი ეპისკოპოსისა და პირსა თჳისსა იცემდა და ჰრქუა მას, რომელ-იგი უთხრა მას ასულმან მისმან.

და ვითარცა ესმა ეპისკოპოსსა საქმჱ იგი ქალისა მის მამისაგან, მწუხარე იქმნა დიდად ფიცხლად. ხოლო ეპისკოპოსსა ყოველნივე საიდუმლონი[1] საღმრთონი გამოეცხადებოდეს (249rA) მადლითა მით, რომელ-იგი იყო მის თანა, გარნა საქმჱ იგი ქალისაჲ მის დაეფარა მისგან.

მაშინ ცნეს ყოველთა კაცთა, დაბრკოლდეს მისა მიმართ ყოველნივე. მაშინ მოუწოდა ეპისკოპოსმან ნეტარსა მას და იწყო მხილებად მისა ამის საქმისათჳს. ხოლო იგი შეურვებულ იქმნა, და იწყო ნეტარმან მან გულისზრახვად გულსა შინა თჳსსა მისთჳს და არაჲ მიუგო მას სიტყუაჲ. და შემდგომად მისა ჰრქუა: „ჰე, მამაო, ვცოდე. არამედ გევედრები სიწმიდესა შენსა, რაჲთა მომიტეო და შემინდო ცოდვაჲ ესე“.

ხოლო ეპისკოპოსსა, ამბა იაკობს, არავე ჰრწმენა ამის საქმისათჳს. არათუ იცოდა, გარნა ყოველნი საიდუმლონი[2] და განზრახვაჲ მისი უწყოდა მან.

და კუალად ამბა იაკობცა, ეპისკოპოსი ნეტარი, ევედრებოდა ღმერთსა, რაჲთა გამოაცხადოს საქმჱ ესე, და დაუფარა მას იგი ღმერთმან, რამეთუ ღმერთი, რომლისაჲ დიდებულ არს სახელი მისი, უნდა, რაჲთამცა გამოაცხადნა საიდუმლონი[3] ამის წმიდისანი, და ერსა გამოუცხადოს კეთილად სრბაჲ მისი და სათნოებანი, რომელნი მონიჭებულ იყვნეს მისა.

და ვითარცა შვა ქალმან ყრმაჲ იგი, აღიქუა მამამან მისმან ყრმაჲ და მოჰგუარა წმიდასა ღმრთისასა ეპისკოპოსსა. მაშინ ბრძანა ეპისკოპოსმან მოწოდებაჲ ნეტარისა ეფრემისი. და ვითარცა მოვიდა, ჰრქუა მას ქალისა მამამან: „მიიღე აწ (249vA) ძჱ შენი და განზარდე იგი, ვითარცა გნებავს“.

მაშინ ნეტარი ეფრემ ტიროდა და თქუა: „ჰე, მამაო, ვცოდე, გარნა გევედრები, რაჲთა მომიტეოს სიწმიდემან თქუენმან“. და აღიქუა ყრმაჲ იგი და შევიდა ეკლესიად.

---

1 საჲდუმლონი A. 2 საჲდუმლონი A. 3 საჲდუმლონი A.

და ვითარცა იხილეს კაცთა ყოველთა, განკჯრვებულ იქმნნეს მისგან და შეცბუნდეს. რომელნიმე იტყოდეს: „უბრალო არს“, და რომელნიმე დაბრკოლდეს მისა მიმართ. ხოლო იგი მას შინა ტიროდა და იტყოდა: „ევედრენით, ძმანო, ღმერთსა, საყუარელნო, რაჲთა მომიტეოს ცოდვაჲ ესე“.

და ვითარ დაადგრა ამას ზედა დღე რავდენმე, და იხილნა კაცნი, რამეთუ დაბრკოლებულ იყვნეს მისა მიმართ, შეშინდა სიტყჳსა მისგან, რომელსა იტყჳს სახარებასა შინა: „წყეულ არს კაცი იგი, რომელმან დააბრკოლოს ერთი ძმათა მათ მცირეთაგანი, რომელნი ჩემდა მომართ მორწმუნენი არიან, და დაბრკოლდეს“.(1) და ვითარცა იხილა ღმერთმან ფრიადი მოთმინებაჲ მისი და იჭჳ კაცთაჲ მისა მიართ, ხოლო იგი შეიწყნარებდა კდემასა და ყუედრებასა მათსა სიხარულით, ინება ღმერთმან, რაჲთა გამოუცხადნეს სათნოებანი მისნი სულიერნი და სიმდაბლჱ იგი მისი ჭეშმარიტი ყოველთა კაცთა, რაჲთა სირცხჳლეულ იქმნეს ეშმაკი და ნებისმყოფელნი მათნი.

იყო დღჱ კვირიაკჱ, და ვითარცა აღასრულეს მსახურებაჲ საიდუმლოჲსაჲ (250rA) და ეზიარნეს კაცნი საიდუმლოთა ჴორცთა და სისხლთა პატიოსანთა ქრისტჱსთა, მაშინ წარმოდგა ნეტარი ეფრემ წინაშე ეპისკოპოსისა, და ყრმაჲ იგი ჴელთა მისთა სამჴართა ქუეშე, და ევედრა მას, რაჲთა უბრძანოს აღსლვაჲ საფსალმუნეთა[1] ზედა. ხოლო ეპისკოპოსმან ბრძანა, რაჲთა აღვიდეს. და ვითარცა აღვიდა საფსალმუნეთა[2] ზედა და დადგა შორის მისსა, ყრმაჲ იგი მის თანა გამოიღო გარე მარჯუენესა ჴელსა ზედა მისსა და პირი ყრმისაჲ აღმოსავალით მიაქცია და ჴმა-ყო ჴმითა მაღლითა და თქუა: „შენ გეტყჳ, ჶ, ყრმაო, და გაფუცებ სახელსა ღმრთისა ცხოველისასა, რომელ არს შემოქმედი ცათაჲ და ქუეყანისაჲ და ყოველნი, რავდენნი არიან მას შინა, აღიღე პირი შენი და უთხარ სამართალი: ვინ არს მამაჲ შენი?“

მიუგო ყრმამან მან ჴმითა მაღლითა: „ეფრემ მნათჱ არს მამაჲ ჩემი“.

---

1 საფსალმონეთა A. 2 საფსალმონეთა A.

(1) მათე 18,6.

და ვითარცა ესმა ყოველთა კაცთა ჴმაჲ იგი ყრმისაჲ მის, დაეცა მათ ყოველთა ზედა შიში დიდი, და შეცბუნდეს ყოველნი მისგან და იწყეს ჴმობად და ღაღადებად, განკჳრვებულნი ევედრებოდეს ნეტარსა ეფრემს, რაჲთა მიუტეოს მათ. ხოლო ყრმაჲ იგი მეყსა შინა ადგილსავე მოკუდა.

მაშინ მივიდა მამაჲ იგი ქალისაჲ მის და შეუვრდა ფერჴთა წმიდისა ეფრემისთა და ტირილით ევედრებოდა მას, რაჲთა შეუნდოს მას. (250vA)

და ეუწყა ეპისკოპოსსა საქმჱ ესე. მაშინ ყო ერსა ზედა ლოცვაჲ სალხინებელი, რომელ არს ი ლ ა ს მ ო ნ ი,* წმიდასა ეკლესიასა შინა. მიერ დღითგან იდიდა მონაჲ ღმრთისაჲ წმიდაჲ ეფრემ ყოველთა კაცთა თანა უმეტეს[1] პირველისასა, და სირცხჳლეულ იქმნა მიერითგან ეშმაკი და დაეცა. ხოლო მნათჱ იგი ოტებულ იქმნა და მიერითგან არავინ იხილა იგი. და განდიდნა კუალად ნეტარი ეფრემ წინაშე თუალთა წმიდისა ეპისკოპოსისათა და პატიოსან იყო მის წინაშე უფროჲს პირველისასა, და მარადის მის თანა იმარხავნ და საზრდელსა ერთსახედ მიიღებნ.

[ე ფ რ ე მ ი ნ ი კ ე ა შ ი]

და შემდგომად მცირედისა ჟამისა აღდგა არიოზ, მგმობარი მამისა და ძისა და სულისა წმიდისაჲ, და შემოქმედისა თჳსისა ზედა აღმოიღო ენაჲ თჳსი, ვითარცა მახჳლი. აღივსო ეგჳპტჱ ბილწებითა მისითა. მაშინ შეკრიბა დიდებულმან და მორწმუნემან კოსტანტინე, მეფემან ბრწყინვალემან, ეპისკოპოსნი ყოველნი

---

* ი ლ ა ს მ ო ნ ი ს განგება (’Akolouqia ei~ ilasmon), რომელიც სრულდებოდა შეცოდებულთა განწმედისათვის (ilasmo~ – შეწყალება), შეიცავს წმ. ბასილი კესარიელის, იოანე ოქროპირისა და სხვ. ლოცვებს. იგი ქართულადაც უთარგმნიათ (სავარაუდოდ, გიორგი მთაწმიდელს, რამდენადაც მის მიერ თარგმნილი წეს-განგებების გვერდითაა მოთავსებული „კურთხევათა“ ძველ ქართულ კრებულებში). წეს-განგების რუსული თარგმანი A 450 ხელნაწერის მიხედვით გამოაქვეყნა და ლიტერატურულ-ისტორიული მიმოხილვა დაურთო კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე მ (Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах и их научное значение, Протоиерея Кор. К е к е л и д з е, Тифлос, 1908, გვ. 108-113, 433-437. ქართული ტექსტი პირველად გამოსცა ე. კ ო ჭ ლ ა მ ა ზ ა შ ვ ი ლ მ ა (მცირე კურთხევანი, თბ., 1998 წ., გვ. 218-253).

1 უმეტჱს A.

ნიკიისა ქალაქსა შინა. და ვითარ უწოდა წმიდასა ამბა იაკობს ეპისკოპოსსა, რაჲთა მივიდეს მუნ და მოყუასნი მისნი მის თანა, მაშინ ნეტარიცა ესე ეფრემ თანა წარიყვანა წმიდასა კრებასა, რაჲთა ბრძოლა-უყოს სარწმუნოებისათჳს მართლისა, ვითარცა ერისთავმან რაჲ გუნდისამან (251rA) წმიდისა საკელმწიფოსა შინა ჰრომთასა. და ვითარცა შეაჩუენეს არიოზ და განდევნეს იგი და ყოველნი, რომელნი იყვნეს მის თანა, და მიექცა ძჳრი თჳსი თავსავე თჳსსა ზედა, და მიიღო მისაგებელი მისი მსგავსად უგუნურებისა მისისა ძალითა ღმრთისაჲთა. ხოლო წმიდაჲ ეპისკოპოსი ამბა იაკობ და ნეტარი და რჩეული ეფრემ შემდგომად კრებისა მის განყრისა და ყოველნი კაცნი მიიქცეს ქუეყანადვე თჳსა. მაშინ მოიქცა ამბა იაკობცა ეპისკოპოსი ქუეყანადვე თჳსა სიხარულითა დიდითა, მსგავსად ერისთავისა, რომელმან-იგი სძლის მტერთა, და წმიდაჲ ეფრემცა მის თანა.

ხოლო ნეტარი ესე ეფრემ დღითი-დღედ ჰმატებდა და ისწრაფინ წარმატებასა ღმრთისმოშიშებითა და სათნო-ყოფითა მისითა და მარადის იკითხავნ წიგნთა წმიდათა და ერჩდა იგი წმიდასა ეპისკოპოსსა ყოველსავე ზედა, რაჲცა რაჲ ებრძანის მას საქმედ.

[შაბურ მეფის დამარცხება ლოცვით]

და შემდგომად მცირედისა ჟამისა შეისუენა კოსტანტინე, მეფემან დიდებულმან, და დაიპყრეს მეფობაჲ ძეთა მისთა. და შემდგომად მისა, მათ ჟამთა გამოვიდა საბურ, მეფჱ სპარსთაჲ, რამეთუ უდებ-ყვეს ძეთა კონსტანტინე მეფისათა დიდებულისა, და მოიწია ქალაქად ნისიბინისა აურაცხელითა ერითა მრავლითა და მარზაპნებითა და ძალითა მრავლითა, და ნათესავები, რომელთაჲ არა იყო რიცხჳ. (251vA) და ორად განყო ლაშქარი მისი და განაწყო და მოუკრა ქალაქსა ბრძოლად შინა მკჳდრთა ქალაქისათა, და გარე-მოიცვა ქალაქი სამეოცსა დღესა და გარდააგდო მდინარჱ იგი, რომელი შემოვიდოდა ქალაქსა შინა, განკუეთა ზღუდისა ძირსა და შეაგდო ქუეშე საფუძველსა ზღუდისასა და დაარღჳა ზღუდჱ იგი სიმრავლემან წყლისამან. და ჰგონებდა საბურ,[1] ვითარმედ უშრომელად შევიდეს ქალაქსა. მაშინ ამბა იაკობ, პატიოსანმან ეპისკოპოსმან კურთხეულმან, და ნეტარმან

1 საბორ A.

ეფრემ და ყოველთა შვილთა ეკლესიისათა იწყეს ლოცვად და ვედრებად ღმრთისა მრავლითა ცრემლითა და სულთქუმითა ყოველთა დღეთა ბრძოლისათა.

მაშინ წმიდაჲ ამბა იაკობ, ეპისკოპოსი კურთხეული, დაადგრა შორის მჴედართა და მოქალაქეთა და ნუგეშინის-სცა[1] მათ ყოველთა და აღაშენა[2] ზღუდჱ იგი, და აჰმართნეს ფილაკავნები და უშტეკავნები ზღუდესა ზედა და ესროდეს მათ და გააშორებდეს ლაშქარსა ქალაქისაგან. ესრეთ[3] ყო წმიდამან ეპისკოპოსმან და ნეტარმან ეფრემ, და ვერ შეუძლეს მოახლებად ზღუდესა. და ეკლესიასა შინა ევედრებოდეს ღმერთსა ამის ჭირისათჳს. (252rA)

მაშინ მეფემან საბურ არათუ[4] ზღუდისა მისთჳს, რომელი აღაშჱნეს, განკჳრვებულ იქმნა, არამედ სხუაჲ სახილავი იხილა და მისგან შეშინდა შიშითა დიდითა და ზარგანჴდილ იქმნა ამისთჳს, რამეთუ იხილა მან კაცი, შემკობილი სამეუფოჲთა სამოსლითა, მდგომარჱ ზღუდესა ზედა და ზეწრითა ბრწყინვალითა და დიდებულითა. და გულისხმა-ყო და განიზრახა თავსა შორის[5] თჳსსა,[6] ვითარმედ ბრძენთა მეფჱ არს იგი, და არავის უთხრა მოყუასთა მისთა, რომელნი-იგი ეტყოდეს მას, ვითარმედ: „არა არს აქა მეფჱ“. და რამეთუ რომელნიმე მარზაპანთაგანნი მოვიდოდეს ჰეჯიბთა[7] მთავრისა მისისა თანა და ეტყოდეს, ვითარმედ: „არა არს აქა მეფჱ, არამედ არს იგი ანტიოქიას ქალაქსა“. და იცოდა მეფემან საბურ სპარსთამან ნიშნები[8] მისი და ესწავა, რომელი-იგი ჰბრძოდა ამათ წილ.

მაშინ ზარგანჴდილ იქმნა საწყალობელი იგი და უბრძანა ბანაკსა თჳსსა, რაჲთა ესროდიან მას ისართა, და არა იცოდა მან უსუსურმან გონებითა, ვითარმედ რომელი-იგი უჴორცო არს, ვერ ავნებს მას ისარი მისი. და სირცხჳლეულ იქმნა, რაჟამს იხილა დიდებაჲ იგი.

მაშინ საკჳრველმან ეგრემ განთქუმულმან ითხოვა ნეტარისა ამბა იაკობ ეპისკოპოსისაგან, რაჲთა უბრძანოს და განვიდეს ზღუდესა ზედა, რაჲთა იხილნეს ბარბაროსნი იგი და ესროდის მათ ისართა. (252vA)

---

1 ნუგეშინისცა A. 2 აღაშჱნა A. 3 ესრჱთ A. 4 არაჲთუ A. 5 შორის – A. 6 თჳსა A. 7 ჰეჯბთა A, ჰეჯიბთა B. 8 ნიშანები A.

და ვითარცა ესმა ამბა იაკობს სიტყუაჲ ნეტარისა ეფრემისი, უბრძანა, რაჲთა აღვიდეს, რამეთუ იცოდა მადლი იგი, რომელი იყო მოცემული მისა მის სასწაულისაგან, რომელიცა ყო მან. ხოლო რაჟამს განვიდა ნეტარი რომელსამე ზღუდეთაგანსა და იხილნა ბევრის-ბევრეულნი კაცნი, აღიხილნა თუალნი თჳსნი ღმრთისა მიმართ და ითხოვა მისგან, რაჲთა მიავლინოს მათ ზედა რისხვაჲ, მკალი და ბუზი, რაჲთა ამათ მჴეცთა უნდოთა მიერ კმა-უყოს მათისა ბრძოლისათჳს, და გულისხმა-ყოს საბურ სპარსთა მეფემან, საწყალობელმან უბადრუკმან, ძალი ღმრთისაჲ.

მაშინ ლოცვითა წმიდისა ეფრემისითა მოიწია მათ ზედა ღრუბელი და მკალი და ბუზი, და დაესხა პილოთა ზედა, რამეთუ თმაჲ არა ასხს მათ. და ფაქლი შევიდის ყურთა და ცხჳრთა შეუჴდის. და დაესხა ბუზი იგი ცხენთა და პილოთა და სხუათა-ცა პირუტყუთა — ჯორთა და აქლემთა და ყოველთა საცხოვარ-თა. და ვერ დაუდგეს წინაშე რისხვასა მას, რომელი-იგი მოავ-ლინა ღმერთმან მათ ზედა ლოცვითა ამის წმიდისა და ნეტარისა ეფრემისითა. და აღჭრნეს ბუზთა მათ ჴორცნი ცხენთანი. და სიმძაფრისაგან ტკივილისა, რომელცა-იგი იგუემებოდეს საჴე-დრები, გარდამოჰყრიდეს მჴედართა, და ვერ დაიდგმიდეს მჴე-დარნი ზურგთა ზედა ცხენთასა. (253rA) და აღაშფოთა ბანაკი იგი მათი, და დაყარეს კარვები მათი და წარივლტოდეს მიერ. და ვითარცა გულისხმა-ყო მეფემან საწყალობელმან ძალი იგი ღმრ-თისაჲ, რომელ ჰმწყსის მორწმუნეთა, ნებისმყოფელთა მისთა კეთილად მოღუაწეთა, მაშინ მეოტ იქმნა მეფჱ მუნით სირცხ-ჳლეული, არარაჲ შეიძინა ყოვლისა მის განმზადებულებისა მის-გან ძლევაჲ. ლოცვისა მისგან წმიდისა და ნეტარისა ეფრემისა იჴსნა ღმერთმან ქალაქი იგი.

[ნ ი ს ი ბ ი ნ ი ს ზ ა ვ ი]

და შემდგომად ჟამთა მცირედთა სრულ იქმნა ცხორებაჲ ნეტარისა და კურთხეულისა ეპისკოპოსისაჲ ამბა იაკობისი, და მივიდა უფლისა თჳსისა სრული ყოვლითა სათნოებითა. მაშინ ნეტარი ეფრემ მწუხარე იქმნა სიკუდილისა მისისათჳს ფრიად და ჴუებულ იქმნა მისთჳს და აიღო გუამი წმიდისაჲ მის და შემურა პატივითა დიდითა და დაჰმარხა. და დაადგრა წმიდაჲ

იგი ქალაქსავე ნასიბინისასა სპარსთა შეპყრობადმდე. შემდგომად მცირედისა ჟამისა მეფემან კოსტანტინე მცირემან წარმოავლინა ივლიანე ულმრთოჲ ქუეყანად დაცვისათჳს. და მისა შემდგომად შეისუენა კოსტანტინე მეფემან, და დაიპყრა მეფობაჲ ივლიანე წყეულმან. და იქმნნეს ბრძოლანი და შფოთებანი ყოველთა ქალაქთა შინა. და განახუნა საკერპონი ტაძრები იგი და წარვიდა (vA) სპარსეთისა ქუეყანად. და დიდი შფოთი მოიწია ქრუსტიანეთა ზედა ჟამთა მისთა. და იქმნა ოკრებაჲ და ბრძოლანი მრავალნი ქუეყანასა სპარსეთისასა. და მუნ მიიღო მისაგებელი მისი ღმრთისაგან ქუეყანასა მას მტერთასა. და შემდგომად მისა აღდგა სხუაჲ მეფჱ, რომლისა სახელი მისი ივბინიანოს. და იყო მეფჱ კურთხეული და ბედნიერი მეფობასა შინა.

დაეგო საბურ მეფესა სპარსეთისასა, რამეთუ ივბინიანე მეფესა მორწმუნესა ექმნა საქმჱ კეთილი საბურ მეფისა თანა და აქუნდა მის თანა სიყუარული და კადნიერებაჲ და საყუედური, ვითარცა-იგი აქუს მეფეთა ჩუეულებაჲ კეთილისმყოფელთათჳს მისაგებელი, ეგრეთვე[1] საბურს თანა-ედვა პატივი მისი. მაშინ შეკრიბეს ორნივე ერთად: საბურ, სპარსთა მეფჱ, და ივბინიანე, მორწმუნჱ მეფჱ ბერძენთაჲ, და წარმოიღეს მათ თანა ივლიანე უშჯულოჲ, სამკუდროჲთა შემოსილი, და მოიღეს ქალაქად ნასიბინისა. მაშინ შეაწონნეს მოოკრებულნი[2] იგი ქუეყანანი: რომელ-იგი მოეოკრა[3] სპარსთა ქუეყანაჲ ბერძენთაჲ, ეგრეთვე[4] კუალად რომელი ბერძენთა მოეოკრა[5] სპარსთა ქუეყანაჲ. ხოლო რომელი-იგი ბერძენთა მოეოკრა[6] სპარსთა ქუეყანაჲ, უფროჲს იყო. მაშინ მეფემან (254rA) კურთხეულმან ივბინიანე მისცა ქალაქი ნისიბინისაჲ სპარსთა ნაცვალად მოოკრებულისა[7] მის წილ, ხოლო იგი საზღვრად დაიდვეს ბერძენთა და სპარსეთისა ვიდრე დღენდელად დღედმდე. და უბრძანა მოქალაქეთა, რაჲთა გამოვიდენ მიერ ქალაქისაგან და მისცენ იგი სპარსთა, რამეთუ მას ზედა ყვეს ზავი. მაშინ ნეტარმან ეფრემ გამოთქუა საკითხავი უშჯულოჲსა ივლიანჱსთჳს და მწუხარებათა მათთჳს, რომელ-იგი შეემთხჳა ქრისტიანეთა და დღეთა მისთა მას ჟამსა.

---

1 ეგრჱთვე A. 2 მოუკრობელნი A. 3 მოეუკრა A. 4 ეგრჱთვე A. 5 მოეუკრა A. 6 მოეუკრა A. 7 მოუკრებულისა A.

[ქალაქ არაბიაში შესვლა და ნათლისღება]

შემდგომად მისა განვიდა წმიდაჲ ეფრემ მეფობასა ივბინიანე მორწმუნისასა ქალაქით თჳსით და მივიდა ქალაქად, რომლისა სახელი მისი არაბიაჲ, და მას შინა მოიღო წმიდაჲ ნათლისღებაჲ. და იყო იგი ჰასაკითა ათრვამეტისა* წლისა დღეთა. და ისწავლებოდა დავითსა და იკითხავნ წიგნთა წმიდათა სულიერთა მის თანა, რომლისა მიერ ნათელი მოეღო. და ამისა შემდგომად აღდგა შფოთი დიდი მას ქუეყანასა შინა ეკლესიათა ზედა ღმრთისათა. ხოლო იგი წარივლტოდა მუნით და მოვიდა ქალაქად, რომელსა ჰრქჳან ემიდი, და დაადგრა მას შინა და უნათობდა მათ, რომელნი-იგი დანთქმულ იყვნეს ბნელსა და აჩრდილთა სიკუდილისათა მსხდომარენი საცთურებათა შინა ეშმაკისათა. და დაადგრა (vA) მას შინა მცირედსა ჟამსა.

[ურჰაში შესვლა და დედაკაცთან შეხვედრა]

და ვითარცა გამოჴდა ზამთარი, მერმე წარმოვიდა ქალაქად ურჰაჲსა, რომელ არს შუვამდინარეთა.[1] და ვითარცა იხილა იგი შორით, განიხარა და თქუა გულსა თჳსსა, ვითარმედ: დავემკჳდრო ქალაქსა ამას შინა ვიდრე მიაღსასრულადმდე.

და ვითარ მიეახლა ქალაქსა და მიიწია მდინარესა, რომელსა ჰრქჳან დწსამანისი (ხოლო იგი გარე-მოიცავს ქალაქსა), და იხილნა მას ზედა დედანი, რომელნი რცხიდეს,[2] და დაადგრა მდინარესა მას ზედა და ხედვიდა მათ.

* ვ. იმნაიშვილის აზრით, აქ თავდაპირველად (იგულისხმება: ბერძნულ დედანში) „ორმეოცდაათრვამეტისა“ უნდა ყოფილიყო, თორემ ანაქრონიზმი გამოვიდოდაო. „ორმეოცდაათრვამეტის“ ნაცვლად „ათრვამეტის“ გაჩენას მკვლევარი მიაწერს გადამწერებს, და არც ქართველი მთარგმნელის შეცდომას გამორიცხავს. იხ.: მამათა ცხორებანი, გვ. 7 და 217. ჩვენი აზრით, „ათრვამეტი“ — ქართველ მწიგნობართა შეცდომა კი არა, დედნისეული რიცხვია. ამ აზრს ეთანხმება მცირედ ქვემოთ „ჭაბუკად“ მოხსენიება ეფრემისა (იხ. „ეფრემის დამკვიდრება მონასტერში“). 58 წლის მამაკაცს ასე ნამდვილად არავინ იხსენიებს. ეფრემი რომ ჭაბუკობისას შეუდგა ასკეტურ ღვაწლს და არა 58 წლისა, ეფრემის შესახებ არსებული სხვა ბიოგრაფიული წყაროებიც მოწმობენ (იხ., მაგ., ქვემოთ, „ღირსისა მამისა ჩუენისა ეფრემ ასურისა მიერ შესხმაჲ დიდისა და ღმერთშემოსილისა ბასილისი“, გვ. 131-144).

1 შოვამდინარეთა A. 2 ჰრცხიდეს A.

ხოლო ერთმან დედათა მათგანმან რომელნი რცხიდეს მუნ, იწყო ხედვად მისა და განცდად ჟამ ერთ. ხოლო წმიდამან ეფრემ შეჰრისხდა მას და ჰრქუა: არა გრცხუენისა, ჭ, დედაკაცო, და არცა დახედვიდეა ქუეყანად მიმართ?

და მიუგო დედაკაცმან მან და ჰრქუა მას: შენდა ჯერ-არს, რაჲთა ხედვიდე ქუეყანასა, რამეთუ მისგანი ხარ. ხოლო ჩემდა ჯერ-არს, რაჲთა გხედვიდე შენ, რამეთუ მე შენგანი ვარ.

მაშინ განკჯრდა წმიდაჲ ეფრემ სიბრძნისაგან მის დედაკაცისა და გონიერად მიგებისა მისისათჳს, რომელი-იგი ჰრქუა მას სიტყუაჲ.

და წარმოვლნა იგინი და იტყოდა გულსა თჳსსა:[1] უკუეთუ დედანი ამის ქალაქისანი ესრეთ[2] ბრძენ არიან, ვითარცა ესე დედაკაცი, მაშა რავდენ უფროჲს გარდამატებულ იყვნენ მამანი დედათა გონიერებითა და მეცნიერებითა!

მაშინ შევიდა ქალაქად და თქუა თავსა თჳსსა: (255rA) „ამიერითგან ვიქმოდი სასყიდლითა და ვჭამდე პურსა“, რამეთუ არარაჲ იცოდა ჴელთსაქმარი.

და მივდიდა იგი მეაბანოესა თანა და დაემიზდა მას. და მას ჟამსა შინა უფროჲსნი კაცნი მოქალაქენი ურჰაელნი[3] წარმართნი იყვნეს. ხოლო წმიდაჲ ესე ამხილებნ მათ და შეეშჯულებიედ მათ დავითისა სიტყუათაგან და წიგნთაგან წმიდათა. და ესევითარითა საქმითა დასტკბებოდა მას და იხარებნ.

[ეფრემის დამკვიდრება მონასტერში]

დღესა შინა ერთსა შეემთხჳა მონაზონსა ვისმე წმიდათაგანსა ურაკპარაკსა შინა. ჰკითხვიდა მას და ეტყოდა მონაზონი იგი: ვინაჲ ხარ შენ, ჭაბუკო? ხოლო მან უთხრა მას საქმჱ თჳსი და ცხორებაჲ თჳსი. ხოლო მონაზონმან მან ჰრქუა მას: ვითარ შენ ქრისტიანე ხარ და იქმ წარმართთა თანა და გნებავს სასუფეველსა შინა ყოფაჲ?

ხოლო ნეტარმან ეფრემ ჰრქუა მონაზონსა მას, რამეთუ: არა მიყუარს იგი.

ჰრქუა მას მონაზონმან მან, რამეთუ: მე გაგაზრახო უმჯობჱსი შენთჳს, რაჲთა მიხჳდე ერთისა ვისმე მონაზონისა მარტოდ

1 თჳსა A. 2 ესრეთ A. 3 ურაჰელნი A.

ცხორებულისა თანა წმიდათაგანისა, რომელნი არიან აქა, და შეეყავ ერთსა მათგანსა, და მან გასწაოს ცხორებაჲ სულისა შენისაჲ.

და ვითარცა ესმა ნეტარსა მონაზონისა მისგან, წარვიდა მის თანა. და მივიდეს მთად კერძო, რომელ არს დასავალით ქალაქსა ურაჰისასა, რამეთუ მას შინა იყვნეს სიმრავლჱ მონაზონთაჲ. და დაემკჳდრა მუნ ქუაბსა შინა მახლობელად მონაზონისა ერთისა მოღუაწისა და (vA) სულიერისა. ხოლო იგი მარადის გამოუცხადებდა მას სახილავთა საღმრთოთა.

და შემდგომად წელიწადისა ერთისა რაჲ ჟამითგან დაემკჳდრა წმიდაჲ ესე მთასა მას შინა, ილოცავნ მიმდემად გონებითა წმიდითა და იმარხავნ წმიდად და იკითხავნ მარადის წიგნთა წმიდათა სულიერთა დაუცადებელად.

[ზეგარდამო ხილვა ეფრემის შესახებ]

და ღამესა შინა ერთსა განვიდა გარე წმიდაჲ იგი ბერი სენაკით თჳსით და იხილნა ანგელოზნი ზეცით გარდამოსრულნი და ერთისა მათგანისა ჴელთა ტომარი დიდი დაწერილი ორკერძოჲთვე. და ჰრქუა ერთმან მათგანმან მოყუასსა თჳსსა: ვის მისცემ ქარტასა ამას: პავლეს, განშორებულსა ეგჳპტისა უდაბნოჲსასა, ანუ პიმენს მარტოდმყოფსა?

და მიუგო ანგელოზმან მან და ჰრქუა: არა ბრძანებულ არს ეგე ჩემდა.

ხოლო სხუამან ჰრქუა მას: მაშა ვინ არს აქა ღირსი მაგისი?

და მიუგო და ჰრქუა მას: არავინ არს დაბადებულთა შორის ღმრთისათა დღეს კაცი ღირს ამისა, გარნა ეფრემ ასური, რომელ არს მთასა ურაჰისასა მარტოდ მყოფი.

და რაჟამს იხილა ბერმან და ესმა და განიცადა სახილავი იგი, ჰგონებდა, ვითარმედ უცნებაჲ რაჲმე არს მტერისაჲ და უდებ-ყო იგი საქმჱ.

და კუალად იტყოდეს წმიდისა ეფრემისთჳს: ოდეს იყო იგი ყრმა მცირე, ვითარმედ იხილა მან ჩუენებაჲ და სახილავი, ვითარცა იგი იტყოდა, ვითარმედ: აღმოჰდა ენისა მისისაგან ვაზი და განდიდნა იგი, და აღივსო მისგან ყოველი (256rA) სოფელი, და გამოიხუნა ტევანნი მრავალნი, და მოვიდოდეს მფრინველნი

ცისანი და დასხდებოდეს მის ზედა და ჭამდეს ნაყოფისა მისისა-
გან, და არა დაილეოდა იგი, გარნა უფროჲსღა აღორძნდებოდა
და განმრავლდებოდა და ემატებოდა ნაყოფი მისი.

და დღესა რომელსამე განვიდა წმიდაჲ იგი ბერი, მეზობელი
მისი, და მოვიდა ნეტარისა ეფრემისა,[1] ვინაჲცა-იგი შეყენებულ
იყო. და პოვა იგი, რამეთუ ჯდა და წერდა თარგმანებასა დაბადე-
ბისასა. და განკჯრდა წმიდაჲ იგი ბერი, თუ ვითარ ესემლევანი
სიბრძნჱ მოსცა მას ღმერთმან და მადლი ჟამსა შინა მცირესა.

და ვითარ აღასრულა დაბადებაჲ და იწყო მეორისა შჯულისასა,
მაშინ გულისხმა-ყო წმიდამან ბერმან, ვითარმედ ჭეშმარიტად
სახილავი იგი, რომელ იხილვა მან, მისთჳს იყო, და შეიყუარა
იგი ფრიად. და მიიღო საკითხავი მისგან და წარიღო ქალაქად
და მოავლნა მოძღუარნი და მღდელნი და მთავარნი ქალაქისანი.

და ვითარცა იხილეს, შეიპყრნა იგინი[2] განკჯრვებამან სიბრძ-
ნისა მისისათჳს. მაშინ წარიკითხეს და ჰგონებდეს, ვითარმედ
ბერსა მას დაუწერიეს იგი. და შეიპყრეს იგი კელთა და ემთხუე-
ოდეს. და ვითარცა იხილა სარწმუნოებაჲ მათი, იწყო კმობად
და ღაღადებად კმითა მაღლითა და იტყოდა: არა მე დამიწერიეს,
გარნა ეფრემს, მარტოდმყოფსა მონაზონსა, რომელ-იგი არს ქალა-
ქისაგან ნისიბინისაჲთ. (vA) ხოლო ბერმან აუწყა მათ სახილავი
იგი, რომელი მან იხილა.

ხოლო მათ ჰრწმენა სიტყუაჲ მისი, რამეთუ ქრისტემან თქუა
წმიდასა სახარებასა შინა, ვითარმედ: ქალაქი რომელი იყოს
მთასა ზედა, ვერვის კელ-ეწიფების დაფარვაჲ მისი. (1) და არ-
წმუნა ღმერთმან ყოვლთა გულთა მორწმუნეთასა, რომელნი იყვნეს
ქალაქსა შინა ურაჰისასა, სიყუარული მისი. და ყოველნი აღ-
ვიდეს მისა, ვინაჲცა იგი დამკჯდრებულ იყო მთასა.

[ეფრემი ევლტის დიდებას კაცთაგან]

და ვითარ აგრძნა მოსლვაჲ მათი, წარივლტოდა ადგილისა-
გან თჳსისა. და ვითარ ჩავიდოდა იგი კევად, გამოუჩნდა ანგელ-
ოზი ღმრთისაჲ და ჰრქუა მას: ეფრემ, ეფრემ, ვიდრე მიივლტი?

1 ეფრემისსა A. 2 იგი A.

(1) მათე 5,14.

და ჰრქუა მას ნეტარმან: ვივლტი სოფლისა შფოთისაგან.

ჰრქუა მას ანგელოზმან მან: ეკრძალე, რაჲთა არა აღესრულოს შენ ზედა სიტყუაჲ იგი წერილისაჲ, რომელ თქუმულ არს, ვითარმედ: „ეფრემ ივლტოდა ჩემგან, ვითარცა კბოჲ, რომელმან განაგდის უღელი ქედისა მისისაგან“.

ხოლო მან მიუგო ტირილით და ჰრქუა: უფალო რამეთუ უძლური ვარი და არა ღირს ვარი ამას.

მაშინ მიუგო ანგელოზმან და ჰრქუა: ჵ, კაცო, არა ჯერ-არს კაცისა აღნთებად სანთელი და დაფარვად კუმირსა ქუეშე, არამედ დადებად იგი სასანთლესა ზედა, რაჲთა ხედვიდეს ყოველი კაცი ნათელსა მისსა.[1] და ამას თანა სხუანიცა მრავალნი სიტყუანი არქუნა მას და მერმე მიეფარა მისგან ანგელოზი იგი. (257rA)

ხოლო ნეტარი ეფრემ უკუმოიქცა ურაჰად. და რომელნი-იგი გამოსრულ იყვნეს მისთჳს, ვითარ არა პოვეს იგი, კუალადიქცნეს ქალაქადვე.

ხოლო წმიდაჲ ესე რაჟამს მიიწია კარსა ქალაქისასა, მოიდრიკნა მუკლნი[2] და ილოცა და ტირილით ესრეთ[3] იტყოდა: ღმერთო ჩემო და უფალო ჩემო იესუ ქრისტე, რამეთუ შენ მიეც ჴელმწიფებაჲ წმიდათა მოციქულთა ძლევად ეშმაკისა და ყოველთა გუნდთა მისთა, შენგან ვითხოვ, უფალო ჩემო, რაჲთა მომცე ძალი შენმიერი და განსდევნნე წინაშე ჩემსა მთავრობანი, რომელნი წინა-აღმდგომ არიან დიდებასა ღმრთეებისა შენისასა!

და ვითარცა აღასრულა ლოცვაჲ თჳსი, შევიდა ქალაქად, აღვიდა ერთსა რომელსამე ზღუდესა და მიწვა და იძინა. და ვითარ განიღჳძა ძილისაგან, გარდამოვიდა გოდლისა მისგან. და ვითარ ვიდოდა-ღა იგი რომელთამე ურაკპარაკთა შორის ქალაქისათა, იხილეს იგი მათ კაცთა, რომელნი განსრულ იყვნეს ძიებად მისა. და მათ იცნეს იგი და ეკიცხევდეს იგინი მას და იტყოდეს ურთიერთას: მოვედით და იხილეთ მაჩუენებელი იგი, რომლისათჳს განვედით, და წარივლტოდა ჩუენგან!

და ჰგონებდეს იგინი მისთჳს, ვითარმედ სიყუარულისათჳს ცუდადდიდებისა ჰყოფდა მას. ხოლო მათ შეიპყრეს იგი და მიიყვანეს იგი ქალაქსა შუვა, რაჲთა ხედვიდენ მას ყოველნივე.

1 მისა A. 2 მოკლნი A. 3 ესრწთ A.

ხოლო ამას ყოველსა თანა არა ამაღლდა, გარნა (vA) სიმდაბლითა მრავლითა თაყუანის-სცა[1] მათ და იტყოდა: ვაჲ მე გლახაკსა, ძმანო, რამეთუ მე კაცი ვარ ფრიად ცოდვილი!

ხოლო იგინი მაშინ კმობდეს და იტყოდეს: მოვედით და იხილეთ უგუნური ესე და სულელი!

მაშინ ნეტარი ესე ვიდოდა ურაკპარაკთა შინა ქალაქისათა, და სწყალობნ მათ და ამხილებნ.

[ეფრემის სახელის განდიდება და მოწაფეთა შედგომა]

და დღესა რომელსამე შინა გარდამოვიდა ერთი ვინმე მარტოდმყოფთაგანი, რომელნი-იგი ხედვიდეს სულსა წმიდასა ქალაქად, რაჲთა იყიდოს საკმარი კორცთაჲ. და ვითარცა იხილა მან ნეტარი ეფრემ, მიმომავალი ურაკპარაკთა შინა ქალაქისათა, და მისდევდა იგი მას უკუანა, კმობდა და იტყოდა: ესე არს ნიჩაფი იგი, რომელ არს კელთა შინა უფლისათა, (1) და განწმიდოს ყოველივე აღმოცენებული და ყოველივე ღუარძლი მწვალებელთაჲ! ესე არს ცეცხლი იგი, რომლისათვის თქუა უფალმან, ვითარმედ: მოვედ მიფენად ცეცხლისა სოფელსა შინა. (2)

და ვითარცა ესმნეს მოქალაქეთა სიტყუანი ესე წმიდისა მისგან, განრისხნეს და აღივსნეს გულისწყრომითა და რისხვითა მწვალებელნი და წარმართნი და ჰურიანი. მაშინ შეიპყრეს ნეტარი ეფრემ და განიყვანეს გარე ქალაქისაგან და დაჰკრიბეს ქვაჲ, ვიდრემდის სული ოდენ დარჩა მას შინა და დაუტევეს.

და ვითარ განთენდა, აღდგა და წარივლტოდა მთად და შეაყენა თავი თჳსი მუნვე, (258rA) სადა იყო პირველ.

და მათ ჟამთა შინა დაწერნა წიგნები მრავალი წინა-აღმდგომად მწვალებელთათჳს, რომელნი-იგი იყვნეს მათ ჟამთა შინა. და მრავალნი მოწაფენი შეუდგეს: პირველი მოწაფჱ დონობიოს, რომელი-იგი დიაკონად იყო ურაჰისა ეკლესიასა საკურთხეველსა, და მეორჱ, რომელსა ერქუა ამბა ისაკ, და კუალად სხუასა — ამბა ასონა და ამბა ივლიანე და სჳმეონ. ამათ მოეცა მადლი მოძღურებისაგან წმიდისა ეფრემისა. და თითოეულმან[2]

1 თყუანისცა A. 2 თითუეულმან A.

(1) შდრ. მათე 3,12; ლუკა 3,17. (2) ლუკა 12,49.

მათგანმან დადვა მოძღურებაჲ თჳსი მსგავსად ძალისა თჳსისა კაცად-კაცადმან. და სხუანი მოწაფენი მრავალნი ესხნეს მას.

[გამოცხადება წმ. ბასილის შესახებ]

და მათ ჟამთა შინა ისმოდა მადლი იგი, რომელი მონიჭებულ იყო წმდისა ბასილი კაბადუკიელ ეპისკოპოსისაჲ. დიდითა წადიერებითა უნდა ხილვაჲ მისი ნეტარსა ეფრემს და ევედრებოდა ღმერთსა, რაჲთა გამოუცხადოს მას იგი.

და დღესა შინა ერთსა, იყო რაჲ იგი მდგომარე[1] ლოცვასა შინა, მეყსეულად მოუჴდა გულსა სწავლაჲ ბერძულითა ენითა, და რაჲთა მეცნიერ იქმნეს სიღრმესა იონთა სიბრძნესა; და დაადგრა ესე გულისსიტყუაჲ მის თანა რავდენსამე ჟამსა, და არა განეშორებოდა დღე[2] და არცა ღამე[3] და დღითი-დღედ აღორძნდებოდა და განდიდნებოდა გულისთქუმაჲ ესე მჴურვალებითა დიდითა.

და მრავლისა ვედრებისა და (vA) ლოცვისა შემდგომად და მიმდემისა მარხვისა და ცრემლითა დაუწყუედელითა და ძაძითა ქუეყანასა ზედა წოლისა, ეჩუენა მას ჩუენებაჲ საღმრთოჲ. და ესმა ჩუენებისა მის გამო ჴმითა საშინელითა, რომელიცა-იგი ეტყოდა მას: ეფრემ, ეფრემ უკუეთუ გნებავს, რაჲთა ისწაო სიღრმჱ იონთა სიბრძნისაჲ, მივედ შენ დიდებისა ჩემისა.

ხოლო წმიდამან ეფრემ ვერ ცნა ძალი სიტყჳსაჲ მის, გარნა ჰგონებდა, ვითარმედ განსლვისთჳს ამის სოფლისა ეტყოდა მას მისლვად სასუფეველსა, რომელ არს სიღრმეჲ დაუსრულებელი სიბრძნისაჲ. და მოელოდა იგი განმზადებულად.

და კუალად ეჩუენა მას ჩუენებაჲ იგი პირველი, და ესმა ჴმაჲ, რომელი ეტყოდა სახილავისა მის გამო ესრეთ:[4] უკუეთუ გნებავს სწავლაჲ სიღრმესა იონთა სიბრძნისასა, მივედ დიდებასა ჩემსა, რამეთუ არს იგი დიდი ბასილი, რომელი მე გამოვირჩიე მწყემსად სამწყსოჲსა ჩემისათჳს კესარია კაბადუკიაჲსა ქალაქისა, და მუნ ისწაო შენ სარგებელი შენი, და სხუანიცა მრავალნი აცხოვნნე, და ბრწყინვიდენ ეკლესიასა შინა წმიდასა, და მტერნი მისნი სირცხჳლეულ იქმნენ და განიდევნენ.

1 მდგომარჱ A. 2 დღჱ A. 3 ღამჱ A. 4 ესრჱთ A.

მაშინ წმიდასა ეფრემს მარადის ესმოდა მომავალთაგან მისა ამბავი სათნოებათათჳს წმიდისა ბასილისთა. ხოლო იგი სურვიელ იყო ფრიად დიდად, რაჲთამცა იხილა იგი და იკურთხა მისგან. და ევდრებოდა მარადის ღმერთსა (259rA) რაჲთა გამოუცხადოს მას ბასილი ბრძენი.

და დღესა ერთსა შინა აღიტაცა გონებაჲ მისი, იხილა ბასილი მსგავსად სუეტისა ცეცხლისა, მდგომარჱ საკურთხეველსა ზედა, და თავი მისი აღიწეოდა ზეცად. და ესმა ზედაჲთ მისა ჴმაჲ, რომელი იტყოდა: ეფრემ, ეფრემ, ვითარცა სუეტი ესე ცეცხლისაჲ, ეგრეთ არს ბასილი.

[ეფრემის გამგზავრება ეგვიპტისაკენ]

მაშინ აღდგა მეყსეულად და წარიყვანა მის თანა მონაზონი ერთი, რომელმან იცოდა იონთა ენითა, რამეთუ არა იცოდა მან ბერძულად, და წარვიდა, ვიდრემდის მიიწია ზღჳს კიდესა. და განგებითა ღმრთისაჲთა პოვა მუნ ნავი ეგჳპტედ მიმავალი. მაშინ აღვიდეს ნავსა მას, და დაჯდა მათ თანა. და სლვასა მას მათსა ზღუასა შინა აღიძრა მათ ზედა ზღუაჲ იგი, და იყო ქარი ფიცხელი სასტიკი, და თუმცა არა შეწევნაჲ ღმრთისაჲ და ლოცვაჲ წმიდისა ეფრემისი, ნავი და-მცა-ნთქუმულ იყო, რამეთუ ყოველი სამძიმარი და ჭურჭელი შთაყარეს ზღუასა, და ფიცხლად ღელვიდა ზღუაჲ იგი, და განეწირნეს თავნი მათნი სიმძაფრისაგან დიდისა საშინელისა საკჳრველებისაგან ღელვათაჲსა ნავსა მას, და ვითარცა-იგი თქუმულ არს ფსალმუნთა[1] შინა, ვითარმედ — „აღვლენან ცამდე და შთავლენან უფსკრულადმდე“, (1) ხოლო მენავენი შეშინდეს ფრიად და ივლტოდეს ნავისაგან.

მაშინ წმიდამან ეფრემ ჰრქუა მათ: ძმანო, ნუ გეშინინ. ღმერთმან, რომელმან განარინა წმიდაჲ პავლე და მისთანანი იგი (vA) სიღრმისაგან ზღჳსა, იგივე შემძლებელ არს ჴსნად ჩუენდა.

ხოლო იგინი ეკიცხევდეს მას, რამეთუ ჰგონებდეს იგინი მისთჳს, ვითარმედ გონებაცთომილ არს იგი და უგუნურ. ხოლო იგი აღდგა და თაყუანის-სცა[2] ღმერთსა და ტიროდა, და ჴელნი

1 ფსალმონთა A. 2 თაყუანისცა A.

(1) ფს. 106,26.

თჳსნი განიპყრნა და ჯუარი დასწერა ზღუასა და თქუა: სახელ-ითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსითა, რომელმან-იგი დააცხრო ზღუაჲ ჟამთა მათ კორცთშესხმისა მისისათა მოწაფეთაგან თჳს-თა, სახელითა წმიდითა მისითა გიბრძანებ, რაჲთა დასცხრე და დაყუდნენ[1] ღელვანი შენნი.

და ვითარცა თქუა წმიდამან ესრე, დაყუდდა ზღუაჲ და ღელვანი მისნი, და ყოველნი, რავდენნიცა იყვნეს მის თანა ნავსა შინა, დაცჳვეს ქუეშე ფერჯთა მისთა და შეურდეს და იწყეს ვედრებად მისა, ვითარცა უნდა[2] უფალსა.

და სლვასა მათსა შინა ზღუასა გამოუჯდა მათ მჯეცი ერთი ბოროტი ზღჳსაგან. ხოლო იგინი შეშინდეს ფრიად ყოველნი და იტყოდეს, ვითარმედ: დაღაცათუ განვერენით საშინელებისაგან ზღჳსა, ხოლო მჯეცისა ამისგან ბოროტისა ვერ განვერებით ცოცხლებით!

მაშინ წმიდამან ეფრემ დასწერა სახჱ პატიოსნისა ჯუარისაჲ და აღდგა და წყევა იგი. და ვითარცა ესმა მჯეცსა მას წყევაჲ იგი, მუნთქუესვე მოკუდა და აღმოაგდო წყალმან მან.

და ვითარცა განვიდა წმიდაჲ ესე ჯმელად, განეშორა მათგან. მაშინ შეწუხდეს იგინი ფრიად განშორებისა მისისათჳს.

[ეფრემი ეგვიპტეში]

ხოლო იგი შევიდა ერთსა ქალაქსა რომელსამე (260rA) ეგჳპ-ტისასა და ჰკითხა ერთსა ვისმე, რომელიცა-იგი შეემთხჳა მას პირველად, და ჰრქუა მას: რომელი არს გზაჲ სკიტისა უდაბ-ნოჲსაჲ?

ხოლო მან აჩუენა მას გზაჲ. და განვიდა იგი უდაბნოდ, ძიებად მამათა წმიდათა განშორებულთა, რომელნი იყვნეს მუნ, და პოვა მუნ სენაკი და ქუაბი ერთი უკაცრული. შევიდეს მას შინა იგი და თარგმანი მისი. და დაადგრეს მას შინა მრავალ დღე. და რაჲ ჟამითგან მონაზონ იქმნა ნეტარი ეფრემ და აღსას-რულადმდე დღეთა ცხორებისა მისისათა არას ჭამდა თჳნიერ პურსა ქრთილისასა და ცერცუსა და მხალსა მცირედსა და სუმიდა წყალსა. ხოლო ტყავი მისი შემჯმარ იყო ძუალთა მისთა

1 დაყოდენ A, დაყოდნენ A. 2 უნდა – A.

ძლიერისა მარხვისაგან და დიდისა შრომისა. და სამოსელი მისი იყო ძუელი, დაბებკული და შეურაცხი. და იყო იგი ჰასაკითა მოკლე, და პირი მისი სავსე მწუხარებითა, და არაოდეს განიცინა. და იყო იგი მტიერ, და წუერი მისი მოკლე და თხელ.

და დაყო ეგჯპტეს რვაჲ წელი, და ამხილებნ იგი ყოველთა კაცთა და ასწავებნ ღმრთისმოშიშებასა ჭეშმარიტისა ღმრთისა, ამისთჳს, რამეთუ ყოველი კაცი ცთომასა შინა იყვნეს მოძღურებისაგან არიოზის უღმრთოჲსა მწვალებელისაჲსა.[1] ხოლო სხუათა ქუეყანათა იყვნეს მონაზონნი მრავალნი არიოზის შჯულისანი. და წმიდამან ეფრემ მოაქცივნა იგინი მართალსა სარწმუნოებასა, რამეთუ განისწავლა ნეტარი ეფრემ ეგჯპტელთა ენითა (vA) და მადლითა ღმრთისაჲთა, რომელი მონიჭებულ იყო მისა, ზრახავნ მათ და უთარგმანებდა მათ.

და იყო მუნ მონაზონი ერთი დაწყეული არიოზის შჯულისაჲ. და იყო იგი მოხუცებული, ბილწი, გრძნეული, და ეჩუენებოდა კაცთა მოღუაწედ და პატიოსნად, და შეწევნითა ეშმაკისაჲთა იქმოდა სასწაულთა, ვითარცა-იგი სჯმონ გრძნეული,[2] და განასხმიდა კაცთაგან ეშმაკთა გრძნებითა მისითა. და განითქუა სახელი მისი ყოველსა ქუეყანასა ეგჯპტისასა. და დღესა შინა ერთსა იხილა ნეტარი ეფრემ, ამხილებდა რაჲ იგი მონაზონთა არიოზის შჯულისათა[3] და განრისხნა იგი ფიცხლად და მოუკდა და აგინა ეფრემს. და ყოველთა დღეთა აგინებნ წყეული იგი გრძნეული წმიდასა ეფრემს და შეემტერა მას. მაშინ მიჰხედნა წმიდამან და ჰრქუა მას: არა გაქუს შენ კელმწიფებაჲ ზრახვად დაბადებულთა ღმრთისათა.

და მეყსეულად გამოცხადდა ეშმაკი, რომელი იყო მას შინა, და დაეცა ქუეყანასა ზედა, ყრიდა კელთა და ფერკთა და სცემდა თავსა ქუეყანასა.

და შეკრბეს მონაზონნი, რომელნი იყვნეს მუნ მას უდაბნოსა შინა, რაჲთა იხილონ იგი. და ვითარცა ბოროტსა შევარდა იგი სიბერისა ჟამთა, რამეთუ სახელი მისი განთქუმულ იყო ყოველსა ქუეყანასა ეგჯპტისასა, და ვერვინ იკადრებდა მიახლებად მისა. და ვითარცა იხილა წმიდამან ეფრემ ესევითარსა ღუაწლსა

1 მწვალებელისაჲთა A. 2 გრძნეულმან A. 3 შჯულისასა A.

(261rA) შინა, შეიწყალა იგი და მიეახლა და აღუპყრა კელი, და გუამი მისი ძწოდა და აღშფოთებულ იყო ყოვლით-კერძო. მაშინ წმიდაჲ შეჰრისხნა ეშმაკსა მას, რომელი იყო მას შინა, და ჰრქუა მას: სახელითა იესუჲს ქრისტჱსითა, რომელი-იგი ჯუარს-ეცუა სიონს შინა ცხორებისათჳს, რომელთა-იგი ჰრწამს სახელი მისი ცხოველი, გიბრძანებ, რაჲთა განჰკდე ხატისა ღმრთისაგან!

და მეყსეულად განვიდა ეშმაკი მისგან. და აღდგა ბერი იგი და ძრწოდა-ღა იგი და შეუვრდა ფერკთა წმიდისათა და თაყუანის-სცა მას ქუეყანასა ზედა და ესრეთ ეტყოდა: თაყუანის-გცემ შენ, ჶ, მონაო ღმრთისაო კეთილო, რამეთუ მიკსენ მე ძალითა ღმრთისაჲთა ტანჯვისაგან ეშმაკისა და შემამკვე მე უღლითა ჯუარისაჲთა!

და მიერ ჟამითგან სახჱ განიგო და ჰრწმენა მართალი სარწმუნოებაჲ.

მაშინ დასხნა წმიდამან ეფრემ საკითხავები მრავალი ეგჯპტეს შინა. და იწყეს პატივისცემად ფრიად ქუეყანისა კაცთა.

[ეფრემი ბასილისთან კესარიაში]

და ვერ თავს-იდვა დგომაჲ მუნ და წარვიდა რომელსამე ზღჳსკიდისა არესა, ვინაჯცა-იგი შევიდიან ნავნი კაბადუკიისანი ეგჯპტედ, და პოვა მუნ ნავი მიმავალი კაბადუკიად და შეჯდა მას შინა და მოვიდა კესარიად, რაჲთა იხილოს წმიდაჲ ბასილი.

და დაემთხჯა მას დღესასწაული წყლისა კურთხევისაჲ და ღმრთისა გამოჩინებაჲ. და შვიდეს ფარულად ეკლესიად იგი და თარგმანი მისი. და ვითარცა იხილა (vA) წმიდაჲ ბასილი, შემავალი ეკლესიად, ჰრქუა თარგმანსა თჳსსა: ესრეთ ვჰგონებ, ძმაო, ვითარმედ ცუდად დავშუერით, რამეთუ კაცი ესე დიდებითა ამით არა არს მას ზედა, ვითარ-იგი ვიხილე, რამეთუ იხილა იგი მოსილი სამოსლითა სპეტაკითა და გარემოჲს მისა პატივი დიდი და სიმრავლჱ ფრიადი.

და ვითარ-იგი დადგა ეკლესიასა შინა მწუხარჱ, განიზრახვიდა და თქუა გულსა თჳსსა: უკუეთუ რომელთა-ესე თავს-გჯდებიეს სიცხჱ დღისაჲ და ყინელი ღამისაჲ და ვერაჲ მოგჯპოვებიეს, და ესე ამით დიდებითა და პატივითა სუეტი არს ცეცხლისაჲ, რავდენ უფროჲს საკჯრველ არს ესე!

და ვითარ ამას განიზრახვიდა, მოუვლინა მას წმიდამან ღმერთისამან ბასილი მთავარდიაკონი და ჰრქუა მას: მივედ დასავალით-კერძო ყურესა[1] ეკლესიისასა და ჰპოო მუნ მონაზონი, რომელსა ადგიეს კუნკული, და მის თანა ქარცი ერთი სხუაჲ (და უთხრა მას სხუაჲცა ნიშანი პირისა მისისაჲ), და არქუ[2] მას: ბრძანე, შემოედ საკურთხეველად, რამეთუ ეპისკოპოსი გიწესს შენ!

და მივიდა მთავარდიაკონი, ვიდრემდე განაპო სიმრავლჱ ერისაჲ და მივიდა, სადა-იგი იყო წმიდაჲ ეფრემ მდგომარჱ, და ჰრქუა მას: მაკურთხე, მამაო, და შემოვედ საკურთხეველად, რამეთუ მამაჲ ჩუენი მთავარეპისკოპოსი გიწესს შენ.

და უთხრა მას თარგმანმან სიტყუაჲ იგი მისი.

მიუგო მას წმიდამან ეფრემ: (262rA) შესცეთ, მამაო კურთხეულო, ჩუენ კაცნი უცხონი ვართ და არა გჯცნის ჩუენ ეპისკოპოსმან. და მიიქცა მთავარდიაკონი იგი და უთხრა ესე წმიდასა ბასილის.

ხოლო წმიდამან ეფრემ მიიცვალა სხუად ადგილად. და ვითარ წმიდაჲ ბასილი ასწავებდა ერსა წიგნთაგან წმიდათა, იხილა წმიდამან ეფრემ მსგავსად ტრედისა, რომელი იტყოდა პირით მისით.

და კუალად ჰრქუა ბასილი მთავარდიაკონსა: წარვედ აწ სხუად ადგილად და ჰპოვნე იგინი მუნ მდომარენი მას და მას ადგილსა, და არქუ მას: უფალო ეფრემ, ბრძანე საკურთხეველად, რამეთუ ეპისკოპოსი გიწესს შენ! და ვითარ მივიდა მათა მთავარდიაკონი იგი, ამბორს-უყო ფერჯთა მისთა და ჰრქუა მას: უფალო ეფრემ, ბრძანე, შემოვედ საკურთხეველად, რამეთუ მამაჲ ჩუენი ეპისკოპოსი გიწესს შენ!

დაუკჯრდა ეფრემს წმიდისა მისთჯს და მაშინ ადიდა ღმერთი თაყუანისცემით და თქუა: ჭეშმარიტად დიდ არს ბასილი, რამეთუ ჭეშმარიტად სუეტი არს ცეცხლისაჲ ბასილი, და ჭეშმარიტად სული წმიდაჲ იტყჯს პირითა მისითა!

და ევედრა მთავარდიაკონსა მას, რაჲთა შენდობა ყოს მისთჯს წინაშე ბასილისა, და ჰრქუა მას: შემდგომად ჟამისწირვისა მოვიდე მისა სადიაკონოს და მოვიკითხო იგი.

---

1 ყორესა A. 2 ჰრქუა A.

და ვითარ განუტევა ერი, შევიდა ბასილი საჭურჭლესა ეკ-ლესიისასა და მოუწოდა წმიდასა ეფრემს და მოიკითხა იგი უფლისა მიერ და ჰრქუა მას: ვინ მოგიყვანა (vA) შენ აქა, მამაო შვილთა უდაბნოჲსათაო? ვინ მოგიყვანა შენ, რომელმან განამ-რავლენ უდაბნოს მოწაფენი ქრისტჱსნი და განასხენ მისგან ეშმაკნი? რაჲსათჳს დაშუერ, მამაო, რაჲსათჳს მოხუედ ხილვად კაცისა ცოდვილისა? მოგეცინ შენ ღმერთმან ღმერთმან სასყიდე-ლი შრომისა შენისაჲ!

და მიუგო პატიოსანმან ეფრემ და უთხრა მას, რაჲ-იგი იყო გულსა მისსა[1] და რასა-იგი ეტყოდა თარგმანსა მისსა. და მერმე ეზიარა წმიდითა ჴელითა მისითა, და ყვეს სიყუარული ერთბამად.

და მერმე ჰრქუა წმიდამან ეფრემ: ჵ, მამაო პატიოსანო, ერთისა სათხოელისა თხოვაჲ მნებავს შენდა, და ნუ გარე-მიიქცევი არა-ყოფად მას!

ჰრქუა მას ბასილი: ბრძანე, რაჲცა გნებავს, რამეთუ თანა-მაც პატივი შენი და მადლობაჲ უფროჲსღა, ვინაჲთგან დაშუერ ჩემდა მომართ.

მიუგო წმიდამან ეფრემ: მე უწყი, წმიდაო ღმრთისაო, რამეთუ ყოველი, რაჲცა სთხოო ღმერთსა მოგცეს შენ. და მნებავს მე, რაჲთა ითხოო ღმრთისაგან ჩემთჳს, რაჲთა მომცეს სიტყუაჲ ბერძენთა ენითა.

მაშინ სულთ-ითქუნა წმიდამან ბასილი და ჰრქუა: მამაო პატიოსანო და მოძღუარო უდაბნოჲსაო, და ვილოცოთ ღმრთისა მიმართ, რამეთუ იგი შემძლებელ არს ყოფად ნებისაებრ შენისა, რამეთუ წერილ არს: ნებაჲ მოშიშთა მისთაჲ ყოს უფალმან, ლოცვანი მათნი ისმინნეს და აცხოვნნეს იგინი. და არარაჲ დიდ არს წინაშე ღმრთისა. (263rA)

და ილოცეს ერთბამად და აღდგეს.

და ჰრქუა მას წმიდამან ბასილი: რაჲსათჳს არა მიიღებ, უფა-ლო ეფრემ, კურთხევასა ხუცობისასა, რამეთუ გშუენის იგი შენ?

მიუგო ეფრემ თარგმნითა: რამეთუ ცოდვილ ვარ, მამაო.

ჰრქუა მას წმიდამან ბასილი: ნეტარ, თუმცა მე მაქუნდეს ცოდვანი ეგე შენნი! არამედ მოვედ და ერთბამად თაყუანის-ვსცეთ!

1 მისა A.

და დასდვა წმიდამან ბასილი ჴელი თჳსი თავსა ეფრემისსა და მისცა მას კურთხევაჲ დიაკონობისაჲ და ჰრქუა მას: აღგუ-ადგინნენ ჩუენ აწ.

მაშინ თქუა წმიდამან ეფრემ ბერძულითა ენითა: გუაცხ-ოვნენ, შეგჳწყალენ და აღგუმართენ, უფალო, შენითა მადლითა!

მაშინ ყოველთა დაუკჳრდა საქმჱ იგი, რომელთა ესმა. და უნდა წმიდასა ბასილის, რაჲთამცა აკურთხა იგი ხუცად, და არა ინება წმიდამან ეფრემ, რამეთუ თქუა, ვითარმედ: არა ღირს ვარ, რომელი-იგი არს ჭეშმარიტად ღირსი ღმრთისა თანა. მაშინ აზრახდა იგი ბერძულითა ენითა განმარტებულად, და მისცეს დიდებაჲ ღმერთსა ყოველთა შემძლებელსა ყოვლისასა, რომელი ძნელ უჩნ კაცთა. ხოლო ბასილი დააყენა იგი სამ დღე და განიხარა მისთჳს სიხარულითა სულიერითა, და თარგმანი იგი მისი აკურთხა იგი დიაკონად[1] და მერმე ხუცად, და წარავლინნა იგინი მშჳდობით ადგილადვე თჳსა. და ადიდებდეს ღმერთსა კაცთმოყუარესა, მოქმედსა დიდთა საკჳრველებათა ურიცხუთასა.

[ბ ა ს ი ლ ი ს მ ი ე რ ე ფ რ ე მ ი ს ც ი ტ ი რ ე ბ ა]

და დღესა შინა (vA) რომელსამე წმიდაჲ ბასილი უთარგ-მანებდა ერსა სამწყსოჲსა მისისასა ეკლესიასა შინა სულისა წმიდისათჳს. და იწყეს კაცთა მდურვად მისგან, რაჟამს-იგი აკსენა მამაჲ და ძჱ და სული წმიდაჲ, რამეთუ პირველ არა იტყოდეს სულსა წმიდასა. მაშინ მიუგო წმიდამან ბასილი და ჰრქუა მათ: ნუ აღშფოთდებით ამისათჳს, რამეთუ კაცისაგან შუვამდინარისა[2] მესმა ესე, რამეთუ ენითა თჳსითა მოძღუარი იყო და ბრძენი. და იყო იგი ძლიერ გონებითა თჳსითა და ესრეთ[3] იტყოდა იგი ენითა ქუეყანისა თჳსისაჲთა, ვითარმედ: არა შეჰგავს მიცემად დიდებისა ჭეშმარიტისა სამებისაჲ, გარნა კაცთა მიერ უმთავრესთა[4] მამისა და ძისა და სულისა წმიდისა. და ესრეთ[5] ითქუმის: დიდებაჲ კუალად მამასა და ძესა და წმიდასა სულსა. მაშინღა დაყუდდეს კაცნი და აღასრულეს ესრეთ[6] და ყოველნი ქუეყანანი ესრეთ[7] იტყოდეს.

1 დიაკუნად A. 2 შოვამდინარისა A. 3 ესრჱთ A. 4 უმთავრჱსთა A. 5 ესრჱთ A. 6 ესრჱთ A. 7 ესრჱთ A.

და კუალად სხუასა ადგილსა, სადა-იგი უთარგმანებიეს ექუსთა დღეთათჳს, და დღესა ერთსა შინა, მეორესა დღესა წმიდისა მარხვისასა, დგა რაჲ წმიდაჲ ბასილი საფსალმუნეთა[1] ზედა და უთარგმანებდა ერსა სიტყუასა მას მეორესა, რომელსა იტყჳს, ვითარმედ: სული წმიდაჲ ღმრთისაჲ იქცეოდა ზედა წყალთა, (1) და თქუა, ვითარმედ: სიტყუაჲ ესე არა ჩემი არს, გარნა კაცისაგან ასურისა, (264rA) რამეთუ ესევითარი კაცი განშორებულ იყო ყოვლისა სიბრძნისაგან ამის სოფლისა ამაოჲსაჲსა[2] და სწავლულ იყო სიბრძნესა საღმრთოსა ჭეშმარიტსა. და იგი იტყოდა სიტყუასა ამას ასურებრითა ენითა (ხოლო იგი მახლობელ არს ებრაელებრსა ენასა). ესე არს თარგმანებაჲ გონებისა სიტყჳსაჲ, ვითარმედ: სული იგი, რომელი იქცეოდა ზედა წყალთა, იგი ატფობდა წყალთა მსგავსად მფრინველისა, რომელი-იგი ატფობნ მართუეთა თჳსთა, რაჲთა იყვნენ მას შინა სულნი ცხოელთანი. ესევითარითა მსგავსებითა იქცეოდა სული ღმრთისაჲ ზედა წყალთა, რაჲთა იყვნენ წყალთა შინა ცხოველნი სულიერნი თესლად-თესლადნი. და ამისგან საცნაურ არს ჭეშმარიტად შემოქმედი მისი, და არა არს დაბადებულ და არა არს მას შორის დაკლებულება შემოქმედებასა თჳსსა.[3]

[ეფრემი მწვალებელთა წინააღმდეგ]

ვიქცეთ კუალად ზემოსავე სიტყუასა.

და შემდგომად სიხარულისა შუებისა მოძღურებისა სულიერისა მოიწია ამბავი ურაჰით, ვითარმედ გამოჩნდეს მას შინა ცხრანი მწვალებელთაგანნი. მაშინ იკურთხნეს ორნივე წმიდისაგან ბასილისა და განვიდეს მისლვად ქუეყანად მათა შუამდინარისასა.[4] და ვითარ განვიდა ნეტარი ეფრემ და თარგმანი მისი მის თანა, ჰრქუა წმიდამან ბასილი ერსა, რომელნი-იგი იყვნეს გარემოჲს მისსა, ვითარმედ: ვხედევდ მას, და იგი დგა რაჲ ეკლესიასა შინა, და ორნი ანგელოზნი დგეს მის თანა, (vA) ერთი მარჯუენით კერძო, და ერთი მარცხენით. და აქუნდა მათ სამოსელი ბრწყინვალჱ, ვითარცა მზჱ, და შეჰმოსვიდეს მას.

1 საფსალმონეთა A. 2 ამაოჲსასა A. 3 თჳსა A. 4 შოვამდინარისა A, შოვამდინარისასა A.

(1) დაბ. 1,2.

და ვითარცა გამოვიდა ნეტარი ეფრემ და მოყუასი მისი მის თანა მისლვად ურჰად ქალაქად მათა, მიიწივნეს ქალაქად, რომელსა ჰრქჯან შიმშატი. და შეემთხჯა მათ ვინმე ერთი მთავართაგანი მის ქალაქისაჲ, და იყო მწვალებელი, და ჰყვეს მას მსახურნი მრავალნი. და ვითარცა შეემთხჯვნეს, მოიკითხეს იგი. ხოლო ერთ-მან მსახურთა მისთაგანმან განიმარტა ჴელი თჯსი და სცა ყურიმალსა ეფრემისსა და მსწრაფლ მიიღო მისაგებელი, რომელმან-იგი სცა, ქრისტესგან. ხოლო წმიდამან არარაჲ სიტყუა-უგო მას.

და ვითარ განეშორნეს მცირედ, დაჯდა ნეტარი მოყუსითურთ თჯსით ჭამად პურისა. ხოლო მწვალებელნი იგი ეკიცხევდეს წმიდასა ღმრთისასა ეფრემს. ხოლო მონაჲ იგი, რომელმან სცა წმიდასა, ჯდა რაჲ ქვასა ზედა, და გამოვიდა ქვისა მის ქუეშეჲთ ბასილიკონი[1] გუელი და სცა მას, და მოკუდა ადგილსავე ზედა.

მაშინ მთავარი იგი მოიწია სრბით მოყუსებითურთ თჯსით უკუანა წმიდისა და მიიწია ქალაქსა შინა კრებასა, ითხოვდეს რაჲ იგინი პურსა. და შეუვრდეს ყოველნივე და თაყუანის-სცეს[2] ნეტარსა ქუეყანასა ზედა დავრდომით და იწყეს ვედრებად მისა,[3] (265rA) რაჲთა კუალად-იქცეს მათ თანა.

და ვითარცა კუალად-იქცა და იხილა მკუდარი იგი, ტიროდა მისთჯს და უბრძანა მათ, რაჲთა განეშორნენ მისგან მცირედ. მაშინ მიაქცია პირი თჯსი აღმოსავალით და თაყუანისცემით ილოცა და აღუპყრა ჴელითა თჯსითა მკუდარსა მას და აღადგინა იგი. მაშინ მეყსეულად შეუვრდეს ყოველნი ფერჯთა მის წმიდისა ეფრემისთა და ჰრწმენა მათ მართალი სარწმუნოებაჲ.

მერმე წარვიდა ურაჰად და პოვნა მას შინა ცხრანი მწვალებელნი და ძალითა უფლისა ჩუენისაჲთა განასხნა ქალაქისაგან, და უფრო ხოლო ბურდისანეთნი და არიოზეთნი[4] და დუმანის და მარკიანნი და რომელნი იყვნეს მსგავსნი მათნი. და დღესა შინა რომელსამე მოვარდა ჴელსა მისსა წიგნი ბურდისანისი, მარუნთა მწვალებელისაჲ, და აჯოცა იგი და მერმე ცეცხლითა დაწუა. და მაშინ თქუა წმიდამან, ვითარმედ: მივსცენ სასმენელნი და სახედველნი ჩემნი წერილთა მიმართ საღმრთოთა, და მესმა მათგან, და მე ვიკითხევდ რაჲ მათ შინა, ვითარმედ ბურდისან,

1 ბასილიკუნი A. 2 თაყუანისცეს A. 3 მისსა A. 4 არიუზეთნი A.

რომელ არს მარუნიანი, ჰგმობენ საშჯელსა და სამართალსა ღმრთისასა და მადლსა მისსა და იტყჳან, ვითარმედ: არა არს აღდგომაჲ, რამეთუ ჴორცნი ესე არღარა აღდგენ. განხრწნილებასა მრავალსა იტყჳან მადლისა ღმრთისათჳის. და ვითარ-იგი მეუწყა სარწმუნოებაჲ მათი, შთავყარენ იგინი ჯოჯოხეთს შინა, რამეთუ საკითხავები მათი (vA) შეაწუხებს სულსა და ჴორცთა მედგრად ბოროტებითა, რამეთუ განჰყოფენ და განაშორებენ შორის სულისა და ჴორცთა უსასოებითა, რამეთუ განაქარვნეს ჴორცნი აღდგომად, იგი და სულიცა თანაზიარი მისი. და ბოროტი იგი, რომელი უყო გუელმან ევას, ესრეთვე[1] ბურდისანისა შესაძინელი, რამეთუ მან და მოყუასთა მისთა გამოთქუნეს[2] საკითხავნი მრავალნი, რაჲთა მით აცთუნებდენ უმანკოთა და წრფელთა.

მაშინ წმიდაჲ ეფრემ მიემსგავსა დავით წინაჲსწარმეტყუელსა და გამოთქუნა ასერგასისი საკითხავი წინააღდგომად მათა, რაჲთა განაქარვნეს სიტყუანი მათნი შეწევნითა ღმრთისაჲთა და ძალითა სულისა წმიდისაჲთა, რომელი დამკჳდრებულ იყო მის შორის, და ვითარ შუენოდა ეკლესიასა, რაჟამს იტყჳედ მას შინა ესე სიტყუანი ტკბილნი.

და ესე მათ ჟამთა იყო, რაჟამს იყო ბრძოლაჲ ძლიერი ეკლესიასა ზედა. ხოლო ნეტარი ესე განვიდა ბრძოლად მტერისა, რომელმან-იგი წარიტყუენნა ნათესავნი კაცთანი მაცთურებითა და ზაკუვითა. და რომელსა უნდეს, რაჲთა იხილოს ბრძოლაჲ წმიდისა ამის მოღუაწისაჲ ჭეშმარიტისაჲ და დიდებაჲ მოძღურებისა მისისაჲ, მაშა იკითხევდ[3] ამათ საკითხავთა მისთა, რომელი დაწერა მწვალებელთათჳს. არაოდეს მოეწყინა და არცა სულმოკლე იქმნა (266rA) ყოვლადვე, არამედ სულგრძელებითა ჰბრძოდა მოძღურებასა მას საცთურებისასა და დაწერნა კუალად წიგნები, რომელთაჲ არა არს რიცხჳ, ბერძულად და ასურულად. და განჴდა ამბავი მისი ყოველსა ქუეყანასა.

და ვითარ განასხნა ყოველნი მწვალებელნი და გამოაცხადა მზაკუვარებაჲ ბურდისანისი და სწავლა და შეაჩუენა იგი და ყოველნი მოყუასნი მისნი, რავდენნიცა იყვნეს შჯულისა მისისანი, მაშინ მიხედა ეკლესიასა ნეტარმან ეფრემ და თქუა: ნეტარ

1 ესრეთვე A. 2 გამოთქუეს A. 3 იკითხედ A, იკითხევდ B.

ხარ შენ ყოველთაგან ბაგეთა მიერ მორწმუნეთაჲსა, ჶ, ეკლესიაო ოქროქანდაკებულო, რომელი განწმედილ იქმენ ყოვლისაგან შეგინებისა მწვალებელთაჲსა.

[ლოცვა ეფრემისი]

და ილოცა და თქუა: უფალო, ნუ შეურაცხ-ჰყოფ საქმესა მონისა შენისასა, რამეთუ არა შევაძრწუნენ ცხოვარნი შენნი. გარნა ყოვლითა ძალითა ჩემითა განვსთხიენ მათგან მგელნი იგი და განვამტკიცენ იგი ყოვლითა ძალითა ჩემითა სიტყუათა მიერ სარგებელთა, კრავნი საცხოვართა შენთანი, და ვნებანი ჩემნი შემაწუხებენ მე, უფალო, და ცოდვანი ჩემნი მაშინებენ მე. ხოლო შენ შემეწიე და მომეც მე მადლითა შენითა, უფალო, ძლევაჲ მათ ზედა, რამეთუ მაშურალ ვარი მე, და რამეთუ მყავ მე მოწაფე შენდა და მომეც მე კუერთხი იგი სამწყსოჲსაჲ და კურნებაჲ ცოდვილთაჲ და საჭურველი წინაშე მბრძოლთა (vA) და წინა-აღმდგომთა და წინამძღურობაჲ მართლაღმსაარებელთაჲ. ხოლო აწ ჭურჭელი აღვსებულ არს და გარდამეტებულ არს. და აღვიარებ, რამეთუ უძლურ ვარი.

და თქუა: შესძინენ, უფალო, წყალობითა შენითა ღელვანი იგი ნიჭთა შენთანი.

[მკელობელის განკურნება]

და ყოველთა მათ სასწაულთა თანა, რომელსა-იგი იქმოდა წმიდაჲ ეფრემ და ქმნა ესეცა სასწაული ქალაქსა შინა ურაჰისასა: რამეთუ იყო მუნ ერთი უფერკოჲ და მარადის დაჯდის წინაშე კართა ეკლესიისათა წმიდისა თომაჲსა და ითხოვნ პურსა. და არავინ ესუა მას არცა მახლობელი, არცა მშორობელი. და დღესა რომელსამე მოვიდა წმიდაჲ შესლვად ეკლესიასა და იხილა მან უფერკოჲ იგი და შეეწყალა და გარემო მიხედნა ყოვლით-კერძოვე, და ვითარ არღარავინ იხილა, მიეახლა[1] მას წმიდაჲ ესე და ჰრქუა მას: ძმაო, გინებსა, რაჲთა განიკურნო?

ხოლო მან ჰრქუა მას: ჰე, უფალო, რამეთუ მნებავს, დასდევ ჴელი შენი ჩემ ზედა. ჰრქუა მას ნეტარმან: სახელითა იესუ ქრისტჱსითა აღდეგ და ვიდოდე!

1 მეახლა A.

და მეყეულად აღდგა და ვიდოდა და შეუდგა მას და ადიდებდა ღმერთსა.

[ეფრემის ეპისკოპოსად კურთხევის მცდელობა ბასილის მიერ]

და შემდგომად ოთხისა წლისა წარმოავლინნა წმიდამან ბასილი ორნი დიაკონნი, კაცნი წმიდანი, ძიებად მისა. და სახელი ერთისაჲ მის თეოფილე, და მეორისაჲ — თომა. და უნდა წმიდასა ბასილის, რაჲთამცა ყო იგი ეპისკოპოს. და ამცნო მათ ბასილი და ჰრქუა მათ: ოდეს შეხჳდეთ (267rA) ურაჰას, და ჰპოოთ კაცი იგი მოძღუარი, და ჰმოსიეს მას სამოსელი დაბებკული (და უთრა მათ ყოველი ნიშანი მისი), და რაჟამს მიხჳდეთ მისა, შეიპყართ იგი, და ნუ განუტევებთ მას და შეიკრძალეთ იგი. და უკუეთუ სულელ ყოს თავი თჳსი, ნუვე განუტეობთ მას.

და ვითარცა მოიწივნეს და შევიდეს ქალაქად, ცნა წმიდამან ეფრემ სულითა წმიდითა. და ვითარ იხილნა იგინი, რამეთუ იკითხვიდეს მისთჳს, აიღო საბეჭური დიდი დაბებკული და შეიმოსა და ვიდოდა ურაკპარაკთა შინა და ჭამდა იგი პურსა და გარდამოუტევა პერული, წუერთა ზედა ჩამოსდიოდა. და ესე ამისთჳს ჰყოფდა, რამეთუ ეშინოდა უღლისაგან მღდელობისა. ხოლო რაჟამს იკითხეს მისთჳს, ჰრქუეს მათ: ესე არს ეფრემ.

და რაჟამს იხილეს იგი, ჰგონებდეს, ვითარმედ სულელ არს იგი და უგუნურ. მაშინ კუალად იქცეს და მივიდეს ბასილისავე.[1] და ვითარცა იხილნა იგინი, ჰრქუა მათ: რაჲსათჳს განუტევეთ იგი?

მიუგეს და ჰრქუეს მას: ვიხილეთ ჩუენ კაცი უგუნური და არღარად შევჰრაცხეთ იგი და არცა განვაკჳრვეთ იგი, და დაუტევეთ იგი და წარმოვედით.

მაშინ მიუგო წმიდამან ბასილი და ჰრქუა მათ მისთჳს: ჵ, მარგალიტო დიდფასისაო, რომელი მოცემულ ხარ სოფელსა, და არავინ არს, რომელმანცა გიცნა შენ! თქუენ ხართ უგუნურ, ხოლო იგი სრული არს ყოველთა საქმეთა შინა მისთა მადლითა ღმრთისაჲთა. (vA)

1 ბასილისსავე A.

[საკითხავთა გამოთქმა სხვადასხვა თემაზე]

და ესხნეს ნეტარსა ამას მეგობრად კაცნი წმიდანი და პატიოსანნი, წმიდაჲ მამაჲ საბა მარტოდმყოფი. და იყო იგი კაცი სრული ღმრთისმოშიშებითა. და რაჟამს შეისუენა, გამოთქუნა მისთჳს საკითხავნი მრავალნი და აკსენა მათ შინა ყოველი განგებაჲ ცხორებისა მისისაჲ და კეთილი მოღუაწებაჲ მისი, რამეთუ მან იცნოდა ყოველნი საქმენი მისნი და სათნოებანი მისნი; და ეპისკოპოსნი მრავალნი და კაცნი წმიდანი, რომელნი იყვნეს ჟამთა მისთა, და რომელთა შეისუენეს. და იგი ცოცხალღა იყო, დაწერნა მათთჳსცა კუალად შესხმანი და უთხრობნ იგი განგებასა და ცხორებასა მათსა კეთილსა.

და ნიკომიდია[1] ქალაქი დაიზულა ჟამთა მისთა ძრვისაგან, და დაწერა მისთჳს საგლოელი საკითხავი. და კუალად ბრძოლათა მათთჳს, რომელნი იყვნეს ჟამთა მისთა ქალაქსა შინა ნისიბინისასა, დაწერა, და ამბა იაკობ ეპისკოპოსისათჳს, და დაწერა კონსტანტინე მეფისათჳს და სხუათათჳსცა მრავალთა. და თარგმანნა ძუელნი და ახალნი წიგნნი.

და კუალად მოიწივნეს[2] ჟამთა მათ შინა ჭირნი და მწუხარებანი მრავალნი ქუეყანასა ზედა, და დაწერნა მათთჳსცა საკითხავები[3] მრავალი, და კაცთათჳს მოღუაწეთა, რომელნი იწამნეს სასოებისათჳს საუკუნისა. და იყო მათ შორის სამონა და გურია და აბიბოს და სხუანი მრავალნი.

და მათ ჟამთა შინა მოიწივნეს ურაჰას (268rA) ბარბაროსნი მრავალნი. ხოლო მოქალაქეთა დაჰკშეს კარები, რამეთუ ვერვინ შემძლებელ იყო განსლვად მათ თანა, ამისათჳს, რამეთუ მოაოკრეს ყოველივე, რავდენი იყო გარეშე ქალაქისაჲ, და აღვიდეს მთასა მას, რომელ არს მახლობელ ქალაქსა. და იყვნეს მას შინა მონასტერნი მრავალნი დედათა და მამათანი. და რამეთუ მონაზონნი მეოტ იქმნნეს მათგან, რომელნი შემძლებელ იყვნეს, და სხუანი მათგანნი ტყუე ყვნეს. და მერმე მოვიდეს მონასტერთა დედათასა და იავარ-ყვეს ყოველივე, რაჲცა იყო მათი, და ტყუე ყვნეს იგინი და რომელნიმე მათგანნი მოსწყჳდნეს მახჳლითა და

1 ნიკუმიდია A. 2 მოიწია A. 3 საკითხვები A.

არარაჲ დაუტევეს გარეშე[1] ქალაქსა, გარნა ყოველივე მოაოკრეს. და მოიწია ქალაქსა ზედა მწუხარებაჲ დიდი მათთჳს, და რომელნი შემძლებელ იყვნეს, წარიყვანნეს მათ თანა და წარვიდეს. მაშინ ნეტარმან ეფრემ დაწერნა საკითხავნი და გლოვაჲ ყოვლისა მისთჳს, რაჲცა-იგი ყვეს მათ.

[ეფრემის შესხმა ქალაქ ედესისა (ურაჰისა) და მის მკვიდრთა სარწმუნოებისათვის]

ხოლო წმიდაჲ ეფრემ ცხოვნდა ვიდრე მეფობამდე[2] ვალის უშჯულოჲსა, და რამეთუ მან ექუსორია ყვნა მღდელთმოძღუარნი მართლმადიდებელნი და სამწყსოჲ მათი. მაშინ მოიწია ურაჰად დღეთა ბარსა ნეტარისა ეპისკოპოსისათა, და დაიბანაკა გარეშე[3] ქალაქსა რომელსამე, ჴევსა შინა, და მოუვლინა მოქალაქეთა, რაჲთა გამოვიდენ მისა, რაჲთა ცნას ნებაჲ მათი. ხოლო მოქალაქეთა არა ინებეს შემთხუევაჲ მისი, გარნა შემოკრბეს ყოველნი (vA) ეკლესიასა წმიდისა თომა მოციქულისასა და მას შინა აღასრულებდეს ლოცვასა მწყემსისა მის თანა კეთილისა. და რაჟამს ყოვნეს და არა განვიდეს მისა, წარმოავლინა ერთი დუქსი მთავართა მისთაგანი, რაჲთა შეუჴდეს ქალაქსა და მოსწყჴდნეს იგინი მახჴლითა. ხოლო მოქალაქეთა უდებ-ყვეს იგი და არა დაჰჴსეს ლოცვაჲ მათი და არცა დააცადეს ვედრებაჲ მათი.

ვითარცა მოვიდა დუქსი იგი ქალაქსა შინა და შევიდა ერთსა რომელსამე ურაკპარაკთაგანსა, იხილა მან დედაკაცი ერთი მორწმუნჱ, კეთილად მოღუაწჱ, და მის თანა ორნი ძენი მისნი, მიმავალნი ეკლესიად. და ვითარ შეემთხჳა მას დედაკაცი იგი, გარეაღჰკდა მას და ყოვლად არა განაკჳრვა იგი უშიშად. და რაჟამს იხილა ესრეთ,[4] ბრძანა მისთჳს, რაჲთა მოიყვანონ მისა იგი.

და ვითარ მოვიდა მისა, ჰრქუა მას: სადა გნებავს, დედაკაცო, მისლვის?

მიუგო და ჰრქუა მას, რამეთუ: მესმა განსაცდელი, რომელი განუმზადებიეს მოშიშთა ღმრთისათათჳს, და მეცა წარვალ, რაჲთა მოვიღო გჳრგჳნი მათვე თანა.

მაშინ ჰრქუა მას: მაშა ესე, რომელ თანა-გყვანან?

1 გარეშჱ A. 2 მეფობამდჱ A. 3 გარეშჱ A. 4 ესრეთ A.

მიუგო და ჰრქუა მას: მათიცა მნებავს კუალად, რაჲთა იგინიცა გჳრგჳნოსან იქმნენ ჩემ თანა.

მაშინ განკჳრდა მთავარი იგი წადიერად სიყუარულისა მათისათჳს, სიკუდილისათჳს, სარწმუნოებისათჳს. ხოლო დუქსი იგი კუალად-იქცა მეფისავე (269rA), რაჲთა აუწყოს მას, რაჲ-იგი ჰრქუა მას დედაკაცმან მან. და ვითარ უთხრა, განკჳრდა ამისთჳს ფრიად.

მაშინ გამოვიდეს მოქალაქენი მეფისა, და მწყემსი იგი კეთილი მათი — მათ თანავე. და ცნა მეფემან ნებაჲ იგი მათი და სიმტკიცჱ სარწმუნოებისა მათისაჲ, შეშინდა ეპისკოპოსისაგან და მღდელთ-მოძღურობისა მისისაგან და სამწყსოჲსა მისისაგან. და იქცა მეფჱ იგი სირცხჳლეული ქალაქისაგან, სარწმუნოებისა მისთჳს კეთილისა მოქალაქეთაჲსა, განერნეს სიკუდილისაგან მწარისა.

ხოლო ეფრემ რაჟამს იხილა სარწმუნოებაჲ იგი მათი კეთილი და ღმრთისმოყუარეობაჲ იგი მათი, დაწერა შესხმაჲ ქალაქისაჲ და მკჳდრთა მისთაჲ ესრეთ[1] და თქუა: კარები ეზოთა მათთაჲ და კარები სახლისა მათისანი დაუტევეს ურაჰელთა ღებულად და განვიდეს იგინი მწყემსითურთ მათით კეთილისა სიკუდილად.

და ნეტარი კუალადცა შეასხამიდა მათ ქებასა და იტყოდა ესრეთ,[2] ვითარმედ: მკჳდრნი ქალაქისანი ამას იტყოდეს: მივსცეთ მეფესა ქალაქი და ყოველივე, რაჲცა არს მას შინა, ხოლო სარწმუნოებაჲ ჩუენი არღარა შევიცვალოთ. ხოლო მწყემსმან მან წმიდამან და კურთხეულმან მისცა სული თჳსი სიკუდილად და არა შეცვალა სარწმუნოებაჲ მართალი.

ეჰა, ურაჰაო, ქალაქო წმიდაო და სავსეო სიწმიდითა და გონიერებითა და გულისხმისყოფითა და მეცნიერებითა, რომელსა შეგიმტკიცებიან[3] წელნი[4] (vA) თჳსნი სარწმუნოებითა მართლითა და საჭურველითა სარწმუნოებისაჲთა, რამეთუ განდიდნა[5] გჳრგჳნი შენი სიყუარულითა და ძალითა ქრისტჱს უფლისა ჩუენისაჲთა.

აკურთხევდენ ყოველნი მკჳდრთა შენთა, ეჰა, ურაჰაო, რომლისა სახელი თჳსი სიქადულ მისა და სახელსა იესუ ქრისტჱსსა ესევდ!

---

1 ესრჱთ A. 2 ესრჱთ A. 3 შეგიმტკიცებიეს A. 4 წესნი B წელნი A (შდრ. ეფეს. 6,14; ლუკა 12,35). 5 განდიდნა B, განადიდნა A.

ჶ, ურაჰაო, მთავარო ქალაქთაო, რომელი გაკურთხა შენ ღმერთმან, შენ ხარ ქალაქი, რომელსა გფარავს ზეცისა იერუსალიმი!

და ესევითარითა შესხმითა და კურთხევითა აკურთხა ნეტარმან ეფრემ იგი სარწმუნოებისა მისისათჳს მართლისა და სიყუარულისა მისთჳს, რომელი აქუნდა მას მისთჳს, და გამოთქუა მის ზედა საკითხავი და შამრენელთა ზედაცა, რამეთუ ემტერებოდა იგი შამრენელთა და სწყევდა მას და ჰგმობედ მას და აქებნ ურაჰასა. ხოლო მოქალაქენი, ოდეს განვიდიან ლიტანიად, წარვიდიან ღელესა მას, რომელსა შინა დაებანაკა მეფესა, ამისთჳს, რამეთუ განვიდეს, რაჲთამცა იწამნეს მას შინა.

[ა ბ რ ა ჰ ა მ დ ა ყ უ დ ე ბ უ ლ ი ს ა თ ვ ი ს]

და დღეთა მათ წმიდისა ამის კურთხეულისათა იყო კაცი ერთი ურაჰაჲსა ქალაქისაჲ წარჩინებულთაგანი, რომელსა სახელი ერქუა აბრაჰამ. ამას შეეყენა თავი თჳსი გარეშე ქალაქისასა წელთა მრავალთა და ფრიად ძლიერად მმარხველი[1] იყო და უზეშთაესითა მოღუაწებითა შემკობილ იყო. და დიდისა მისთჳს სულგრძელებისა მისისათჳს გამო(270rA)იყვანა იგი კათალიკოზმან დაყუდებისა მისისაგან და წარავლინა იგი სოფელსა რომელსამე წარმართთასა, რაჲთა მოაქცივნეს იგინი ღმრთისმსახურებად ჭეშმარიტისა ღმრთისა. და მივიდა მათა, ამხილებდა მათ და ეტყოდა, რაჲთა მოიქცენ[2] ღმრთისმეცნიერებად. ხოლო იგინი მაშინ გუემითა და ქვისა დაკრებითა განსდევნიდეს მას.

და შემდგომად ამისა განყიდა მონაგები თჳსი და სამკჳდრებელი და აღაშენა[3] სოფელისა მას შინა ეკლესიაჲ დიდებული, და დაადგრა მხილებასა მათსა და ვედრებასა სამ წელ, რაჲთა მოიქცენ ღმრთისმსახურებად. და ვითარცა იხილა ღმერთმან სულგრძელებაჲ მისი მათ ზედა მრავლითა მით მოთმინებითა მისითა და სულგრძელებითა, მოიქცეს ღმრთისმეცნიერებად. ხოლო მან მონათლნა იგინი ყოველნივე, და მოვიდეს ეკლესიასა ღმრთისასა და სარწმუნოებასა[4] ჭეშმარიტსა. მაშინ მოვიდა ნეტარისა კათალიკოზისა, რაჲთა მივიდეს იგი მის თანა მათა, რაჲთა

1 მარხველი A. 2 მოიქცნენ A. 3 აღაშენა A. 4 სარწმონოებასა A.

მოსცეს მათ კურთხევაჲ ხუცობისაჲ[1] და დიაკონობისაჲ, და ყვნა იგინი ეგრეთ.[2] და მაშინღა კუალად-იქცა დასაყუდებელსა თჳსსა.

ხოლო ნეტარი ეფრემ მეგობარი იყო ამის პატიოსნისა კაცისაჲ და იცოდა მან საიდუმლოჲ განგებულებისა მისისაჲ. და რაჟამს იხილა ნეტარმან ეფრემ მყუდროებაჲ და მშჯდობაჲ ქალაქისაჲ და განწმედაჲ ყოველთა მწვალებელთაგან, განვიდა მთად, ვინაჲცა (vA) იყოფოდა პირველად, და დაეყუდა.

[ბასილის მიერ წარჩინებული დედაკაცის ცოდვათა აღხოცვა]

და მას ჟამსა შინა იყო ვინმე დედაკაცი კესარიას, დიდთა ნათესავთაგანი, დღეთა მათ წმიდისა ბასილისთა კურთხეულისა. ხოლო დედაკაცი იგი დაცემულ იყო ცოდვათა შინა მრავალთა და აქუნდა მას სარწმუნოებაჲ ცოცხალი წმიდისა ბასილისა მიმართ. და აღწერნა მან ყოველნი ცოდვანი თჳსნი ქარტასა შინა და დაჰბეჭდა მან იგი და მისცა იგი წმიდასა ბასილის. ხოლო იგი ტიროდა და ეტყოდა: დაჰმარხე, მამაო წმიდაო, ეგე ქარტაჲ და ევედრე ღმერთსა, რაჲთა აკოცნეს ჩემგან ყოველნი, რავდენი არს მაგას შინა. და მიიღო წმიდამან ბასილი მისგან ქარტაჲ იგი და შებეჭდა მას ზედა და დადვა იგი წინაშე საკურთხეველისა და ევედრა ღმერთსა, რაჲთა აღმოკოცოს, რაჲცა არს მას შინა. და ლოცვითა მისითა და სარწმუნოებითა მის დედაკაცისაჲთა[3] აღმოკოცა, რაჲცა-იგი იყო მას შინა, თჳნიერ ერთისა ცოდვისა. ხოლო ცოდვაჲ იგი უდიდეს[4] იყო ყოველთა ცოდვათა მისთა.

და რაჟამს განაღო ქარტაჲ იგი დედაკაცმან მან და შთახედა ყოველსავე, რავდენი იყო მას შინა, აღმოკოცილ იყო, თჳნიერ[5] ერთი იგი დგა-ღა. მაშინ შეუვრდა[6] ფერკთა წმიდისა ბასილისთა და ევედრებოდა, რაჲთა ითხოვოს ღმრთისაგან ამის ცოდვისათჳსცა ერთისა, რაჲთა აღიკოცოს მისგან.

მაშინ მიუგო წმიდამან და ჰრქუა მას: ასულო, რამეთუ რომელმან მოწყალებითა (271rA) თჳსითა აღმოკოცნა მრავალნი, იგივე

1 ხოცობისაჲ A. 2 ეგრწთ A. 3 ~ დედაკაცისა მის A. 4 უდიდწს A. 5 თჳნიორ A. 6 შეურდა A.

შემძლებელ არს აკოცად მის ერთისაცა, რომელი დგას, რამეთუ იგი არს, რომელმან აიხუნა ცოდვანი სოფლისანი ყოველნი. და უკუეთუ შენ მოთმინე იქმნა, არა ხოლო თუ ცოდვანი ოდენ შენნი აღიკოცნენ, არამედ მადლიცა მიგეცეს. იხილე აწ, ასულო, და წარვედ უდაბნოდ მთასა მას ურაჰაჲსასა. და მუნ კაცი არს წმიდაჲ და სავსე არს იგი მადლითა ღმრთისაჲთა, რომელსა ჰრქჳან ეფრემ. იგი მას მთასა დამკჳდრებულ არს, და მიეც მას ქარტაჲ ესე და ევედრე მას, რაჲთა ითხოოს ღმრთისაგან, რაჲთა მოგიტეოს ცოდვაჲ ესე.

და ვითარცა ესმა წმიდისაგან ღმრთისა დედაკაცსა მას სიტყუაჲ ესე, მწრაფლ წარვიდა წმიდისა ეფრემისა და პოვა იგი სენაკსა შინა თჳსსა.[1] ხოლო იგი ჰრეკდა კარსა და ეტყოდა: შემიწყალე მე, წმიდაო ღმრთისაო!

და რაჟამს იხილა, იცნა საქმჱ მისი სულითა, და ჰრქუა მას: წარვედ ჩემგან, ჶ, დედაკაცო, რამეთუ მე კაცი ცოდვილი ვარ.

მაშინ მისცა მას ქარტაჲ იგი და ჰრქუა მას, ვითარმედ: მთავარეპისკოპოსმან წარმომავლინა შენდა, რაჲთა ევედრო შენ ღმერთსა და აღმიკოცოს ცოდვაჲ ესე ჩემი ერთი, რომელი-ესე დგას ჩემ ზედა, რამეთუ წმიდაჲ ბასილი ევედრა ღმერთსა, ვიდრემდის აკოცნა ყოველნი ცოდვანი ჩემნი, და შენცა ნუ გიმძიმდების ვედრებად ღმრთისა მიმართ, რაჲთა აკოცოს ერთი ესე, რამეთუ მან მომავლინა შენ თანა.

მაშინ მიუგო ნეტარმან და ჰრქუა მას: არა, ასულო, გარნა რომელმან-იგი აკოცნა მრავალნი, იგივე შემძლებელ არს (vA) აკოცად ამის ერთისაცა. არამედ მიისწრაფე ადრე, წარვედ, რაჲთა მიეწიფო მას.

მაშინ იკურთხა მისგან და წარვიდა კესარიად. და ვითარცა შევიდა ქალაქად, პოვა წმიდაჲ ბასილი, რამეთუ აღსრულებულ იყო მას დღესა შინა, და დაჰმარხვიდეს მას.

და ვითარცა იხილა იგი, იწყო კმობად და ღაღადებად გოდებით და ტირილით და გორვიდა ქუეყანასა ზედა და ემდურვოდა, ვითარცა ცოცხალსა, და იტყოდა: ვაჲ მე, ვაჲ მე, მონაო ღმრთისაო, რაჲსათჳს მიმავლინებდი უდაბნოდ! ამისთჳს, რაჲთამცა

1 თჳსა A.

არა შეგაგინე, და კუალად-მაქცია ცალიერად, რომლისა თანა შენ მიმავლინე? მოხედვა ყოს ღმერთმან და საჯოს შორის შენსა და ჩემსა, რამეთუ შემძლებელ იყავ ვედრებად და მოტევებად ჩემდა ცოდვაჲ ესე ჩემი!

და დააგდო ქარტაჲ იგი სარეცელსა მას ზედა, და უთხრობდა საქმესა მისსა[1] ყოველთა მათ მოქალაქეთა, რომელნი იყვნეს მუნ.

ხოლო ერთმან მღდელთაგანმან მან აღიღო ქარტაჲ და განკსნა, რაჲთა ცნას, თუ რაჲ-მე არს ცოდვაჲ იგი დიდი. და ვითარცა განაღო ქარტაჲ იგი, პოვა წმიდად, და არა იყო მას შინა ყოვლადვე კუალი ნაწერისაჲ.

მაშინ ჰრქუა მას: „ჰ, დედაკაცო, რამეთუ ქარტაჲ შენი წმიდა არს, და არა არს მას შინა წერილი“.

და იქმნა სასწაული ესე, რაჲთა უწყოდიან ძალი ღმრთისაჲ წმიდათა მისთა შორის. ხოლო საკჯრველი ესე დიდი იქმნა ლოცვითა წმიდისა ბასილისითა და (272vA) ნეტარისა ეფრემისითა, და კეთილისა სარწმუნოებისა დედაკაცისაჲთა მიუტევნა მას ღმერთმან ცოდვანი მისნი.

ხოლო ნეტარი ეფრემ ფრიად შეწუხნა სიკუდილისათჳს წმიდისა ბასილისა და დაწერა საკითხავი შესასხმელად მისთჳს, და აკსენნა მას შინა ყოველნი სათნოებანი და საქმენი მისნი საღმრთონი.

[ეფრემის ზრუნვა მოქალაქეთათვის სიყმილის ჟამს]

ხოლო ნეტარი ესე ყოველთა ჟამთა შინა ცხორებისა მისისათა სიწმიდით აღასრულებდა და ყუდროებით, და ყოველი რავდენიცა მოვიდის მისა, ნუგეშინის-სცემნ მათ და ასწავებნ გზასა ცხორებისასა. ხოლო წმიდაჲ ესე ეფრემ სამართლად ვიდოდა გზასა მას სულიერსა და არა მიაქცევნ გზისაგან კიდე. და ამისთჳსცა ღირს იქმნა მეცნიერებასა ბუნებითისასა. და შემდგომად მისა მიიღო სრული იგი მეცნიერებაჲ, რაჲთა იტყოდის სიტყუათა საღმრთოთა, ვინაჲთგან ნუგეშინისმცემელ და სარგებელ იყო ყოველთათჳს მომავალთა მისა. რამეთუ არა განვიდის სენაკისა

1 მისა A.

თჳსისაგან ყოვლადვე, თჳნიერ ჭირისა და საკმრისა რაჲსამე ოდესმე.

მოიწია სიყმილი ფიცხელი შუვამდინარესა,[1] ქალაქსა ურაჰაჲსასა, და აიძულა გამოსლვად სენაკისა თჳსისაგან ამის მიზეზისათჳს, რაჟამს იხილა წარწყმედაჲ კორციელთაჲ სიყმილისა გუემითა, და ეტყოდა იგი მათ, რომელთა-იგი შეეკრძალა ნაყოფი მათი და შეებეჭდნეს სახუარბლენი მათნი: ვიდრემდის არა მოიღებთ გულსა შინა თქუენსა და არცა მოიკსენებთ საშჯელსა (vA) ღმრთისასა და სამართალსა მისსა და მოწყალებასა მისსა![2] რამეთუ სიმდიდრჱ თქუენი დაჰკსნდეს და წარწყმდეს და გექმნეს თქუენ იგი დასაშჯელ და საყუედრელ სულთა თქუენთათჳს!

ხოლო მაშინ მათ ზრახვა-ყვეს ურთიერთას მდიდართა მათ და ჰრქუეს მას ესრეთ,[3] ვითარმედ: ვერ ვჰპოებთ კაცსა მართალსა რწმუნებად ხუასტაგისა ჩუენისა და ღუწად გლახაკთა, რომელნი-იგი კუდებიან შიმშილითა, რამეთუ ყოველივე მზაკუავს ჩუენ, და ყოველსავე, რომელსაცა ზედა ვარწმუნებთ, ზაკუვენ იგინი.

მაშინ მიუგო მათ წმიდამან და ჰრქუა: ვითარ ჰგონებთ თქუენ ჩემთჳს? (რამეთუ ყოველთა კაცთა ჰრწმენა მისი კაცად მართლად, სარწმუნოდ და უტყუვარად).[4]

ხოლო მათ მაშინ მიუგეს და ჰრქუეს მას: ჩუენ გურწამ, ვითარმედ კაცი ღმრთისაჲ ხარი შენ ჭეშმარიტად, ნების-მყოფელი მისი! (და ეგრეთცა[5] იყო, რამეთუ არავინ ეჭუდა მას).

ხოლო მან ჰრქუა მათ: უკუეთუ ესრეთ[6] მხედავთ, საყუარელნო, სარწმუნო მყავთ ამას საკმარსა ზედა, და მე აჰა ესერა სარგებლისათჳს სულთა თქუნთაჲსა ვიქმენი ქსენადოქარად![7] (რომელ არს უცხოთა მსახურებაჲ).

ხოლო მათ მაშინ მოსცეს მას ვეცხლი და ოქროჲ, რაჲზომცა[8] უნდა მას, და იწყო აგებად სარეცელებისა ქალაქსა შინა და შემზადნა ადგილნი და სიმარჯუენი სამსახურებელად სნეულთა და უძლურთა და გლახაკთა, და შექმნა სამასი სარეცელები, რომელნიმე — სნეულთათჳს, და რომელნიმე — სამკუდროდ. (273rA)

1 შოვამდინარესა A. 2 მისა A. 3 ესრჱთ A. 4 უტყოვარად A. 5 ეგრჱთცა A. 6 ესრჱთ A. 7 ქსენადუქარად A. 8 რაჲზუმცა A.

და კუალად მკოდოვნი, რომელნი იყვნეს ქალაქსა შინა მცხორებელნი და დაბნებსა, რომელნი ჭირსა შინა იყვნეს შიმშილისაგან, იზრუნა მათთჳსცა და მოიყვანნა იგინი და დასხნა და მსახურებდა მათ ყოველთა დღეთა თავით თჳსით დიდითა ზრუნვითა. და კაცნი მორწმუნენი განაჩინნა საკმარსა მას ზედა, რამეთუ ფრიად შემოსწირვიდეს კაცნი მორწმუნენი, მამანი და დედანი.

რაჟამს აღესრულა წელიწადი იგი შიმშილობისაჲ, და მოიწია იეფობისა წელი, წარვიდა ყოველი კაცი საყოფლად თჳსა. მაშინ იგიცა წარვიდა სენაკად თჳსა.

[ეფრემის აღსასრული]

შემდგომად ამის ყოვლისა განგებისა,[1] რომელი დარჩომილ იყო კელსა შინა მისსა,[2] განაგო, ვითარ-იგი ჯერ-იყო, განგებაჲ, და მერმე, შემდგომად თჳსა ერთისა, დასნეულდა მცირედ იგი, ვითარცა კაცი. და ეუწყა მას დღჱ განსლვისა მისისაჲ, და ბრძანა და ეზიარა წმიდასა საიდუმლოსა ქრისტჱსსა.

ხოლო ოდეს ეზიარა, განიპყრნა კელნი თჳსნი ზეცად მიმართ და თქუა: უფალო ღმერთო ჩემო იესუ ქრისტე,[3] კელთა შინა შენთა შევჰვედრებ სულსა ჩემსა. (1)

და ამას სიტყუასა თანა შეჰვედრა სული თჳსი პატიოსანი კელთა შინა ანგელოზთასა თუესა ფებერვალსა და დღესა დადეგსა პირველსა თჳსასა, რამეთუ პირველად წარიძღუანა წინაშე ღმრთისა უცხოთა და სნეულთა მსახურებაჲ მეოხად უწინარეს[4] განსლვისა მისისა.

მაშინ შემოკრბეს ყოველნი მოქალაქენი და მდაბიონი[5] და დაჰმარხეს იგი დიდითა დიდებითა (vA) და პატივითა, და მწუხარე იქმნეს ყოველნივე სიკუდილისა მისისათჳს. ყოველსა რომელსა მოემარჯჳს, მიიტაცებდიან სამოსლისა მისისაგან, ვითარცა ევლოგიასა. და დაჰმარხეს იგი უცხოთა სამარხოსა, რამეთუ ესრეთ[6] დაემცნო მას, და ესეცა კუალად, რაჲთა არა დაჰმარხონ მის თანა სამოსელი კეთილი.

1 განგებისასა A. 2 მისა A. 3 ქ˜ჱ A. 4 უწინარჱს A. 5 მდაბიონნი A. 6 ესრჱთ A.

(1) შდრ. ლუკა 23,45.

და შემდგომად მცირედთა ჟამთა აღმოიღეს გუამი მისი წმიდაჲ მოქალაქეთა, სადაცა-იგი იდვა, და შთადვეს იგი ლუსკუმასა ქუაბსა შინა ეკლესიასა თანა, სადაცა-იგი იმარხვებიან ეპისკოპოსნი. და იგი პატივცემულ არს და დიდებულ ყოველთა მიერ მორწმუნეთა ქრისტჱსთა, რაჲთა მეოხებითა მისითა ყოველნი ღირს ვიქმნეთ სასუფეველსა ცათასა მადლითა და კაცთმოყუარეობითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსითა, რომლისა არს დიდებაჲ და პატივი თანა მამით და სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე. ამენ.

[ეფრემის ენიდან ამოსული ვაზი]

ამას წარმავალისაგან სოფლისა დაუტევნა ეკლესიასა შინა წმიდასა საკითხავნი მრავალნი, რომელნი გამოთქუნა ფრიად ურიცხუნი და თარგმანნა ძუელნი და ახალნი მოსწრაფებითა დიდითა ბერძულად და ასურულად, ფრიად სარგებელნი და განმანათლებელნი ყოველთა, რომელთა იკითხონ მათ შინა.

და უკუანაჲსკნელ ერთმან ვინმე მოწაფეთა მისთაგანმან თქუა, ვითარმედ: რაჟამს ვიყვენით მის თანა ურაჰას, ქალაქსა შინა კურთხეულსა, შემოგჯ(274rA)ჭურიტნა[1] დედაკაცმან ვინმე ერთმან ერდოთა ზედაჲთ და მრქუა ჩუენ: რაჲ შეჰგბოლეთ დღეს? ხოლო წმიდამან ეფრემ მიუგო და ჰრქუა: ორი მოვლება და დასაბურველი. და მასვე ჟამსა შინა გჯბრძანა აღშენებაჲ[2] კედლისაჲ, და აღვაშენეთ[3] ორი მოვლებაჲ და ზე დასაბურველი, და დავყავთ ადგილი იგი, რაჲთა არა კუალადცა შემოგჯჭჯრობდეს.

და დასასრულსა ცხორებისა მისისასა გჯთხრობდა მოწაფჱ ესე წმიდისა ეფრემისი და თქუა მის მაგიერ, ვითარმედ: თქუა წმიდამან ეფრემ უკუანაჲსკნელ ჟამთა მისთა, თქუა, ვითარმედ ეჩუენა მას ხილვაჲ, რამეთუ ვაზი აღმოჯდა ენასა ზედა მისსა[4] დიდი, და აღორძნდა ფრიად, და აღივსო მისგან ყოველი ქუეყანაჲ, და გამოიხუნა[5] ტევანნი ურიცხუნი, და მოვიდოდეს ყოველნი მფრინველნი ცისანი და ჭამდეს ნაყოფისა მისისაგან. და რავდენცა ჭამდეს, უფროჲსღა აღმოეცენებოდა და გამოჰქონდეს ტევანნი.

1 შემოგჯჭრიტნა A. 2 აღშჱნებაჲ A. 3 აღვაშჱნეთ A. 4 მისა A. 5 გამოიხუნნა A.

და ჭეშმარიტად, რამეთუ ყოველნი დაბადებულნი მოისთულებენ ცხორებასა თქუმულთა მისთაგან და თარგმნებულთა წმიდისა და ნეტარისა ეფრემისთაგან, რომლისა ლოცვითა მისითა და ვედრებითა, რაჲთა ყოველნი ღირს ვიქმნეთ ზიარ ყოფად მის თანა სასუფეველსა ღმრთისასა, რომლისა არს დიდებაჲ და პატივი აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე. ამენ.

ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ეფრემ ასურისაჲ*

მამაო, გუაკურთხენ!

ეფრემ საკჳრველი აღმოეცენა ქუეყანით ასურეთისაჲთ. ხოლო სიყრმითგანვე წარმმართებელ იქმნა სათნოებისა, და მცველ იყო და ევლტოდა სავნებელსა მოჰასაკეთა თანა ქცევისა და ზრახვისასა, ხოლო უფროჲსღა მარადის მოსწრაფე ზრახვასა წმიდათა წერილთასა, და მათდა მიმართ იგი წურთაჲ და ზრახვაჲ უმეტეს საშუებელად შეერაცხა, უფროჲს ყოვლისავე გემოვნებისა და გულისთქუმისა, ვიდრეღა იგიცა თანამგალობელ იქმნებოდა წინაჲსწარმეტყუელისა: „ტკბილ არიან სასასა ჩემსა სიტყუანი შენნი; უფროჲს თაფლისა პირსა ჩემსა“.(1) ამიერ იქმნნეს მისსა თანამოჰასაკე და თანაზრდილ ყოველნი სათნოებანი და ტკივილთა მიმართ მოსწრაფებანი; და რაჲ არს, რომლისა მიმართ არა მოსწრაფებით წარმართებულ იქმნა: ანუ არა მარხვისა მიმართა,[1] არა ღამისთევისა, არა ჴმელსაწოლისა, არა სიტკბოებისა, არა მოწყალებისა, არა უქონელობისა, ანუ არა ესოდენთა მათ კეთილთა სიმდიდრესა თანა და სიმდაბლისა მიმართცა? — და არა ხოლო ესე, არამედ ამას ყოველსა თანა არცა მოძღურებისა მადლთაგან უპოვარ იყო, არამედ იყო და არს, და მიერითგან ვიდრე მოაქამდე თჳსთა მიერ სიტყუათა ჩუენდა მომართ ზრახავს, გუასწავებს, გულოცავს, განგუაზრახებს და გუეტყჳს მათ მიერ არა ხოლო კეთილმსახურებისა და სარწმუნოებისა სიტყუათა მართლიად ქონებად, არამედ და სათნოებისაცა აღშენებისა მიმართ თავთა თჳსთა აღდგინებად.

ხოლო ღმრთისა მიმართ სასოებისა და მოყუსისა მიმართ სიყუარულისათჳს ესოდენ მოღუაწე იქმნა ეფ(435r)რემ, ვიდრემ-

---

* ესაა სვიმეონ მეტაფრასტის თხზულება. ტექსტის პუბლიკაცია ემყარება ჩვენამდე მოღწეულ ერთადერთ A 79 ხელნაწერს. ვარიანტებს სქოლიოში აღვნიშნავთ A ლიტერით.

1 მიმ᾽რთა A.

(1) ფს. 118, 103.

დის თავისა თჳსისათჳს თქუმული ესევითარი არს რომელი-იგი მან თქუა, რაჟამს ეგულებოდა ამიერ მიცვალებაჲ, რამეთუ აქაცა ჯერ-არს მათი მოჴსენებაჲ:

ყოველსა ცხორებასა შინა ჩემსა, — თქუა, — არასადა ვიდრტჳნე უფლისა მიმართ, და არცა სიტყუაჲ უგუნური გამოვიდა ბაგეთაგან ჩემთა. ყოველთა დღეთა ცხორებისა ჩემისათა არასადა ვის ვსწყევე, არცა ერთსა ვის, და არცა სადა ვის მართლმორწმუნეთაგანსა თანა ვყავ ბრძოლაჲ.

ხოლო მდინარე ცრემლთაჲ დაუცხრომელ იყო თუალთაგან მისთა; ვითარცა-იგი არიან დაუწყუედელად აღმომადინებელ წყლისა თუალნი იგი წყაროთანი, ეგრეთვე ამისნი თუალნი მარადის დამომადინებელ ცხრემლთა იქმნებოდეს, და ამას თანა შეერთებოდა აღმომავალი იგი გულით მისით სულთქუმაჲ, და შინაგანსა მას გლოვისა ცეცხლსა მგზებარესა განაცხადებდეს, რომელთაჲ უკუეთუ ვისმე ენებოს უგანცხადებულესად-რე განცდაჲ, მიემთხჳოს აღწერილთა მისთა, და პოვნეს მას შინა ყოვლად[1] განფენილად ჴსენებაჲ საუკუნოჲსა სასჯელისაჲ და სიბრძნისმეტყუელებაჲ მეორედ მოსლვისა[2] ქრისტჱსისაჲ,[3] რამეთუ, რომელი-იგი მაშინ მუნ იქმნების, ამას სამარადისოდ წინაშე თუალთა მდებარედ აქუნდა საყდარი იგი საშინელი, და დღისა მის გამოსახვაჲ გონებასა შინა თჳსსა, და თავსა თჳსსა სამსჯავროდ წარდგინებაჲ და ფრიად საწყალობლად გოდებაჲ.

ესევითართა ამათ გონებისა ხედვათა მარადის ეფრემ შექცეულ იყო. ამისთჳსცა განეშორა, სიტყჳსაებრ ფსალმუნთაჲსა, და ევლტოდა, და ყოველნივე სოფლიონი ღელვანი და შფოთნი და ურვანი განიშორნა და უდაბნოთა შინა იქცეოდა (1) და ადგილითი-ადგიდ იცვალე(435vA)ბოდა, სულთა აღშენებისა და სარგებელისა მიზეზითა, ვითარცა სულისა მიერ საღმრთოჲსა აღძრული. და ესრეთ დაუტევა ოდესმე მშობელთა იგი ქუეყანაჲ, რამეთუ ესეცა ღმრთისა მიერ წოდებულ იქმნა, ვითარცა აბრაჰამ, (2) და ედესელთა ქალაქად მიისწრაფა. პირველად უკუე თაყუანისცემისათჳს მას შინა მყოფთა წმიდათა ადგილთა, და

1 ყ˜ლ A. 2 მოსლვაჲ A. 3 ქ˜ესისაჲ A.

(1) ფს. 54,8. (2) დაბ. 12,1-4.

სამარტჴლოთა საფლავთაჲსა, და ამას თანა კუალად, რაჲთა მიემთხჴოს კაცსა ვისმე სიტყჴერსა და სათნოსა, რაჲთა მეცნიერებისა ნაყოფი მის მიერ მოისთულოს, და ამას ღმრთისაგან ითხოვდა ესრეთ თქუმითა: იესუ ქრისტე, — თქუა, — მეუფეო[1] და უფალო ყოველთაო, ღირს მყავ მე ქალაქად ედესად შესლვად, და შესლვასავე თანა მყის ესევითარსა კაცსა მიმთხუევად, რომელი კმა-იყოს აღსაშენებელად სულისა და სარგებელად ჩემ თანა ზრახვისა.

ამას რაჲ ესრეთ ილოცვიდა, და ვინაჲთგან ბჭეთა ქალქისათა შესლვად მიახლებულ იყო, განკრძალულებით შეურვებულ იყო, და განიზრახვიდა, თუ რომლითა სახითა მიემთხჴოს ესევითარსა მას კაცსა, გინათუ, მიემთხჴოს რაჲ, ვითარ ისწაოს, ანუთუ რომელი მოიღოს მის მიერ სარგებელი.

ამით და ესევითარითა რაჲ განზრახვითა ვიდოდა, მეყსეულად დედაკაცი ვინმე შეემთხჴა და იგიცა მეძავი. რამეთუ ღმრთისა მიერ იყო უეჭველად ესე, რომელი-იგი მრავალგზის წინააღმდგომთა მიერ განაგებს წინააღმდგომთა, დაფარულითა რაჲთმე და გამოუთქუმელითა საიდუმლოჲთა, რამეთუ აწცა საღმრთოჲ იგი და ნეტარი ეფრემ, ვინაჲთგან სხუასა ესვიდა და სხუასა მიემთხჴა, დგა განკჴრვებული, და ხედვიდა მისსა მიმართ შეურვებული და მწუხარე თავსა შორის თჴსსა, რამეთუ არა ლოცვისასა, არამედ უფ(436r)როჲსღა ყოვლით-კერძო წინააღმდგომსა მიემთხჴა სათხოველისასა. ხოლო დედაკაცი იგი ამას რაჲ ხედვიდა ესრეთ მხედველად, კუალად იგი უმოსწრაფეს და უმახჴლეს მიხედვიდა თუალითა.

ვინაჲთგან უკუე ესრეთ მყუვარჟამ ურთიერთას ხედვიდეს, ინება წმიდამან მიახლებაჲ დედაკაცისაჲ მის, და სირცხჴლსა მას მოკსენებად, რომელი შეჰგავს დედათა ქონებად.

— რაჲ არს, — ჰრქუა, — ჭ დედაკაცო; არა გრცხუენისა ესრეთ განტევებულითა თუალითა ჩუენდა მომართ ხედვად?

ხოლო დედაკაცმან, — ჩემდა სადმე, — მიუგო, — ესრეთ ჯეროვან არს შენდა მომართ ხედვაჲ, რამეთუ შენ მიერ და შენისაგან მოღებულ ვარ მე გუერდისა; ხოლო შენდა, არა ჩემდა

1 მ˜ფ˜ო A.

მომართ, არამედ უფროჲსღა ქუეყანად ჯერ-არს ხედვაჲ, ვინაჲ-იგი ძუელ-ოდესმე მოღებულ იქმენ. (1)

ესე ესევითარი რაჲ, გარეშე მოლოდებისა, ესმა ნეტარსა ეფრემს, აღიარებდა დედაკაცისა მისგან ფრიადსა შეძინებად სარგებელსა, ხოლო ღმრთისა მიმართ მჯურვალედ შესწირვიდა მადლობასა, რომელი-იგი მრავალგზის გარეშესა მას სასოებისასა უმეტესად მიზეზ ჰყოფს სასოებისა, ყოვლისა-შემძლებელითა მით ძალითა მისითა.

და ვითარცა მრავალნი დღენი წარჯდეს, და ნეტარი ეფრემ ქალაქსა მას მყოფ იყო ედესისასა, დედაკაცი ვინმე მეძავი მახლობელად სენაკსა წმიდისასა იყოფებოდა, რომელი-იგი ორღანოდ სიბოროტისა ბოროტისა მიერ განმზადებულ იყო, და მის მიერ ვითარცა პირველ გუელისა მიერ წმიდასა ამას წყობად მოუჯდებოდა. ერთსა უკუე დღესა ნეტარი იგი საზრდელსა თჯსსა მზარაულობდა, ხოლო მეძავმან მან განაღო სარკუმელი, რომელი იყო ზედა-კერძო მხედველ საყოფელსა მას წმიდისასა, და შთახედვიდა ურცხჯნოებით. (436v) ამისსა შემდგომად მიხედა წმიდასა მას სახითა სიღუდისაჲთა.

— გუაკურთხენ, — ჰრქუა, — მამაო!

ხოლო მან, ვითარცა-იგი შეეტყუებოდა, სახითა დაწყნარებულითა და სიტყჯთა მშჯდობისაჲთა მიუგო: „უფალმან გაკურთხენ!“

და დედაკაცმან კუალადცა აღუტევა ჯმაჲ სიცილისაჲ არაწმიდებით და ჰრქუა მას: რაჲ აკლს შენსა მაგას საჭმელსა?

ხოლო ნეტარმან ჰრქუა: „სამნი ქვანი და მცირე თიჯაჲ, რომლისა მიერ სარკუმელი ეგე დაიყოს“.

ხოლო დედაკაცმან არცა ამას ზედა შეიგონა, არცა შეიკდიმა სიტყუასა მას ზედა წმიდისასა, არამედ კუალადცა ჰრქუა: „ვინაჲთგან მე მოგიგე შენ სიტყუაჲ მოკითხვისაჲ, და შენ ზუაობით უღირს-იჩინე, ხოლო მე დაწოლაჲცა შენ თანა მნებავს, და შენ პირველსავე სიტყუასა ზედა გარე-მიმაქცევ მე!“

ამას ესევითარსა ზედა, ვითარცა იგი — სიტყუათა საეშმაკოთა მომპოვნებელ, ეგრეთვე ესე — უფროჲსღა ფრიად სულიერთა

(1) შდრ. დაბ. 2,7.

სიტყჳსგებათა მიმგებელ ექმნებოდა. და ვითარ-იგი წმიდასა მას შეჰგვანდა სიტყუად, ესევითარივე დედაკაცსა მას მიემადლებოდა სმენად.

— უკუეთუ გნებავს ჩემ თანა, — ჰრქუა, — დაძინებაჲ, სადაიგი მე გრქუა შენ, მუნცა ერთბამად დავწვეთ.

ხოლო მან, ესე რაჲ სიტყუაჲ მიიტაცა, სათნო-უჩნდა, და იწყო ძიებად ადგილსა, თუ სადა ჯერ-არს თანაყოფაჲ მისი.

და წმიდამან მიუგო: „არასადა სხუასა ადგილსა თავს-ვიდვა ესე ყოფად, უკუეთუ არა შორის ქალაქისა თანა-გეყო შენ“.

ხოლო მეძავმან მან ჰრქუა: „არა გუეკდიმებოდისა და გურცხუენოდის განცხადებულად წინაშე თუალთა მრავალთა მხედველთაჲსა ესრეთ ესევითართა ყოფაჲ ჩუენი?“

ამათ სიტყუათა მიერ, რომელსა-იგი ეგულებოდა მონადირებაჲ წმიდისა მის და მოუნადირებელისა სულისაჲ, სიტყუათა მისთა მიერ მოინადირა, და არცა თუ ამისსა ცნობად შემძლებელ იქმნა, რომელსა-(437r)იგი იტყჳს სოლომონ, ვითარმედ: „თუალნი უფლისა ყოვლისა-მპყრობელისანი ბევრწილ უბრწყინვალეს მზისა არიან, რომელნი ხედვენ ყოველთა გზათა კაცთასა“.

გარნა მან ვერარაჲ გულისკმა-ყო ესევითარი. ამისთჳსცა მონადირებულსა მისსა, და ვითარცა სამჭედურითა შეპყრობილსა ეტყოდა წმიდაჲ იგი და ჰრქუა:

„ვინაჲთგან ესრეთ საჯე, ჶ დედაკაცო, და თუალნი კაცთანი კმა ჰყვენ სირცხჳლად სულისა და დამაყენებელად ბოროტისაგან საქმისა, ვითარ არა უფროჲს ყოვლისა-მპყრობელისა მის ღმრთისა თუალთაგან ჯერ-არს შეკდიმებაჲ და ბოროტთა საქმეთაგან განყენებაჲ, რამეთუ თუალთა წინაშე მისთა განცხადებულად სახილველ არიან, რაოდენნი რაჲ აქა ჩუენ მიერ დაფარულად ქმნულ არიან! და იგი თავადი აქა დამსჯელად და მამხილებელად ჩუენდა სჯნიდისსა ჩუენსა დაადგენს, და კუალად მერმისა მის დაუნჯებულისა სატანჯველისა აღსასრული არაოდეს ყოფად არს!“

ესე და ესევითარნი სიტყუანი კმა ეყვნეს დედაკაცსა მას, არა ხოლო პირველ ქმნულთა ბოროტთაგან დამაცხრობელად და გულისთქუმათა დამაყენებელად, არამედ პირველ ქმნულთაცა შემანანებელად და ყოვლისა ცხორებისა მისისა განზრახვათა და ჩუეუ-

ლებათა შემცვალებელად. რამეთუ მეყსეულად გარდამოჴდა მიერ და ქუეყანად დავარდა, და ფერჴთა წმიდისათა შეუვრდა და ითხოვდა შენდობასა პირუტყულისა მის გულისთქუმისა და დაუყენებელისა და დაუცხრომელისა მის სიბორგილისასა, და ევედრებოდა, რაჲთა გულსმოდგინედ მიუძღუეს და მიიყვანოს იგი სინანულად, და რაჲთა არა უღირს იჩინოს წინამძღურად მისსა წოდებაჲ.

ხოლო ნეტარსა მას ვითარმცა არა ეგულებოდა ესე ყოფად, რამეთუ თჳთ მებრვე ეფრემ იყო ესევითა(437v)რისა სათხოველისა განმზადებული მსახური, და მვედრებელისა მის ესრეთ მასწავლელი სიტყჳსაებრ საკჳრველისა იერემიაჲსსა, რაჲთა არღარა ვიდოდის კუალად შემდგომად გულისთქუმათა ბოროტთა გულისა თჳსისათა, და რაჲთა არა შეურაცხებით კუალად-იქცეს მეორედ, გზასა პირველთა ჩუეულებათა თჳსთასა. ვინაჲცა ესე და ესევითარი ყოველი კეთილად დაასწავლა დედაკაცსა მას, და მონასტერსა დედათასა შეიყვანა, სადა-იგი მრავალნი იყვნეს მოღუაწენი სათნოებისანი, და რომელსა-იგი შებრკოლებაჲ მისი ეგულვა გზისაგან წრფელისა, ესე ყოვლადქებულმან გზისაგან და უფროჲსღა ბოროტისა მოაქცია, და ნაყოფად სიმართლისა აქუნდა მისი იგი მიერ მოქცევაჲ.

ესრეთ საკჳრველი ეფრემ ორთა მეძავთა დედათა მიემთხჳა. ერთსა მას სარგებელ-ეყო, ხოლო მეორისაგან სარგებელი მოიღო, გინათუ ჯერ-არს უჭეშმარიტესად-რე თქუმაჲ, ვითარმედ ორთავე სარგებელ ეყო, და თჳნიერ ყოვლისა სასოებისა ორთაგანვე სარგებელი ყო, თანამორბედებითა მისდა საღმრთოჲსა ძალისაჲთა ორკერძოვე.

და ესრეთ, წინაძღომითა მისდა საღმრთოჲსა მადლისაჲთა კესრიად კაბადუკიისა წარემართა ხილვად დიდისა ბასილისსა, კეთილად მეტყუელისა მის პირისა ეკლესიათაჲსა, და სარწმუნოებისა აღმომადინებელისა წყაროჲსა, რომელი-იგი იხილა რაჲ სანატრელმან ეფრემ, იწყო მრავლითა სიტყჳთა ქებისაჲთა შესმად მისსა, რამეთუ დაფარულითა მით თუალითა სულისაჲთა ხედვიდა ტრედსა, რომელი მსგავს იყო ბრწყინვალებასა მზისასა, და ბრწყინვალესა მას მჴარსა მისსა ზედა მარჯუენესა ბრწყინვალედ მჯდომარე იყო, და ყურსა (438t) ზრახვიდა დიდისა ბასილისსა, ხოლო იგი თხრობილსა მას მისდა — ერსა

მიუთხრობნ. ვინაჲცა და მისვე ტრედისა მიერ საღმრთოჲსა ეფრემისთჳსცა ეუწყა, და გულისჴმა-ყო, თუ ვინ არს, ანუ ვინაჲ, გინათუ რომლისა მადლისათჳს მისსა მიიწია. ამისთჳსცა მშჯ-ლობით მოიკითხნეს და კეთილი მისაგებელი მიიღეს ურთიერთას.

არამედ აღვედინ ამიერ კუალადცა სიტყუაჲ ჩუენი და ნე-ტარისა ეფრემისსა მისლვითა მხოლოდ და წმიდად თხრობად სათნოებათა მისთა შევედინ, და განგჳცხადენ, თუ ვითარ მას არარაჲ ოდეს ესევითარი გულისსიტყუაჲ მოუჴდებოდა, რომე-ლიმცა არა სათნოებათა მიმართ მიმყვანებელ ექმნებოდა, ვითარ მდიდრად მიიღო მოძღურებისა ტალანტი, და მი-რაჲ-იღო იგი, ვითარ მოწაფე იყო მარადის სულთა აღმაორძინებელისა მის ტალანტისა განმრავლებად, და ტაბლისა სამეუფოჲსა განმზადე-ბად. და ესე თჳთ თავით თჳსით გამოაჩინა თავისა თჳსისათჳს და იტყჳს, ვითარმედ: ვიდრეღა-იგი ყრმა იყო, და მცირედ უწინარეს წუერგამოჲსა, ვენაჴსა რასმე ხედვიდა აღმოცენებულად ენით მისით, რომელი სავსე იყო ტევანთა სიმრავლითა, და სიმაღლედ და სივრცედ განფენილებითა დაჰფარვიდა პირსა ყოვლისა ქუეყ-ანისასა, ვიდრემდის ყოველნი მფრინველნი იმოთხებდეს და ფრინვიდეს მას ზედა, და ტევანთა მათ მისთა მოისთულებდეს. ხოლო ვენაჴი იგი, რაოდენ ტევანთაგან მოიკუფხლვოდა, და მფრინველთა მათ სიმრავლესა კეთილად შეიწყნარებდა, ესოდენ უფროჲს ნაყოფთა აღმოაცენებდა და მრავლად და უშურველად წარმოაჩინებდა, და ამას ნეტარი იგი იტყჳს თავისა თჳსისათჳს.

ხოლო წამებენ მისთჳს სხუანიცა ვინმე, ესევითართა ჩუენება-თა და ხილვათა ღირს (438vA) ქმნულნი, და იტყჳან, ვითარმედ: იხილვა ოდესმე სიმრავლე ანგელოზთაჲ ზეცით გარდამომავალი, და აქუნდა ჴელთა მათთა ქართაჲ შინაჲ და გარეთ წერილი, და გამოცხადებული იგი ჩუენებაჲ განიხილვიდა თავსა შორის თჳს-სა, ვითარმედ: ვისსა-მე ჯერ-არს მიცემად ქარტაჲ ესე?

და რომელნიმე იტყოდე ამას, ხოლო რომელნიმე — ამას! და სხუანი სხუასა ვისმე სახელ-სდებდეს, რომელნი საცნაურ იყვნეს მაშინ წარმატებითა ცხორებისაჲთა და ბრწყინვალე სიწმიდითა მოქალაქობისაჲთა. დასასრულსა მიცემად ეფრემისსა ერთჴმა იქმნნეს ყოველნივე, და ესრეთ, ქარტაჲ იგი წმიდასა მას მიეცა საღმრთოჲსა მის და საწადელისა ერთა სიმრავლისა მიერ.

განიღჯძა უკუე მხილველმან მან ჩუენებისამან, შიშითა შეპყრობილმან, და მიიწია რაჲ ეკლესიად, პოვა მას შინა ნეტარი ეფრემ, რამეთუ კეთილთა მათ და თაფლისა უტკბილესთა სწავლათა და მოძღურებათა მიერ შემოკრებულთა მათ ერთა ისტუმრებდა, ვინაჲცა გულისჯმა-ყო მხილველმან მან ჩუენებისამან ძალი იგი ჩუენებისაჲ, და ღირსებით მადლობაჲ შეწირა ღმრთისა ყოვლად-ძლიერისა.

ხოლო მიერითგან აქუნდა ნეტარსა ეფრემს მდინარე სიტყუათაჲ გარდამატებულად და გულისჯმისყოფით, და ესოდენთა კეთილთა მადლისათა აღმატებულ იყო გონებაჲ მისი, ვიდრემდის ვერ კმა იყო გონებაჲ მისი მსახურებად გინა გამოთქუმად მოსწრაფებასა მას გულისჯმისყოფისასა, ხოლო ყოვლად ენაჲ მისი ესოდენ განმზადებულ იყო სიტყჯთა და აღსავსე მეტყუელებითა, გამოთქუმად გულისჯმისსაყოფელთა, ვიდრემდის ადვილად შემძლებელ იყო გამოთქუმად გულისჯმისყოფილთა მრავალთა მიერ, და ამის ესევითარისა სიმდიდრისა მადლთაჲ (439г) ნამეტნავად და შემოკრებულ ქონებითა, ესევითართა სიტყუათა ოდესმე გამოჩნდების მეტყუელად ღმრთისა მიმართ, ვითარმედ: დააცხრვენ, მეუფეო, ღელვანი მადლისა შენისანი! რამეთუ ვინაჲთგან მოძღურებისა იგი უფსკრული მდიდრად აღმოეცენებოდა შენაგან მისსა. ამისთჯსცა ადგილ არღარა იყო არცა ორღანოჲ ენისაჲ მსახურებად შემძლებელ. ხოლო სიტყუათა მეტყუელებასა არათუ სხუაჲცა რაჲმე განმკუეთელ ექმნებოდა, გარნა ლოცვაჲ ხოლო, და კუალად ლოცვასა — ცრემლნი; ამათ მიერ ღამენი მარადის[1] მღჯძარებად მიიღებდეს, და სიფრთხილით მასვე დღისა ნათელსა გუალად-აგებდეს. ამითვე მთავარსა მას ბნელისასა ნეტარი იგი განეწყვებოდა, რაჲთა არა პოონ[2] იგი დანთქმული ძილისა მიერ; ამისთჯსცა მანქანებათა მიმართ მათთა მარადის მღჯძარე იყო. ხოლო ძილი ფრიადცა მცირე კმა-ეყოფვოდა, რამეთუ გემოჲსხილვით ოდენ მცირედ, და არათუ სიმაძღრედ იჯუმიის იგი, არამედ ესოდენი, რაოდენი საჭიროდ საკმარ იყო ჯორცთა ფრიადითა ოფლითა და ჭირითა დამაშურალთა.

1 მ˜ს A. 2 პოუნ A.

განსდევნიდა უკუე თუალთაგან მისთა ძილსა და სხუაჲცა მრავალი, ხოლო უფროჲსად კმელსა წოლაჲ და ძლიერი მოღუაწებაჲ, და ყოვლად დამაჭნობელი იგი კორცთაჲ ჭირი და ძჯრისხილვაჲ. ხოლო უპოვარებისა სიმდიდრე ესოდენი აქუნდა, ვიდრემდის მოწამედ მისსა თჯთ მისივე პირი კმა არს და ჟამსა უკუანაჲსკნელისა აღმოფშჯნვისასა თქუმულნი სიტყუანი, რომელთა-იგი არარაჲ არს უჭეშმარიტესად ღირს, არცა უსარწმუნოეს, რამეთუ ესრეთ იტყჯს, ვითარმედ: **არაოდეს მოიგო ეფრემ ბალანტი, არცა კუერთხი, არცა შთასადებელი, და არა ხოლო ოქროჲ გინა ვეცხლი, არამედ არცაღა რაჲ მონაგები მოვიგე** (439vA) **ქუეყანასა ზედა, რამეთუ კეთილისაჲ მის მეუფისაჲ მესმა, რომელი იტყოდა სახარებასა შინა, და თჯსთა მოწაფეთა ამცნებდა არარაჲსა მოგებად ქუეყანასა ზედა, ვინაჲცა არცა ვნებულად-რაჲმე მაქუნდა ესევითარი;** ესრეთ არწმუნებდა ყოველსავე მოძღურისა მის სახიერისასა, და მოშურნედ და მიმსგავსებულად თავთა მოწაფეთა მისთა გამოჩნდებოდა.

ხოლო მდაბლისა და შემუსრვილისა და გლახაკისა გულისა ქონებითა ვინ სადა იპოვა ესრეთ მარადის, და ფრიად მჯურვალე და ჭირთა მიმართ მოსწრაფე, რამეთუ ნაცარსა ვითარცა პურსა ჭამნ, და ცრემლითა სასუმელსა განჰზავებნ, და საქებელთა მიმართ ფრიად ჯეროვნებით ჰყოფნ, და მაქებელთა მისთა არა ხოლო შეუწყნარებელ ჰყოფნ, არამედ განცხადებულად ესრეთ ეძჯნებინ, ვითარცა-იგი რაჟამს სხუასა ეკიცხევდიან ვიეთნიმე და შეურაცხ-ჰყოფდიან, და იგი სირცხჯლეულ არნ და ქუეყანად მიმართ ხედავნ, და ფერი და სახე პირისაჲ სხუად და სხუად იცვალებინ, და ოფლთა მცირედ[1] დამოადინებნ და ყოვლად უსიტყულად ეგის, ვითარმცა სირცხჯლისა მიერ უკმო და უტყუ ქმნილ იყო.

ხოლო მრავლისა მის სიმდაბლისა მისისა თჯთ ესე, რამეთუ ეგულებოდა რაჲ ამიერ მიცვალებაჲ, ფრიადითა მცნებითა ამცნებდა მუნ მყოფთა მათ და ეტყოდა, ვითარმედ: ნუ ჰგალობთ გალობით ეფრემს ზედა, ნუცა შესხმით შეასხამთ, ნუცა მრავალსასყიდლისა სამოსლითა დაჰმარხავთ, რამეთუ აღმითქუამს ღმრ-

1 მცირედ A.

თისადა, რაჲთა დავემარხო უცხოთა თანა, რამეთუ მსხემ ვარ და წარმავალ, ვითარცა ყოველნი მამანი ჩუენნი.

აწ უკუე კაცთმოყუარებისა და გლახაკთმოწყალებისა და უღონოთა მიმართ წყალობისათჳს ესევითარნი არიან თქუმულნი მისნი, და ესოდენი აქუნდა მას თანა(440rA)მზრუნველობაჲ, რომელსა ვინაჲთგან თჳსი არა აქუნდა მას მისაცემელი, და ვინაჲმცა რომელი-იგი საჭიროთაცა საკმართაგან უღონო იყო, ხოლო რომელი-იგი აქუნდა, იგი იკუმია ცხორებისათჳს მათისა. რამეთუ სიბრძნითა ენისაჲთა და ცნობითა სულიერითა მრავალთა მდიდართა კელი და წყალობაჲ და საუნჯენი განახუნა. და ესე უშურველად[1] მიანიჭნა გლახაკთა ძლიერებითა სიტყუათა მისთაჲთა, ხოლო სულთა მომაქცეველ და მომამდოვრებელ და მოწყალებისა მიმართ მომყვანებელ, არა ხოლო სიტყუაჲ კაცისა მის ღმრთისაჲ, არამედ თჳთ მებრ ხილვაჲცა და სახე და წესი ჯეროვანი მრავალგზის მისსა მიმართ მხედველთა სულთა ლმობიერებად მოიყვანებდის. და ესე აქამომდე იყავნ, და ესრეთ სისრულედ ყოველთა სათნოებათა მიწევნულობასა მისსა, ყოველთა მომთხრობელ იყავნ.

ხოლო საღმრთოჲსა შურისათჳს და მართლმადიდებლობისა შრომათა და ოფლთა მრავალ არიან და სხუანიცა მისნი წარჩინებულებანი, გარნა რომელსა აწ სიტყუაჲ თქუმად მოსწრაფე არს, და რომლისა მიმართ შემდგომი წესი თხრობისაჲ მიიწევის, უბრწყინვალეს და უსახარულევანეს ყოველთასა არს, რამეთუ აქუს სახე ესევითარი:

აპოლინარი, რომელმან სიმაღლედ მიმართ მრავალი სიცრუვე აღმოთქუა და იწუართა, რამეთუ ყოველსავე სიტყუასა და საქმესა გარდამაქცეველსა მართლისა სარწმუნოებისასა წურთილ იყო, და მართალი[2] ჭეშმარიტებისა სარწმუნოებაჲ ბოროტად განეახლა, რამეთუ მიმსგავსებულ იყო მუცლით-მეზღაპრეთა და ქუეყანით-მკმობელთა, ვითარცა-იგი დიდი ესაია კმამაღლად იტყჳს ესევითართათჳს, ესრეთ ნებისაებრ თჳსისა აღმოთქუა, და აღმოთქუმული იგი ორთა წიგნთა შინა თჳსთა აღწერა, და წიგნნი იგი (440vA) დედაკაცსა ვისმე არწმუნნა, რომელი-იგი მისისავე ნებისა და გულისთქუმათა მისთა მონად ითქუმოდა.

1 უშორველად A. 2 მრავალი A.

ესე რაჲ ესმა ნეტარსა ეფრემს, სანადიროდ თჳსსა შეჰრაცხა საქმე იგი, არა განმარტებულად, არამედ ჴელოვნებისა სიბრძნისა სახითა, და შეიცვალა, ვითარცა ერთი მათგანი და წვალებისა მის ბოროტისა თანამზრახვალი, და ესრეთ წიგნთა მცველისა მის მივიდა, და ვითარ-თუმცა უდაბნოჲთ მომავალ იყო, კურთხევასა მიუძღუანებდა, ამას თანა კუალად, რაჲთა სახლეულ და ჩუეულ იქმნას დედაკაცისა მის, ვითარმედ ზიარებაჲ აქუს მათ ურთიერთას, ვითარცა მოწაფეთა ერთისა მოძღურისათა.

ვინაჲთგან უკუე ნებისაებრ თჳსისა პოვა, ვითარცა-იგი მას ენება, და სახისა მის თჳსისა შეცვალებაჲ კეთილად განემარჯუა.

და ესრეთ, ირწმუნა დედაკაცმან მან, ვითარმედ ერთი აპოლინარის მოწაფეთაგანი არს იგი და თანაზიარი ბოროტისა მის კრებულისა მისისაჲ.

უწყოდა წმიდამან წიგნთა მათ ყოფაჲ დედაკაცისა მის თანა. ამისთჳსცა ევედრებოდა და ეტყოდა, რაჲთა მოსცნეს მას აღწერილნი მოძღურისანი, რაჲთა მათ მიერ აქუნდეს ძალი სიტყჳსგებისაჲ მწვალებელთა მიმართ. ესრეთ, რომელთა-იგი ძალად ჩუენდა მომართ ბრძოლისა ეძიებდა, უფროჲსღა ძალად და შესაწევნელად ჩუენდა მოიღებდა, კეთილად და ფრიადცა შესაწევნელად ჩუენდა.

ხოლო დედაკაცი იგი ბრძნითა მით და სარწმუნოჲთა ჴელოვნებითა წმიდისაჲთა შეტყუვილ იქმნა, და წიგნნი იგი ჴელთ-უსხნა მას. და ესე ხოლო ამცნო, რაჲთა კუალად-აგნეს მისსავე, და მსწრაფლ მიართუნეს მას.

მაშინ დიდმან ამან იაკობ საძაგელი იგი განწიხნა ესავ, და ბოროტი რაჲ პირმშოებისა მისისაჲ ჴელთ-იგდო, მჴნედ შეიპყრა უკეთური იგი და მახითა სიტყჳსაჲთა კეთილად მოინადირა მელი იგი. (1) (441r)

ვინაჲცა ამიერითგან შენ იხილე ყოვლადბრძნისა მის გონიერებაჲ, თუ ვითარ ფრიადითა მით სიფრთხილითა სულისაჲთა და ღონისძიებითა ერთბამად აღვსებულ იქმნა, რამეთუ ვი-

(1) იხ. დაბ. 25,27-34; 27,1-40.

ნაჲთგან თითოეულისა სიტყჳსა განრჩევად და წინააღმდგომისა მათისა მოპოვნებად და ამის ესევითარისა მეტყუელებისათჳს ენისა განმზადებად, დაკჳსნად ყოვლისავე და გარდაქცევად, დაღაცათუ ფრიად ადვილად შემძლებელ იყო, გარნა არა მცირედი ჟამი ეკმარებოდა ამის ყოვლისა ყოფად, არამედ ფრიადი სიგრძე დღეთაჲ და უმრავლესი შრომაჲ ჴელთაჲ, რომლისა ყოფად შემოკლებული იგი ჟამი არა უტევებდა, რამეთუ დედაკაცი იგი წიგნთა მათ ასწრაფებდა, და სწრაფასა თანა საქმისასა განგებულებაჲცა უკმდა წმიდასა მას, რომელიცა-იგი ყო. და განახუნა წიგნნი იგი და თითოეული[1] ფურცელი განჰმარტა, და სცხო მათ წებოჲ თევზისაჲ, რაოდენი კმა-ეყოფვოდა თითოეულსა, და მერმე ერთბამად შეაერთნა, და მრავალჟამ იპყრნა ჴელითა თჳსითა, და ძლიერად შეკრნა იგინი, ვიდრემდის ყოველი იგი სიმრავლე ფურცელთაჲ ერთ იქმნა, ურთიერთას შეწყობითა და შეერთებითა. და არა განეშორებოდეს ყოველნივე ურთიერთას, და ესრეთ მისცნა იგინი დედაკაცსა მას.

ხოლო მან, მიიხუნა რაჲ იგინი, არა განიხილნა შინაგან, არცა ყოვლადვე განახუნა. ესე ხოლო კმა-იყო, რამეთუ მრთელად და გებულად გარეთ დაცულ იყვნეს, ვითარცა-იგი პირველ იყვნეს.

და ესრეთ, რაოდენთამე ჟამთა ისხნეს წიგნნი იგი დედაკაცისა მის თანა. ხოლო შემდგომად რაოდენისამე ჟამისა მოწოდებულ იქმნა აპოლინარი მართლმადიდებელთაგან, და თჳთ ამის ყოვლად-ნეტარისა ეფრემისგან, რამეთუ თჳთ მებრვე ქრისტეს მიერ განბრძნობილისა სულისა და ყოვლად-მეცნიერისა გონებისა მისისაჲ იყო საქმე ესე, (441v) რომელმან-იგი უწყოდა, რაჲ-იგი შეემთხჳა მას განდრეკილებისა მეტყუჩლთა მათ წიგნთა მისთადა.

მოყვანებულ უკუე იქმნა აპოლინარი წმიდისა მის, ვითარცა წინამძღურისა და ყოველთა მოძღურისა. ხოლო იგი, რამეთუ მოხუცებულ იყო, სიბერისა სენთა მიერ ძჳრხილულ, თავისა თჳსისათჳს აღიარა, ვითარმედ ვერ შემძლებელ არს სიტყჳსგე-

1 თჳთოეული A 79 (გადამწერს გამორჩენია ამ სიტყვის დასაწყისი ორი ასო, და მოგვიანებით ჩაუმატებიათ).

ბად. ხოლო წიგნთა მიმართ თჳსთა მიიხილა და მეყსეულად მოღებაჲ მათი უბრძანა, და თქუა ესრეთ, ვითარმედ: ამათ მე, ვითარცა პირმან, სიტყჳსა მმსახურედ".

ესე რაჲ თქუა, არა ინება სიტყჳსა ვისსა მიცემად წიგნთა მათ, არამედ თჳთ თავით თჳსით დიდითა სილაღითა და კადნიერებითა ჴელ-ყო განღებად დასაბამსა წიგნისასა.

ხოლო იგი არა ერჩდა, და არცა ერთსა ფურცელთაგანსა აღებად შეუნდობდა, არამედ თჳსსავე მიმართ მიიზიდვიდა, ვითარცა ერთად გუამად შენაწევრებული.

კუალად საშუალსა ადგილსა ჴელ-ყო განღებად. ვინაჲთგან უკუე[1] მუნცა ჴუებულ იქმნა სასოებისაგან, ერთი იგი წიგნი დაუტევა და მეორე ჴელად მიიღო, ხილვად, ნუუკუე[2] მისდაცა ეგრეთ შემთხუეულ[3] იყოს, მსგავსად პირველისა მის. ხოლო მირაჲ-იღო, პოვა ეგრეცა ეგრეთვე შეერთებული და განუყოფელად შემტკიცებული. ვინაჲცა ფრიადითა განცჳბრდა უპოვარებითა და სიბნელითა სულისაჲთა აღვსებულ იქმნა გულისწყრომისა მიერ და სირცხჳლისა, და ვითრცა რაჲ მძაფრითა ვნებითა შეპყრობილი, მყის აღდგა კრებისა მისგან, რამეთუ ვერ შეუძლებდა თავსა თჳსსა დამჭირვად ფრიადისა მკსინვარებისაგან, და დასასრულსა ბოროტად წარწყმდა. და ნაყოფად თჳსთა მათ სიდრკუისა შრომათა და სიცრუისა წიგნთა, სიკუდილი მოისთულო. (442r)

ესევითარი იყო ქრისტჱსთჳს[4] შური ეფრემისი, და ესრეთ სულსა შინა მისსა ყოველნი სათნოებანი დანერგულ იყვნეს. ვინაჲცა, უკუეთუ ვინ წყაროდ შუენიერად[5] უწოდდეს მას თითოსახეთა წყალთა შუენიერ[6] აღმომაცენებელად; გინათუ მტილად, თითოფერთა ვარდთა გამომღებელად; გინათუ სხუად ცად ქუეყანასა ზედა, სიმრავლითა ვარსკულავთაჲთა ყოვლით-კერძო განშუენებულად. და, ენებოს თუ ვისმე, — და სამოთხედცა, ვითარცა-იგი ედემისათჳს გასმიეს, აღმომაცენებელისა და დაუჭნობელისა, რომლისა სახედ ესეცა ბრწყინვალე იყო და არასადა დაჭნობილ, არამედ მცირეთა მიერ ნაყოფთა დაულევნელთა

1 უკუჱ A. 2 ნუუკუჱ A. 3 შემთხუჱულ A. 4 ქრისტესთჳს A. 5 შუჱნიერად A. 6 შუჱნიერ A.

მარადის განშუენებულ, რომელი-იგი გუელისაგან ხოლო უვალ იყო, ბოროტისა მის და მოშურნისა და ცხორებისა ჩუენდა დამაჭირვებელისა.

არამედ ჟამი არს აწ, რაჲთა აღსასრულისა მიმართ მივიყ-ვანოთ ეფრემისთჳს თხრობილი ესე. ვინაჲცა უსაჭიროეს არს მისისა მის აღსასრულისა მიმართ მისლვად, რომლითა-იგი უზ-ეშთაესსა შეეერთა მადლსა, და არსებითსა მას წარმოუდგა ბრწყ-ინვალებასა, რამეთუ, რაჟამს-იგი ეგულებოდა მას, რაჲთა უკუ-ანაჲსკნელი მიითუალოს აღსასრული, და მოახლებულ იყო ჟამი მიცვალებისა მისისაჲ, ამცნებდა იგი არა დამარხვად მისსა, ვითარ-იგი სიტყუამან ზემორე განაცხადა, და უბრძანებდა, რაჲ-თა არავინ შეჰმოსოს მას სამოსელი მრავალსასყიდლისაჲ, და ეტყოდა ესრეთ: „უკუეთუ ვინმე არს შვილი მამის მოყუარე, და ესევითარი იგი სამოსელი ჩემთჳს განუმზადებიეს, აჰა ესერა, ვამცნებ მევე, რაჲთა ჩემთჳს დასაფლველად შემზადებული იგი მისცეს შესამოს(442v)ლად გლახაკთა და მოქენეთა წყალობისათა“.

ესევითარითა მცნებითა ნეტარი იგი შემოკრებულთა მათ ამცნებდა. ხოლო იყო ვინმე ერთი მათგანი, და ესე წარჩინებული და მთავართაგანი, მჯურვალე სარწმუნოებითა, რომელსა შესა-მოსელი მრავალსასყიდლისაჲ განემზადა, რომლითა ეგულებოდა შემდგომად სიკუდილისა შემოსაჲ წმიდისაჲ მის, რომელსა-იგი რაჟამს მცნებაჲ მისი ესმა, შეწუხნა სულითა, რამეთუ რომელი-იგი განეზრახა ყოფად, არა განემარჯუა, და სამოსლისაჲ მის მიცემაჲ გლახაკთაჲ არა სათნო-უჩნდა, არამედ რეცა უმჯობე-სად განეზრახა, რაჲთა ფასი შესამოსლისაჲ მის მისცეს გლახაკთა.

და ესე რაჲ ჰგონა, უმეცრებით უგუნურ იქმნა, რამეთუ ამისსა ვერ უძლო გულისჴმისყოფად, ვითარმედ უფროჲსღა ამით სახითა გამოჩნდეს მიმცემელად ეფრემისსა, უკუეთუ ნები-თა მისითა და მორჩილებითა სიტყუათა მისთაჲთა მისცეს იგი გლახაკთა, ვიდრეღა რაჟამს თჳსითა ნებითა შეჰმოსოს იგი წმი-დასა მას. ხოლო უკუანაჲსკნელ გულისჴმა-ყო ვნებაჲ იგი, გან-მზადებულებითა წურთილებითა მსწრაფლ მის ზედა მოწ-ევნულისაჲთა. რამეთუ ბოროტისა მტერისა მიერ შეპყრობილ იქმნა, და არათუ საქმისათჳს, არამედ გულისსიტყჳთ მოგონებ-ისა დასჯილ იქმნა. ვინაჲცა წინაშე თუალთა მათ მხედველთაჲ-

სა თავი თჳსი დააგდო წინაშე ცხედარსა მას წმიდისასა, განჰფენდა ჴელთა, იქცევდა თუალთა და უგუნურად აღმოჰნერწყუვიდა პირით, და სხუაჲ რაოდენი შეჰგავს საქმედ მძლავრებასა სიბორგილისასა, რამეთუ საღმრთოჲსა განგებულებისაჲ იყო საქმე ესე, ამისი მიცემაჲ წურთილებად, რაჲთა უფროჲსღა სარწმუნოებით ისწაოს (443r) მორჩილებაჲ მამულისა მის მცნებისაჲ.

რაჲ-მე უკუე[1] ყო დაფარულთა მცნობელმან მან და საღმრთოჲთა სულითა მეტყუელმან?[2] — გულისჴმა-ყო ვნებაჲ იგი, ვითარმედ ნაყოფი არს ცოდვისაჲ. მიუგო და ჰრქუა ვნებულსა მას, ვითარმედ: რაჲ არს იგი, რომელ ჰყავ, ჶ კაცო, განზრახვაჲ უჯეროებისაჲ და გულისსიტყუაჲ უწესოებისაჲ, რომლისა მიერ ეგევითარსა შთაჰვარდი ცთომილებასა და ბოროტსა მიეცი გუემულებასა?

ხოლო კაცი იგი რაჟამს ვნებულებისაგან კუალად-ეგო, აღიარა უჯეროებაჲ იგი, და განაცხადა ურჩებაჲ იგი, და ამხილა გულისსიტყჳსა თჳსისა ცთომილებასა.

მაშინ ნეტარი ეფრემ ვნებულსა მას მოწყალე ექმნა, და აღსაარებაჲ მისი მიითუალა. და ლოცვითა ხოლო და ჴელთა თჳსთა წმიდათა შეხებითა ბოროტი იგი ეშმაკი განჴადა, და უბრძანა, რაჲთა აღასრულოს მცნებაჲ იგი, ბრძანებული მისდა. ესრეთ ყოვლად-ქებულმან ეფრემ აღსასრულსა ცხორებისა თჳსისასა ესევითარითა დაჰბეჭდა საკჳრველებითა.

ამისსა შემდგომად ასწავა მუნ მყოფთა მათ, განაზრახა და არწმუნა, და ჯერისაებრ მოქმედებად სათნოებათა აღადგინნა. და ესრეთ, მერმეთა მათ საყოფელთა მიიცვალა და ბრწყინვალებასა მას უფლისასა შინაგან შეწყნარებულ იქმნა ქრისტეს იესუჲს მიერ, უფლისა ჩუენისა, რომელსა შუენის[3] ყოველივე დიდებაჲ და პატივი და სიმტკიცე, თანადაუსაბამოჲთ მამით და ყოვლადწმიდით და სახიერით და ცხოველსმყოფელით სულითურთ, აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე, ამენ.

---

1 უკუწ A. 2 მეტყუწლმან A. 3 შუწნის A.

შესხმაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა ეფრემ ასურისაჲ, თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ნოსელისაჲ, რომელი[1] იკითხვების დღესასწაულსა მისსა*

1. აღმძრავს მე წინამდებარისა ამის პირისა მიმართ საიდ-უმლოჲ იგი სანთლისაჲ,[2] წმიდათა სახარებათა შინა აღწერ-ილი, და აღჯრითა დუმილისაჲთა შეკრულსა ენასა ჩემსა და კმასა განჰკსნის მსახურებად სიტყჳსა, და გზათა გულისკმის-ყოფისათა, ვითარცა ალაგთა ცხენთსარბიელთა, წრფელ ჰყოფს, და სიტყჳსა მრავალსახესა ეტლსა საეროთა გზათა ზედა სრბად აიძულებს[3] ბრწყინვალითა მით ოხრითა თჳსითა. ესე იგი არს, ვითარმედ: „არა აღანთიან სანთელი და კჳმირსა ქუეშე დადგიან იგი, არამედ სასანთლესა ზედა, რაჲთა ჰნათობდეს ყოველთა, რომელნი იყვნენ სახლსა შინა“, (1) და შემდგომითა მით სიტყჳთა სიღრმესა მას ძალისა მისისასა გამოაცხადებს და იტყჳს, ვითა-რმედ: „ესრეთ ბრწყინევდინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა, რაჲთა იხილნენ საქმენი თქუენნი კეთილნი და ადიდებდენ მამასა თქუენსა ზეცთასა“, (2) აწ უკუე, ვინაჲთგან კეთილად ცხორებულთა საქმე-ნი სადიდებელ არიან ღმრთისა, და სათნოებათა მათთა საანჯმნო-ყოფაჲ თანანადებ არს, სიტყჳსაებრ უფლისა, არღარა არს მიზეზი მოშიშებისა მიერ დაფარვისა მათისაჲ, რომლისათჳს უფალმან კადნიერებაჲ გუამცნო, რომელმან-იგი[4] ესრეთ შუენიერად და მზ-ისა მცხინვარებისა უბრწყინვალეს აღანთო სულიერი იგი ლამპარი საღმრთოჲსა ამის მამისა ჩუენისა მოქალაქობისაჲ; არცა ჰნებავს, რაჲთამცა დუმილისა კჳმირსა ქუეშე დაიფარა, არამედ რაჲთა სასანთლესა ზედა ეკლესიისა სამყაროჲსასა დაიდგას და ყოველთავე სოფელსა ამას შინა მყოფთა უნათობდეს, რაჲთა მხილველნი იგი მისნი ადიდებდენ მამასა მას ზეცათასა.

---

* ტექსტი დადგენილია ოთხი ხელნაწერის მიხედვით: Ath.49 (A), A55 (B), A108 (C), Ath.14 (D) (ვარიანტებს აღვნიშნავთ ABCD ასოებით, შესაბამისად).

1 რომელი-ესე A. 2 ჯერ ეწერა „ნ˜თლისაჲ“, შემდეგ ჩაუმატებიათ „სა“ B. 3 აჲძულებს A. 4 რ˜ნი-იგი (?) B.

(1) მათე 5,15; მარკ. 4,21; ლუკა, 8,16; 11,33. (2) მათე 5,16.

2. ვინაჲცა არღარა ჯერ-არს შიში მამებრივთა მათ საკრველთა მის(vB)თაგან, რაჟამს სამეუფოჲ შჯული დაიტკებნებოდის, არამედ უფროჲსღა მათ მიერ ჯერ-არს დასაბამსა შესხმისასა დაწყებაჲ; დაღაცათუ ჩუენ მიერი ესე წესი სიტყჯსაჲ ღირსად შესხმისა მისისაგან ფრიად ნაკლულევან არს; რამეთუ უკუეთუ ვინმე გონიერად გულისკმა-ჰყოფდეს ძალსა საქმეთასა, არა არს ესე საკრველი დამაყენებელ შესხმათა, რაჟამს[1] დიდებასა ვინ კაცთასა ევლტოდის და განიშორებდეს, არამედ ესევითარი ესე საკრველი არს შეუკრავი, დაყენებაჲ დაუყენებელი, და წინაუკუმოთა[2] საქმეთა მიმართ აღმძრველი ჭეშმარიტებისა ტრფიალთაჲ.

3. რამეთუ რომელთა საკრველთა მიერმან შესხმათა ჩუენთაგან სივლტოლაჲ მოიგონა, მათ მიერ მოვიღებთ ჩუენ ძალსა და მიზეზსა შესხმათასა; რამეთუ ყოველნივე სათნოებანი მისნი მიზეზსა შესხმისასა მოგუცემენ, და უფროჲს ყოველთასა ესე, რომელ არს სივლტოლაჲ შესხმათაგან და ქებათა, რამეთუ ენება ნეტარსა მას, რაჲთა არა საგონებელ იყოს სათნოდ, არამედ რაჲთა იყოს ჭეშმარიტებით სათნო.

და დაღაცათუმცა სხუაჲ არაჲ ექმნა ღირსი ქებისაჲ, თჯთ მებრ ამისთჯს ღირს იყო შესხმისა, რომელ ესოდენ მოიძაგნა შესხმანი, ვიდრეღა საკრველი კრულებისაჲ განაწესა ბეჭდად ესევითარისა მის ჴელ-ყოფისა, ხოლო ჩუენ ესე განგჯღებს პირველსა შესავალსა სიტყუათა სტადიონისასა და გულსავსე-გუყოფს, რაჲთა არა განუკრძალველად ვრბიოდით, არცა კაპანთა შთავიბნეოდით, არამედ რაჲთა სამეუფოსა გზასა ვიდოდით და გონიერად აღვსწონდეთ საქმეთა. რამეთუ უკუეთუმცა საკჯრველი ესე კაცი ღმრთისაჲ საქებელთა ღირსსა რასმე საქმესა არა ხედვიდა თავსა შორის თჯსსა, არამცა დააყენნა შესხმისაგან, რომელთა-იგი ენება შესხმაჲ მისი, რამეთუ არავინ არს, რომელსამცა საწუთროსა ამას შინა ღირსნი ქებისა[3] საქმენი არა ექმნნეს და იგიმცა შემდგომთა[4] თჯსთა ამცნებდა სიღრმითა დავიწყებისაჲთა ჴსენებისა თჯსისა უჩინო-ყოფასა.

4. და ამის თანა ამასცა გულისკმა-ვჰყოფთ, ვითარმედ ვითარცა-იგი პავლე, რიტორმან მადლისამან და ეზოჲსმოძღუარ-

1 რ˜ჟ A. 2 წინაუკმოთა A. 3 ქებისანი B. 4 შ˜დგომთა (?) A.

მან ეკლესიისამან და პირმან ქრისტესმან არა წარწყმიდა სახელი მოციქულებისაჲ, სიტყჳსა ამის მიერ, რომელ თქუა, ვითარმედ: „არა ღირს ვარ წოდებად მოციქულად“, (1) არამედ უფროჲსღა ესევითარისა ამის სიმდაბლისა მიერ უაღრესი დიდებაჲ განიკუთნა, ეგრეთვე დიდმან ამან მამამან ჩუენმან, ვინაჲთგან შიშისათჳს ღმრთისა ულირსად შესხმათა საჯა თავი თჳსი, ჯეროვნად არა ჴუებულ იქმნა შესხმისაგან წესისაებრ და შჯულისა საეკლესიოჲსა, რომელი-იგი ესევითართა სათნოებისა მუშაკთა, შესხმით გჳრგჳნოსან ჰყოფს; და უფროჲს[ღა] რომელნი სიმდაბლისა მიერ სიმაღლედ სათნოებისა აღვიდეს სიტყჳსაებრ უფლისა, ვითარმედ: „რომელმან დაიმდაბლოს თავი თჳსი, იგი ამაღლდეს“. (2)

5. ვინაჲცა ამიერითგან თავისუფალ ვართ ყოვლისავე კრძალვისა და ბრალობისაგან და საშჯელისა, რომელნი-ესე წმიდისა ამის და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა სათნოებათა აღვსწერთ, და ვითარცა ძეგლსა სულიერსა და ცხოველსა ცხორებასა მისსა სახედ კეთილისა ყოველსა სოფელსა აღუმართებთ. (vA) და სიტყუათა ამათ ჩუენთა ჭეშმარიტებაჲ, ბრძენმან მსმენელმან განცხადებულად პოვოს, (335rB) [უკუეთუ] სიტყუათა ჩუენთა უკუანა შეუდგეს, და სათნოებანი იგი მისნი პირად-პირადნი გულისკმის-ყოფით ყურად-იხუნეს, რომელთა მიერ თჳთ იგი ჩუენცა, ვითარცა ერთსა რასმე ოქრო-განრჩუნვილსა გჳრგჳნსა, პირად-პირადად აღყუავებულსა და თუალთა მიერ მრავალსასყიდლისათა შემკობილსა, სძალსა ქრისტესსა ეკლესიასა მიუძღუნებთ. რამეთუ იხარებს იგი ესევითართა მადლთა მიერ პატივ-ცემასა და სტუმრებასა, რაჟამს ჴსენებასა მართლისასა შვილთა თჳსთა თანა წლითი-წლად ქებით აღასრულებდეს.

რამეთუ აჰა ესერა მოქცევსა შინა თჳსსა წელიწადმან ჴსენებაჲ ეფრემისი საქებელად და შესასხმელად წინა-გჳყო, და ვინმცა არა შეიწყნარა იგი სიხარულით, ეფრემ, რომელსა-იგი ყოველნი ქრისტიანენი[1] მიუთხრობენ.

1 ქ˜ეანენი AB.

(1) I კორ. 15,9. (2) მათე 23,12; ლუკა 14,11.

6. ეფრემს ვიტყჷ ასურსა, [რამეთუ რომლისა] სათნოებათა-თჷს ვიქადი და შევიმკობვი, მისთა ნათესავთა ჴსენებაჲ არა მრცხუენის. ეფრემ, რომლისა ცხორებისა და ხედვისა ნათელი ყოველსა სოფელსა განბრწყინდა და ყოველი ქუეყანაჲ, რაოდენ-იცა არს მზესა ქუეშე, დაიპყრა და ყოველთა მიერ საცნაურ იქმნა, და ესოდენთა შორის ხოლო არს უცნაურ, რაოდენთა შორის დიდი იგი მნათობი ეკლესიისაჲ[1] ბასილი უცნაურ არს. ეფრემ, გონიერი იგი ევფრატი ეკლესიისაჲ, რომლისა მიერ ირწყვის სავსებაჲ მორწმუნეთაჲ და ასეულად აღაორძინებს თესლსა სარწმუნოებისასა; ეფრემ, მრავალნაყოფიერი იგი საღმრთოჲ ვენაკი, რომელი მსგავსად ტკბილთა ტევანთაჲსა ყუავის ყუავილითა მოძღურებისაჲთა და შვილთა ეკლესიისათა, ღჷნითა საღმრთოჲსა სიყუარულისაჲთა ახარებს; ეფრემ, კეთილი იგი და სარწმუნოჲ განმგე მადლისაჲ, რომელი-იგი საზრდელსა სათნოებათასა, შემსგავსებულად კაცად-კაცადისა მის-თანათა მათ მონათა ჯერროვნად[2] განუყოფს და სახლსა მას სამეუფოსა ღმრთივბრწყინვალედ განაგებს, რომლისა ნათესავთა და მამულსა, და ჰან-ჰაპთა დიდებასა და მშობელთა წარჩინებ-ულებასა, და შობასა და აღზრდასა და ჰასაკისა აღორძინებასა და კორციელსა კელოვნებასა და სიმარჯუესა, და გუარსა, და ნეშტთა მათ საქმეთა, რომელთა გარეშენი იგი შემასხმელნი და მეზღაპრენი შეჰკრებენ და მათ მიერ ქებულთა მათ შესხმასა შეუმზადებენ, მოკსენებაჲცა მათი და შორის-შემოღებაჲ ნამეტ-ნავად შევჰრაცხეთ, რამეთუ არა ესევითართაგან გჷსწავიეს ჩუენ საღმრთოთა კაცთა ქებაჲ, დაღაცათუ ნამეტნავად და გარდ-არეულად აქუს მას ამათ ესევითართა პირთაგან ღირსი და სარწმუნოჲ ძალი შესხმისაჲ, არამედ რომელთა საქმეთა მიერ თჷთ მან თავსა თჷსსა ქებაჲ მოატყუა და ცხორებაჲ თჷსი სიტყჷთ და საქმით სახელოვან ყო და განთქუმულ, მათ მიერ ჩუენცა შესხმისა გჷრგჷნი შეუთხზნათ მას სიტყუათა მიერ ჩუენთა.

7. რამეთუ საწუთრონი ესე და კაცობრივნი და თჷთმფლო-ბელობისა მიერნი შესხმანი და ქებანი, მსგავსად გმობათა და

1 ეკლესიისა A. 2 ჯერროვნად B.

გინებათა, სწორებით განთხეულ არიან შესხმისაგან წმიდათაჲ-
სა, რამეთუ ვითარმცა თავს-იდვა ამან ტომთა და ნათესავთა
მიერი ქებაჲ, რომელმან ყოველივე მსოფლიოჲ დიდებაჲ მოიძა-
გა და შვი(vB)ლებაჲ ღმრთისაჲ საქმეთა მიერ კეთილთა უფროჲს
ყოვლისა აღირჩია. ანუ, ვითარ შეიმკოს მამულისაგან, რომელ-
მან ყოვლისა ქუეყანისაგან უცხო ყო თავი თჳსი და ნივთიერთა
მონაგებთა, ვითარცა მტერთა, განეშორა ცათა შინა განმზადებუ-
ლისა მისთჳს უოხჭნოჲსა ნეტარებისა.

ანუ თუ კუალად, ვითარმცა შუენიერ უჩნდა მშობელთა და
ჰან-პაპთა და პირველთა მამათა მიერი პატივი და წარჩინებულე-
ბაჲ, რომელმან ყოველივე კორციელი[1] განსუენებაჲ, ვითარცა
თიკაჲ[2] უბნისაჲ, ესრეთ დათრგუნა და საბურველიცა ესე კო-
რცთაჲ, რომლითა სული შემოსილ იყო, მძიმე და საწყინო
უჩნდა, ვითარცა დამაბრკოლებელი სათნოებათა სარბიელისაჲ;

ანუ თუ ყოვლადვე[3] ვითარმცა თავს-იდვა შესხმაჲ კორცი-
ელისა ზრდილობისაგან, გინა ჰასაკისა, გინა გუარისა, გინა
ჴელოვნებისა, ანუ თუ სხუათა რათმე ამაოთა და ცუდთა საქმეთა-
გან, რომელი-იგი სიჩჩოჲთ თჳსითგან აღიზარდა და აღორძნდა
წურთასა შინა საღმრთოთა წერილთასა და მოირწყო მადლთა
დაუწყუედელითა ნაკადულითა, და ჰასაკად სავსებისა ქრისტე-
სისა მიიწია, სიტყჳსაებრ მოციქულისა. (1)

8. ვინაჲცა, ვინაჲთგან ესე უწყით ჩუენ, რომელ ესევითარ-
თა შესხმათა მიერ არა მხიარულ იქმნების დიდი ესე მამაჲ
ჩუენი, ვითარცა კორციელნი იგი საკიცხელთა მათ და ცუდთა
ქებათათჳს, ამისთჳს თჳთ მათვე მისთა შრომათაგან მცირედი
რაჲმე შესხმაჲ მისი [ჴელ-ვ]ყოთ, რამეთუ არა აქუს სიტყუასა
ბუნებაჲ, უმეტეს ძალისა თჳსისა განრთხმად.

აწ უკუე, რაჲთა არცა სურვილი ჩუენი [გა]რდარეულებითა
შესხმათაჲთა შეიკრას, და არცა კუალად უცხოთა ალაგთა მამა-
თა ჩუენთასა ვიდოდით და სამეუფოჲსა გზისაგან შევსცთეთ
უწესოდ მიმოკუეთებითა, მოკლეთა სიტყუათა მიერ ვაჩუენოთ
ჴელოვნებაჲ ჩუენი. (45rA)

---

1 კორციელი A, კორციელებრი B. 2 თიხაჲ A. 3 ყ˜დვე B, ყ˜ლდვე A.
(1) შდრ. ეფეს. 4,13.

9. და რაჲ-მე არს ესე, რომლისა მიერ გუნებავს შეთხზვაჲ ქებისა მისისაჲ? — ესე იგი არს, საქმე და ხედვაჲ, [რომელთა][1] ყოველივე მწყობრი სათნოებათაჲ შეუდგს თითოეულად, რომელ არს სარწმუნოებაჲ, სასოებაჲ და სიყუარული და კეთილადმსახურებაჲ ღმრთისა მიმართ, წურთაჲ წიგნთა საღმრთოთაჲ; განწმედაჲ სულისა და ჯორცთაჲ, ცრემლნი დაუწყუედელნი, უდაბნოთა შინა მოქალაქობაჲ, ადგილითი-ადგილად სივლტოლაჲ, განშორებაჲ და უცხო-ყოფაჲ სავნებელთაგან, მოძღურებაჲ დაუდუმებელი და ლოცვაჲ დაუსრულებელი, და მარხვაჲ და მღჳძარებაჲ უსაზღვროჲ, ჯმელსა ზედა წოლაჲ და ღუაწლმრავალი ცხორებაჲ, უაღრესი ძალსა სიტყუათასა, და უპოვარებაჲ და სიმდაბლე, ზეშთა აღმაღლებულნი; მოწყალებაჲ, კაცთა ბუნებისა აღმატებული, და შური საღმრთოჲ მართლმადიდებლობისა წინააღმდგომთა მიმართ და ცოფთა მწვალებელთა, და რ[აჲთა] მოკლედ ვთქუა, ყოველივე, რომლითა ხატად ღმრთისა გამოი[ს]ახვის კაცი, ესევითარითა შესხმითა განშუენდების ჩუენი ესე მამაჲ და მოძღუარი, და იცნობს სიტყუასა და უწყნის თჳსნი წარმატებანი და ისმენს ესევითარსა ქებასა, ვითარცა მიზეზსა სარგებელისასა, არა თუ მისსა, არამედ ჩუენსა, რამეთუ სახელისაცა ხოლო მისისა მოჯსენებაჲ მიზეზ სათნოებისა ექმნების მოსწრაფესა,[2] და რამეთუ სათნოებათა მისთა მითხრობაჲ არათუ[3] სხ[ჯთ სა]დაჲთმე[4] გჳსწავიეს ჩუენ, არამედ მისთავე მათ თქუმულთაგან, რომელნი-იგი თჳსთა მათ წიგნთა შინა განსთესნა (336rB) მან. ხოლო ჩუენ, ვითარცა საქებელმან ფუტკარმან, (1) მრავალფერთა მათ თქუმულთა მისთაგან[5] შევკრიბეთ სიტკბოებაჲ და პირად-პირადთა მათ ყუავილთაგან სულიერი ესე გოლეული შევჰმზადეთ.

10. და უწყი, რამეთუ არა განმირისხნეს ჩუენ ამის ჯელყოფისათჳს და რამეთუ არცაღა ეშინის მას უკეთურისა ეშმაკისაგან, რომელსა-იგი დასასრულსა მებრ სათნოებათასა მრავალნი დაუცემიან. რამეთუ ვინაჲთგან ერთგზის უღელვოსა მას უჯორ-

1 რომელთა + [...] B. 2 მოსწრაფეთა A. 3 არაჲთუ A. 4 სხუაჲ სადაჲთმე A. 5 მისგან B.

(1) ზირაქ 11,3.

ცოთა ნავთსადგურსა შევიდა, ზეშთა ქმნილ არს დამნთქელთა მათ[1] ღელვათა,[2] და ოხრათა[3] მისთაგან.

ვინაჲცა მოვედით, ზემოჴსენებულთა მათგან თითოეული[4] სათნოებაჲ უვრცელესად-რე მოვიჴსენოთ და თუ ვითარი იყო საკჳრველი ესე კაცი და თუ ვითარსა საზომსა სულიერისა სიმაღლისასა აღიწია, და შემოკრებულთა ამათ განცხადებულად უჩუენოთ და სახედ კეთილისა წინა-დაუგოთ.

11. სარწმუნოებაჲ უკუე აქუნდა მას ფრიად მართალი და მიუდრეკელი ღმრთისმსახურებისაგან,[5] ვითარცა-იგი წიგნთა მისთა აღწერილისაგან ვისწავეთ, რამეთუ სწორებით სძაგდა მას ს ა ბ ე ლ ი ო ს ი ს უპირული შერევნაჲ და ა რ ი ო ზ ი ს განცოფებული განყოფაჲ, და დამტკიცებულ იყო იგი შინაგან ღმრთისმსახურებისა საზღვართა, რამეთუ განჰყოფდა რიცხჳთა და შეაერთებდა ბუნებითა ერთსა მას და შეურევნელსა და ყოვლადწმიდასა სამებასა; რაჲთა არცა სიგლახაკე ჰურიაებრი ეყუედროს ღმრთეებასა, არცა სიმრავლე ღმერთთაჲ წარმართული შორის-შემოვიდეს; არამედ ორთავე მათ სწორებით ემხილოს უჯეროჲ იგი გმობაჲ ყოვლადწმიდისა[6] სამებისაჲ. ხოლო ა პ ო ლ ი ნ ა რ ი ს პირუტყულსა გმობასა ესრეთ წარიოტებდა, ვიდრეღა ყოველსავე სწრაფასა აჩუენებდა, რაჲთა ყოველთა ქრისტიანეთაგან[7] განკადოს იგი; და კუალად უსახელოთა, სიბრძნითა სავსეთა და წამებითთა[8] მათ თქუმულთა მისთა[9] მიერ, უაღჯროთა მათ პირთა დაუყოფდა; და მისნი იგი ღმრთივსწავლულნი სიტყუანი, დიდად სიმტკიცედ და სამოძღურებელად ჩუენდა დაუტევნა. ხოლო ნ ა ვ ა ტ ი ს ძლეულებაჲ უკუეთუ ვისმე ენებოს ხილვად, ეფრემის სიტყუათა კუეთებისაგან იხილოს, და ესეოდენი[10] გარდამატებულებაჲ ახოვნებისაჲ განიცადოს, რაოდენ იხილვების ყრმისა მცირისა და უძლეველისა გოლიათისაჲ. და არა ხოლო თუ მის ყოვლისა[11] ოდენ და პირველ-აღმოცენებულთა ბოროტთა მთესველისა მის წვალებისა ღუარძლნი მახჯლითა მით მარ-

1 „დამნთქელთა მათ“ A-ში ჩამატებულია სტრიქონზემოთ. 2 ეს სიტყვა ჩამატებულია სტრიქონზემოთ (B). 3 და ოხრათა] ოხრათა და ღელვათა B. 4 თჳთოეული A. 5 ღმრთისმსახურებისაგან + და B. 6 ყოვლადწმიდისა] წმიდისა B. 7 ქ˜ეანეთაგან AB. 8 წამებათა B. 9 მისთა] მის B. 10 ესოდენი B. 11 მის ყოვლისა] მძიმისა (?) A.

თლმადიდებლობისაჲთა მოთიბნა, არამედ შემდგომად მისსა და უკუანაჲსკნელცა გამოჩინებადთა მათ მწვალებელთა, საწინაჲ-სწარმეტყუელოჲთა [თუა(ლითა)][1] და სულითა, მგმობარნი იგი ენანი აღმოჰკუეთნა; და ამათ ესევითართა სახეთა მიერ და მოძღურებათა წიგნნი მისნი სავსე არიან და გარდაცემულ; და ესრეთ არარაჲ სადა მოიგონა, გარეშე ჭეშმარიტებისა, ძემან მან ჭეშმარიტებისამან და არცა აღმოჴდა გმობაჲ[2] ბაგეთა მისთა.

12. ხოლო სასოებაჲ ღმრთისა მიმართ ხოლო აქუნდა მხ-ოლოჲსა, რომლისა მიერ გამოვლენ ღირსთათჳს განმზადებულნი იგი სასოებანი მადლთანი, რამეთუ სიტყჳთ და საქმით და ცხ-ორებით სიტყუათა მათ ფსალმუნთასა იწურთიდა და იტყოდა, ვითარმედ: „მას ესვიდა გული ჩემი და შეწევნულ იქმნა“. (1) და ვინაჲთგან ესვიდა უფალსა, „წყალობაჲ უფლისაჲ გარე-მოადგა მას“, (2) და მისა[3] მიმართ სასოებამან მთასა სიონსა მიამს-გავ(vB)სა იგი. და არა ხოლო ესე, არამედ მაღალთა [მათცა შორის][4] ნეტარებისა მომგებელთა შორის დაადგინა იგი სასოე-ბამან, ვითარცა გუასწავებენ წინაჲსწარმეტყუელნი, რამეთუ იგივე დავით იტყჳს, ვითარმედ: „ნეტარ არს კაცი, რომლისა სახელი უფლისაჲ სასო მისსა არს“, (3) ხოლო იერემია, ვითარმედ: „კურთხეულ არს კაცი, რომელი ესავს უფალსა“. (4) და კუალ-ად, ვითარმედ: „და იყოს სასო მისსა“, (5) (vA) და კუალად, ვითარმედ: „იყოს იგი, ვითარცა ხე ბორობანი წყალთა ზედა და მწყურნებ[სა] შინა განირთხნეს ძირნი მისნი“. (6) და კუალად, ესაია იტყჳს, ვითარმედ: „უფალი მეუფე ჩუენდა, უფალი მაცხ-ოვარ ჩუენდა და მან თავადმან მიჴსნნეს ჩუენ“. (7) და კუალად, ვითარმედ: „აჰა, ესერა ღმერთი ჩუენი, აჰა, ესერა მაცხოვარი ჩუენი უფალი, და მე ვიყო მოსავ მისსა და ვცხონდე მის მიერ“. (8) და კუალად, ნეტარი პავლე გუამცნებს და იტყჳს, ვითარმედ: „გჳპყრიეს ჩუენ აღთქუმაჲ იგი სასოებისაჲ, და რამეთუ სარწ-მუნო არს, რომელმან-იგი აღმითქუა ჩუენ“. (9) ამით უკუე საღმ-რთოჲთა და მოსალოდებელითა სასოებითა იზარდებოდა, და

1 ეს სიტყვა B-ში ჩამატებულია აშიაზე, A-ში ბუნდოვნად ჩანს. 2 გმობაჲ — B. 3 მისსა A. 4 ეს სიტყვები A-ში ბუნდოვნად ჩანს.

(1) ფს. 27,7. (2) ფს. 31,10. (3) ფს. 39,5. (4) იერ. 17,7. (5) იქვე. (6) იერ. 17,8. (7) ეს. 33,22. (8) ეს. 12,2. (9) ებრ. 10,23.

ყოველნივე მსოფლიონი და საწუთრონი საქმენი შეურაცხ-ყვნა და საუკუნეთა მათ კეთილთა დღითი-დღე მოგებად ისწრაფდა.

13. და კუალად, სიყუარული ღმრთისა მიმართ და მოყუსისა ესრეთ გამოწულილვით დაიმარხა, ვიდრეღა მისთავე სიტყუათაგან ჯერ-არს, რაჲთა დავამტკიცო ესე და სარწმუნო ვყო, და რამეთუ ესე სხუათა ყოველთავე წამებათა უსარწმუნოეს არს; რამეთუ ეგულებოდა რაჲ ღმერთშემოსილსა მას ამიერ სოფლით მიცვალებაჲ, ესრეთ თქუა, ვითარმედ: „ყოველსავე ცხორებასა ჩემსა არასადა[1] ვაყუედრე უფალსა, [არცა ვგმე],[2] და სიტყუაჲ უჯეროჲ არა აღმოჴდა ბაგეთა ჩემთა, და ყოველსავე ცხორებასა ჩემსა არავინ დავწყევე და არცა ვის მორწმუნესა შეველალე სადამე ყოვლადვე“.

ეჰა, ნეტარი იგი ენაჲ, რომელი კადნიერ იქმნა ესევითარისა ამის ჴმისა აღმოთქუმად, რომელი-ესე ანგელოზთა ხოლო შუენის აღმოთქუმად უნივთოჲსა მისთჳს და შეუშფოთებელისა ცხორებისა მათისა! ხოლო ჩუენთჳს, რომელნი-ესე მონანი ვართ ჴორცთანი, უცხო არს და ზეშთა ბუნებისა, და შეუძლებელ წარმართებად, და ფრიად რაჲ დაშურე და განიხილნე ცხორებანი სათნოებათა შინა განთქუმულთანი, ვერსადა შეუძლო ესევითარისა ამის პოვნად, ვითარცა ჩუენისა ამის მამისა წინამდებარესა ამას თხრობასა შინა აღწერილ არს სასწაული წმიდისა მის და უზაკუველისა[3] სიყუარულისაჲ; ვინაჲცა, ვინაჲთგან ყოველთა სათნოებათა სიყუარული უაღრეს არს, (1) და ესე ესრეთ წარჰმართა ნეტარმან ეფრემ, ვითარ-იგი არავინ სხუამან მამათაგანმან, რაჲღა ჯერ-არს თქუმად? ხოლო მიიღოს კაცად-კაცადმან მსგავსად საქმეთა თჳსთა, რამეთუ ჩუენ ამიერითგან ესევითართა ამათ ჴდომითთა შესხმათაგან ვიჯმნით, რაჲთა არა გამოვჩნდეთ მამისა მამათა შემასწორებელად და მძაგებელად, და[4] რამეთუ არათუ საჴდომელად წარმოვთქუთ სათნოებაჲ წმიდ-

1 „ჩემს[ა შ˜ა (?) ა]რასადა“ — ეს ადგილი B-ში წაშლილია. მოგვიანებით მასზე გადაუწერიათ: [სისთა(დ)] (?). 2 „არცა ვგმე“ A-ში სტრიქონზემოთაა ბუნდოვნად დაწერილი. ეს ადგილი B-ში წაშლილია, შემდეგ ზედ სხვა ხელით გადაუწერიათ: „არცა აღდეგ მე“ (?). 3 უზაკუელისა B. 4 და — B (ეს სიტყვა A-ში ჩამატებულია სტრიქონზემოთ).

(1) შდრ. I კორ. 13,13.

ისა ეფრემისი, არამედ რაჲთა საცნაურ ვყოთ ყოველთა შორის, ვითარმედ თჳთ მას თავსა[1] სულიერთა სათნოებისა კიბეთასა[2] აღიწია მოძღუარი ჩუენი, და არა ხოლო თუ ჩუენი, არამედ ყოვლისა სოფლისაჲ.

14. ხოლო კეთილადმსახურებაჲ ჭეშმარიტისა სიბრძნისა მოგებითა მოივაჭრა, ვითარცა-იგი „იობსა“ შინა წერილ არს, ვითარმედ: „აჰა, ესერა კეთილადმსახურებაჲ არს სიბრძნე“, ვითარცა-იგი ზემო ვაუწყეთ, და მის მიერ სარწმუნოებისა მისისა სიმაღლე გამოვსახეთ, რომელთა მიერ, მსგავსად პავლესსა, სამ ცადმდე[3] აღიწია და უკუდავი კსენებაჲ და საუკუ(337rB)ნოჲ ნეტარებაჲ და დიდებაჲ ეკლესიისაგან დაიუნჯა.

15. და კუალად, წურთაჲ და ზრახვაჲ საღმრთოთა წერილთაჲ, ვითარცა ცეცხლი, ეგზებოდა გულსა მისსა, ვითარცა გალობს მეფსალმუნე, ვითარმედ: „ზრახვასა ჩემსა აღატყდეს ცეცხლი“, (1) რამეთუ ტრფიალებამან სულიერისა ხედვისამან აღატყინა იგი და საკუმილად აღმაღლებულად სურვილი[4] მისი აღამაღლა, რამეთუ ყოველნივე ძუელნი და ახალნი წერილნი დაისწავნა, ვითარ-იგი სხუამან არავინ; და სიღრმე მათი გამოიკულია და ყოველივე დაფარულებაჲ ძალისა მათისაჲ განჰმარტა ნათლითა სულისა წმიდისაჲთა, „დაბადებითგან“ ვიდრე სახარებადმდე, და არა ხოლო თუ ჩუენისა ამის და ღმრთივსულიერისა სიბრძნისა ყოველივე ღმრთივბრწყინვალე ბარძიმი აღმოიწრიდა და სხუათა უწდია, არამედ გარეშეცა და მსოფლიოჲ, რავოდენიცა[5] კეთილად მეტყუელებისა და გონებისა სიმახჳლისა და სიღრმეთა განმარტებისათჳს საკმარ იყო, კეთილად დაისწავა, და რავოდენიცა[6] რაჲ სარგებელი იპოებოდა მათ შინა, მოისთულო, და რაოდენიცა[7] რაჲ იყო მათ შორის ურგები და ამაოჲ, განიშორა და განსთხია და სასწორითა სიმართლისაჲთა და საქმითა და ხედვითა ერთბამად განმდიდრდა.

16. ხოლო სიწმიდე სულისა და ჯორცთაჲ ესოდენი წარჰმართა, რაოდენსა[8] დაიტევს ბუნებაჲ, და უფროჲსღა უაღრეს-

1 თავსა] თავადსა B. 2 კიბეთა B. 3 ცამდე B. 4 ჯერ დაუწერიათ „სურვილისა“, შემდეგ „სა“ წაუშლიათ (B). 5 sic. AB. 6 რავოდენიცა A, რაოდენიცა B. 7 sic. AB. 8 რავოდენსა A.

(1) ფს. 38,4.

იცა ბუნებისაჲ, რამეთუ მადლი საღმრთოჲ იყო ნიჭი ესე, რამეთუ არცა სული წესთაგან სიმართლისათა მიდრკებოდა და არცა ჯორცთა აუფლებდა შებრკოლებად, არამედ სულითა მეუფებდა ჭეშმარიტებით, ვითარცა შარავანდედი, ხოლო ჯორცითა ნათობდა და ბრწყინვიდა და ელვარედ კამკამებდა; და ეწამების სიტყუათა ამათ ჩუენთა მეძავი იგი, რომელი მის მიერ განათლდა, რომელი-იგი სამჭედურად სიბოროტისა მოიპოვა ბელიარ, კაცთმოძულემან და კაცისმკლველმან, და განათლებულისა ამის კაცისა მიერ ესოდენ განცრუვნა სასოებაჲ მისი, ვიდრეღა თჳთ მეძავი იგი მბრძოლად აღუდგა უკეთურსა მას, სწავლითა და მოძღურებითა და საღმრთოთა სიტყუათა მადლითა შეცვალებული, და მეძვისა წილ იქმნა უბიწო, და ხენეშისა წილ — პატიოსან, და არაწმიდისა წილ — წმიდა და სავსე ყოვლითა კეთილითა. (46rA)

17. ცრემლთა უკუე მისთა დაუწყუედელსა მდინარესა წარმოთქუმად გულსმოდგინე ვიქმნები და ტირილად აღვიძრვი, და რამეთუ თჳნიერ ცრემლთაჲსა, უფსკრულსა მას ცრემლთა მისთასა წიაღსლვაჲ და სიტყჳთ წარმოთქუმაჲ შეუძლებელ არს; რამეთუ [ვითარცა] ყოველთა კაცთა თანანერგ არს აღმოფშჳნვაჲ და სამარადისო, ეგრეთვე ეფრემის ცრემლთა მდინარისა[1] ნაკადულნი; რამეთუ არაოდეს იხილვებოდეს იგი განკმელად დაუძინებელთა მათ თუალთა წინაშე, არცა დღისი, არცა ღამე, არცა შუაღამე, არცა ჟამსა, არცა უჟამოსა, არცა კერძოსა გინა წამსა ჟამისასა მღჳძარეთა მათ და მიურულებელთა თუალთა მისთაგან, არამედ ოდესმე ზოგადთა და ოდესმე განთჳსებულთა მათ ამის სოფლისა უწესოებათათჳს ტირნ და იგლოვნ სამარადისოდ, რამეთუ სულთქუმათა მიერ სიბრძნით აღმოაცენებნ თუალთაგან თჳსთა ნაკადულსა ცრემლთასა, და უფროჲსღა ღუარ[ითა] ცრემლთაჲთა მოიხდინ იგი საკუმილსა სულთქუმათასა, და იყო ორთავე მათ წარმოჩინებაჲ განსაკრთომელ, რამეთუ ერთი ერთისა მიზეზ და მშობელ იქმნებოდა, და ცრემლნი შობდეს სულთქუმათა, და სულთქუ(vB)მანი — ცრემლთა, და მიზეზი მათი მრავალთაგან უცნაურ იყო, ხოლო ჟამისაგან განუკუეთელ

1 მდინარესა (?) B (წაშლილია „ე“, ან დამოკლებული).

იყვნეს და ურთიერთას[1] შეუდგეს: ცრემლნი — სულთქუმათა, და სულთქუმანი — ცრემლთა.* და ვითარცა მოქცევსა შინა უცნაურ იყო დასაბამი და დასასრული მათი და თითოეულისა[2] მიზეზი, და ესე გულისჯმა-ყოს, რომელიცა თანამზრახვალ ექმნეს წიგნთა მისთა, რამეთუ არა ხოლო თუ სინანულისა და სწავლისა და მოძღურებისა და მოქალაქობისა სიტყუათა შინა იხილოს გლოვაჲ და ტირილი მისი, არამედ თჳთ მათცა სადღესასწაულოთა საკითხავთა შინა, რომელთა-იგი უმრავლესნი სახარულევანთა სიტყუათა მიერ შეჰმზადებენ, ხოლო იგი ყოველსავე შინა სწორ იყო და სამარადისოდ სინანულისა და გლოვისა მადლითა განმდიდრებულ, რომელთა-იგი მიერ ვიდრე აქამომდე ჭეშმარიტისა მის ცხორებისა მიმართ მიუწოდს ყოველთავე, რომელნიცა თქუმულთა მისთა წადიერებით ისმენდენ, რამეთუ ცრემლთა მიერ განზავებულთა მათ ღმრთივსულიერთა სიტყუათა მისთა ესევითარი აქუს ძალი, და რომელმანმცა განფიცხებულმან და ლოდთა მსგავსმან გულითა, ისმინნა სიტყუანი მისნი და არა მოლბა, და სიფიცხე იგი გონებისაჲ არა განაგდო და თჳსთა ბოროტთა-თჳს მწუხარე იქმნა და ტირილად[3] აღიძრა; ანუ თუ რომელმან ველურმან გონებითა და მჯეცთა მსგავსმან სახითა, სულთა სარგებელნი იგი მოძღურებანი მისნი ისმინნა და ყურად-იხუნა გონიერად, და არამცა დაიტირა ჟამი იგი, მის მიერ ბოროტად განლეული! რომელმანმცა უწყალომან და მძჯნვარემან თაფლმწუთოლვარეთა[4] მათ სიტყუათა მისთა გემოჲ იხილა და არა მეყსეულად იქმნა ტკბილ და მოწყალე და[5] მყუდრო და კეთილის მოყუარე! რომელმანმცა მოხარულმან და შუების მოყუარემან და გლოვის მოძულემან მცირედცა ოდენ ისმინნა სიტყუანი მისნი და არამცა მგლოვარე იქმნა და მტირალ, და ჯსენებად მოვიდა საქმეთა თჳსთა მოსაგებელისა!

18. ქვისა შეგბობაჲ გარეშეთა იგავმან შეუძლებელად წარმოაჩინა, ხოლო ჩუენ ესე, საქმეთა მიერ და გამოცდილებისა შეძლებულად[6] ვიხილეთ, რამეთუ უწესოთა და ულმობელთა და

---

* აქ C-ის 123v და 124r-ს შორის აკლია 1 ფურცელი.

1 ურთიერთარს AB. 2 თჳთოეულისა A. 3 ტირალად (sic) B. 4 თაფლმწთოლვარეთა B. 5 და — B. 6 შე[უ]ძლებ[უ]ლად (ორივე „უ“ გვიანდელი ხელითაა გაცხოველებული) B.

დაუმორჩილებელთა სულთა წესიერებად და ლმობიერებად და მორჩილებად მოიყვანებდა საღმრთოჲ ესე მოხუცებული; და ვინმცა მიემთხჯა სიმდაბლისათჳს მის მიერ თქუმულთა სიტყუათა და არამცა მეყსეულად ყოველივე ამპარტავანებაჲ და სიმაღლე მოიძაგა, და ყოველთა უნარჩევეს თავი თჳსი ქადაგა! ვინმცა ისმინნა სიყუარულისათჳს თქუმულნი სწავლანი მისნი და არამცა ისწრაფა სიყუარულისათჳს, არა ხოლო თუ ძჳრისხილვაჲ, არამედ სიკუდილიცა!

და ეგრეთვე[1] – ქალწულებისათჳს, და არამცა წმიდად წარუდგინნა ღმერთსა სული და ჯორცნი თჳსნი!

და კუალად – საშჯელისათჳს და მეორედ მოსლვისა უფლისა, და არამცა ესრეთ შეჰრაცხა, ვითარმცა აწვე წარდგომილ იყო და ძრწოლითა შეპყრობილსა საშინელი იგი განჩინებაჲ გამოელო სამშჯავროჲსა მისგან თუალუხუავისა!

რამეთუ ესრეთ წარმოაჩინა ყოფადი[2] იგი საღმრთოჲ სამშჯავროჲ ყოვლადქებულმან ამან და წინაჲსწარმეტყველებითა აღსავსემან კაცმან და განცხადებულად წარმოადგინა, ვიდრეღა არღარაჲ დაუტევა უცნაურად, თჳნიერ საქმით აღსრულებისა და გამოცდილებით სწავლისა, რამეთუ ესე(338rB)ვითართა მათ საშჯელისა ხილვათა მიერ და ჩუენებათა, განიკაფებოდა სამარადისოდ სამგზის სანატრელი ესე. ამისთჳსცა ივლტოდა სოფლისაგან და სოფლისა საქმეთა, და განეშორებოდა და იქცეოდა უდაბნოთა შინა და თავისა თჳსისა[3] და ღმრთისა განცდასა შექცეულ იყო და სათნოებათა წარმატებასა[4] მიერ მოიღებდა, რამეთუ გამოწულილვით უწყოდა, ვითარმედ უდაბნოთა შინა ცხორებაჲ მსოფლიოთა შფოთთაგან იჴსნის კაცსა და მყუდროებისა და დაყუდებისა მიერ ანგელოზთა თანამზრახვალ ჰყოფს, და საღმრთოთა ხედვათა მიერ, რაოდენ შესაძლებელ არს, გონებასა ღმრთისა მიმართ აღამაღლებს. (vA)

19. ხოლო ადგილითი-ადგილად ცვალებაჲ, რაჟამს სულმან წმიდამან აღსაშენებელად მრავალთა განაგის, არა ურჩ ექმნის,

---

1 ეგრეთვე] კუალად B. 2 ყოფად B. 3 თჳსისასა B. 4 წარმატებასა + მას B („მას“ – გვიანდელი გაცხოველების ვარიანტია).

არცა [აცილობნ], რამეთუ უფროჲს ყოველთაჲსა იყო იგი მორ-
ჩილ საღმრთოთა ბრძანებათა. ამისთჳსცა დაუტევა მამული თჳსი,
ვითარცა დიდმან აბრაჰამ, და ედესე ქალაქად მიიწია და რამეთუ
არცა იყო სამართალ მზისა მრავალჟამ ქუეყანასა ქუეშე დაფარ-
ვად, ხოლო [ორთა] საქმეთათჳს თავს-იდვა ესე: ერთად, რაჲ-
თა მუნ მყოფთა მათ წმიდათა თაყუანის-სცეს, და მეორედ,
რაჲთა გულისკმისმყოფელსა ვისმე კაცსა მიემთხჳოს და ნაყ-
ოფი სიბრძნისაჲ ანუ მოისთულოს, ანუ მისცეს.

20. და ვითარცა მიიწია ბჭეთა ქალაქისათა, მეძავსა ვისმე
შეემთხჳა, მის წილ, რომელსა-იგი ეძიებდა სიტყუა-მეცნიერსა
ვისმე, და ვითარ-იგი წინააღმდგომი გულისსიტყჳსა თჳსისაჲ
შეემთხჳა, მჭმუნვარე იქმნა იგი და მეძავსა მას განიცდიდა და
უკჳრდა განმტყუვნებაჲ იგი სასოებისა თჳსისაჲ. ხოლო დედაკაც-
მან მან, იხილა რაჲ, ვითარ-იგი მიხედვიდა მას წმიდაჲ იგი,
მანცა იწყო გულსმოდგინედ განცდაჲ მისი.

მაშინ ჰრქუა მას ბერმან; „რაჲ არს, დედაკაცო, რამეთუ
ესრეთ განგრძობილად განმიცდი მე?“ ხოლო მან მიუგო, ვითა-
რმედ: „ჯეროვნად და სამართლად განგიცდი, რამეთუ შენგან
დაბადებულ ვარ მე, ხოლო შენ ნუ განმიცდი მე, არამედ უფროჲსღა
მიწასა განიცდიდი და ქუეყანად მიმართ ხედევდი, რამეთუ მიერ
დაბადებულ ხარ შენ“.

ესმა რაჲ ესე ბრძენსა მას, ზეშთა სასოებისა აღიარებდა,
ვითარმედ დიდად სარგებელ ეყო, და ღმრთისა მიუწდომელსა
ძლიერებასა ადიდებდა, რომელსა უსასოთაგან სასოებისა უაღ-
რესთა საქმეთა ძალ-უც აღსრულებად.

21. და მიერ კესარიად კაბადუკიისა მოიწია წინამძღურები-
თა[1] სულისა წმიდისაჲთა, და პირი იგი ეკლესიისაჲ და მოძღუ-
რებათა საღმრთოჲ ორღანოჲ და სწავლათა იგი ოქროჲსა[2]
აიდონი,[3] დიდი ბასილი იხილა; და ვითარცა იხილა იგი საღმ-
რთომან მან მოხუცებულმან, მრავალფერთა შესხმათა მიერ პა-
ტივ-სცა მას, რამეთუ დაფარულთა მხილველითა თუალითა
სულისაჲთა, ტრედსა ბრწყინვალესა, მჯარსა ზედა მისსა მარ-
ჯუენესა მჯდომარესა ხედვიდა, რომელი-იგი სიტყუათა მოძღუ-

1 წინამძღურობითა B. 2 ოქროჲსაჲ B. 3 აჲდონი A.

რებისათა მიანიჭებდა მას და სწავლათა მისთა ერისა მიმართ მიაწევდა, რომელმან-იგი მადლითა მისვე სულისა წმიდისაჲთა გულისკმა-ყო და ისწავა მოსლვაჲ მისი, და სახელი, და ვითარმედ იგი არს ღმერთშემოსილი მამაჲ ეფრემ ასური, და სულიერითა ამბორისყოფითა ურთიერთას[1] მოიკითხნეს და ღმერთსა ჰმადლობდეს; და ესრეთ, არა სულმოკლებისა და უთმინოებისა ნაყოფი იყო, არცა ურგებ მოშრომაჲ[2] იგი ეფრემისი, არამედ სავსე ყოვლითა კეთილითა. ვი(vB)ნაჲცა მყოვარჟამ[3] დაყვეს ერთბამად და ურთიერთას[4] განანათლებდეს განათლებულნი იგი და წმიდანი მამანი.

22. და უკუეთუ სამე ბუნებითმან სიწრფოებამან გონებისა მისისამან და უმანკოებამან სავნებელთა რათმე საქმეთაგან სივლტოლაჲ უწამის მას, წინაჲსწარმხილველობისა მადლითა, უაღრესი უდარესისაგან განარჩიის და წმიდაჲ იგი და უბიწოჲ სული მისი და გულისსიტყუაჲ მათ საქმეთა მიმართ მიდრიკის და დაამტკიცნის, რომელთა მიერ მოძღურებაჲ მისი და სწავლაჲ არა დაიხრწეოდის[5] და უმრავლესთაჲ იქმნებოდის სარგებელი, რამეთუ საღმრთოჲსა მის მოხუცებულისადა მდიდრად მიცემულ იყო სიტყუაჲ მოძღურებისაჲ ღმრთისა მიერ, და საღმრთოჲსა მის ტალანტისა სავაჭროსა შინა გულთასა დადებად მოსწრაფე იყო, და ესე იყო უფროჲს ყოვლისა სასწრაფო წინაშე მისსა.

23. და ესე თჳთ მისთა სიტყუათაგან გჳსწავიეს, რამეთუ სიჩჩოჲსა რაჲ ჰასაკსა[6] წარჰკდა, ესევითარი ჩუენებაჲ იხილა ღმრთისა მიერ, ვითარმედ გამოკდა ენისა მისისაგან ვენაკი ფრიად ნაყოფიერი და ესოდენ აღორძნდა, ვიდრემდის აღავსო ყოველი ქუეყანაჲ, და ყოველნი მფრინველნი ცისანი მოვიდოდეს[7] მის ზედა და მისგან განძღებოდეს საზრდელითა; და განსხლვისა მიერ და მოსთულებისა და ყოველთა მფრინველთა გამოზრდისა არათუ[8] მოაკლდებოდა რაჲმე ვენაკსა მას, არამედ უმეტესად აღორძნდებოდეს ტევანნი მისნი.

24. და ესე კუალად, სულითა მხილველმან ვინმე წამა

1 ურთიერთარს AB. 2 მოშრომაჲ] მოგინებაჲ (?) A. 3 მყუვარჟამ AB. 4 ურთიერთარს AB. 5 დაეხრწეოდის B. 6 ∾ ჰასაკსა რაჲ B. 7 მოვიდიოდეს (sic) B. 8 არაჲ თუ AB.

მისთჳს და იტყოდა, ვითარმედ იხილა ანგელოზთა სიმრავლე ზეცით გარდამომავალი და აქუნდა ჴელთა მათთა ქარტაჲ, შინაგან და გარეშე წერილი. და იტყოდეს [1] ურთიერთას [2] გამოჩინებულნი იგი საღმრთონი წესნი, თუ ვისსა-მე [3] ჯერ-არს მიღებაჲ ქარტისაჲ მის. და რომელთამე მათგანთა თქუეს იგი ვინმე, და სხუათა — სხუაჲ, და სხუათა — სხუაჲ, რომელნი-იგი მათ ჟამთა ბრწყინვიდეს წმიდანი. და შემდგომად ყოველთა წარმოთქუმისა თქუეს, ვითარმედ: ჭეშმარიტად ესე ყოველნი წმიდანი არიან და მონანი ღმრთისანი; გარნა ვერ ძალ-უც ქარტისა ამის მიღებაჲ. და მერმე უკუანაჲსკნელ ერთჴმა იქმნეს [4] ყოველნი [5] და თქუეს ყოველთა ერთბამად, ვითარმედ: „ვერვის ძალ-უც ქარტისა ამის მიღებაჲ, თჳნიერ ეფრემისა“. [6]

და ესე რაჲ ესმა მხილველსა მას, კუალად იხილნა ანგელოზნი იგი, რამეთუ მისცეს ეფრემს ქარტაჲ იგი. და მხილველი იგი ჩუენებისაჲ (47rA) მასვე ჟამსა ღამისასა ფრიად მსთუად აღდგა და ეკლესიად წარვიდა და ესმა მოძღურებაჲ ეფრემისი, რომელსა-იგი ასწავებდა [7] მდიდრად და უხუებით, შეზავებული მადლითა, ვითარცა მარილითა. (1) და ჩუენებისა მის შეტყუებაჲ მუნ აღიკსენა და ადიდებდა ღმერთსა, და უკჳრდა მადლი იგი სწავლისა და მოძღურებისაჲ, რომელი მიენიჭა წმიდასა მას, რამეთუ ესოდენ გარდარეული სიბრძნე მიემადლა, ვიდრეღა დაუწყუედელნი ნაკადულნი სიტყუათანი აღმოდიოდეს პირით მისით.

25. გარნა უდარეს იყო სიტყუათა მისთა იგი [8] დაუწყუედელი წყაროჲ სივრცესა გულისჴმისყოფისა მისისასა, არათუ [9] სიმძიმითა ენისაჲთა, არამედ გულისჴმისყოფისა გარდარეულად განმრავლებითა, რამეთუ სხუათა შორის სწორად გულისჴმისყოფისა ძალ-უც ენასა მსახურებაჲ გონებისა მათისაჲ, ხოლო თჳსთა — გონებისა ხედვათა უდარეს. ვინაჲცა დიდი იგი მოხუცებული თჳთ თავით თჳსით გარდამატებულთა მათთჳს ნიჭთა მოძღურე(339rB)ბისათა [ევედრებოდა ღმერთსა და ესრეთ იტყოდა]: [10] „დააცხრვენ, ჶ მეუფეო, ღელვანი [11] მადლისა შენისანი“,

1 ეტყოდეს B, 2 ურთიერთარს AB. 3 ვისა-მე B. 4 იქმნეს A. 5 ყოველნი — A. 6 ეფრემისსა A. 7 ასწაავებდა B. 8 ~ იგი მისთა A. 9 არაჲთუ AB. 10 ეს ადგილი B-ში წაშლილია. 11 ღელვანი B.

(1) კოლას. 4,6.

რამეთუ უფსკრულნი იგი სწავლათა და მოძღურებათა მისთანი, და გონებასა შინა მისსა სახედ ღელვათა შობილნი გულისკმ-ისყოფანი მოსწრაფესა მას ორღანოსა, და ჴელოვნად მზრახ-ვალსა ენასა ერეოდეს და ჰმძლავრობდეს. ხოლო სწავლათა მისთა მდინარესა სხუაჲ ვერარაჲ განჰკუეთდა თჳნიერ ხოლო ლოცვისა; და კუალად ამას — მოძღურებაჲ, და კუალად სწავ-ლასა — ცრემლნი და ტირილი; და ტირილსა შეეყოფოდა ლოცვაჲ, და ლოცვასა — სწავლაჲ, და ამას ყოველსა შინა შეზავებულ იყო ხედვაჲ ღმრთისაჲ, და ყოველივე ცხორებაჲ მისი — ცრემ-ლთა და ტირილისა მიერ შენელებულ. (1)

26. რამეთუ ჴორცნი მოეკუდინნეს ვნებითურთ და გულის-თქუმით, (2) და უმთავრესისადა დაემონა [1] უდარესი; და მარხვი-თა და მოღუაწებითა მთავარი გონებაჲ მფლობელ-ექმნა; და ყოველთავე უჯეროთა საქმეთაგან განშორებულ იყო და შეუხ-ებელ, ხოლო ყოველთავე კეთილთა და სულისა მაცხოვართა საქმეთა — შეთხზულ და შეერთებულ.

27. და ვერცა ღამე შემძლებელ იყო სრბასა სათნოებათა [2] მისთასა განკუეთად და ვერცა დღე, და ვერცაღა მაცთურნი იგი უცნებანი ძილისანი, რამეთუ ენაცვალებოდა დღისა სიფრთხ-ილესა ღამე, და მღჳძარეთა მათ თუალთა და გონებისა მისისა-გან შეძრწუნებულნი, ვითარცა ცეცხლისაგან ივლტოდეს უცნე-ბანი იგი ღამისანი. და რამეთუ ესე იყო მოღუაწებაჲ მისი, რაჲთა არა ეწიოს მას ჴელი იგი მთავრისა მის ბნელისაჲ მძინარესა. ხოლო ძილსა იჴუმევდა ესეოდენ, რაჲთა ჴორცთა ცხორებაჲ ხოლო ეგოს, და ბუნებითი იგი სარბიელი ბუნებისაჲ არა განიხრწნას და ჴორცთა აგებულებაჲ უჟამოდ არა დაიჴსნას.

28. ხოლო უკუნ-აქცევდა მას და თუალთაგან [3] განსდევნი-და; და სხუაჲცა მრავალი; არამედ უფროჲსად ჴმელსა ზედა წოლაჲ და ფიცხელი მოღუაწებაჲ და ყოვლით კერძო ჴორცთა დაქენჯნაჲ. და რამეთუ ესენი არიან, რომელნი სიღრმესა ძილ-ისასა ექსორია-იქმან და იოტებენ.

---

1 დაემონა] დაემორჩილა B. 2 სათნოებათას B. 3 თ˜ალთაგ˜ნ B.

(1) შდრ. ფს. 101,10. (2) შდრ. გალატ. 5,24.

29. ხოლო უპოვარებაჲ ესევითარი აქუნდა, ვითარცა წმიდათა მოციქულთათჳს წერილ არს. ვინაჲცა, უკუეთუ ვინმე ამას უპოვარებისა პირმშოდ ხატად უწოდოს, არა შესცთეს ჭეშმარიტებისაგან, რამეთუ ამისდა მოწამედ თჳთ ტკბილი იგი და ნეტარი კმაჲ მისი გუაქუს ჩუენ, რომელი-იგი აღმოთქუა მასწავლელად უპოვარებისა, ეგულებოდა რაჲ ზეცად აღსლვაჲ ჟამსა მას მიცვალებისა თჳსისასა, და ვითარცა მამული სამკჳდრებელი, ესრეთ დამიტევა ჩუენ. და კმა არს იგი ჩუენდა, რამეთუ თქუა, ვითარმედ: „არასადა მოიგო ეფრემ ბალანტი, არცა კუერთხი, არცა ვაშკარანი, (1) არცა ვეცხლი, არცა ოქროჲ, არცა რაჲ სხუაჲ [1] მონაგები ქუეყანასა ზედა არარაჲ, რამეთუ მესმინა კმაჲ საxიერისა მის მეუფისაჲ საxარებასა შინა, რომელი-იგი ჰრქუა თჳსთა მოწაფეთა, რაჲთა არარაჲ [2] მოიგონ ქუეყანასა ზედა, ვინაჲცა არცა რაჲ მოვიგე ესევითარი ვნებულად“. ესრეთ უკუე [3] სძაგდა მას დიდებაჲ და მონაგებნი, ხოლო ყოველთა საქმეთა კეთილთა — განუძღომელი აქუნდა ტრფიალებაჲ, და ესრეთ, ყოვლით-კერძო მოციქულთა ჰბაძვიდა სათნოებითა.

30. ხოლო სიმდაბლისა მისისათჳს რაჲ-მე ვწამოთ, ანუ რაჲ ვთქუათ, ვინაჲთგან ყოველნი წიგნნი მისნი და სიტყუანი და აღწერილნი ამას სათნოებასა ქადაგებენ განცxა(vB)დებულად, და ყოველივე ცxორებაჲ თჳსი მას [4] შინა აღასრულა ფრიადითა გულსმოდგინებითა, რამეთუ რომელი ცრემლთა მიერ ცრემლთა მოუწოდდა, და ნაცარსა, ვითარცა პურსა ჭამდა სიფიცxითა და უგემურებითა საზრდელი(125vC)საჲთა; და სასუმელსა თჳსსა ცრემლითა თჳსითა განზავებდა, [5] (2) ვითარცა იტყჳს მეფსალმუნე. ეგევითარმან მან ლოდსა მას სიმაღლისა და ამპარტავანებისასა ოდესმცა წარსცა სულიერი იგი ფერჯი მისი, რომელი-იგი ყოველსავე დიდებასა კაცობრივსა გარე-მიაქცევდა და ევლტოდა. (vA)

და ვიდრეღა-იგი სოფელსა ამას შინა იყო, ესმა ვისიმე, რომელი აქებდა მას, და შეეურვა და შეწუxნა ვიდრე სიკუდიდ-

1 ~ სxუაჲ რაჲ B. 2 არარაჲ] არაჲ B. 3 უკე B. 4 მას B] ამას A. 5 განჰზავებდა B.

(1) შდრ. ლუკა 10,4; 9,3; მათე 10,9; მარკ. 6,8. (2) შდრ. ფს. 101,10.

მდე და პირად-პირადთა ღონეთა იწყო მოპოვნებად, და ქუეყანად დავარდებოდა და მიწასა გარდაისხმიდა და ოფლთა და ცრემლთა მიერ ილტობვოდა, და ვითარცა ბრალსა რასმე, გინა ცოდვასა ზედა დაპყრობილი, ესრეთ შეპყრობილ იყო სირცხჳლითა და ვერცაღა თუ სიტყჳსა ეძლო აღმოთქუმად.

ხოლო რაჟამს-იგი სანატრელისა მის და დაუსრულებელისა ცხორებისა მიმართ ეგულებოდა მიცვალებაჲ, მაშინ ცხადად და ღმრთივბრწყინვალედ საანჯმნო ყო ესე და ფრიადითა კრძალულებითა და განკანონებითა დააბრკოლნა, რომელთა-იგი ენება პატივით შემურვაჲ მისი და ჰრქუა, ვითარმედ: „ნუ ჰგალობთ გალობასა ეფრემს ზედა და ნუცა შეასხამთ მას, ნუცა პატიოსნითა სამოსლითა წარჰგრაგნით მას, ნუცა თჳსაგან სამარესა შეუმზადებთ მას, რამეთუ აღმითქუამს ღმრთისადა, რაჲთა უცხოთა თანა განვისუენო, და[1] რამეთუ მსხემ ვარ და წარმავალ, ვითარცა ყოველნი მამანი ჩემნი; ვინაჲცა გარდარეულად კმა არს ჩუენდა სათნოებისა ამის სიმაღლე, მაუწყებელად სხუათა მათცა მაღალთა მოღუაწებათა მისთა“.

31. ხოლო წყალობისა და სიტკბოებისა არა ხოლო თუ მოქმედ ხოლო იყო, არამედ მასწავლელცა, და ჭეშმარიტებისა შჯულ და საზღვარ, რამეთუ სრულითა მით უპოვარებითა ქველისსაქმესა გლახაკთასა და საკმართა განყოფასა ვერ შემძლებელ იყო; ხოლო სხუათა სწავლითა[2] და ზედაჲსზედა მოკსენებითა და წყალობად და კელის-აპყრობად[3] აღძრვითა, წესსა მას მოწყალებისასა აღასრულებდა; და თჳნიერ ხილვისაცა იყო ჭეშმარიტად სიტყუაჲ მისი კლიტე ღმრთივ-განჭედილ და განმღებელ საუნჯესა მდიდართასა, ხოლო ანგელოზებრი იგი სახე მისი კმა იყო ხილვითა ხოლო ფრიად უწყალოთაცა და ულმობელთა, მოწყალებად და ლმობიერებად მოყვანებად;[4] რამეთუ იყო იგი წრფელ და უმანკო, და სახიერ და მყუდრო და ყოვლითა კეთილითა აღსავსე, და ვინმცა იყო ესრეთ კადნიერ და უგბილ, რომელმანმცა განიცადა სახე მისი და არა შეირცხჳნა და არამცა შესძინა კეთილთა ზედა კეთილი და უპატიოსნეს იქმნა.

---

1 და – B. 2 სწალითა B. 3 კელის-აღპყრობად B. 4 ჯერ დაუწერიათ „მოყვანებად“, შემდეგ სხვა ხელთ ჩაუმატებიათ „ი“: „მოიყვანებად“ (B).

32. გარნა ნუუკუე კაცისა ამის[1] ღმრთისა, ესოდენი ესე სიმრავლე სათნოებათაჲ[2] (126rC) რაჲ ვის ესმას, ჰგონოს, ვითარმედ უმეცარ იყო საეკლესიოთა წესთა და კანონთა და სარწმუნოებისა მოძღურებათა, და იტყოდის, ვითარმედ: „და სადაღა მოეცალებოდა მას ესეოდენთა სათნოებათა მოღუაწებისა მიმართ წარმატებულსა, სარწმუნოებისა სწავლათა დასწავლაჲ!“ გარნა ეგევითარმან მან პირველად ესე უწყოდენ, რამეთუ მეცნიერებაჲ და გულისკმისყოფაჲ მისი არა კაცობრივთა სწავლათა საქმე იყო, არამედ ძალისა საღ(340rB)მრთოჲსაჲ, ვითარცა ზემო მოვიკსენეთ. და კუალად ესეცა ისწავენ, რამეთუ ფრიადი გამოცდილებაჲ და წურთილებაჲ აქუნდა მას სიტყუათა სულისათაჲ,[3] რამეთუ არა ხოლო თუ სწავლისა სიტყუათა და მოძღურებათაჲ მოეღო მადლი, არამედ ორკერძოვე კეთილად წურთილ იყო და განთქუმულ სიტყუათაცა სარწმუნოებისათა, და მწვალებელთაცა წინააღდგომისა[4] დაკსნასა და მხილებასა, რამეთუ შური საღმრთოჲ აღსძრვიდა მას დამკობად მკეცთა მათ წვალებისათა და მბრძოლთა ღმრთისმსახურებისათა.

33. ვინაჲცა ესევითარი რაჲმე შურისა[5] საღმრთოჲსა ქადაგი, დაუწერელი სიტყუაჲ მოწევნულ არს სასმენელთა ჩუენთა, რომელი-იგი ფრიად კეთილად აღასრულა მან, ესე იგი არს, ვითარმედ: უკმომან და უფროჲსღა ყრუმან და უტყუმან და უგონებომან[6] აპოლინარი, მრავალნი ახლისმეტყუელებანი და მუცლითმეზღაპრეობანი, წინააღმდგომნი ღმრთისმსახურებისანი, და მბრძოლნი მართლისა სარწმუნოებისანი აღმოიტეხნა შეგინებულისა მის გულისა მისისაგან, და უშჯულოებითა სავსენი ორნი წიგნნი აღწერნა და დედაკაცსა ვისმე, გულისთქუმათა მისთა მსახურსა და წვალებისა მისისა ზიარსა, ჴელთ-უსხნა დაცვად.

ხოლო ცნა რაჲ ესე დიდმან ეფრემ, მოწაფეთა მისთა სახე შეიმოსა ჩემებით და მოპოვნებით, და დედაკაცსა მას, მცველსა მგმობართა მათ წიგნთასა, წარმოუდგა ყოვლად ბრძენი იგი და რეცა უდაბნოჲთ ევლოგიაჲ მიუძღუანა[7] მას, და ნუუკუე და სხუანიცა რაჲმე სიმარჯუენი იკუმინა, და მერმე უკუანაჲსკნელ

1 მის B. 2 სათნოებათა BC. 3 სულისათა B. 4 წინააღმდგომისა B. 5 შორისა A. 6 უგუნებომან B. 7 მიუძღუნა A.

ევედრა, რაჲთა ზოგადისა მოძღურისა მიერ აღწერილნი იგი წიგნნი, რეცა სარგებელად და სასწავლელად მისცნეს მას ჟამ რაოდენმე,[1] რაჲთა მწვალებელთა წინა-აღუდგებოდი და დავამ-კობდეო (რეცა ჩუენ გჯწოდდა მ წ ვ ა ლ ე ბ ე ლ ა დ). ხოლო მას, სისუსტითა გონებისაჲთა ეოცნა, ვითარმედ ერთი არს იგი აპოლი-ნარის მოწაფეთაგანი, (48rA) და ესრეთ განბასრებულმან ჴელთ-უსხნა მას წიგნნი იგი და ამცნო, რაჲთა ადრე მიაქცინეს მისსავე.

ხოლო დიდმან ამან იაკობ, ბილწი იგი ესავ განბასრა და ბოროტნი იგი პირმშონი ნაშობნი, (126vC) არაწმიდისა მის გონებ-ისა მისისანი აღმოიკითხნა და მოსრნა, რამეთუ სიბრძნით გულისჴ-მა-ყვნა წინააღმდგომნი მათნი და დამარღუეველნი მართლმა-დიდებლობისა მოძღურებანი, და ესრეთ, თევზისა წებოჲთა ფუ-რცელი ფურცელსა დააწება და ფრიადითა გულსმოდგინებითა ფიცარნიცა ზედა-მოურთნა, და ვითარცა ერთი ფიცარი, ესრეთ შეამტკიცნა ორნივე იგი წიგნნი არაწმიდანი, რომელ ყოვლადვე ღონე განღებისაჲ არღარა იყო; და ესრეთღა მიართუნა მომცე-მელსა მას მათსა დედაკაცსა. ხოლო მან, ვითარცა დედაკაცმან უგუნურმან და სიბრძნისა გამოუცდელმან, გარეშე რაჲ მათი განურყუნელად იხილა, შინაგანისათჳს არღარაჲ იზრუნა.

34. ხოლო ვითარცა დღენი რაოდენნიმე[2] გარდაჴდეს, ვიეთმე მართლმადიდებელთა აზრახა საღმრთომან მან მოხუცებულმან, ვითარმედ: მოუწოდეთ უღმრთოსა აპოლინარის, რაჲთა ვეზრახნეთ.

ხოლო მან წოდებაჲ იგი მიითუალა, მისთა მათ უღმრთოთა წიგნთა მინდობითა, და ეკლესიად მო(vB)ვიდა. ხოლო სიტყჳს-გებაჲ, ვითარცა მოხუცებულმან და უძლურმან, არა ინება, არამედ თჳსთა წიგნთა მოღებაჲ უბრძანა, და მათ მიერ პასუხისა გაცე-მად და[3] ზრახვად ევედრებოდა. და ვითარცა თანამზრახვალთა მისთა წიგნნი იგი მოიხუნეს, დიდად აღიზახა მათ ზედა დაძუ-ელებულმან მან დღეთა ბოროტთამან და სიცრუვისა მსაჯულ-მან, და ჴელად მიიხუნა და პირველისა წიგნისა[4] განღებად ჴელ-ყო, და ვითარცა არა განეღო, რამეთუ წებოსა მას, ვი-თარცა გურდემლი შეესხივა, კუალად საშუვალსა[5] ადგილსა

1 რავოდენმე A. 2 რავოდენნიმე A. 3 გაცემად და] გაცემა[ს]ა B. 4 წიგნის B. 5 საშოვალსა A.

შებმა-უყო, ხოლო იგი ეგრეთვე შეუჭრეთელ იყო და განუღებელ; და ესრეთ რაჲ პირველისა მისგან ოჯერ იქმნა, მიერითგან მეორესა მას შეევედრა, და ვინაჲთგან იგიცა ეგრეთვე განუღებელ და დამბრმალ იპოვა, სირცხჳლისაგან სახე მისი შეიცვალა და უღონოებისაგან გონებაჲ მისი განცჳბრდა და შესაკრებელისა მისგან განიჭრა, და ურვისაგან და მწუხარებისა გონებაცთომილ იქმნა და განიგალა.

35. ესევითარი აქუნდა შური ღმრთისმსახურებისაჲ დიდსა მას მამასა და მოძღუარსა ჩუენსა, ეფრემს, რამეთუ სხუასა[1] ყოველსავე ზედა მშჳდ იყო და მყუდრო, ხოლო რაჟამს სარწმუნოებისა ანუ ღმრთისმსახურებისა წესი დაიკსნებოდის, ფიცხელ[2] იყო და მკსინვარე, და ვითარცა ჟამი და წესი საქმისაჲ ეძიებნ, ყოველსავე სიბრძნით და გონიერად განაგებნ.

ხოლო საღმრთოჲ ესე შური მისი, მრავალთა მათ ცრემლთა და მღჳძარებისა და მარხვისა და ლოცვისა არა უდარეს იყო, არამედ უვაღრეს და ფრიად აღმატებულ, რამეთუ ზემოთქუმულნი იგი მოღუაწებანი მოქმედსა ხოლო მათსა მოატყუებენ სარგებელსა,* ხოლო მეორე ესე ზოგადად სარგებელად ეკლესიისა იქმნების.

და კეთილსაცა მონადირესა ფიცხელთა ნადირთა და ძნიად საბრძოლთა მონადირებაჲ იქმნების გამომცდელ, სიტყჳსაებრ ჭეშმარიტისა, და კელოვანსა მენავეთმოძღუარსა — ფიცხელთა ქართა წინა-აღდგომაჲ და მართებაჲ ნავისაჲ, და ბრძენსა მკურნალსა — ძნიად საკურნებელნი სალმობანი, და ახოვანსა მკედარსა — წინააღმდგომთა სიქველე და წინა-განწყობაჲ და ძლევაჲ, და მოსწრაფესა და ღმრთისმსახურსა — ჭირთა და განსაცდელთა კუეთებაჲ და მოთმინებაჲ; და რაჲთა თავიცა თჳსი და სხუანიცა განარინნეს წინააღმდგომთა და მწვალებელთაგან, ვითარცა ჰყოფდა ყოვლადქებული ეფრემ.

36. და არაჲ იპოვების სახე საათნოებისაჲ, რომელიმცა პირველ ვისმე წარემართა უაღრეს ეფრემისსა, და ნუუკუე არცა თუ მსგავსად მისსა.

---

* აქ წყდება C ტექსტი (126v).

1 სხ˜ჲ A. 2 ფიცხელი B.

და ჭეშმარიტად მსგავს არს იგი წყაროსა დაუწყუედელსა და მრავალფერთა წყალთა აღმომაცენებელსა, სარგებელითა და სიტკბოებითა და სიხარულითა განშუენებულსა, ანუ თუ სამოთხესა აღყუავებულსა და პირად-პირადთა ყუავილთა მიერ შემკულსა, გინა თუ ცასა და სამყაროსა, მრავალფერთა მათ მნათობთა მიერ განათლებულსა, ანუ თუ თჳთ თავადსა მას სამოთხესა ედემისასა, ურიცხუთა მათ და თჳთოსახეთა ნაყოფიერთა ნერგთა მიერ განბრწყინვებულსა, გარნა არა მომატყუებელსა ექსორიობისასა, არცა სავალსა უკეთურისა გუე(341rB)ლისასა, ანუ თუ სხუასა რასმე კეთილსა, და საშუებელსა და სახარულევანსა, რომელსაიგი მრავალთა და პირად-პირადთა ნიჭთა მიერ პატივ-სცა ბუნებამან. მას მიამსგავსე დიდისა ეფრემის სამგზის ნეტარი[1] სული, თჳთოფერთა მათ სათნოებათა მიერ ყოვლით კერძო ელვარე-ქმნილი, და ვითარცა გჳრგჳნითა გარე-შეცვული და შემკული, (vA) რამეთუ ყოვლისავე ცხორებისა თჳსისა მიერ ესევითარი გულსმოდგინებაჲ მოიგო, რაჲთა არცა ერთი სათნოებათაგანი თანაწარჰკდეს ღმრთივბრწყინვალესა მას სულსა მისსა, არამედ მხოლომან ყოველთა წმიდათა წარმატებანი შემოიკრიბნა.

37. რამეთუ ვითარცა მღდელი საღმრთოჲ მართალთა შორის პირველისა მის ა ბ ე ლ ი ს, ღმრთივშეწყნარებულსა[2] მას მსხუერპლისა შეწირვასა მიემსგავსა, და შეწირა ღმრთისა არა მსხუერპლი ცხოვართაჲ სამწყსოჲსაგან, არცა ცმელი კრავთა და ვერძთაჲ, არამედ მსხუერპლი უსისხლოჲ, სიტყჳერი მსახურებაჲ, სიწმიდითა ცხორებისაჲთა მრგულიად დამწუარი; და ესოდენ უაღრეს იქმნა მისსა მას შესაწირავსა, ვიდრეღა თანაწარჰკდა ბოროტსა მას კაცისმკლველსა და განერა საბრკეთა მათ კაცთმოძულისა მის ეშმაკისათა და დაუსრულებელსა მას ცხორებასა მის თანავე მკჳდრ იქმნა.

38. ე ნ ო ს ი ს სასოებასა ებაძვა და მოშურნე ექმნა,[3] და არა თჳთ ხოლო ხადოდა სახელსა უფლისა ღმრთისა თჳსისასა, არამედ სხუათაცა ასწავა, რაჲთა ხადოდინ.

---

1 B-ში თავიდან ეწერა „სანატრელი“, შემდეგ გადაუკეთებიათ. 2 ღმრთივშემწყნარებელსა B. 3 ~ მოშურნე ექმნა და ებაძვა B.

39. ენუქის არა უცხოჲ იგი, ქუეყანით სამოთხედ მიცვალებაჲ მოიგო, არამედ ნივთიერთა განსუენებათაგან სულიერად შეცვალებაჲ და განხრწნადთა ჯორცთა მიერ უხრწნელებისა მოგებაჲ.

40. ნოვეს ებაძვა სიმართლესა, და არა ძელისა კიდობნითა მცირედი თესლი ცხოველთაჲ იჯსნა წყლით-რღუნისაგან, არამედ აურაცხელნი სულნი აცხოვნნა სწავლითა და თავი თჯსი ყოვლით კერძო მოჰკრძალა და ზღუაჲ ესე განძჯნებული ამის სოფლისაჲ დაუნთქმელად წიაღ-ვლო და ღელვათა მისთაგან უვნებელად განერა და ტჯრთი სათნოებათაჲ ზეცისა სავანეთა შეიკრიბა.

41. აბრაჰამს[1] მამათმთავარსა სხუათაცა მათ[2] სათნოებათა სიმრავლითა ებაძვა; ესე იგი არს სარწმუნოებითა და[3] სიმშჯდითა და ღმრთისა სიყუარულითა, ხოლო უფროჲს[4] ყოვლისა — სოფლისაგან სივლტოლითა და საქმეთა მისთაგან განშორებითა; ვითარცა-იგი განეშორა ქუეყანისაგან და ნათესავთა თჯსთა (1) და მეგობარ უფლისა იწოდა, არა საყუარელისა დაკლვითა, არამედ ჯორცთა თჯსთა ნებსით თჯსით მოკუდინებითა და ასოთა ქუეყანისათა სრულიად განლევითა.

42. ისაკს ემსგავსა ნეფსითითა[5] მით და უშფოთველითა დაკლვითა; (2) გარნა არა მამისა მიერ, ვითარცა იგი, რამეთუ ესე თჯთ[6] თავსა თჯსსა შესწირვიდა დღითი-დღე,[7] მსგავსად მოციქულისა, (3) და ჯორცითა შეიწირვოდა ნეფსით[8] თჯსით, ხოლო სულითა ცხოველ იყო და უფროჲსღა ცხოველ არს ღმრთისა, (4) მსგავსად ვერძისა მის ჯორცთა თჯსთა უბიწოდ შეწირვითა.

43. იაკობს ებაძვა განბასრვითა ბილწისა ესავისითა, რომელ არს წვალებათა მოძღუარი, რომლისაგან მიუღო პირმშოებაჲ. ესე (vB) იგი არს ეკლესიისა მართალი მოძღურებაჲ,

---

1 აბრაჰამსა B. 2 ~ სხუათა მათცა B. 3 და — B. 4 უფროჲ B. 5 ნებსითითა B. 6 თჯთ — B. 7 ~ დღითი-დღე თავსა თჯსსა შესწირვიდა B. 8 ნებსით B.

(1) შდრ. დაბ. 12,1-4. (2) იხ. დაბ. 22,1-13. (3) შდრ. ჰრომ. 8, 35-36. (4) შდრ. ჰრომ. 6,10; გალატ. 5,25.

და ხილვითა არა კიბეთა, ქუეყანით ზეცად აღმართებულთა, არამედ სუეტსა ცეცხლისასა ზეცად აღწევნულსა, რომელი-იგი უბრწყინვალესად-რე განუმარტებდა საიდუმლოჲსა[1] ძალსა და სიღრმესა მისსა განუცხადებდა, და მერმე განყოფითა კურთხევათაჲთა მოწაფეთა მიმართ, ჟამსა მიცვალებისა თჳსისასა, ვითარცა-იგი მან აკურთხნა შვილნი თჳსნი, (1) რომელნი-იგი უკუეთუ ვინ გულსმოდგინედ განიცადნეს, არარაჲთ პოვნეს უნაკლულეს კურთხევათა მათ დიდისა იაკობისთა.

44. უფროჲსღა ი ო ს ე ბ ს მიემსგავსა ჯორცთა სიწმიდითა და უბიწოებითა და უმეტესად[ღა][2] უაღრეს მისსა[3] იქმნა ქალწულებითა და განყოფითა სიტყჳსაჲთა, რომელი-იგი გარდამატებულად უაღრეს არს მისსა მას იფქლის განყოფასა. (2)

45. მ ო ს ე ს, დიდისა მის შჯულისმდებელისა, კნინღა და ყოველთავე საქმეთა მიებაძვა, და ანუ თუ უმრავლესთა უეჭველად, რამეთუ ესეცა ივლტოდა გონიერისა მის ფარაოჲსაგან და უდაბნოთა შინა იქცეოდა და ღმერთი იხილა, რაოდენ შესაძლებელ არს ხილვაჲ ღმრთეებისაჲ; და ნიშნი აღასრულნა და ერსა წარუძღუა მოძღურებითა და მეგჯპტელნი[4] განბასრნა სიბრძნით და სიმდიდრე მათი წარიტაცა, რამეთუ მწვალებელთა წიგნნი წარტყუენნა და განაქიქნა და ზღუაჲ განაპო მარილიანი და უსუმელი ურწმუნოებითა, და მართლმადიდებელთა ერი წიაღიყვანა, და ფარაო და ერი მისი დაანთქა — მგმობართა იგი უღმრთოჲ ნათესავი, და ამალეკსა მძლე ექმნა (ესე იგი არს — მწვალებელთა სიმრავლესა), და შჯული მართლმადიდებლობისაჲ ღმრთისა მიერ მოიღო და ჩუენ ყოველთა განგჯყო, და სახე იგი კარვისაჲ მთასა ზედა იხილა, არა მოსეს მიერ შემზადებულისაჲ, არამედ მერმისა მის საშინელისა განკითხვისაჲ, და საშჯელისა და თითოეულისა[5] მიგებისაჲ; და მღდელნი სრულყვნა მღდელობისა კანონთა დასხმითა და შჯულის-დებითა, და წყალი კლდისაგან აღმოაცენა, რამეთუ კლდისა[6] მსგავსნი გულნი ცრემლთა მდინარისა აღმომაცენებელ ყვნა. (49rA)

---

1 საჲდუმლოჲსა A. 2 უმეტესად B. 3 მისა B. 4 მეგჯბტელნი B. 5 თჳთოეულისა A. 6 კლდის A.

(1) დაბ. 49,1-28. (2) დაბ. 41,56-57; 42,25.

საზრდელი ზეცით უწჯმა ერსა, ვითარცა-იგი მან მანანაჲ ისრაიტელთა,[1] რომელ არიან სიყუარულისა სწავლანი, რომელნი-იგი უფროჲს პურისა განამტკიცებენ (1) სულსა მორწმუნეთასა, და მერმე საღმრთოსა მას და საიდუმლოსა[2] პურსა კადნიერებით ეზიარებიან, რომელი-იგი წიაღთაგან მამისათა ცხორებად ჩუენდა გარდამოჴდა.

მწყერმარჴილი აღმოგჯცენა ჩუენ მორწმუნეთა, რომელ არს ჴსენებაჲ ღმრთისაჲ, ზეცად აღსლვისა მასწავლელი, და მუნთა მათ სიკეთეთა განმცდელი, და რაჲთა მოკლედ ვთქუა, რომლისაცა ძუელთა საქმეთაგანისა განთქუმულისა შესწორებაჲ ინებო საქმეთა მამისა ჩუენისათა, არარაჲთ ჰპოვნე უნაკლულეს ყოვლადვე.

46. მსგავსად ისო ნავესსა[3] იორდანე განაპო, ესე იგი არს დაჴშულნი ჴელნი მდიდართანი გლახაკთმოწყალებითა აღჭურნა და საუნჯენი მათნი ქველისმოქმედებითა განახუნა და მორწმუნეთა კრებულსა არა ქუეყანისა ესე აღთქუმისა ქუეყანაჲ, არამედ ზეცათა სასუფეველი (342rB) დაუმკჯდრა.

47. ვითარცა სამოელ, სიჩჩოჲთგან ღმრთისა შეიწირა და საღმრთოჲსა ჴმისა სმენად ღირს იქმნა. (2)

48. ვითარცა დიდმან ელია, მღდელნი იგი სირცხჯლისანი განკიცხნა, და ცეცხლი იგი საცნაური არა ერთგზის, არამედ მრავალგზის სიტყჯერსა მას მსხუერპლსა ზედა გარდამოიყვანა (3) და სათნოებათა ცეცხლისა ეტლითა, არა ეთერისა სიმაღლედ, (4) არამედ ზეცათა სამყაროჲსა ეტლთა მფლობელ იქმნა.

49. ვითარცა ელისე, მრჩობლი იგი მადლი სულისა წმიდისაჲ მდიდრად შეიწყნარა. (5)

50. და ვითარცა წინაჲსწარმეტყველნი, ხილვასა და გამოცხადებასა ღმრთისასა მრავალგზის ღირს იქმნა.

51. კადნიერ იქმნების სიტყუაჲ უფროჲსსაცა მას[4] დედათა ნაშობთასა[5] (6) თანა გამოძიებად[6] დიდისა ამის

---

1 ი~Წლთა B. 2 საჲდუმლოსა A. 3 ნავესა A. 4 ~ უფროჲსსა მასცა A. 5 ნაშობსა B. 6 გამოძევად AB.

(1) შდრ. ფს. 103,15. (2) იხ. I მეფ. 2,11-3,21. (3) იხ. III მეფ. 18,20-40. (4) შდრ. IV მეფ. 2,1-11. (5) იხ. IV მეფ. 2,9-13. (6) შდრ. მათე 11,11.

მამისა ჩუენისა, რომელი-იგი იქმნა შევამდგომელ შჯულისა და მადლისა, რამეთუ მსგავსად მისსა, უდაბნოს მკჯდრ იქმნა და სიტყუაჲ ღმრთისაჲ იქმნა ამისსა მომართცა, და სინანულისა ქადაგად იწოდა და მისა მიმავალთა ცოდვათა აღსარებაჲ ასწავა.

52. ვითარცა პავლე, ჭურმან რჩეულმან ეკლესიისამან,[1] ყოველნივე განსაცდელნი დაითმინნა და თესვად თესლსა მას სარწმუნოებისასა მსგავსად მისსა არა[2] მოიწყინა ყოვლადვე, არცა დაშურა.

და რად საკმარ არს თითოეულად[3] ყოველთა წმიდათა თანაშეტყუებაჲ სათნოებათა მისთაჲ, რომელთა-იგი ყოველი სოფელი აღუვსიეს, რამეთუ რაჟამს საქმენი წამებდენ, მრავლისმეტყუელებაჲ ნამეტნავ არს და უფროჲსღა შეურაცხებისა კერძსა მიდრკების სიგრძე სიტყჯსაჲ, ვითარმცა არა კმა იყვნეს სათნოებანი მისნი მისდა შემამკობელად, არამედ სიტყუათა-მიერიმცა[4] შეწევნაჲ ეკმარებოდა.

53. ხოლო კეთილ არს, რაჲთა ვითარცა შესანელებელი რაჲმე, ესრეთ შევსძინოთ სიტყუასა ჩუენსა, ჟამსა აღსრულებისა მისისასა, მის მიერ ქმნილი საკჯრველებაჲ.

რამეთუ ეგულებოდა რაჲ ღმერთშემოსილსა ამას[5] კაცსა აღსლვაჲ ზეცისა სავანეთა, მის თანა მყოფთა მათ ამცნო, რაჲთა არა დაჰმარხონ იგი მრავალსასყიდლისა სამოსლითა, არამედ უკუეთუ მამის მოყუარე ვინმე იყოს და ესევითარი რაჲმე მოემზადოს, საქმითმცა ნუ სრულ-ჰყოფს, არამედ, რომელი-იგი მოჰმზადა, ჟამსა მას, რომელსა საფლავსა დაიდვას, გლახაკთა მიეცინ იგი.

ხოლო ერთსა ვისმე შერაცხილთაგანსა, მუნ მდგომარესა, სამოსელი მრავალსასყიდლისაჲ მოემზადა, და ენება, რაჲთა საღმრთოჲსა მის მოხუცებულისა გუამი მითა წარგრაგნოს. ვინაჲცა, ესმა რაჲ განკანონებაჲ იგი, არად[6] შეჰრაცხა, არამედ უგულებელს-ყო, და მომზადებულისა მის სამოსლისა გლახაკთა მიცემაჲ არა ინება, არამედ ესრეთ მოიგონა, ვითარმედ, რაოდე-

1 ეკლისიისამან A. 2 არაჲ AB. 3 თჯთოეულად A. 4 სიტყუათამცამიერი B. 5 მას B. 6 არარად B.

ნის ღირდეს, ეგოდენი საფასე გლახაკთა განუყოს; და არა ხოლო თუ მოიგონა, არამედ უმჯობესადცა შეჰრაცხა.

და მასვე ჟამსა იწყლა იგი ეშმაკისა მიერ ბოროტისა, და ურჩებისა თჳსისა მწარენი მჭელეულნი მოისთულნა; ვინაჲცა თავი თჳსი წინაშე სარეცელსა მას წმიდისასა დააგდო და ბოროტად იგუემებოდა და იღრჭენდა კბილთა და პეროოდა. ხოლო სახიერმან მან კაცმან ღმრთისამან ჰრქუა მას, ვითარმედ: „გჳთხარ ჩუენ, ჭ კაცო, რაჲ არს მიზეზი ჭირისაჲ (vB) ამის, ანუ რაჲ ბოროტი გიქმნიეს, რომელმან ესევითარსა ამას განსაცდელსა შთაგაგდო?“ ხოლო იგი სიტყუასა მას თანა წმიდისასა აღემართა, და დაფარული იგი გულისსიტყუაჲ თჳსი [1] მიუთხრა მას და ურჩებაჲ თჳსი გამოუცხადა; და ვითარცა აღიარა, ტკბილმან მან და მოწყალემან მამამან კუალად განკურნა იგი და მრთელად და უვნებელად გამოაჩინა ლოცვითა თჳსითა და ჴელთდასხმითა, და მერმე ჰრქუა მას: „აღასრულე, ძმაო, აღთქუმაჲ შენი, ვითარ-იგი დაიდევ გონებასა შენსა“.

ესევითარი ნიში აღასრულა დასასრულსა ცხორებისა თჳსისასა და მუნ მდგომარენი იგი მრავალთა სწავლათა მიერ შურად სათნოებათა აღადგინნა; ვითარცა უკუანაჲსკნელი იგი სწავლაჲ მისი საანჯმნო-ჰყოფს, და მყუდროსა მას ნავთსადგურსა ზეცათა სასუფეველისასა მიიცვალა. (vA)

54. და შეეძინა საუკუნითგანთა წმიდათა შესაძინელი წმიდაჲ და ღმრთისა საწადელი, და აწ იშუებს იგი საყოფელთა მათ შინა საუკუნეთა, სადა-იგი იხარებენ მჴედრობანი ანგელოზთანი და გუნდნი მამათმთავართანი და კრებულნი წინაჲსწარმეტყუელთანი; სადა-იგი არიან საყდარნი მოციქულთანი, სადა-იგი არს სუფევაჲ მოწამეთაჲ და ფუფუნებაჲ მამათაჲ და ბრწყინვალებაჲ მღდელთმოძღუართაჲ და დღესასწაულობაჲ პირმშოთაჲ და ჴმაჲ წმიდაჲ მერმისა მის ზატიკობისაჲ; კეთილთა მათ შინა, რომელთაჲ [2] სურის ანგელოზთა ჭჳრობაჲ, და წმიდათა მათ და ღმრთივბრწყინვალეთა ადგილთა მიიწია ნეტარისა და ყოვლადქებულისა მამისა ჩუენისა მრავალნეტარი იგი და უბიწოჲ სული.

---

1 თჳსი] მისი B. 2 რომელთა B.

55. ხოლო ამასცა[1] ვიტყჳ, ვითარმედ, რაჟამს-იგი ზეცად აღვიდოდა, წინა-უძღოდეს მას სათნოებანი, რომელნი-იგი ცხორებასა ამას აღესრულნეს, და უჩუენებდეს მას გამოუთქუმელთა მათ და უხილავთა კეთილთა, და ვითარმედ პირველ ყოველთაჲსა წარმოუდგა მას უაღრესი[2] იგი ყოველთა სათნოებათაჲ — ს ი ყ უ ა რ უ ლ ი, (1) და ესრეთ ჰრქუა: „იხილე, სულო, თუ ვითარნი კეთილნი მოგატყუენ“, და სიტყუასა თანა უჩუენნა მას საშუებელნი იგი უოხჭნონი.[3]

56. და ს ი მ დ ა ბ ლ ე მ ა ნ ჰრქუა: „განიცადე, სასურველო სულო, და მეცა თუ ვითარი ადგილი განსასუენებელი განგიმზადე“. და ეგრეთვე ყოველთა სათნოებათა თითოეულად,[4] რომელთათჳს-იგი, ვიდრეღა ჴორცთა შინა იყო, დაშურა და მრავლითა ოფლითა და შრომითა მოიმუშაკნა, ყოველთავე თითოეულად[5] თჳსნი კეთილნი და მისაგებელნი უჩუენნეს და ღირსი ნეტარებაჲ მიუძღუანეს.

57. ეჰა, მრავალსაგალობელი ესე და საშურველი მიცვალებაჲ!
ეჰა, არა მოქენე ესე ცრემლთაჲ სიკუდილი!
ეჰა, განყოფაჲ ესე, სასურველისა შეერთებისა მომატყუებელი!
ეჰა, მიცვალებაჲ, არა მომატყუებელი შენანებისაჲ!
ეჰა, შემურვაჲ ესე, უცხოჲ შეჭირვებისაგან და შეწუხებისა და მგლოვარეთა და ჭირისუფალთა![6] — რამეთუ კეთილთა მათთჳს მისთა, რომელთათჳს-იგი გჳკჳრს, მათ მიერვე ნუგეშინისცემასა მოვიღებთ.

რამეთუ სხუათა მათ კაცთა შორის, მიზეზ გლოვისა ექმნების სიკუდილი თჳსთა მათთა და საყუარელთა, ხოლო სიკუდილი წმიდათაჲ სიხარულისა და დღესასწაულობისა[7] მომატყუებელ იქმნების, რამეთუ არა ს ი კ უ დ ი (343rB) ლ ი არს ესევითარი იგი, არამედ მ ი ც ვ ა ლ ე ბ ა ჲ და უაღრესისა მიმართ მისლვაჲ.

58. ესე უკუე[8] ჩუენ მიერ, ვითარცა ძღუენი ულირსი, შემკადრებელითა ენითა, და ვითარცა შესხმაჲ, შეწირულ არს

1 ამას B. 2 უვაღრესი B. 3 უოხჭნონი] საუკუნენი B. 4 თჳთოეულად A. 5 თჳთოეულად A. 6 ჭირისუფალთა] ჭირისა ოფლთა B. 7 დღესასწაულებისა B. 8 უკუ A.

(1) შდრ. I კორ. 13,13.

შენდა, ჰ მამათა დიდებაო და ყოვლისა სოფლისა მოძღუარო, არა თუ[1] ვითარმცა საკმარ იყო შენდა; და რამეთუ ვითარი დიდებაჲ მოატყუას სიტყუამან, რაჟამს ქებულისა მის ღირსებასა ვერ მისწუდებოდის, და უკუანა კერძო მისსა ვიდოდის, არამედ უფროჲსღა[2] სარგებელად მსმენელთა და სოფელსა ამას შინა მყოფთა, რამეთუ დიდად კეთილთა მიმართ აღმძრველ[3] და მაწუეველ[4] ექმნების ღმრთისმოყუარეთა შესხმაჲ და კსენებაჲ წმიდათა და ნებისმყოფელთა ღმრთისათაჲ.

59. ხოლო ამის კელ-ყოფისა და კადნიერებისა მიმართ აღმძრნეს ჩუენ სხუათაცა მრავალთა, და არა ვიტყჳ შენთა მათ წარმატებათა და მოძღურებასა და ცხორებასა შენსა, ყოველსა სოფელსა შინა განთქუმულსა, არამედ უფროჲსღა საკჳრველმან მან კელის-აპყრობამან[5] შენმან და კსნამან, რომელი-იგი აჩუენე სეხნაობითა[6] შენითა პატივცემულსა ეფრემს ზედა, რომელმანიგი მოღუაწებისა ამის მიმართ გუაწჳა და კელ-გუაყოფია, რომელი-იგი ბარბაროზთა მათგან შვილთა ისმაელისთა წარიტყუენა და თჳსისა მამულისაგან მრავალთა ჟამთა განეშორა. და მიერ რაჲ სივლტოლაჲ იკუმია და თჳსსა ქუეყანასა მიჰმართა, და არა უწყოდა, ვიდრე-მცა-ვიდა, შენსა მას საკჳრველსა კელისაპყრობასა[7] მიემთხჳა, და გზისათჳსცა ეუწყა და სასოებისა თჳსისაგან[8] არა კუებულ იქმნა, და რაჟამს-იგი თავსა განსაცდელთასა მიიწია და მძჳნვარებითა ბარბაროზთაჲთა შეიწრდა და არღარაჲ აკლდა, არამედ სიკუდილი; და ვითარცა სახელი ხოლო შენი მოიკსენა და თქუა, ვითარმედ: „წმიდაო ეფრემ, შემეწიე“, მყის მახე იგი სიკუდილისაჲ უვნებელად წიაღ-ვლო და შიში შეურაცხ-ყო და ზეშთა სასოებისა ცხორებასა მიემთხჳა და, მეოხებითა შენითა შეზღუდვილი, თჳსად მამულად მოიწია. ვინაჲცა შესხმისა შენისა აღწერად კელი ჩუენი განვჰმარტეთ და არაწმიდათა ბაგეთა მიერ ქებად შენდა კადნიერ ვიქმნენით.

---

1 არაჲთუ AB. 2 უფროჲსადღა B. 3 ამძრველ B. აღმძრველ A (ჯერ დაუწერია „აღმძრველად“, შემდეგ „ად“ წაუშლია). 4 მაწუეველ A (ჯერ დაუწერია „მაწუეველად“, შემდეგ „ად“ წაუშლია). 5 კელის-აღპყრობამან B. 6 სეხნაობითა] სახელითა B. 7 კელის-აღპყრობასა B. 8 ∾ სასოებისაგან თჳსისა B.

60. და უკუეთუ არა ფრიად კუებულ ვართ საწადელისა ჩუენისაგან, სიტყუათა ჩუენთა წარმართებისა მიზეზსა შენ მიგაჩემებთ და შენდად შევჰრაცხთ მადლსა ამას. ხოლო უკუეთუ ფრიად შორს ვიპოვნეთ [1] ღირსებისაგან, [2] ამისიცა მიზეზი შენვე მიგაჩემოთ (დაღაცათუ კადნიერ არს სიტყუაჲ ესე), რამეთუ შენ ყოვლადვე შესხმისაგან ივლტოდე, და ვითარცა-იგი სოფელსა შინა, ეგრეთვე (50rA) შემდგომად სიკუდილისა, სიმდაბლისა სიყუარულითა შემსხმელთა შენთა აბრკოლებ და არა უტევებ შესხმად; გარნა ყოველსავე ზედა ჩუენ თანანადები აღვასრულეთ და გურწამს, ვითარმედ არა ვიბრალნეთ შენგან, მკურვალენი ესე მამის მოყუარენი, არამედ ვითარცა შვილთა საყუარელთა, უსრულად მზრახვალთა, ენაბრგუნვილი ესე და ჩჩულებრი შესხმაჲ მიითუალო. ხოლო შენ, რომელი-ეგე საღმრთოსა მას და ზეცათა საკურთხეველსა წინაშე სდგა და ცხორებისმომცემელსა მას [3] და (vB) ცხოველთა [4] ცხორებასა და ყოველთა არსთა არსად მომყვანებელსა ყოვლადწმიდასა სამებასა ანგელოზთა თანა ჰმსახურებ, მომიკსენენ ჩუენ წინაშე მისსა და გჯთხოვე ცოდვათა მოტევებაჲ და უოხჭნოჲსა მის სასუფეველისა ფუფუნებაჲ, ქრისტე იესუჲს მიერ, უფლისა ჩუენისა, რომლისაჲ არს დიდებაჲ თანადაუსაბამოჲთ მამით და ყოვლადწმიდით და ცხოველსმყოფელით სულითურთ, აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე, ამენ. [5]

1 ვიპოვენით B. 2 ღირსსებისაგან B. 3 მას – B. 4 ცხოველთა] ყოველთა B. 5 ამინ B.

[ფრაგმენტი წმ. ამფილოქე იკონიელის „წმ. ბასილი დიდის ცხოვრებიდან“, წმ. ბასილისა და წმ. ეფრემის შეხვედრის შესახებ]*

1

ე.[1] საკითხავი საკჳრველი წმიდისა ბასილისი[2] ეფრემისთჳს, ვარსკულა[ვისა] მის უდაბნოჲსა[3]**

ცხენთა მათ მალეთა აღძრნეს წყალნი მრავალნი, (1) სიტყჳსა მისებრ ამბაკუმ წინაჲსწარმეტყველისა. ვინებე მითხრობად თქუენდა წმიდისა ბასილისთჳს (298vA) და ნეტარისა ეფრემისთჳს,[4] რომელი ვიხილეთ თუალითა ჩუენითა, რომელი გუესმა[5] პირისაგან ეფრემისა უტყუველისა.

იყო ნეტარი ესე ეფრემ უდაბნოს გარე,[6] და ვითარ იხილა მადლითა სულისა წმიდისაჲთა, რომელი ესმოდა საკჳრველებათათჳს მამისა ჩუენისა ბასილისთა, ითხოვა ღმრთისაგან, თუ[7] ვინაჲ არს დიდი ესე ბასილი.

და ვითარ-იგი განიზრახვიდა, ეჩუენა[8] მას სუეტი[9] ცეცხლისაჲ, მდგომარჱ[10] საკურთხეველსა ზედა, და თავი მისი აღიწეოდა ვიდრე ცადმდე,[11] და ჴმაჲ იყო მისა ზეცით, რომელი ეტყოდა

---

* ამფილოქე იკონიელს ელადიოს კესარიელის თხზულებაზე დაყრდნობით შეუდგენია „წმ. ბასილი დიდის ცხოვრება“, რომელშიც, სხვა ეპიზოდებთან ერთად, ჩაურთავს თხრობა წმიდა კესარიელ მღდელთმთავართან წმ. ეფრემის სტუმრობის შესახებ. ქართულ ენაზე ეს თხზულება სამი რედაქციითაა ცნობილი. აქ მკითხველს წარმოუდგენთ სამივე რედაქციას ამფილოქეს თხზულების იმ ფრაგმენტისას, სადაც წმ. ბასილისა და წმ. ეფრემის შეხვედრაა აღწერილი: 1) ტბეთის მრავალთავისა (A19), 2) პარხლის მრავალთავისა (A95) და 3) იერუსალიმური ხელნაწერებისა (№36, №120)

** ტბეთის მრავალთავის (A19, 150r-151v) გარდა ტექსტის დადგენისათვის გამოვიყენეთ A90 ხელნაწერი (298r-299v). ვარიანტებს აღვნიშნავთ T და A ასოებით, შესაბამისად.

1 ე – A. 2 ბასილისი] ი˜ნესი A. 3 უდაბნოჲსა + მამაო, გუაკურთხენ A. 4 და ნეტარისა ეფრემისთჳს – A. 5 გუჱსმა A. 6 გარჱ T. 7 თუ T, თჳთ A. 8 ეჩუჱნა A. 9 სუჱტი A, + იგი A. 10 მდგომარე A. 11 ცამდე A.

(1) ამბაკ. 3,15.

ეფრემს: „ვითარცა სუეტი[1] ესე ცეცხლისაჲ,[2] ეგრეთ[3] არს დიდი ბასილი“.

მაშინ წარმოიყვანა თა(150vT)რგმანი, რამეთუ არა იცოდა ზრახვაჲ[4] ბერძლ[5] ჩუენითა ენითა და მსწრაფლ[6] მოვიდა ქალაქად ჩუენდა კესარიად. და დაემთხჳა მას დღესასწაული ღმრთის[7] გამოცხადებისაჲ. და შემოვიდეს[8] ფარულად იგი და თარგმანი მისი. და ვითარ იხილა მამაჲ ჩუენი ბასილი, შემავალი ეკლესიად, ჰრქუა თარგმანსა თჳსსა: „ესრე ვჰგონებ, ძმაო, ვითარმედ ცუდად დავშუერით[9] ესოდენსა[10] ამას[11] გზასა, რამეთუ კაცი ესე არა არს[12] მას ზედა, ვითარ-იგი მე ვიხილე“, რამეთუ იხილა იგი შემავალი ეკლესიად, მოსილი სამოსლითა სპეტაკითა, და გარემო მისა პატივი დიდი და სიმრავლჱ[13] ფრიადი.

და ვიდრე-იგი დგა წმიდაჲ ეფრემ ეკლესიასა შინა მწუხარე,[14] განიზრახვიდა და თქუა: „უკუეთუ რომელთა-ესე[15] თავსგჳდებიეს სიცხჱ[16] დღისაჲ და ყინელი ღამისაჲ და ვერარაჲ მოგჳპოებიეს, და ესე — ამით დიდებითა და პატივითა სუეტი[17] არს ცეცხლისაჲ, რაოდენ[18] უფროჲს საკჳრველ არს ესე!“

და[19] ვითარცა ამას განიზრახვიდა, მოუვლინა მას წმიდამან ეპისკოპოსმან[20] ბასილი მთავარდიაკონი და ჰრქუა მას:[21] „მივედ[22] დასავალით კერძო ყურესა ეკლესიისასა და ჰპოო მუნ[23] მონაზონი, რომელსა ადგს კუნკული,[24] და მის თანა კაცი ერთი სხუაჲ (და უთხრა[25] მას სხუაჲცა[26] ნიშანი პირისა მისისაჲ), და არქუ[27] მას: ბრძანე,[28] შემოვედ საკურთხეველად, რამეთუ ბასილი გიწესს შენ“.

და მივიდა მთავარდიაკონი იგი[29] და განაპო სიმრავლჱ[30] იგი[31] ერისაჲ და მივიდა,[32] სადა-იგი იყო (299rA) წმიდაჲ ეფრემ მდგომარე,[33] და ჰრქუა მას:[34] „მაკურთხე მე,[35] მამაო, და შემო-

1 სუჱტი A. 2 ცეცხლისა A. 3 ეგრჱთ A. 4 ზრახვაჲ A] სიტყუაჲ T. 5 ბერძლ T, ბერძული A. 6 მწრაფლ T. 7 ღმრთისა A. 8 შემოვიდა A. 9 ვშუერით T, დავშუჱრით A. 10 ესოდენსაღა A. 11 მას A. 12 არა არს] არაა A. 13 სიმრავლე A. 14 მწუხარჱ T. 15 რომელი-ესე A. 16 სიცხე A. 17 სუჱტი A. 18 რავდენ A. 19 და — A. 20 ეპისკოპოსმან T] ღმრთისამან A. 21 მას — A. 22 მივედი A. 23 მუნ — T. 24 კუნკული T, კუკული A. 25 უთხარ A. 26 სხუაჲცა] სხუაჲ და ცან A. 27 ჰრქუა T, ჰქ᾽ა A. 28 ბრძანე + და A. 29 იგი — A. 30 სიმრავლე A. 31 იგი — A. 32 მოვიდა A. 33 მდგომარჱ T. 34 მას — A. 35 მე — A.

ვედ საკურთხეველად, რამეთუ მამაჲ[1] ჩუენი ეპისკოპოსი[2] გიწესს შენ".

მიუგო წმიდამან[3] ეფრემ: „შესცეთ,[4] მამაო კურთხეულო, ჩუენ[5] კაცნი უცხონი ვართ და არა გუცნის ჩუენ ეპისკოპოსმან".[6]

და მიიქცა[7] მთავარდიაკონი იგი და უთხრა წმიდასა ბასილის, ხოლო წმიდაჲ ეფრემ სხუად ადგილად[8] წარვიდა.

და ასწავებდა მამაჲ ჩუენი[9] წიგთაგან წმიდათა. იხილა წმიდამან ეფრემ, რომელი-იგი იტყოდა[10] პირითა მისითა.

და კუალად ჰრქუა ბასილი მთავარდიაკონსა: „წარვედ აწ სხუად ადგილად, და ჰპოო[11] იგი მუნ მდ(151rT)გომარე,[12] და არქუ მას: უფალო ეფრემ, ბრძანე საკურთხეველად, რამეთუ ეპისკოპოსი[13] ბასილი გიწესს შენ".

და ვითარ მივიდა მთავარდიაკონი, ამბორს-უყო ფერჯთა მისთა[14] და ჰრქუა მას: „უფალო ეფრემ, ბრძანე საკურთხეველად, რამეთუ მამაჲ ჩუენი ბასილი გიწესს შენ".

და დაუკურდა ეფრემს წმიდისა მისთჳს და[15] ადიდებდა ღმერთსა თაყუანისცემით და თქუა: „ჭეშმარიტად დიდ არს წმიდაჲ ბასილი, რამეთუ ჭეშმარიტად სუეტი[16] არს ცეცხლისაჲ, და სული წმიდაჲ იტყჳს პირითა მისითა!" და ევედრა მთავარდიაკონსა მას, რაჲთა შენდობა ყოს მისთჳს წინაშე ბასილისა,[17] და ჰრქუა მას:[18] „შემდგომად ჟამისწირვისა მოვიდე მისა[19] და ვიხილო იგი ნებითა ღმრთისაჲთა".

და ვითარ განუტევა ერი და შევიდა ბასილი სადიაკონედ,[20] მოუწოდა ეფრემს და მოიკითხა უფლისა მიერ და ჰრქუა მას: „ვინ მოგიყვანა შენ აქა, მამაო შვილთა უდაბნოჲსათაო, რამეთუ განამრავლენ უდაბნოს მყოფნი ქრისტჳსნი[21] და[22] განასხენ მათგან ეშმაკნი. რაჲსათჳს დაჰშუერ,[23] მამაო, რაჲსათჳს მოხუედ[24]

---

1 მამაჲ T, მამადმთავარი A. 2 ებისკოპოსი A. 3 წმიდამან – T. 4 შესცეთ + წმიდაო A. 5 ჩ˜ნო A. 6 გუცნის ეპისკოპოსმან A,] გუცნობს ჩუენ ეპისკოპოსი T. 7 მოიქცა A. 8 სხუად ადგილად T,] სხუასა ადგილსა A. 9 მამაჲ ჩუენი T] მამადმთავარი A. 10 ეტყოდა A. 11 ჰპოვო T. 12 მდგომარჱ T. 13 ებისკოპოსი A. 14 მისთა + წმიდათა A. 15 და – A. 16 სუჱტი A. 17 ბასილისსა A. 18 მას – A. 19 მისა – T. 20 ბასილი სადიაკონედ T,] ბასილისა დიაკონი A. 21 ქ˜სნი A. 22 და – A. 23 დაშუჱრ A. 24 მოხუჱდ A.

კაცისა ცოდვილისა? მოგეცინ შენ უფალმან, მამაო, მადლი შრომისაებრ შენისა!“

და მიუგო პატიოსანმან ეფრემ და უთხრა, რაჲ-იგი იყო გულსა მისსა, და მერმე ეზიარა წმიდათა ჴელითა მისითა და ყვეს სიყუარული ურთიერთასი.[1]

და მერმე ჰრქუა წმიდამან ეფრემ: „ეჰა, მამაო პატიოსანო, ერთისა სათხოველისა[2] თხოვაჲ მნებავს შენგან, და ნუ გარემიიქცევი[3] არა-ყოფად მას!“ (299vA)

ჰრქუა მას ბასილი: „ბრძანე, რაჲცა გნებავს, რამეთუ თანამაც პატივი შენი და მადლობაჲ უფროჲსღა, რამეთუ დაჰშუერ[4] ჩემდა მომართ“.

მიუგო ეფრემ და ჰრქუა:[5] „შენ უწყი, წმიდაო ღმრთისაო, რამეთუ, რაჲცა სთხოო[6] ღმერთსა, ყოველსავე მოგცემს შენ, და მნებავს, რაჲთა[7] ითხოო[8] ღმრთისაგან, რაჲთა მომცეს მე სიტყუაჲ ბერძენთა ენითა“.

მაშინ სულთ-ითქუნა ღმრთისა მიმართ წმიდამან მამამან ჩუენმან[9] ბასილი, და ჰრქუა: „მოვედ, მამაო პატიოსანო და მოძღუარო უდაბნოჲსაო, და ვილოცოთ ღმრთისა მიმართ, რამეთუ წერილ არს: ნებაჲ მო(151vT)შიშთა მისთაჲ ყოს უფალმან, ლოცვანი მათნი ისმინნეს და აცხოვნნეს იგინი,(1) და არარაჲ დიდ არს წინაშე ღმრთისა“.

და ილოცეს ერთბამად და აღდგეს. და ჰრქუა მას[10] წმიდამან მამამან:[11] „რაჲსათჳს არა მიიღებ, უფალო, კურთხევასა ხუცობისასა, რამეთუ გშუენის?“[12]

ხოლო[13] ეფრემ ჰრქუა:[14] „რამეთუ ცოდვილ ვარ, მამაო“.

მიუგო წმიდამან ბასილი და ჰრქუა:[15] ნეტარ-თუ-მცა მე მაქუნდა[16] ცოდვანი შენნი![17] არამედ მოვედ[18] და ერთბამად თაყუანისვსცეთ!“

---

1 ურთიერთარს A. 2 სათხოელისა A. 3 გარე-მიიქცევ A. 4 დაშუერ A. 5 და ჰრქუა – A. 6 სთხოვო T. 7 რაჲცა A. 8 ითხოვო T. 9 მამამან ჩუენმან – A. 10 მას – A. 11 მამამან T] ბასილი A. 12 გშუენის T] გეშინის A. 13 ხოლო – A. 14 ეფრემ ჰრქუა T] მიუგო ეფრემ A. 15 და ჰრქუა – A. 16 მაქუნდეს T, მაქუნდა A. 17 ცოდვანი შენნი T, ცოდვაჲ შენი A. 18 მოვედი A.

(1) ფს. 144,19.

და ვითარ თაყუანის-სცეს, დასდვა წმიდამან ბასილი ჴელი თავსა ეფრემისსა, და მისცა მას კურთხევაჲ დიაკონებისაჲ. და ჰრქუა მას: „აღგუადგინენ ჩუენ აწ!“

მაშინ თქუა წმიდამან ეფრემ ბერძენთა ენითა: „გუაცხოვნენ, შეგჳწალენ და[1] აღგუადგინენ,[2] ღმერთო, შენითა მადლითა!“

მაშინ ყოველთა დაუკჳრდა[3] სასწაული იგი.[4]

და უნდა წმიდასა ბასილის, რაჲთამცა აკურთხა ხუცად. და არა ინება წმიდამან ეფრემ, რამეთუ თქუა, ვითარმედ: „არა ღირს ვარ“, რომელი-იგი არს ჭეშმარიტად ღირს ღმრთისა თანა.

მაშინ აზრახდა იგი ბერძულითა ენითა განმარტებულად. და მისცეს დიდებაჲ ღმერთსა, შემძლებელსა ყოვლისასა, რომელი ძნელ უჩნ კაცთა.

და დაიყენა[5] იგი სამ დღე[6] და განიხარა მის თანა სიხარულითა სულიერითა და თარგმანი იგი მისი აკურთხა დიაკონად, და მერმე ხუცად. და წარვიდეს იგინი ადგილსა[7] თჳსა და ადიდებდეს ღმერთსა კაცთმოყუარესა და შემოქმედსა დიდ-დიდთა[8] საკჳრველებათასა, რომლისაჲ არს დიდებაჲ, მამისა და ძისა და წმიდისა სულისაჲ,[9] აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე, ამენ.

2

მისივე,* გამოჩინებისათჳს ღირსისა მამისა ჩუენისა ეფრემისი, საკჳრველებაჲ

ორთა ცხენთა მალიად მორბედთა აღძრნეს წყალნი მრავალნი, (1) ვითარცა იტყჳს საკჳრველი ამბაკუმ. მითხრობაჲ მნებავს ყოველსა საკჳრველებასა ბასილისსა და ეფრემისსა, ჩუენისა მამისა ბასილის ხილვაჲ. ხოლო წმიდისა და ღმრთისა მონისა ეფრემისი, უტყუველისა მისისა სმენად პირისა. ხოლო არს ესრეთ.

---

*ეს ვარიანტი პარხლის მრავალთავიდანაა (A 95,97v-99r), სადაც წმ. ბასილის ცხოვრებისა და საკვირველებათა შესახებ თხრობა მიეწერება ელადიოს კესარიელს (96r).

1 და – A. 2 აღგუადგინენ T, აღგუმართენ A. 3 დაუკჳრდა + სარწმუნოებაჲ და A. 4 იგი – A. 5 დააყენა A. 6 დღ T. 7 ადგილსა A, ადგილდ T. 8 დიდ-დიდთა T, დიდთა A. 9 სულისა A.

(1) ამბაკ. 3,15.

ესე ეფრემ მარადის ქებული, რომელი იყო უდაბნოსა, ხოლო გამობრწყინვებითა წმიდისა სულისაჲთა, და სურვილითა გამოკითხვითა ისწავლნა საკჳრველნი საქმენი ჩუენისა მამისა ბასილისნი, და ლოცვით ევედრებოდა ღმერთსა, რაჲთა გამოუცხადოს მას, თუ ვინ არს დიდი ბასილი.

და განკჳრვებულ იქმნა და ეჩუენა მას სუეტი ცეცხლისაჲ წინაშე წმიდასა ტრაპეზსა მდგომარჱ, რომლისაჲ თავი აღიწეოდა ცადმდე, და ზეგარდამო ჴმაჲ იყო, რომელი ეტყოდა: „ეფრემ, ეფრემ, ვითარცა-სახედ იხილე სუეტი ესე ცეცხლისაჲ, ესევითარი არს დიდი ბასილი“.

და წარიყვანა თარგმანი, ამისთჳს, რამეთუ არა იცოდა მან ჩუენი ენაჲ, და სწრაფით მოვიდა ჩუენდა კესარიად ქალაქსა. ხოლო მოიწია დღესა მას წმიდასა და ცხოველსმყოფელსა დღესასწაულსა წმიდასა ღმრთის გამოცხადებასა. და დაფარულად შევიდა წმიდასა ეკლესიასა თარგმანსა თანა. და იხილა ღირსი მამაჲ ჩუენი ბასილი, შემო-რაჲ-ვიდოდა შინა წმიდასა ეკლესიასა, და ჰრქუა, რომელი-იგი იყო მის თანა თარგმანი: „მგონია, ძმაო ჩემო, ცუდად მოვშუერით, რამეთუ ესე ესევითარითა არს წესითა; არა არს ეგრეთ, ვითარცა ვიხილე იგი“, რამეთუ იხილა იგი შემოსილი სამოსლითა სპეტაკითა და სტიქარი ეგრევე მსგავსად, და გარემოჲს მისა დიდი ერი მსახურთაჲ შიშით წარჰგზავნიდეს.

და შევარდა იგი ურვასა შინა დიდსა და დადგა ერთსა ადგილსა წმიდასა ღმრთისა ეკლესიასა დამალულად, და განიშორა (98rP) საქმისა მის ზრუნვაჲ, და თქუა: „ჩუენ, რომელთა ვიტჳრთეთ სიცხჱ დღისაჲ, არაჲ მოვიგეთ, და ესე — ესევითარითა დიდებითა და პატივითა სუეტი ცეცხლისაჲ არს, მიკჳრს!“

და ამას რაჲ განიზრახვიდა თავით თჳსით, მიავლინა მისა წმიდამან ღმრთისამან მთავარდიაკონი მისი და თქუა: „წარვედ დასავალით კერძოსა ყურესა ეკლესიაჲსასა და ჰპოვო მუნ მონაზონი, რომელსა ედგას კუნკული, სხუასა თანა ერთსა, ქარცი მცირჱ (და სხუაჲ ნიშანი პირისა მისისაჲ ჰრქუა), და არქუ მას: ბრძანე, შემოვედ სამღდელოდ, რამეთუ გხადის შენ მთავარეპისკოპოსი“.

ხოლო მთავარდიაკონმან მრავლითა შრომითა განკუეთა ერი

და მივიდა, სადა-იგი დგა წმიდაჲ ეფრემ. „კჳრიე,[1] ევლოგისონ![2] ბრძანე, შემოვედ სამღდელოდ, რამეთუ გხადის შენ მამაჲ ჩუენი მთავარეპისკოპოსი“. და ცნა თარგმნისაგან.

მიუგო და თქუა: „შესცეთ,[3] კჳრიე,[4] ევლოგისონ! რამეთუ ჩუენ კაცნი უცხონი ვართ და უმეცარნი მისგან“. და წარვიდა მთავარდიაკონი, და მიუთხრა ესე წმიდასა ეპისკოპოსსა ბასილ-ის, ხოლო ესთენ უკუე თჳთ წმიდამან ეფრემ მიიცვალა ადგ-ილისა მისგან სხუასა ადგილსა ეკლესიასა შინა.

ხოლო მამაჲ ჩუენი სამღდელოსა შინა წიგნსა აღმოუკითხ-ვიდა ერსა. და იხილა წმიდამან ეფრემ ტრედი, მეტყუელი პირ-ისა მისისაგან.

და ჰრქუა წმიდამან ბასილი მთავარდიაკონსა: „წარვედ აწ მას და მას ადგილსა ჰპოვნე იგინი მუნ მდგომარენი, და მი-რაჲ-ხჳდე არქუ მას: უფალო ეფრემ, შემოვედ წმიდასა საკურთხევ-ელსა; გხადის შენ მთავარეპისკოპოსი“.

და წარვიდა მთავარდიაკონი სხუასა ადგილსა, რომელსა მიეცვალა, და ამბორს-უყო ფერჴთა მისთა და ჰრქუა მას: „უფა-ლო ეფრემ, ბრძანე, გევედრების შენ მამაჲ ჩუენი მთავარეპისკო-პოსი, რაჲთა შეხვიდე[5] წმიდასა საკურთხეველსა“.

და განკჳრდა ამას ზედა ღირსი ეფრემ, და ადიდებდა ღმერთ-სა, და ყო მუჴლთა მოდრეკაჲ. მიუგო და ჰრქუა: „ჭეშმარიტად, დიდი ბასილი სუეტი ცეცხლისაჲ არს! ჭეშმარიტად, სული წმიდაჲ ზრახავს პირითა მისითა!“[6] და ევედრა მთავარდიაკონსა, რაჲთა მიუთხრას, ვითარმედ „უფროჲსღა შემდგომად წმიდისა ჟამისწირვისა (98vP) სადიაკონეს შინა მოვიკითხო იგი“.

და აღ-რაჲ-ასრულა საღმრთოჲ საიდუმლოჲ, შევიდა სადია-კონედ, და მოუწოდა წმიდასა ეფრემს და მოიკითხა იგი უფლისა მიერითა მოკითხვითა და ჰრქუა მას: „კეთილად მოხუედ, მამაო შვილთა უდაბნოჲსათაო, კეთილად მოხუედ, რომელმან განამ-რავლენ მოწაფენი ქრისტჱსნი[7] მას შინა და ეშმაკნი განასხენ. რაჲსათჳს მოჰშუერ, მამაო, რაჲსათჳს მოხუედ ხილვად კაცისა ცოდვილისა? მიგეცინ შენ ღმერთმან სასყიდელი შრომისა შენისაჲ!“

1 კჳრი P. 2 ევლლოგისონ P. 3 შეშსცეთ P. 4 კჳრი P. 5 შეხჳდე P. 6 მისით P. 7 ქ˜ჱსნი P.

მიუგო მას პატიოსანმან ეფრემ და ჰრქუა გულისა მისისაჲ, ნამუშაკევი და თქუმული, და რომელი-იგი იყო მის თანა მონაზონი, და ეზიარნეს წმიდათა ჴელთა მისთაგან და ყვეს სიყუარული.

და თქუა წმიდამან ეფრემ: „მამაო პატიოსანო, ერთი სათხოელი მაქუს შენდამი, და ინებე განაღა ყოფად იგი“.

ხოლო მან ჰრქუა მას: „ბრძანე, მრავალი შენი ზედა-მაც უფროჲსღა შრომისა შენისათჳს ჩემდა მოსლვად“.

და ჰრქუა მას წმიდამან ეფრემ: „ვიცი, წმიდაო, ვითარმედ რავდენიცა სთხოო ღმერთსა, მოგცეს შენ. ინებე ვედრებად ღმრთისა, რაჲთა ვზრახვიდე ბერძლ“.

და სულთ-ითქუნა ღმრთისა მიმართ წმიდამან მამამან ჩუენმან ბასილი, და ჰრქუა მას: „მოვედ, მამაო პატიოსანო და უდაბნოჲსა მოძღუარო, და ვევედრნეთ უფალსა, რამეთუ შემძლებელ არს ყოფად ნებასა შენსა, რამეთუ წერილ არს: ნებაჲ მოშიშთა მისთაჲ ყვის უფალმან, ლოცვანი მათნი ისმინნეს და აცხოვნნეს იგინი, (1) რამეთუ არა შეუძლებელ არს ღმრთისა ყოველი სიტყუაჲ.

და ყვეს მათ ლოცვაჲ მრავალჟამ და აღდგეს იგინი ლოცვისაგან. ჰრქუა მას ღირსმან ჩუენმან მამამან: „რაჲსათჳს, უფალო ეფრემ, არა მოიღებ ჴელთდასხმასა ხუცობისასა, რამეთუ ჯერარს შენდა?“

ჰრქუა მას წმიდამან ეფრემ თარგმნისა მიერ: „რამეთუ ფრიად ცოდვილ ვარ“.

ჰრქუა მას ღირსმან მამამან ჩუენმან: „მინდა მეცა ცოდვათა შენთა ქონებაჲ“. და ჰრქუა მას: „ყავ მუჴლთმოდრეკაჲ“. და ყო მან ქუეყანასა ზედა მუჴლთმოდრეკაჲ.

და დასდვა ღირსმან მამამან ჩუენმან ბასილი ჴელი ღირსსა ზედა ეფრემს და თქუა ლოცვაჲ დიაკონობისაჲ. და ჰრქუა მას: „ბრძანე: აღმადგინენ ჩუენ!“

და თქუა წმიდამან ეფრემ ჩუენითა ენითა: „გუაცხოვნენ, აღმადგინენ ჩუენ, ღმერთო, შენითა მადლითა“.

და იქმნნეს ყოველნი განკჳრვებულ. და ეგულებოდა მას ჴელთდასხმაჲ (99rP) ხუცობისაჲ. და ევედრა მას წმიდაჲ ეფრემ

(1) ფს. 144,19.

არა-ყოფად ესე. ამისთჳს, ვითარცა-იგი თქუა, არა ღირს ვარ ჭეშმარიტებით ღმრთისა. და ზრახვიდა იგი ბერძლ შეუცთომელად.

მაშინ ადიდებდეს ღმერთსა, რომელმან ყვის ყოველი ძალითა თჳსითა, რომელი კაცთაგან შეუძლებელ არს, და დაიყენა იგი სამ დღჱ, და იხარებდა მის თანა სულიერად, და ჴელნი დაასხნა თარგმანსა მისსა დიაკონად და ხუცად, და განუტევნა იგინი მშჳდობით ადგილსა თჳსსა. და ადიდებდეს კაცთმოყუარესა ღმერთსა, რომელმან ყვის დიდებული და საკჳრველი, რომლისაჲ არა არს რიცხუ, ქრისტე[1] იესუჲს[2] მიერ, უფლისა ჩუენისა, თანა მამით, დიდებაჲ და პატივი, სადიდებელად შუენიერებაჲ თანა ყოვლადწმიდით და ცხოელსმყოფელით სულითურთ, აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე, ამენ.

3

ეფრემისთჳს ასურისა*

მინებს, ძმანო, თხრობად სარგებელსა სულისასა, თუალით ხილულსა და ყურით სმენილსა.

ეფრემ ოდესმე უდაბნოს მკჳდრობდა. ესმოდა ჰანბავი წმიდისა ბასილისი, რომელი ღირსცა იყო სმენისა. ამისთჳსცა ევედრებოდა ჴელგანპყრობით ღმერთსა, რაჲთა გამოუცხადოს საქმე მისი. და იხილა ჩუენებასა შინა სუჱტი ცეცხლისაჲ, რომლისა თავი აღიწეოდა ზეცად, და ჴმაჲ ესმა, ვითარმედ ესევითარი არს წმიდაჲ ბასილი. და მასვე ჟამსა წარმოიხუნა[3] თარგმანი, უმეცრებისათჳს ენისა, და მოიწია კესარიად.

---

* ესაა ერთ-ერთი თავი ამფილოქე იკონიელის თხზულებისა: „მოთხრობაჲ ცხორებისათჳს და საკჳრველთმოქმედებისა წმიდისა ბასილისთჳს“. შინაარსობრივად იგი ტბეთისა და პარხლის მრავალთავების ტექსტს ენათესავება, მაგრამ მათთან შედრებით მნიშვნელოვნად გავრცობილი და გადამუშავებულია. ბასილის ცხოვრებისა და საკვირველთმოქმედებათა ეს ვრცელი რედაქცია შეტანილია იერუსალიმის საპატრიარქო ბიბლიოთეკის ორ ქართულ ხელნაწერში: №36 და №120. წინამდებარე ტექსტი გადმოვიწერეთ №36 ხელნაწერიდან (210v-99r).

1 ქ˜ჱ. 2 ი˜ჯს. 3 წარმოიხ˜ნა.

ხოლო იყო დღე იგი განცხადებისაჲ. და იხილა წმიდაჲ ბასილი, მიმავალი დიდად ეკლესიად. და ვითარცა ხედვიდა ბრწყინვალედ შემოსილსა სპეტაკითა სამოსლითა, და ჰრქუა თარგმანსა მისსა: „ცუდად დავშუერით,[1] ძმაო, რამეთუ ესე ამით წესითა არა ეგრეთ არს, ვითარ ვიხილე". და განწირა პირი საქმისა მის, და დადგა ეკლესიასა შინა ადგილსა ფარულსა, და თქუა: „ურგებ იქმნა სლვაჲ ჩუენი და ტჯრთვაჲ სიცხისაჲ, რამეთუ ესოდენსა დიდებასა შინა მყოფისა და წინა-სლვისა კაცთაჲსა შეუძლებელ არს ქმნად სუფტ ცეცხლისა".

და ამას რაჲ იგონებდა, მიუვლინა წმიდამან მთავარდიაკონი და ჰრქუა: „წარვედ დასავალით-კერძოსა ბჭესა[2] ეკლესიისასა, და ჰპოო მუნ მონაზონი, მდგომარე სხჳსა თანა ერთისა, კაცი კოვსაკი* მოკლე, რომელსა ჰმოსიეს კუნკული, და არქუ: შემოვედ, ბრძანე, გიწესს მთავარეპისკოპოსი".

და ვითარცა პოა და ჰრქუა: „გუაკურთხენ და შემოვედ სამღდელოდ, რამეთუ გიწესს მთავარეპისკოპოსი".

ხოლო მან ისწავა რაჲ თარგმანისაგან, ჰრქუა:

„შეცთომილ ხარ, ძმაო, რამეთუ მე უცხოჲ ვარ და უცნაურ მისგან".

და წარვიდა და (211r) უთხრა წმიდასა მას. და იწყო წმიდამან ბასილი კითხვად წიგნისა ერისა მიმართ. ხოლო ხედვიდა ეფრემ ენასა ცეცხლისასა პირით მისით მეტყუელად.

და კუალად წარავლინა მთავარდიაკონი. „წარვედ და არქუ მას..." **

„უფალო ეფრემ, გიწესს მთავარებისკოპოსი, ბრძანეთ!"

ხოლო განცჳბრდა ამას ზედა ეფრემ და თქუა: „ჭეშმარიტად სული წმიდაჲ იტყჳს პირით მისით!" და თაყუანისცემაჲ შეწირა და თქუა: „წარვედ და მოაჴსენე ესრეთ, ვითარმედ: შემდგომად ჟამისწირვისა ჭურჭლისსაცავსა შინა გიხილო".

ხოლო შემდგომად ჟამისწირვისა მიუწოდა ეფრემს. და ვითარცა მოიკითხნეს, ჰრქუა: „კეთილად მოხუედ,[3] მამაო უდაბნოჲსა

* კოვსაკი (სპარს.) — ქოსა, უწვერული.

** აქ ხელნაწერს დეფექტი არ აქვს, მაგრამ, ტექსტს მცირედ უნდა აკლდეს, როგორც ჩანს, გადამწერის მიზეზით.

1 დავშუფრით. 2 ბრჭესა. 3 მოხუფდ.

შვილთაო! გარნა რაჲსა მოჰშუერ[1] ცოდვილისა კაცისა? მოგეცინ შენ სასყიდელი შრომისაებრ შენისა!"[2]

ხოლო მან მიუგო სიტყუაჲ ჯეროვანი და იზიარნეს კელთაგან მისთა.

და ვითარცა ყვეს სიყუარული, ჰრქუა ნეტარმან ეფრემ დიდსა ბასილის: „მწადის, წმიდაო ღმრთისაო, რაჲთა ევედრო ჩემთჳს, რაჲთა მესმოდის სიტყუაჲ შენი და სიტყუსაცა მოგიგებდე".[3]

ხოლო მღდელთმთავარმან ჰრქუა: „უზეშთაეს ძალისა ითხოვე ეგე, გარნა შრომისა შენისათჳს არა გარე-მიაქცევს სათხოვარსა შენსა ღმერთი. მოვედ და ორნივე ზოგად ვევედრნეთ ღმერთსა, რამეთუ წერილ არს, ვითარმედ: ნებაჲ მოშიშთა მისთაჲ ყოს უფალმან და ვედრებისა მათისაჲ შეისმინოს და აცხოვნნეს იგინი". (1) და ჰრქუა: „რად არა მიიღებ კელთდასხმასა ხუცობისასა?"

ხოლო ეფრემ მიუგო: „ამისთჳს, რამეთუ ცოდვილ ვარ".

და ბასილი თქუა: „ჰეთუმცა ცოდვანი შენნი მე მაქუნდეს!"[4]

და იწყეს ლოცვად მუკლთმოდრეკით. და ვითარცა მდებარე იყო, დასდვა კელი ნეტარსა ეფრემს, და თქუა მის ზედა ლოცვაჲ დიაკონებისაჲ,[5] და ჰრქუა: „ბრძანე: აღმადგინენ ჩუენ!"

და მყის განემარტა ენაჲ ეფრემისი და თქუა ბერძულითა ენითა: „გუაცხოვნენ, შეგჳწყალენ, აღგუადგინენ, დაგჳცვენ, ღმერთო, შენითა მადლითა!"

მაშინ აღესრულა წერილი, ვითარმედ: „ხლდებოდეს მკელობელი, ვითარცა ირემი, და განემარტოს ენაჲ ბრგუნილი".[6] (2)

და (211v) მიერითგან[7] ზრახვიდა თჳთ სმენით და მიგებით, და ყოველნი ადიდებდეს ღმერთსა. და კელთდასხმულ[8] ყო თარგმანი იგი დიაკონად,[9] ხოლო წმიდაჲ ეფრემ — ხუცად. და წარგზავნნა იგინი მშჳდობით, განმხიარულებულნი სულითა და ჯორცი[თა].[10]

---

1 მოშუერ. 2 შენი. 3 მომიგებდე. 4 მქონდეს. 5 დიაკონ˜ბისაჲ. 6 ბრგუნი. 7 მუნიერითგან. 8 კელდასხმულ. 9 დიკ˜ნდ. 10 ჯორცი.

(1) ფს. 144,19. (2) ეს. 35,6.

დედაკაცისათჳს ცოდვილისა.*

ჟამთა შინა წმიდისა ბასილი ებისკოპოზისთა დედაკაცმან ვინმე, ფრიად მდიდარმან, ქურიობასა შინა თჳსსა ფრიადსა გულისთქუმასა შინა და ნაყროვნებასა და სიძვისა უძღებებასა შინა წარვლნა ყოველნი დღენი ცხორებისა მისისანი. ხოლო უკუანაჲსკნელ გულისჴმა-ყო სიტყუაჲ იგი, რომელსა იტყჳს წმიდასა შინა სახარებასა, ვითარმედ: „არა მნებავს სიკუდილი ცოდვილისაჲ, არამედ მოქცევაჲ და სინანული“. ამისთჳსცა განათლდა გონებაჲ მისი, და სალმობიერად ტიროდა და იტყოდა: „ვაჲ მე ცოდვილსა და უძღებსა! ვითარ სიტყუა-უგო მსაჯულსა მრავალთა მათ ცოდვათა ჩემთათჳს, რომელნი მიქმნიან წარმდებად! და რამეთუ ტაძარი ჴორცთაჲ შევაგინე და სული განვხრწენ! ჵ მე, რამეთუ განგდებულ ვარ პირისაგან უფლისა, რამეთუ უფროჲს ყოველთა ვცოდე! და აწ ვისსა მოვივლტოდი უბადრუკი ესე და საწყალობელი!“

ამათ ესევითართა რაჲ მწარითა ტირილითა იტყოდა, და ღმერთმან წყალობისმოყუარემან ჴსენებად ბასილისა მოიყვანა, ვინაჲ მოიღო ქარტაჲ და დაწერნა ყოველნი ცოდვანი მისნი, და უკუანაჲსკნელ დაწერა ცოდვაჲ დიდი, რომელ ექმნა, და დაჰბეჭდა ტყჳვითა,[1] და მზირ უყო, და მი-რაჲ-ვიდოდა წმიდაჲ ბასილი ეკლესიად, მირბიოდა, და დააგდო ქარტაჲ იგი წინაშე მისსა და ჴმობდა: „შემიწყალე მე, წმიდაო ღმრთისაო, ფრიად ცოდვილი!“

მაშინ დადგა წმიდაჲ იგი და ჰკითხვიდა მიზეზსა გოდებათა მისთასა. ხოლო მან მიუგო: „აჰა, მეუფეო, ქარტაჲ, რომელსა შინა აღმიწერიან ყოველნი ცოდვანი“.

---

* ამ თავსა და მომდევნოსაც („ებრაელისათჳს მკურნალისა“) პარალელი ეძებნება მრავალთავის ტექსტებში (A19,149r; A19,149r-150r; A95,104v-106r; A95,106r-107v), მაგრამ ცოდვილი დედაკაცის შესახებ თხრობაში იქ სახელდებით არაა მოხსენიებული უდაბნოში მოღვაწე ბერი, წინამდებარე (იერუსალიმური ხელნაწერების) ვარიანტში კი ხსენებული ბერი წმ. ეფრემთანაა იდენტიფიცირებული. ამიტომაც იერუსალიმური ტექსტი აქ სრულად მოგვაქვს.

1 ტყუვითა.

ხოლო მან მოუღო ქარტაჲ იგი და შევიდა ეკლესიად და ღამე ყოველ ევედრებოდა მისთჳს ღმერთსა. ხოლო შემდგომად ჟამისწირვისა მოუწოდა დედაკაცსა მას და ჰრქუა: „გასმიესა, დედაკაცო, ვითარმედ ვერვის ძალ-უც მიტევებაჲ ცოდვათაჲ, გარნა მხოლოსა ღმერთსა?“

ხოლო მან ჰრქუა: „მასმიეს,[1] მეუფეო, და ამისთჳს გევედრები, რაჲთა (212r) მოწყალე ჰყო იგი ჩემ ზედა“.

ესე თქუა და განჴსნა ქარტაჲ და აჴოცილად პოა ყოველი. ხოლო ერთი იგი — არა.

ხოლო იხილა რაჲ დედაკაცმან, იცემდა პირსა თჳსსა და იტყოდა: „შემიწყალე მე, მონაო ღმრთისაო, და ევედრე ჩემთჳს ღმერთსა, რაჲთა ლოცვითა შენითა აღმიჴოცოს უჯეროჲცა ესე ცოდვაჲ!“

ხოლო მის თანავე ლმობილი ბასილი ცრემლოოდა და ჰრქუა: „ჵ დედაკაცო, მეცა კაცი ვარ მოქენე შენდობისათჳს ცოდვათაჲსა, რამეთუ იგი მხოლოჲ არს უცოდველი და ამხუმელი[2] ცოდვათა სოფლისათა. [.] ამიერითგან მართლიად ხჳდოდი და აღგეჴოცოს ცოდვაჲ და ღირს გყოს სასუფეველსა მისსა, და წარვედ უდაბნოდ და ჰპოო მუნ კაცი წმიდაჲ, სახელით ეფრემ, და მიართუ ქარტაჲ ეგე, და ევედრე, რაჲთა მოწყალე ყოს შენთჳს ღმერთი“.

ესე რაჲ ესმა დედაკაცსა მას, ითხოა ლოცვაჲ და წარვიდა მოსწრაფედ. და ვითარცა მიიწია, ჰრეკა კარსა და იტყოდა: „შემიწყალე მე, წმიდაო მამაო!“

ხოლო წმიდამან ეფრემ ცნა სულითა წმიდითა საქმე მისი, და ჰრქუა: „ჵ დედაკაცო, კაცი ვარ ცოდვილი, და მეცა მიჴმს შეწევნაჲ“.

ხოლო მან შთაუგდო სარკუმელსა ქარტაჲ და ჰრქუა მას: „მთავარებისკოპოზსა ბასილის მოუვლენივარ, რაჲთა ევედრო ჩემთჳს ღმერთსა, რამეთუ ყოველნი ცოდვანი მისითა ლოცვითა ამიჴოცნა ღმერთმან, ხოლო შენ ნუ გცონის ერთისა ამის აჴოცად, მონაო ღმრთისაო!“

1 მასმიესა. 2 ამხჳმლი.

ხოლო მან ჰრქუა: „წარვედ, შვილო, და უკუეთუ ყოველნი ცოდვანი აჴოცნა ღმერთმან მის მიერ, ერთისა მისცა ძალ-უც აჴოცაჲ. აწ წარვედ და მიისწრაფე, რამეთუ შემდგომად სამისა დღისა განვალს ჴორცთაგან“.

ხოლო მან მოითხოვა ლოცვაჲ და მოიქცა მოსწრაფედ დედა-კაცი იგი.

ებრაელისათჳს მკურნალისა.

ხოლო წარსლვასა მას დედაკაცისასა უდაბნოდ, მოუწოდა მკურნალსა ებრაელსა, სახელით იოსებს. ესე მკურნალი იყო განთქუმული და ფრიად უყუარდა მას წმიდაჲ ბასილი. ხოლო მეცნიერ იყო იგი ძარღუთა ნახვისა, რამეთუ უწინარეს სამისა დღისა ცნის განსლვაჲ კაცისაჲ ამიერ (212v) ჴორცთაგან.

ხოლო წმიდამან ბასილი იცოდა წინაჲსწარ, ვითარმედ მის მიერ ცხოვნდეს იოსებ. ხოლო წმიდამან მამამან ჩუენმან იცოდა სულისა[1] მიერ წმიდისა განსლვაჲ მისი ჴორცთაგან. ამისთჳსცა იწყო სწავლად იოსებისსა, რაჲთა მიიღოს წმიდაჲ ნათლისღე-ბაჲ. ხოლო იგი ეტყოდა: „რომელსა სარწმუნოებასა შინა ვიშევ, მასვე შინა მოვკუდე!“

ხოლო წმიდაჲ იგი ეტყოდა: „გრწმენინ ჩემი, იოსებ, არცა მე და არცა შენ მივიცვალნეთ, ვიდრემდის არა იშვე წყლისა მიერ და სულისა, რამეთუ თჳნიერ ამისსა შეუძლებელ არს კაცისაჲ შესლვაჲ სასუფეველსა“. და ფრიად ასწავა წერილთა მიერ. ხოლო მან არა თავს-იდვა სმენად.

ხოლო წმიდამან ბასილი მიუპყრა ჴელი და ჰრქუა: „ვითა ხედავ თავსა ჩემსა?“

ხოლო მან, ვითარცა განიხილა, ჰრქუა: „განმზადებაჲ საფლა-ვისაჲ“.

ხოლო წმიდამან ჰრქუა: „არა აწ რასა იტყჳ?“

ხოლო ებრაელმან მიუგო: „გრწმენინ ჩემი, მეუფეო, მზე კესარიისაჲ მზესა თანა დაჰჴდების“.

ბასილი[2] ჰრქუა: „და უკუეთუ ცისკრამდე არა მოვკუდე, მერ-მე რაჲღა სთქუა?“

1 ს˜ლი. 2 ბასილმან.

ებრაელმან ჰრქუა: „ამისი ქმნაჲ არა ეგების, რამეთუ ძლით ერთ ჟამ იყოს სული შენი შენ თანა, და განაგე ეკლესიისა შენისათჳს, რამეთუ არა დაბნელდეს შენ ზედა დღე“.

ხოლო მან ჰრქუა: „უკუეთუ აღვიდე ხვალე მეექუსედ ჟამამდე, რაჲ-მე ჰყო?“

ხოლო მან ჰრქუა: „მოვიკლა თავი“.

ხოლო წმიდამან ჰრქუა: „ჰე, მოჰკუდე ცოდვისაგან, გარნა სცხოვნდე ქრისტეს[1] მიერ“.

და იოსებ ჰრქუა: „უწყი, რასა იტყჳ, და ვყო იგიცა, მამაო წმიდაო, უკუეთუ იქმნეს, რასა იტყჳ“. და ფიცით დაამტკიცებდა: „უკუეთუ ცოცხალღა იყო ხვალე, ექუს ჟამამდე, უეჭუელად[2] ნათელ-ვიღო“.

ხოლო ევედრა წმიდაჲ ბასილი ღმერთსა, რაჲთა შესძინოს დღე იგი ერთი დღეთა მისთა, რაჲთა ესეცა ცხოვნდეს და დედაკაციცა იგი, ეფრემისით უქმად მოქცეული.

ხოლო განთიად მოუწოდა ებრაელსა მას, და იხილა რაჲ იგი ცოცხალი, განცჳბრდა, და დავარდა ფერჯთა თანა მისთა და თქუა: „ჭეშმარიტად ვიტყჳ, რომელ არა არს სხუაჲ ღმერთი თჳნიერ მისსა, რომელმან შენ გიჴსნა სიკუ(213r)დილისაგან! და ამიერითგან ვიჯმნი მამულისა სჯულისაგან. და აწ ბრძანე, რაჲთა ნათელ-მცენ ყოვლით სახლეულით ჩემითურთ“.

ხოლო მან ჰრქუა: „თჳთ ჴელითა ჩემითა ნათელ-გცე“.

და კუალად შეაჴო ჴელი და ჰრქუა: „ძუალნი შენნი მოუძლურდეს, მეუფეო, და ბუნებაჲ სრულიად დაჴსნილ არს“.

ხოლო წმიდამან მან ჰრქუა: „გუაქუს,[3] შვილო, განმაძლიერებელი ჩუენდა დამბადებელი ბუნებათაჲ“. აღდგა და ვიდოდა წინა-კერძო და შევიდა ეკლესიად, და ნათელ-სცა მკურნალსა მას და ყოველსა სახლეულსა მისსა სახელითა მამისა, ძისა და სულისა წმიდისაჲთა. და უწოდა სახელად მისსა იოვანე. და წარიყვანა იგი და შეიყვანა საწოლსა თჳსსა და ასწავა გზაჲ ცხორებისაჲ. და მიმოვლნა სახლნი გლახაკთანი და მისცემდა საზრდელსა.

---

1 ქ˜ს. 2 უ˜ჭლ˜დ. 3 გქ˜ს.

ხოლო მეცხრესა ოდენ ჟამსა შეწირა მსხუერპლი და ეზიარა წმიდასა ჴორცსა და სისხლსა ქრისტჱსსა,[1] და აზიარნა ნათელ-ღებულნიცა იგი, და შევიდა საწოლსა, და ჴელგანპყრობით ევე-დრა ღმერთსა, და ყოველთა მისცა ამბორისყოფაჲ.[2]

ხოლო ღმერთსა სული შეჰვედრა და დაიძინა ძილი იგი მართალთაჲ.

და შემოკრბეს ებისკოპოზნი და ფრიადი ერი მორწმუნეთაჲ და აღიხუნეს წმიდანი ჴორცნი და მიჰყვანდეს ეკლესიად. და აჰა, დედაკაცი მოიწია, და ვითარცა იხილა წმიდაჲ იგი, მიმავალი საფლავად, იწყო ტირილად ჴმითა საზარელითა, და გორვიდა ქუეყანასა ზედა და იცემდა თავსა და იტყოდა წმიდისა მიმართ: „ჰ მე, წმიდაო ღმრთისაო, საწყალობელსაამას! ვაჲ მე უბადრუ-კსა! ვაჲ მე ცოდვილსა! ამისთჳს წარმავლინე უდაბნოდ, რაჲთა უშფოთველად განხვიდე[3] სოფლით? აჰა, უქმად უკმოვიქეც მე საწყალობელი!“

ამას რაჲ ჴმობდა, დააგდო ქარტაჲ იგი ზედა ცხედარსა და აყენებდა მიმყვანებელთა მისთა. ხოლო ერთმან მოყუასთაგანმან აღიღო, და ვითარცა განჴსნა, აღარა პოვა, რამეთუ აჴოცილ იყო იგიცა. და რომელი-იგი სიცოცხლესა შინა არა ენება აჴოცაჲ, შემდგომად სიკუდილისა პატივ-სცა ღმერთმან წმიდასა ბასილ-ის. (213v)

და ჰრქუა მოყუასმან მან, რომელსა აღეღო ქარტაჲ: „დედაკაცო, რაჲსა ცუდად განიჭრები და იკადრებ წინა-ყენებად! აჰა, სრულებით აღჴოცილა ცოდვაჲ შენი!“

და მაშინღა ლმობიერ იქმნა დედაკაცი, ხოლო რომელთა იხილეს და ესმა, ყოველთა მისცეს დიდებაჲ ღმერთსა, რომელსა აქუს ჴელმწიფებაჲ მიტევებად ცოდვათა.

ხოლო შემურეს წმიდაჲ გუამი სულთა განმანათლებელი და გლახაკთა მწყალობელი, და დადვეს ლარნაკსა შინა პატივითა დიდითა, და მრავალნი სნეულნი განიკურნნეს მას დღესა შინა, სადიდებელად მამისა, ძისა და სული[სა წმიდისა].

1 ქ˜სსა. 2 ანბორსი. 3 განხჳდე.

ხოლო აღესრულა წმიდაჲ მამაჲ ჩუენი ბასილი თუესა[1] იანვარსა პირველსა, და მრავალნი წიგნნი, აღწერილნი მის მიერ, სულთა სარგებელნი, დამიტევნა, და რომელთაცა ღირსებით ისმინონ, მიემთხუევიან[2] კეთილთა საუკუნეთა, ქრისტეს[3] მიერ, უფლისა ჩუენისა, რომელსა შუენის[4] დიდებაჲ და პატივი მამისა თანა სულით წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე, ამენ.[5]

1 თუჱსა. 2 მიემთხუჱვიან. 3 ქ᾽ს. 4 შუჱნის. 5 თანა სულით წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე, ამენ] და ძისა. ??????

ღირსისა მამისა ჩუენისა ეფრემ ასურისა მიერ შესხმაჲ დიდისა და ღმერთშემოსილისა ბასილისი[1]*

საყუარელნო, მოყვენით ყურნი, თხრობაჲ მნებავს კეთილ-ისა[2] თხრობისაჲ, რამეთუ დაფარვაჲ მეფეთა[3] განზრახვისაჲ — კეთილ, ხოლო განცხადებაჲ ღმრთისა[4] საიდუმლოთაჲ — უმ-ჯობეს, მიზეზითა რაჲ სარწმუნოთა მონათა[5] თჳსთაჲთა განამტკიცებდეს იგი უძლურთა, რომელთა პირველი მე ვარ, და სასურველ არს ჩემდა შეხებაჲ საქმეთაჲ საკურნებელად სულთა, ლმობის შემთხუეულთა,[6] რომლისათჳს მწადის მეცა დღეს მითხრობად, ვითარცა სურვიელსა კეთილისაგან მატყლისა სიტყჳერთა ცხოვართაჲსა, ქსოვად[7] თითოფერსა სამოსელსა საწუმისით საცნაურისა და კეთილმზრახვალისა[8] ენისა საცნაურისა მის ცხოველისაჲ.[9]

ვიხილე მე ოდესმე ვერძი, რომლისა ტყავი სპეტაკ, და რქანი სიტყჳერ ღმრთივმეტყუელ,[10] და იყო ვერძი იგი საკჳრველ და სათნო, რამეთუ რქითა სდევნიდა მკეცთა მომზირალთა[11] სამწყსოჲსათა, და ენითა ზრდიდა ცხოვართა და საწმისითა[12] განატფობდა გლახაკთა და ბოლოჲთა დაავაკებდა გზათა[13] და ფერკითა შეჰმუსრვიდა მწვალებელთა, და ყურითა გარე-მიექ-ცეოდა უწესოთა კმათა და თუალითა ისწავებდა ღმრთისა საკჳრ-ველებათა[14] და აღავსებდა მოკლებულთა სულიერთა თუალთა-განˇ (968rB)

ამას საკჳრველსა ვერძსა მივეახლე რაჲ მე (192vA) ფრიადი-თა შიშითა და შრომითა, ნაკიდურსა ოდენ უძლე მის მიერ მოსთულებად, და დამეცა ჩემ ზედა შიში მოუთმენელი, რამეთუ

---

* ტექსტი დადგენილია ორი ხელნაწერით: A 90,192r-196v და ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერი № 8, 967v-975v. პირველი მათგანის ვარიანტებს აღვნიშნავთ A-თი, მეორისას — B-თი.

1 ბასილისი + გუაკურთხენ, მამაო B. 2 კეთილისაჲ B. 3 მ˜წფთა B. 4 ღ˜ჲ B. 5 მონთა A. 6 შემთხუᲬულთა B. 7 ცხოვართაჲსა ქსოვად B] ცხოვართაჲ საქუსუვად A. 8 კთ[..] მზრხვ˜[ლი]სა A. 9 ცხვ˜ლისაჲ A] ცეცხლისა B. 10 ღ˜ივმეტყუᲬლ B. 11 მო[მსრველ]თა (?) A, მომზირალთა B. 12 საწმისითა B, საწუმისითა A. 13 გზათაჲ B. 14 ს˜კჳველ˜ბთა B.

არარაჲ ვიყავ, და ესევითართა საქმეთა[1] ვიკადრე შეხებად.[2]

გნებავსა, საყუარელნო, ვთქუა ვინაობაჲცა ვერძისა ამის, ესოდენთა სათნოებათაგან შემკობილისაჲ?[3] — ესე არს ბრძენი და სარწმუნოჲ და დიდი ბასილი, რომელი ეპისკოპოსობდა კაბადუკიელთა[4] სოფელსა, ქალაქსა დიდსა კესარიას,[5] რომელმან აღუმართნა ძეგლნი შჯულთანი[6] ყოველსა სოფელსა; ბასილი ჭეშმარიტად[7] საფუძველმან[8] სათნოებათამან, წიგნმან ქებათამან, ცხორებამან შჯულთამან;[9] ბასილი ჭეშმარიტად[10] მავალმან ჯორცითა და აღმავალმან სულითა, რომელი ქუენათა[11] თანა იქცეოდა, და ხედვიდა ზენათა,[12] საცემელმან საიდუმლოჲსა ქნარისამან, საძნობელმან წმიდათა ანგელოზთა მძნობელობისამან; ბასილი, განმტკიცებულმან კრავმან დედობრივისა ცხორებისამან, და[13] მძოვარმან მწუანვილსა სულისა წმიდისასა; ბასილი, საცნაურმან ზრდილმან უფლისამან, სურვილით აღმღერებულმან და აღმტაცებელმან ყუავილისამან, მწუერვალობისაგან[14] პატიოსნისა ჯუარისა;[15] ბასილი, ჭეშმარიტად საღებავმან შჯულთამან,[16] პორფირმან გჯრგჯნთამან, მართალთა და კეთილთა მოგონებათამან; ბასილი, ჭეშმარიტად რომელმან შთააღრმო თავი თჯსი სიღრმესა წერილთასა, და აღმოიღო მიერ ბრწყინვალე მარგალიტი; ბასილი, ტევანი მოწი(968vB)ფებული[17] საღმრთოჲსა ვენაჯისაჲ, რომელმან ზეცით მოიღო საღმრთოჲ სიტკბოებაჲ; ქარტაჲ[18] საღმრთოჲსა[19] სიბრძნისაჲ,[20] ზეგარდამო[21] განკარგული საღმრთოთა მიერ სწავლათა ქრისტჱს[22] სასუფეველისათა; უმჯობესი ადგილი ქრისტჱს[23] სასუფეველისაჲ, რომელმან გამოიღო ღმრთისად ნაყოფი სიმართლისაჲ;[24] ბასილი ჭეშმარიტად ბორცჯ ყუავილოანი საიდუმლოჲსა ვარდისაჲ, რომლისა სულნელებაჲ აღიწია ზეცად; რომელმან იმორჩნა

1 საქმეთაჲ B. 2 შეხებად A, შეხებაჲ B. 3 შემკობილისაჲ A, შემკობილისა B. 4 კაბადუკელთა A, კაბადუკიელთა B. 5 კესარიასა A. 6 სჯულთანი B. 7 ჭ˜დ B, ყ˜დ A. 8 საფუ[ძ]ვ˜ლმ˜ნ A, საფუცველმან (კარნახის შეცდომა) B. 9 სჯულთამან B. 10 ჭ˜დ B, ყ˜დ A. 11 ქუჱნათა B. 12 ზენთა B. 13 და — B. 14 მწუჱრვალობისაგან B. 15 ჯ˜ჲ B. 16 სჯულთამან B. 17 მომწიიფებული B. 18 ქარტაჲ A] რქაჲ B. 19 საღმრთოჲსა A, სამღდელოჲსა B. 20 სიბრძნისა B. 21 ზეგარდამოჲ B. 22 ქ˜ს AB. 23 ქ˜ს AB. 24 სიმართლისა B.

ქუეყანასა ზედა სათნოებითნი ქებანი, და მიიხუნა ზეცათა შინა კეთილ-მითუალულნი გჯრგჯნოსნებანი; რომელმან გულისკმა-ყო[1] მადლი, და იობისებრ[2] გულისკმა-ყო[3] აღსარებაჲ[4] მაცხოვრისაჲ[5] და თქუა: სულმან უფლისა ღმრთისამან შემქმნა მე; სამშჯველ-მან ყოვლისა-მპყრობელისამან მასწავა მე.

ამით დაამტკიცებდა, ვითარმედ სულითა წმიდითა ქადაგებდა იგი უფალსა იესუ ქრისტესა და ყოველსავე შინა თანადაუსაბამ-ოდ[6] და თანამოსაყდრედ მამისა ასწავებდა. ვინაჲთგან უკუე[7] თანამდებ ვართ ზედა-დაქუსვად სიტყჯსა, მივიცვალნეთ შესხმად ღმრთისმეტყუელისა და წმიდისა კაცისა, რაჲთა სერობითა და კსენებითა მისითა ვპოოთ სულთა შინა ჩუენთა[8] მეცნიერებაჲ და ლმობიერებაჲ. ვინაჲცა გჯკმს ფხინსა სულისასა აღებად, (193rA) და ესრეთღა შემდგომად დადგიმვისა მონაგებთაჲსა,[9] ესევითარისა მუშაკობისა მიმართ წარმართებად, რაჲთა ესრეთ საქუსალთაჲთ იწყოს დადგიმვამანცა; რამეთუ უკუეთუ ვინმე სიფრთხილით განარჩინეს საქუსალნი მისნი; სამოსელი უკუდავებისაჲ მოარ-თუას (969rB) მან მოსურნეთა.

ესევითარი არს, საყუარელნო, დასაბამი საიდუმლოთა ცხო-ვართაჲ; ესევითარნი შესავალნი სულისა წმიდისანი; ესრეთ უნ-აკლულოდ დატჯრთულ იყო მოძღურებითა, და შეჰმოსდა მათ, რომელნი დაემთხუეოდეს[10] მას ნამდჯლვე[11] სულითა შემოსილი იგი ჭეშმარიტი ვერძი[12] არვისა ქრისტჱსისაჲ.[13] წყალობითა ყუავილოვან მყოფელი ჰაეროვნებასა ეკლესიისასა, და ნარისუა-ვითა[14] თჯსითა განატფობდა გლახაკთა, ხოლო რქითა თჯსითა ლმობიერ ყოფად უგურემდა[15] მდიდართა, და იქცეოდა საღმრ-თოთა წყალთა ზედა[16] ემბაზისათა ღამე და დღე, ზეგარდამო შემწყნარებელი ცუარისაჲ. ვინაჲ თითოეულსა ყუავილოვან ჰყ-ოფდა სიტყჯთა და განუახლებდა უცვალებელსა სამკაულსა სულისასა. ხოლო რაჲსათჯს არავისგან მიიხუეჭებოდა?[17] ვინა-

1 გულისკმაჲ-ყო B. 2 იობისებრ A, იოსებისებრ B. 3 გულისკმყ A. 4 აღსარებაჲ A, აღსაარებაჲ B. 5 მაცხვ˜რისჲ A. 6 თანადაუსაბამოდა A, თანადაუსაბამოდ B. 7 უკუჱ AB. 8 ~ ჩუენთა შინა B. 9 მოგონებთ˜ჲსა B. 10 დაემთხუჱოდეს A. 11 ნანდჯლვე B. 12 ~ ვერძი ჭეშმარიტი B. 13 ქ˜სისჲ AB. 14 ნარისუავითა A, ნარისუვარითა B. 15 უგურემდა A, უგუმერდა B. 16 ~ ზედა წყალთა B. 17 მიიხუჱჭებოდა A, მიიხუჱჭებდა B.

ჲთგან თავი თჳსი განეყო ყოვლისა თითოფერებისაგან,[1] გარნა რამეთუ უხრწნელთა ყუავილთა ზედა არეობდა, ვინაჲთგან წმიდითა ბუტკუებითა[2] იზარდებოდა; ვინაჲთგან წმიდათა წერილთა შორის დაწვებოდა[3] და მათ მიერ ძოვდა საღმრთოთა მდელოთა, და სამოციქულოთა არვეთა შინა იქცეოდა, ვინაჲცა მდინარებრ დის სიტყუაჲ მისი, და მოძღურებანი მისნი მსგავსად[4] ღელვათა ზღჳსათა, მიერ იზარდებოდა, ვინაჲ ცნობანი, და მიერ[5] აღმოიცოხნიდა უკუდავთა საქმეთა, მიერ მოიგებდა სათნოებითთა საჭმელთა, და აქა აღმოიტყოდა კეთილ-მისათუალველთა (969vB) სიტყუათა, რამეთუ არა ჯინჭარ და მაყუალ იყო საჭმელი მისი, არამედ ვარდ და კროკო, შროშან და კინამო და მიჰრონ. ესევითარისა სულნელებისა შედგომითა ძოვდა რაჲ საიდუმლოთა მორჩთაგან, მოიგებდა საჭმელსა მენერგეობითსა. ამისთჳს აღაორძინნა ბრწყინვალენი საქმენი, მიმყვანებელნი ბუნებისა მიმართ საღმრთოთა შჯულთასა,[6] რამეთუ უსულნელესთა[7] ცნობათა ძოვდა და ზეცისა შჯულთა[8] აღმოიცოხნიდა.

და რაჲსაღა ჯერეთ მრავლის-ვმეტყუელებ ვერძისა ამისთჳს, რომელი ყოვლად იქმნა ჭურჭელ რჩეულ, განმტკიცებულ ღმრთისა! ჭურჭელ არა ლიტონ-რაჲმე, არამედ ვითარ-იგი[9] (193vA) იხილა პეტრე ზეცით ოთხკერძოჲთა[10] დაკიდებული, გარნა მას ქუენა[11] აქუნდა შთამოსავალი, და აჩუენებდა[12] ქონებასა ოთხფერჯთა და მფრინველთასა.[13] ხოლო ამან ზეცად პოვა აღსავალი და შვნა სიტყუანი ახალნი და განსაკჯრვებელნი. იგი მცირედ იხილვა, და აღიტაცა სახე მისი, ერთისადა ოდენ გამოცხადებული. ხოლო ესე გრძელთა ჟამთა სიმაღლედ აღპყრობილი მადლსა სულისასა ყოველთა მიანიჭებდა. ამისთჳს[14] პეტრეს ზეცით ესმა: „რომელი ღმერთმან წმიდა[15] ყო, შენ ყოვლად ნუ ბიწიან გიჩნს!“ (1) და ამისთჳს ღირსებით თქუა[16] ყოველთა მიმართ: რომელი მე წმიდა[17] ვყავ, თქუენცა ყოველნი პატივ-სცემდით.

---

1 თითოფერებისაგან A, თჳთოფერებისა და B. 2 ბუტკუᲬბითა B. 3 დაწუებოდა A, დაწვებოდა B. 4 მსგავს B. 5 ამიერ B. 6 სჯულთაჲსა B. 7 უსურნელესთა B. 8 სჯულთა B. 9 ვ˜რ-იგ B. 10 ოთხკერძოჲთა A, ოთხკერძოჲთ B. 11 ქუᲬნა A. 12 აჩუᲬნებდა A. 13 მფინველთასა B. 14 მისთჳს B. 15 წ˜ჲ B. 16 თქუა A, ითქუა B. 17 წ˜ჲ B.

(1) საქმე მოც. 10,15.

ვინ არა ჰნატრიდეს, რომელი ადიდა მამამან! ვინ არა პატივ-
სცეს, რომელი განწმიდა ძემან! ვინ არა აქებდეს, რომელი სან-
ატრელ ყო ბრძენმან მან[1] (970rB) და სახიერმან[2] სულმან!

ეჰა, ეჰა, ვითარ-ღა სათნო-იყო ზრახვამან უმჯობესისამან
დამკჯდრებად და ქცევად მის შორის, რამეთუ განვისუენოო.[3]
ღმერთი იტყჳს მშჯდთა ზედა და მყუდროთა და რომელნი ძრ-
წოდიან[4] სიტყუათაგან ჩემთა.

ესრეთ აღავსო მადლმან გონებაჲ მისი, და ესოდენ მდიდარ[5]
და[6] დაუწყუედელ[7] მდინარე ყოველნივე მისნი, ვიდრეღა შემ-
წინკულებულთაცა[8] ბრალითა, მოძღურებათა მიერ თჳსთა გან-
სპეტაკებულად აჩუენებს.[9] ხოლო რაჲთა ჩემ ზედაცა მოწყალე
იქმნეს[10] სახიერი, მიზეზი დამივარდა[11] მე.

მივედ რომელსამე ქალაქსა შუვამდინარისასა,[12] და წარვედ
სახლად ღმრთისა, და მესმა ჴმაჲ, მეტყუელი[13] ჩემდამო: „აღდეგ,
ჶ ეფრემ, და ჭამდი გულისჴმისყოფათა“.

ხოლო მე მიუგე და ვარქუ ფრიადითა ძრწოლითა: „უფალო,
ვინაჲ ვჭამდე გულისჴმისყოფათა?“

და კუალად მრქუა: „აღდეგ, წარვედ გზასა სამეუფოსა ჩრდილ-
ოჲთ-კერძო, და აჰა, სახლსა შინა ჩემსა ჰპოო ქალაქსა მას[14]
შინა დიდსა ჭურჭელი ჩემი სამეუფოჲ; მან მოგცეს შენ საჭმე-
ლი“. ხოლო მე დამიკჳრდა თქუმულთა ამათ ზედა, აღვდეგ და
მივედ ტაძრად უფლისა[15] ქალაქსა მას შინა დიდსა, და დღისი
შევედ წინაბჭესა მისსა, და ვიჭჳრობდი[16] რაჲ ფრიადითა სურ-
ვილითა, ვიხილე წმიდასა შინა წმიდათასა მდგომარედ, ჭურჭე-
ლი რჩეული ბრწყინვალედ აღპყრობილი წინაშე სამწყსოჲსა,
სიტყუებითა[17] ღმრთივშუენიერებითა,[18] ფრიად თითოფერ ქმნუ-
ლი,[19] და თუალნი ყოველთანი მისსა მიმართ მხედველნი. ვიხ-
ილე მე მისგან გამოზრდაჲ (970vB) ერისაჲ, უფროჲსღა წყალობაჲ
ობოლთა და ქურივთაჲ; ვიხილე მე ჭურჭელი რჩეული, აღმყვ-

1 მან – A. 2 საცურმან A, საცნაურმან B. 3 განვისუჱნოო AB. 4 ძრწოდინ B. 5 მდიდრად B. 6 და – A. 7 დაუწყუჱდელ A. 8 შემწიკულე-ბულთაცა A, შემწინკულებულთაცა B. 9 აჩუჱნებს A. 10 ექმნეს A, იქმნეს B. 11 დამივადრდა A, დამივარდა B. 12 შუამდინარისასა B. 13 მეტყუჱლი B. 14 მას – B. 15 ო˜ჲ B. 16 ვიჭჳრობდი A, ვიჭჳრობდ B. 17 სიტყუჱბითა A. 18 ღ˜თივშუჱნიერებითა A. 19 ქმნ˜ლი B.

ანებელი ვედრებათაჲ და გარდამომყვანებელი შენდობათაჲ; ვიხილე (194rA) იგი აღმამაღლებელად სულთქუმათა და მომზიდველად წყალობათა. მუნ ვიხილენ ცრემლნი, მდინარებრ მდინარენი,[1] და სურვილსა ცხორებისასა ყოველთა ზედა ოქროცისკროვან მქმნელნი,[2] რამეთუ მწყემსი მათი ფრთითა სულისაჲთა აღიყვანებდა ვედრებათა, და გარდამოიყვანებდა მოტევებათა. ვიხილე ეკლესიაჲ შემკობილი და შეყუარებული; ვიხილენ შჯულნი[3] პავლესნი, ბრძანებანი სახარებისანი და შიში საიდუმლოთაჲ.

მუნ ვიხილე ქრისტე და საცხორებელი სიტყუაჲ ვიდრე ცამდე თხემოვან[4] ქმნული ყოვლად-სარწმუნოებით,[5] და ზოგად ერთბამად ვიხილე კრებული იგი, ცისკართა მიერ მადლისათა განშუენებული.[6]

და ესე ყოველნი რაჲ ესრეთ ღმრთისმსახურებით აღორძნდებოდეს რჩეულისა მისგან ჭურჭლისა ზეცათა სასუფეველისა, უგალობდ ბრძენსა და ყოვლადმოწყალესა და სახიერსა უფალსა, ესრეთ მადიდებელსა მადიდებელთა მისთასა.

ხოლო შემდგომად დაცხრომისა სწავლათაჲსა, აღასრულა რაჲ მწყემსმან მოძღურებაჲ, მოიქცა და მიმიწოდა[7] მე, და მოდრკა წმიდით წმიდათაჲთ[8] და დაამტკიცა ჩემდა მომართ[9] სიყუარული წმიდითა ამბორისყოფითა თჳსითა და მრქუა მე: „შენ ხარა ეფრემ, რომელმან სიჭაბუკითგან მოიდრიკე[10] ქედი, და აღიღე უღელი საცხორებელისა (971rB) სიტყჳსაჲ?“

და მიუგე და ვარქუ: „მე ვარ ეფრემ, რომელმან დასაბამითგან განვაგდე თავი ჩემი ზეცისა ნიჭთაგან“.

მაშინ მიმიყვანა მე დასახლებად რომელსამე ადგილსა და წინა-დამიგო ტაბლაჲ სანოვაგეთაგან[11] ბრძნისა და წმიდისა და სარწმუნოჲსა სულისა თჳსისაჲთა, არათუ საშუებელთაგან განხრწნადთა სანოვაგეთაჲსა,[12] არამედ აღსავსედ უხრწნელითა ცნობითა ღმრთისა[13] სიტყჳსაჲთა.[14] რამეთუ იტყოდა ყოვლადსანატრელი იგი და[15] მარადის საკსენებელი მღდელი ღმრთისაჲ

1 მდინრენი A. 2 მქნელნი A. 3 სჯულნი B. 4 თხემოან B. 5 ყოვლადსარწმუნოებითა B. 6 განშუენებული A. 7 მომიწოდა A, მიმიწოდა B. 8 წ˜დათაჲთა A. 9 ჩემდა მომართ A] ჩემ ზედა B. 10 მოიდრეკე B. 11 სანუვაგეთაგან A. 12 სანუვაგეთაჲსა A. 13 ღ˜ჲ B. 14 სიტყუათაჲთა B. 15 და – A.

ჩემდა მომართ, რომლითა ქველისმოქმედებითა[1] უძლოთ მოწყალე ყოფად ღმრთისა[2] ჩუენ ზედა, ვითარ დავყვნეთ შემოსავალნი ცოდვათანი,[3] ვითარ დავკშნეთ[4] ზედა-მოსლვანი ვნებათანი, ვითარ მოვიგოთ მოციქულებრი სათნოებაჲ, და ვითარ მოწყალე ვყოთ თუალუხუავი მსაჯული აღდგომასა გუამთა ჩუენთასა.[5]

ხოლო მე,[6] გოდებითა აღსავსემან ვთქუ წმიდისა მიმართ: „შენ, პატიოსანო მამაო, შენ შეზღუდევდ[7] უდებთა[8] და დაკსნილთა, და უპირატეს უკუე[9] მე! შენ მიძღოდე ალაგთა მიმართ სიმართლისათა, და ალმე ქვებურსა ამას გულსა ჩემსა, რამეთუ შენდა მოუგდიე მე ყოველთა მაცხოვარსა, რაჲთა განჰკურნო[10] უძლური სული ჩემი და მდე(194vA)ბარე ჭირსა შინა შეცოდებათასა“.[11]

ამას რაჲ ვიტყოდე მე წინაშე წმიდისა, მყის მიჩუენა[12] მე ნავთსადგური ცხორებისაჲ, რომელ არს რჩეული და ყოველთა საწადელი ესე მწყობრი წმიდათა[13] ორმეოცთა მოწამეთაჲ; რამეთუ ამას ნავთსაყუდელსა ოდესმე არა შევედ მე,[14] (971vB) ვიდრემდის საცნაურ ვიქმენ მმართებელისა. მან დააწყნარა საჭე სულისა ჩემისაჲ წყალთა ზედა ცხორებისა და აღდგომისათა, ვინაჲცა შენ ჩემდად განიცადე მოსწრაფებაჲ ბრძნისა მასწავლელისაჲ, ვინაჲ იწყო შემოკრებად თხრობის სახესა ჩემდა. სთქუ-მცა, ვითარმედ კუერთხად[15] განმამტკიცებელად გუამისა, განყრად ჩემგან ყუავილსა სიტყჳერებითთა ვნებათასა, ამით აღიპყრნა სასოებანი[16] ჩემნი. კამში თუალთაჲ[17] მომძარცუა, მწუანვილობაჲ მჭახისა სიტყჳსაჲ. აღმავსო მე ბაძვითა, შთანმთქა[18] მე სასუმელებსა[19] სწავლათა მისთასა.

მაშინ შვა საშომან ჩემმან გულისკმისყოფაჲ შობად შესხმასა წმიდათა ორმეოცთა მოწამეთასა, რაჟამს ყოველი შრომაჲ გულისა[20] მათისაჲ შთაასხა[21] სასმენელთა ჩემთა შინა[22] მკნემან მან[23] ქრისტეს მსახურმან და ბრძენმან წინამძღუარმან ჩემმან[24]

---

1 ქველისმოქმედებითა A, ქველისსაქმებითა B. 2 ღ˜ჲ B. 3 ცოდვათანი + და A. 4 დავჰკშნეთ B. 5 ჩ˜ნთაჲსა B. 6 მე – A. 7 შეჰზღუდევდ B. 8 უდებათა A. 9 უკუ B A. 10 განკურნო A. 11 შეცოდებულთასა A. 12 მიჩუნა B. 13 წმიდათა – A. 14 შევედ მე B] შევედრე A. 15 კუთრთხად A. 16 სს˜ბანი AB. 17 თუალთა B. 18 შთამ˜ნთქა B. 19 სასმელებსა A. 20 გულისაჲ B. 21 შთაასხას A. 22 ∼ შინა ჩემთა B. 23 მან – A. 24 ჩემმან A, ჩ˜ნმ˜ნ B.

და თქუა, ვითარ[1] აღირჩიეს მათ სიკუდილი ქრისტჱსთჳს[2] და თუ[3] რაოდენნი მონაგებნი უგულებელს-ყვნეს, რაჲთა უფალი შეიძინონ, და თუ რაოდენნი[4] იყვნეს რიცხჳთ წმიდანი ორმეოცნი, და სხუანიცა ნეშტნი, სასწაულთა და კეთილ-საქადულობათა მათთანი; ვინაჲთგან უკუე[5] ბრწყინვალისა ამის მოქმედებისა მიმართ ღირს მიჩინნა ჩუენ სარწმუნომან მღდელთმთავარმან ქრისტჱსმან[6] ბასილი,[7] ჯერეთ უკუე[8] სხჳსა ჟამისად დროვსცეთ შესხმასა, კეთილ-ძლევათა და ძლევა-შემოსილთა მოწამეთასა; და წმიდასა ამას და[9] დიდსა მღდე(972rB)ლთმთავარსა ქრისტჱსსა[10] ვაქებდეთ, თანად მობაძავსა[11] და ერთსახესა მოწამეთასა; რამეთუ ვითარცა წმიდანი ესე[12] მოწამენი წინა-აღუდგეს მძლავრსა ლიკინიოზს და დუქსსა აღრიკოლაოზს,[13] ეგრეთვე დიდი მოძღუარი ბასილი[14] წინა-განეწყო[15] მძლავრსა უვალის და არიოზს და სილაღესა ეპარხოზისასა.[16]

მათ აღმოჰფხურნეს ეკალნი საცთურისანი, და ამან — კუროჲსთავნი მწვალებელთა სიბორგილისანი.

მათ დაჰჴსნნეს საბრძოლელნი ლიკინიოს[17] და აღრიკოლაოსისნი, და ამან — განაქარვნა ბრძანებანი უვალისნი.

მათ დაარღჴეს ბრძანებაჲ დუქსისაჲ, და ამან არცხჴნა კუეთებათა[18] არიოზისთა.

მათ დააკუეთეს[19] (195rA) სილაღე მსაჯულისაჲ, ხოლო ამან განაბნია სიბორგილე[20] მოდისტოსისი.[21]

ამათთავე ღუაწლთაებრ აღიჭურა წმიდაჲ ესე, და ფინეზისებრ განგურიმნა[22] ენანი მსიძავნი ღმრთისა[23] მიმართ. რამეთუ ფრიადცა დიდად სწყუროდა სუმად სასუმელსა, და დადგმად ძლევასა მოწამებისასა.

მოწამეთა ქრისტეს მიმართისა სარწმუნოებისა თჳსი[24] ყოვე-

---

1 ვითარ B, ვითარმედ A. 2 ქ˜სთ˜ს AB. 3 თუ — AB. 4 რაოდენნი A, რაოდენ B. 5 უკუჱ A. 6 ქ˜სმ˜ნ AB. 7 ვასილი B. 8 უკუჱ A. 9 და — A. 10 ქ˜სსა AB. 11 მობაძვასა B. 12 ∾ ესე წმიდანი B. 13 და დუქსსა აღრიკოლაოზს — A. 14 ვასილი B. 15 წინა-ეწყო A, წინა-განეწყო B. 16 ეპარხოზისსა A. 17 ლიკინიოს A, ლიკინიოჲს B. 18 კუჱთებათა B. 19 დააკუჱთეს B. 20 სიბორკილე A. 21 მიდისტოსისი A. 22 განგურიმნა A, განგუმირნა B. 23 ღ˜ჲ B. 24 სარწმუნოებისათჳს B] სარწმუნოებისა თჳსი A.

ლი რაჲ[1] ჭირი სიმჯნით დაითმინეს, უხაროდა, ხოლო[2] ბასილი[3] ქრისტეს[4] მიმართითა სასოებითა წჯმანი განსაცდელთანი სიმ-ჯნით დაითმინნა.

იგინი თჯსთა სამოსელთაგან განიძარცუნეს და წადიერებით[5] მისცნეს ასონი სატანჯველთა, ხოლო ესე სამჯართაჲსა[6] მის თანა[7] საბლარდნელისა წინა-განძრცუად ისწრაფდა ჯორცთაცა.

მათ ტბასა (972vB) შინა თჯსად მიიზიდნეს[8] მყოფნი უღმრ-თოებასა შინა და ღირს დიდებისა ყვნეს იგინი, ხოლო ესე ემბაზსა შინა ნათელ-სცემდა ურწმუნოთა, და მომატყუებელ[9] ცხორების[10] ექმნებოდა მათ.

იგინი წყლითა რაჲ გამოიჯურვებოდეს სურვილითა, ნათელ-სა გჯრგჯნთა თანა ხედვიდეს[11] ზეშთა[12] თავთა მათთაჲსა, და ამან შჯულითა[13] სამებისაჲთა მოტყინარე[14] ძლევაჲ და გჯრგჯნი მიიღო წინააღმდგომთა ზედა.

რაოდენღა ბოროტებდა[15] ბოროტი ბელიარი,[16] განშორებად ბასილისსა[17] სასუფეველისაგან ცათაჲსა, აღადგინნა მეფენი, მთა-ვარნი და მტარვალნი, ხოლო ბასილი ხარისხ და საფუძველ ექმნა მორწმუნეთა. განაძჯნა ყოველნი გრიგალნი თჯსნი და ყოვლად ვერ აღაშფოთა ბრძენი ესე მოფარდული; მოაწია ღელ-ვაჲ მსახურთა მიერ თჯსთა, და მმართებელისა იგი ჯელოვნებაჲ უფროჲს იხილვა;

აღადგინა სამმოქცევი ეკლესიასა ზედა, და ნავსა სარწმუ-ნოებისასა დანთქმად ვერ უძლო.

ჰბრძო მას[18] სიტყუებითა[19] მწვალებელთაჲთა, და მყის დაეკუე-თა შჯულთა[20] მიერ ღმრთისმეტყუელებისა მისისათა.

აღჭურა მის ზედა არიოზ, მსგავსად გოლიათისსა,[21] და გან-იშურდლა სამითა ქვითა სარწმუნოებისაჲთა.

ეკუეთა გოდოლსა მისსა ქართა მიერ ბოროტადმადიდებელთაჲ-სა, რამეთუ ქარ იყვნეს სიტყუანი მწვალებელთანი.

---

1 რაჲ – B. 2 ხოლო A] რამეთუ B. 3 ვასილი B. 4 ქ˜ს AB. 5 წადიერებ˜ლით B. 6 სამჯართაჲსა A, საჯმართაჲსა B. 7 თანა – A. 8 მოიზიდნეს B. 9 მომატყუებელ A. 10 ცხორებისა B. 11 ხედვდეს A. 12 ზესთა B. 13 სჯულითა B. 14 მოტყნარე A. 15 ბოროტობდა B. 16 ბელიარი A, ბელიარ B. 17 ვასილისსა B. 18 მას A, მათ B. 19 სიტყუებითა A. 20 სჯულთა B. 21 გოლიათისასა A, გოლიათისსა B.

მიუტევნა მის ზედა ისარნი მრავალღმრთეებისანი, და მყის იძლეოდა[1] ერთმთავრობითა.

მოუჴდებოდეს ბანაკნი ძაღლთა (973rB) მყეფართანი, და კუერთხი ჯუარისაჲ მოსწყლვიდა მათ.

შეემოსის მგელთა ტყავები ცხოვართაჲ, (1) და მყის იმხილებოდეს[2] იგინი მისგან ორგულებისათჳს; ისწ(195vA)რაფდა[3] უსამართლოჲთა შეშფოთებად მართლისა და მყის იძლეოდა[4] სიმართლითა წმიდისაჲთა.

უჴდებოდეს[5] ურწმუნონი მსგავსებად უბიწოსა სარწმუნოებასა მისსა, და იქადაგებოდა[6] ბოროტადმორწმუნე ცნობაჲ მათი. მლიქნელობდეს ქონებად კადნიერებისა მისისა, და ყოველთა ეწყვებოდა[7] უგუნურებაჲ მათი, ვინაჲთგან[8] უწყიან წინააღმდგომთა[9] შეკდიმებაჲ და პატივი მენესტჳსაგან და ქადაგისა ჭეშმარიტებისაჲსა, რამეთუ მძჳნვარესა სენსა შინა იყო ძე მძლავრისაჲ და ევედრნეს წმიდასა ამას კაცსა ლოცვისა ყოფად მისთჳს. ხოლო წმიდამან წინა-უყო მათ, ვითარმედ: „უკუეთუ მომცეთ იგი, რაჲთა მოვიყვანო უბიწოსა სარწმუნოებასა, მე განვათავისუფლო იგი ზოგად სენისაგანცა და ბოროტადმსახურთაგან შჯულთა[10] არიოზისთა“.

და ესე[11] რაჲ[12] აღუთქუეს მათ, მყის დიდი ბასილი[13] შუამდგომელ[14] ექმნა მეფესა ქუეყანისასა ზეცისაჲსა მიმართ, და აღესრულებოდა მარადის[15] აღთქუმაჲ იგი, და მოიღებდა მიერ განკურნებასა ყრმისასა.[16]

და ვითარცა იხილეს გუელისსახეთა[17] მათ მუნ ქმნილი იგი[18] სასწაული, იჭჯანობითა განხრწნეს ზრახვაჲ მეფისაჲ, და ძე მისი მიიყვანეს და ნათელ-სცეს წყლითა და ასწავეს სარწმუნოებაჲ[19] ძისა ღმრთისაჲ. შინაგან შემოსეს იგი[20] უხრწნელისა[21] სამებისა მიერ, ხოლო გარეგან შეჰმოსეს მას ბოროტი სწავლაჲ

1 იძლევოდა A. 2 იმხილებოდეს B, იხილვებოდეს A. 3 ისწრწფდა A. 4 იძლევოდა A. 5 ოჴდებოდეს A. 6 იქდგებდა B. 7 ეწყვებოდა A, ეუწყებოდა B. 8 ვინაჲ B. 9 წინააღმდგომთაცა B. 10 სჯულთა B. 11 ესე + და ესე A. 12 რა B. 13 ვასილი B. 14 შოამდგომელ A. 15 მ˜ს AB. 16 ყრმისსა B. 17 გუᲩლისსახეთა AB. 18 იგი – B. 19 სარწმუნოებაჲ A, უარისყოფაჲ B. 20 იგი – B. 21 უხრწნლესა A.

(1) შდრ. მათე 7,15.

მათი. ვინაჲცა შემდგომად არა-მრავლისა მიეკადა სული მისი უბადრუკსა[1] ქადაგ ყოფად უმადლოჲსა (973vB) ცნობისა მისისა.

ესე ელიაჲს[2] სასწაულთა არა უდარეს; ესე ელისეს ნიშებთაჲსა არა უკნინეს, რამეთუ ვითარ-იგი[3] მათ მომკუდარნი კუალად-აგნეს ცხორებად, ეგრეთვე ამან ყრმაჲ ესე ლოცვით მისტაცა სიკუდილსა, არამედ ვითარ-იგი პეტრე ანანიას და საპფირას მიხედვით[4] მოკუდინებითა ამხილა, ამისვე სახისა ქონებითა ბასილი[5] წარმპარველსა[6] მისისა აღთქუმისასა უალის ამხილა[7] მოკუდინებითა ძისა მისისაჲთა.

ამიერ ფრიადი იყო ურვაჲ და უღონოებითა მოცვაჲ თანად მეფისაჲ და უბადრუკთაჲ მაჲ, რამეთუ არღარა იცოდეს, რაჲ მიუგონ მართალსა მას.

და ვინ-მე ღირსებით წარმოთქუნეს წჯმანი[8] სასწაულთანი, რომელნი აჩუენნა ნეტარმან ამან ამათ მიერ. ვინაჲცა, ვინაჲთგან უღონო ვართ მითხრობად, ესოდენ კეთილთა წარმართებათა ამის კაცისათა, ყოველთავე მათ თანა-წარვჰკდეთ და ერთისა ოდენ მათგანისა თქუმითა ვაჩუენოთ,[9] ვითარ უგრძნობელნიცა (196rA) მსახურ ექმნებოდეს მართალსა ამას, რამეთუ ვინაჲთგან ყოველსავე სახესა აღსძრვიდეს ნაშობნი ესე იქედნეთანი, აღფხურად მკნისა მის, ვითარცა ზედაჲსზედა ქოლვილნი და ცემულნი, სიტყუათა და სასწაულთა მისთა მიერ, მსგავსად ისართაჲსა მოუკდეს მპყრობელსა და ითხოვდეს მისგან, რაჲთა აღიღოს იგი თუალთა მათთაგან, რამეთუ — „მძიმე ჩუენდა არსო, — იტყოდეს,[10] — თჯთ ხილვაჲ ოდენ მისი,[11] რომელი მძაფრიად წინა-აღუდგების სიტყუათა ჩუენთა. ვინაჲცა უღონო არს, ჶ მეფე, წარმართებაჲ სარწმუნოებისა ჩუენისაჲ,[12] უ(974rB)კუეთუ იგი იყოს შორის ჩუენსა“.

ხოლო იგი წარიტყუენა[13] გესლიანობითა სიტყუათა მათთაჲთა. მიიღო კალამი ექსორია-ყოფად მართლისა უსამართლოებით[14]

---

1 უბადრუკსჲ A, უბადრუკისაჲ B. 2 ელიას A. 3 ვითარ — A. 4 მიხედვითა B. 5 ვასილი B. 6 წარმპარველისა A. 7 უალის ამხილა A ∼ ამხილა უვალის B. 8 წჯმანი A] საქმენი B. 9 ვაჩუენოთ A. 10 იტყ˜დესო B. 11 ოდენ მისი A ∼ მისი ოდენ B. 12 ჩუენისა B. 13 წარიტყუენა B. 14 ექსორია-ყოფად მართლისა უსამართლოებით B ∼ უსამართლოებით ექსორია-ყოფად მართლისა A.

დამწერელად. გარნა კალამი იგი მყის არა თავს-იდებდა მსახურ ყოფად ზრახვასა უშჯულოჲასა.[1] ამისთჳს თჳთ შემუსრა თავი თჳსი, განსწავლად უგუნურისა მის, ვითარსა კადრებასა[2] იწურთიდა ქმნად მონისა მიმართ ქრისტჱსისა,[3] რომელი ყოველთა უქადაგებდა ერთღმრთეებასა[4] მამისა და ძისა და სულისა წმიდისასა, და განცხადებულად ამხილებდა განჭრის მზრახვალთა და მეტყუელთა უდარესად ღმრთად რომლისაცა მათგანისა, ვითარცა ძაღლთა რათმე[5] მყეფართა, და ვითარცა ვერარაჲ[6] აგრძნა ამის მიერ, უუგრძნობელესმან მან უსულოჲსაცა ლერწმისამან, შვილმან წარწყმედისა და საცთურისამან, მიიღო მეორეცა კალამი, ზედა-წარწერად და დამტკიცებად ბოროტისა მის ზრახვისა. ხედვიდა მასცა, რამეთუ განიტეხა და არა თავს-იდვა ზიარ ყოფაჲ სიბოროტისა მისისაჲ, რომლითა ისწრაფდა მძლავრი იგი უცხოდ[7] სოფლად წარდევნად[8] მისსა, რომელსა თავსა შორის თჳსსა მკჳდრად აქუნდა ყოველთა აღმავსებელი.

რაჲსა ისწრაფი, ჶ უგუნურო, მოსპობად ყოვლად მოუსპობელისა და ქალაქით განკჳდად ზეცისა მოქალაქისა! უკუეთუ მესამეცა კალამი მიიღო, იხილო იგიცა შემუსრვილად და არა თანამოქმედად შენდა, რომელი-ესე იქმნა ესრეთ, (974vB) და მიღებასავე თანა შეიმუსრა[9] მესამეცა კალამი. და მაშინღა ყოველთა ზედა განცხადებულად იქადაგა მშჯავრი[10] ზეგარდამოჲ და ბრწყინვალებაჲ ძლევათა მოღუაწისა უძლეველისათაჲ, რამეთუ სამნი კალამნი თანამოსაჯულ ძლიერ იქმნნეს მისსა, რომელი ქადაგებდა ერთარსებასა წმიდისა სამებისასა, რაჟამს ჴელი მეფისაჲ ისწრაფდა მიცემად განჩინებისა, ხოლო კალამთა მიერ იმხილებოდა უსამართლოებაჲ მის-მიერისა[11] განჩინებისაჲ.[12] ჴელი ბოროტისა ბჭობად მირბიოდა, ხოლო კალამნი აყენებდეს ამაოსა მას მოსწრაფებასა მისსა. და ვითარცა კუერთხმან მოსესმან არცხჯნა ყოველთავე მოგუთა და გრძნეულთა ეგჳპტისათა, ეგრეთვე სამთა კალამთა განაქა(196vA)რვეს ყოველი ზრახვაჲ უშჯულოთაჲ,[13] და ბნელის ძისა უალისი.[14]

1 უსჯულოჲსასა AB. 2 კადრებასა B, კადნიერებასა A. 3 ქ˜სისა AB. 4 ერთღ˜თებასა B. 5 რაჲთმე A. 6 ვერაჲ A, ვერარაჲ B. 7 უცხო A. 8 წარდევნასა A, წარდევნად B. 9 შემუსრა B. 10 მსჯავრი B. 11 მის-მიერისა B, მის მისისა A. 12 განჩინებისა B. 13 უსჯულოთაჲ AB. 14 უალისი A, უვალისი B.

ვითარმე გნატრიდეთ შენ, ჰ ყოვლადბრძენო ბასილი,[1] რომელმან საწერტელითა ჭეშმარიტებისაჲთა სძლე, და წარსდევნე საცთური, რომელი გულისკმისყოფით აღიპყრობდ და აღიფრინვებდ[2] ფუტკართა თანა, და დაიკარვებდ მუცლადღებად ღმრთივსულიერთა წერილთა შორის, ვინაჲ შეიკრებდ[3] ყუავილთა, ყუავილთა საწინაჲსწარმეტყველოთა, ცუართა სამოციქულოთა, ცხორებად სახარებისაებრსა მოქალაქობასა მაცურეველი ყოველთა ზედა, რომელი მარადის სწოვდი თანამზრახვალთა სათნოებისათა, და მიერ ჰყოფდი საღმრთოსა მორბედებასა, რამეთუ სიბრძნით სულითა წმიდითა ჰმუშაკობდი საღმრთოსა[4] თა(975rB)ფლსა სარწმუნოებისა წმიდისა და უბიწოჲსასა,[5] და ასწავებდი შეურაცხყოფად ბოროტთა მათ ბზიკთა, და აღფრინვებად[6] თჳთ მათ ცათა მიმართ, რომელი დავითისებრ ჰკმობდი,[7] ვითარმედ: ტკბილ არიან ვითარცა თაფლი სასასა ჩემსა სიტყუანი[8] შენნი, მაცხოვარო სახიერო. (1)

შენ, სარწმუნოო მონაო ქრისტჱსო[9] ბასილი,[10] აბელისებრ შეწყნარებულ იქმენ, ენოქისებრ[11] მიცვალებულ, ნოვესებრ[12] განრინებულ, ვითარცა აბრაჰამი, მეგობარ[13] ღმრთისა წოდებულ, და ვითარცა ისაკი, მსხუერპლად[14] ღმრთისა მიყვანებულ; ვითარცა იობმან სიმკნით თავს-ისხენ განსაცდელნი; ვითარცა იოსებ,[15] იდიდე სიწმიდითა; მოსესებრ დაანთქ მეორე ფარაო — უალი კუერთხითა[16] ჯუარისაჲთა;[17] ვითარცა აჰრონ ჭეშმარიტებით გამოსჩნდი მღდელ ღმრთისა;[18] ვითარცა ისო ნავესმან სძლე მტერთა; ვითარცა ფინეზ აღიშურვე;[19] ვითარცა სამოელ აჰმაღლდი; დავითისებრ დაცულ[20] იქმენ, ელიაჲსებრ აღტაცებულ, ელისესებრ მრჩობლთა მადლთა ღირს ქმნილ;[21] ესაიაჲსებრ[22] განწმედილ საღმრთოჲთა[23] ნაკუერცხალითა,[24] იერემიაჲ-

1 ვასილი B. 2 აღფრინვებდ A, აღიფრინვებდ B. 3 შეიკრებ A. 4 ს[˜ლი]სა (?) A. 5 ურიწოს˜სა B. 6 აღფრინვებჲდ B. 7 ჰკმობდი A, კმობდი B. 8 სიტყჲნი B. 9 ქ˜სო A. 10 ვასილი B. 11 ენოქისებრ A, ენუქისებრ B. 12 ნოვესებრ A, ნოესებრ B. 13 მეგობ˜ჲრი B. 14 მსხუჱრპლ˜დ A. 15 იაკობ B. 16 კუჱრთხითა A. 17 ჯუარისათა B. 18 ღმრთისა — B. 19 ვითარცა ისო ნავესმან სძლე მტერთა; ვითარცა ფინეზ აღიშურვე — B. 20 დაცვულ A, დაცულ B. 21 ქმნ˜ლ AB. 22 ესაიასებრ B. 23 საღმრთოთა B. 24 ნაკუჱრცხალითა A. (1) ფს. 118, 103.

სებრ[1] საშოჲთგან[2] წმიდა[3] იქმენ, ეზეკიელისებრ იხილე ქერობ-ინთა[4] ზედა მჯდომარე; დანიელისებრ დაუყვენ პირნი ლომთანი; სამთა ყრმათაებრ დაშრიტე[5] ალი ვნებათაჲ; ვითარცა პეტრე ასწავებდი; ვითარცა პავლე ჰქადაგებდი; ვითარცა თომა აღი-არებდი; მათეს და მარკოზის, ლუკაჲს და იოვანჱს[6] თანა დააფუძნე სახარებაჲ; ყოველთა მოციქულთა თანა შჯულთა[7] აჩუენებდ;[8] კეთილმსახურებისა თანა ჰსაგრობდ; ღმერთსა სათნო-ეყავ, ერთა არწმუნე მართლმორწმუნეობაჲ.[9]

იოხდ ჩემთჯსცა[10] საწყალობელისა, და აღმომიწოდე მე მეოხ-ებითა შენითა, ჶ ღმერთშემოსილო მამაო, მჯნემან — დაჯსნილსა, მოსწრაფემან — მცონარესა,[11] გულსმოდგინემან — გულფიცხელ-სა, მდიდარმან — გლახაკსა,[12] რომელმან დაუუნჯე თავსა თჯსსა სიმდიდრე ზეცისაჲ, მე უპოარსა ყოველთა წარმართებათაგან, რამეთუ შენ (975vB) დიდებულ გყო მამამან მოწყალებათამან, და შენ ნეტარ გყო ძემან ღმრთისამან, უფალმან იესუ ქრისტემან, და შენ ახლად გაჩუენა[13] სულმან წმიდამან, რომლისა დიდებაჲ და სიმტკიცე საუკუნეთა უკუნისამდე, ამენ.[14]

1 იერემიასებრ B. 2 საშოთგან B. 3 წ˜ჲ B. 4 ქეროვიმთა B. 5 დაშრიტე AB. 6 ი˜ნეს B, ი˜ეს B. 7 სჯულთა AB. 8 აჩუჱნებდ B. 9 მართლმორწმ˜ნობა[ჲ] A. 10 ჩემთჯს A. 11 მცონარსა A, მცონარესა B. 12 გლახასა A. 13 გაჩუჱნა B. 14 ა˜ნ A, ამინ B.

ეფრემი

პირველი

**ღირსისა მამისა ჩუენისა ეფრემ ასურისაჲ,[1]
ეპისტოლე[2] იოვანეს მიმართ მონაზონისა,
მოთმინებისათჳს,
და რაჲთა არა ვსცთებოდეთ[3] გულისსიტყუათაგან
მიზეზითა[4] სამართალთაჲთა[5] და თქუმითა,[6]
ვითარმედ: „მძოვრად წარვალ"; და სიწმიდისათჳს**

გუაკურთხენ, მამაო![7]

მრავლად ვასწავეთ ღმრთისმოშიშსა[8] თეოდორეს, არა-განშორებად თჳსისა ადგილისაგან, და ვერ უძლეთ რწმუნებად,[9] არამედ თქუა ჩუენდა მომართ: უკუეთუ გინებს, — მრქუა, — შეწევნაჲ[10] ჩემი და შემდგომად ღმრთისა[11] ცხოვნებაჲ სულისა ჩემისაჲ,[12] წარმავლინე მე მონასტრად შენდა; რომელსა მიუგებდ,[13] ვითარმედ: ვინაჲთგან[14] მოღუაწებაჲ მონასტრისაჲ[15] უბრძანე ძმასა იოვანეს, თჳნიერ ზრახებისა მისისა დაწესებაჲ[16] ვისიმე[17] ვერ ძალ-მიც. და აწ კეთილად ჰყავ[18] შეწყნარებაჲ პირველ-თქუმულისა ძმისაჲ.[19] რამეთუ, ვითარცა უკ-მოიქცა,[20] მითხრობდა ჩუენ, რომელი თანალმობაჲ[21] აჩუენე[22] მისსა მიმართ, რამეთუ ჯერ-არს ესევითართა მათ პატიოსნად პყრობაჲ, რომელთა[23] უფროჲს[24] მამისა და დედისა და ძმათა და დათა და ცოლისა და შვილთა[25] და თჳსთა და მეგობართასა უფალი შეიყუარეს.[26]

კეთილად ჰყოფ სახედ კეთილთა საქმეთა მიცემასა თავისა თჳსისასა, და უფროჲსღა[27] შენ თანა მკჳდრთა ძმათა, მეტყუელი-

1 ასურისა HKJ. 2 ებისტოლე C. 3 ვსცთებოდით HJKL. 4 მიზეზთა HK. 5 სამართალთათა K. 6 თქმითა J. 7 გუაკურთხენ, მამაო — C, ∼ მამაო, გუაკურთხენ KLJ, მამაო, კ˜ხნ H. 8 ღ˜თისმოშიშსა CKLJ, ღ˜ისმოშიშებისა E. 9 რწმუნებად CEH, დარწმუნებად KLJ. 10 შეწევნა KJ. 11 ღ˜ჲ HJKL. 12 ჩემისა HJK. 13 მიუგებდ CKL, მიუგებდა E, მიუგებთ H. 14 ვინათგან HK. 15 მონასტრისა HJK. 16 დაწესება K. 17 ვისიმე] ვისმინე H. 18 ჰყავ — K. 19 ძმისა HJK. 20 უკუ-მოიქცა E, უკ-მოიქცა HJKL. 21 რომელი თანალმობაჲ] რ˜ითა ლმობაჲ H. 22 აჩუენა C, აჩუენე EK, აჩუენენ H, აჩუენე J. 23 რომელთა] ძალთა E. 24 უფროს K. 25 შჳლთა HJ. 26 შეიყვარეს K. 27 უფროსღა H.

სა[1] მისებრ: ჩემგან იხილეთ, და ესრეთ ჰყოფდით. (1) და ნეტარი პავლე მოციქული ასწავებს და იტყჳს: მობაძავ ჩემდა იქ(1vC)-მნენით, ვითარცა მე ქრისტესა,[2] (2) რაჲთა, რომელთა სიტყუაჲ ვერ გულსავსე-ჰყოფს,[3] საქმე გულსავსე-ჰყოფდეს.

ხოლო სულიერსა მსახურებასა ნუ შეურაცხ-ჰყოფთ,[4] ნუცა მიზეზითა კო(474vE)რციელთა საკმართაჲთა[5] კრებათა თქუენთა უგულებელს-ჰყოფთ,[6] რამეთუ სიტყუათა ღმრთისათა წურთაჲ[7] და ფსალმუნებაჲ[8] სულსა ზრდის და სცავს, ხოლო კორცთა შეზღუდავს და სწავლის,[9] და ეშმაკთა განჰკდის.[10]

და უფროჲს[11] ზომისა[12] კელ-მყოფელთა და მოუთმენელთა ჭირთა შთავრდომილთათჳს მოკ(1vL)სენებად თქუენდა მნებავს, არა-ზრახვად, თჳნიერ რომელი ჯერ-არს ზრახვად. და კუალად სხჳთ იტყჳს: ნუ იქმნები ფრიად მართალ; ნუცა მეტად ჰბრძნობ; ნუსადა შთაიგუერდო.[13] (3) რამეთუ ამათვე დღეთა შინა შეემთხ-ჳა[14] ვიეთმე ძმათა დატევებაჲ თჳსთა სენაკთაჲ[15] და განცემაჲ[16] თავთა თჳსთაჲ[17] ქუეყანად ურწყულად,[18] უვალად და უნაყოფოდ. და მრავალგზის რაჲ (3vH) ისწავებოდეს[19] მამათა და ძმათაგან, არა ისმინეს, არამედ თქუეს:[20] „ჩუენ მძოვრად წარვალთ!“ და ვითარცა არბინნეს თავნი თჳსნი კმელსა ზედა უდაბნოსა, იხილ-ნეს იგინი დადრეკილად უვალსა[21] ზედა ქუეყანასა, იწყეს ფრიად ურვად, და დაიწყეს მოსრბად სოფლებთავე[22] მიმართ,[23] გარნა (1vK) ვერ უძლეს გამოკსნად თავთა თჳსთა მძჳნვარებისაგან უდაბნოჲსა,[24] რამეთუ არც(1vJ)აღა ადვილ[25] იყო უშინაგანეს[26] მისსა ქმნილთაჲ.[27] ვინაჲცა[28] ფრიად ტანჯულნი უზმობისაგან და წყურილისა და სიცხისა, მდებარე იყვნეს მწუხარენი და

1 მეტყუჩლისა CK. 2 ქ˜სსა EHJL, ქ˜ა K. 3 გულისავსე-ჰყოფს E. 4 შეურაცხყოფ KJ. 5 საკმართათა K. 6 უგულებელსყოფთ K. 7 წურთა K. 8 ფსალმონებაჲ E. 9 სწავლისა E. 10 განკდის KJ. 11 უფროს KJ. 12 ზომის JKL. 13 ჩაიგუჩრდო C, შთაიგუჩრდო HKL. 14 შეემთჳა E. 15 სენაკთა JK. 16 განცემა KJ. 17 თჳსთა JK. 18 ურწყულად + და EHJKL. 19 ისწავებოდის J. 20 თქუჩს C. 21 უალსა K. 22 სოფლებთავე JKL, სოფლეებთავე H, სოფლებთა CE. 23 მომართ HJKL. 24 უდაბნოსა HK. 25 ადჳლ H. 26 უშინაგნესსა HJKL. 27 ქმნილთა JK. 28 ვინაცა H.

(1) შდრ. მათე 11,29. (2) I კორ. 11,1; შდრ. I კორ. 4,16; ფილიპ. 3,17; I თეს. 1,6. (3) იგავნი 3,7; შდრ. რომ. 12,3.

სულთმბრძოლიარენი.[1] ხოლო[2] განგებულებაჲ რაჲმე[3] იქმნა საღმ-
რთოჲსა წინაგანსაზღვრებისაგან, და იპოვნეს ვიეთგანმე სულ-
შებნედილად, რომელთა დატჯრთნეს (2rC) იგინი თჳსთა პირუ-
ტყუთა ზედა, და მოიყვანნეს[4] იგინი სოფლად. (475rE) ხოლო
ვიეთმე მათგანთა მუნვე წარჰჯდა[5] სულები, და ჯორცნი მათნი
შეიჭამნეს მჯეცთაგან და მფრინველთა. ხოლო რომელნიმე დაღათუ
ცხონდეს, არამედ და-ვე-ადგრეს მრავალჟამ უძლურებასა შინა,
და მიერითგან გამოცდილებით ისწავეს არარაჲს[6] ქმნაჲ თჳნიერ
ზრახებისა.

რამეთუ მრავალთა[7] სილაღითა გულისსიტყჳსაჲთა[8] ყვანებ-
ულთა[9] ქუეყანად უნაყოფოდ და ურწყულად[10] განჯადნეს[11] თავნი
თჳსნი, და იძულებით სიკუდილი შეამთხჳეს[12] მათ. სხუანი, მორ-
ჩილებად[13] არ-მნებებელნი, და თჳსითა ჯელითა მოქმედებად არ-
აღმრჩეველნი, მასვე ჭირსა განსცემდეს თა(2rL)ვთა თჳსთა. სხუანი
თავმოთნებისა გულისსიტყჳთა შეიშთვნეს[14] და, ცუდადმზუაო-
ბრობითა ამაღლებულნი,[15] მსმენელთაგან ქებისა მომნადირენი,[16]
ვითარ-იგი იტყოდეს, მძოვარ იქმნებოდეს. ხოლო[17] განვრცომასა
ტკივილთასა ვერ-თავსმდებელნი,[18] მათვე ჭირთა შესთხევდეს
თავთა თჳსთა.

არა ჯერ-არს უკუე[19] შეცთომად, არცა განუკითხველად თანა-
წარყოლად გულისსიტყუათა თჳსთა, არამედ უფროჲსღა[20] უკმს
თითოეულსა[21] ცნობაჲ[22] საზომისა თჳსისაჲ,[23] და სიყუარული-
თა ღმრთისაჲთა დამდაბლებად მოყუსისა მიმართ.

ხოლო უკუეთუ ვინმე ჰგონებდეს წარმართებასა სათნოე-
ბათასა[24] და მძლე-ყოფასა[25] ვნებათასა[26] და მეფე(4rH)-ქმნასა
ნებებათა[27] ზედა, ნუცაღა ეგრეთ მიენდობვის[28] თავსა თჳსსა,

1 სულთმბრძოლნი J. 2 ხოლო – E. 3 რამე H. 4 მოიყუანეს J. 5 წარჯდა J. 6 არარას EK (C-ში ვერ იკითხება). არარაჲსა J. 7 მრავალ HJKL, მრავალთა CE. 8 გულისსიტყჳსათა H. 9 ყუანებულთა H. 10 ~ ურწყულად და უნაყოფოდ JKL. 11 განჰჯადნეს JK. 12 შეიმთხჳეს J. 13 მორჩილობ˜ჲდ HK. 14 შეიშთუნეს HJ. 15 ამაღლებულნი + და KJ. 16 მონადირენი JKL. 17 ხოლო – J. 18 ვერ თავს-იდებდეს J. 19 უკუ CEHKL. 20 უფროსღა H. 21თჳთეულსა H. 22 ცნობად KJ. 23 თჳსისა JK. 24 სათნოებასა L. 25 მძლე ვექმნით J. 26 ვნებჲთა J. 27 ნებისა + მისისა J. 28 მიენდობის K, მიენდოს რაჲ J.

რაჲთა არა მასცა (2vC) ერქუას წერილისაჲ: მეფე ლაღი შთავარდეს ბოროტსა, ხოლო ანგელოზმან ნათლისამან იკსნეს იგი. (1)

არამედ ნუუკუე[1] და[2] გარდასრულთაგან იტყოდის ვინმე,[3] ვითარმედ: ვითარ ვჰპოებთ[4] (475vE) ვიეთმე მამათაგანთა, მოღუაწე-ქმნილად[5] ამის სათნოებისა, გჯმს უკუე[6] ჩუენცა შემოღებად წამებასა ცხორებისაგან წმიდათა მამათაჲსა,[7] რაჲთა განცხადებულად ვაჩუენოთ,[8] ვითარმედ არარას[9] ცუდად და ვითარ დამთხუევით,[10] განუგებელად ჰყოფდეს წმიდანი მამანი. რამეთუ მამისა მაკარისი მოგუეთხრობვის,[11] ვითარმედ იტყოდა ესრეთ:

„ჯდომასა ჩემსა, — თქუა, — სენაკსა შინა სკიტეს, მაშფოთებდეს მე გულისსიტყუანი, თქუმითა: წარვედ უშინაგანესად უდაბნოდ[12] და იხილე, რასა[13] ჰხედავ მუნ. და დავადგერ ბრძოლად (2rK) გულისსიტყჯსა ხუთ წელ. ვიტყოდე: ნუუკუე[14] ეშმაკთაგან არს!“

ჰხედავა[15] გულისკმისყოფასა[16] კაცისა წმიდისასა? ნუუკუე[17] თანა-წარჰყვაა[18] ანუ მიედევნა,[19] ანუ[20] საქმით ქმნაა გულისსიტყუაჲ? — არა, არამედ ეგო განრჩევასა შინა მარხვით[21] და ლოცვით და მღჯ(2rJ)არებით, ნუუკუე[22] ეშმაკთაგან იყოს![23] ხოლო ჩუენ,[24] რაჟამს მოგჯკდეს (2vL) გულისსიტყუაჲ, ნუ[25] დაუპყრობელ ვართ, განძჯნებულ,[26] და არა ხოლო ჩუენ[27] არა[28] განვსჯით, შრომით მლოცველნი, არამედ არცაღა სხუათა მიერ სწავლულნი ვირწმუნებთ. ვინაჲცა, მსწრაფლ წარვიტყუენვით[29] წინააღმდგომისაგან.

მერმეცა იტყჯს, ვითარმედ: „ვითარცა დაადგრა[30] გულისსიტყუაჲ, განვიდა უდაბნოდ, და პოვა მუნ ტბაჲ წყალთაჲ,[31] და

1 ნუუკუ EHKL. 2 და — JKL. 3 ვიმე E. 4 ვპოებთ K. 5 მოღუაწე-ქმნ˜ლად K, მოღუაწე-ქმნულად L. 6 უკუ CEHKL. 7 მამათასა HJK. 8 ვაჩუნოთ EHKL. 9 არარაჲს KL. 10 დამთხუვით EHKL. 11 მოგუთხრობვის CE, მოგუთხრობის HKL. 12 უდაბნოსად K. 13 რ˜ჲსა KL. 14 ნუუკუ EHJKL. 15 ხედავა J. 16 გულისსიტყჯს კმისყოფასა J. 17 ნუუკუ CHJKL, ანუ უკუ E. 18 თანა-წარყვაა J. 19 მიედევნაა KL. 20 ნუ HK. 21 მარხჯთ HKL. 22 ნუუკუ CEHKL + და H. 23 არს JKL. 24 ხოლო ჩუენ] არამედ JKL. 25 ნუ — EH. 26 განძჯნებულ] და დაუყენებელ JKL. 27 ჩუენ — L. 28 არა] თჯთ JKL. 29 წარვიტყუნვით CEHKL. 30 დადგრა J. 31 წყალთა J.

(1) იგავნი 13,17.

შორის მისსა ჭალაკი. და (3rC) მოვიდოდეს საცხოვარნი უდაბ-
ნოჲსანი[1] სუმად მისგან. და იხილნა შორის მათსა ორნი კაცნი
შიშუჱლნი.[2] და შემდგომად ზრახვისა[3] მათისა ურთიერთას, თქუა
მათდა მიმართ მამამან მაკარი: „ვითარ უძლო მონაზონ ყოფად?“
და მათ ჰრქუეს: უკუეთუ[4] ვინმე არა იჯმნეს ყოვლისა სოფლის-
აგან, (476rE) ვერ ძალ-უც მონაზონ ყოფად“. და ჰრქუა მათ: „მე
უძლურ ვარ, და ვე(4vH)რ მიძლავს, ვითარ თქუენ“. და მათ
ჰრქუეს: „უკუეთუ ვერ ძალ-გიც, ვითარცა[5] ჩუენ, დაჯედ სენაკსა
შენსა[6] და სტიროდე ცოდვათა შენთა“.* (3rL)

ეჰა სიმდაბლესაღა საღმრთოჲსა კაცისასა! ჱ გულისკმიერე-
ბასა სათნოებითისა სულისასა, რომელი ესოდენითა[7] და ესევი-
თარებითა კაც-კეთილობითა[8] ბრწყინვიდა, არა საჯა თავი თჳსი
ღირსად საქმისა,[9] არამედ თქუა მათდა მიმართ: „მე უძლურ ვარ
და ვერ მიძლავს, ვითარ თქუენ“. ხოლო ჩუენ, არცა დევნულე-
ბად მიწევნულნი, არცა ვისგან დევნულნი,[10] ცუნდრუკებით[11] და
თავმოთნებით ვიყვანებით,[12] და ზეშთ-საზომისასა[13] ჴელ-ვჰყოფთ,[14]
ვითარცა განმცდელნი უფლისა[15] ღმრთისანი, რომელი საშინელ
არს. ხოლო ვაჲ კაცისა, თჳსსა ძალსა[16] მინდობილისა, ანუ
მოღუაწებასა, ანუ ფრთხილბუნებაობასა, და არა მხოლოდ ღმრ-
თისა[17] მიმართ ყოვლად სასოების დამდებელისა, რამეთუ მის
მხოლოჲსაგან[18] არს სიმტკიცე და ძალი.

რაჲსა არა შთავიჭურეტთ ცხორებასაცა მამისა ანტონისსა,
და ვჰპოებთ[19] მასცა ყოვლისავე საღმრთოჲთა გამოცხადებითა
მოქმედად! ანუ არა ესრეთვე იგიცა მონასტერსა შინა მჯდომარე
ᲨᲬ. (50) ნუ დაგიტკბებინ[2] შენ გულის(540vE)თქუმაჲ, რაჲთა არა დაგიმწარდეს შენ სატანჯველი მისი.

ᲨᲮ. (51) მარადღე მოელოდე[3] განსლვასა შენსა, და განემზადებოდე საგრობისა მიმართ მისისა, რამეთუ ჟამსა,[4] რომელსა არა მოელოდი,[5] მომავალ არს ბრძანებაჲ საშინელი. და მაშინ ვაჲ განუმზადებელთა![6]

ᲨᲯ. კეთილ არს ლმობიერებაჲ, რამეთუ სულებსა კაც(68vA)თასა განჰკურნებს.

ᲨᲰ. (52) არაოდეს ცოდოს მტირალმან, და არავინ მოიგონის[7] ბოროტი, ლმობიერებასა რაჲ შინა არნ,[8] რამეთუ ლმობიერებისაგან[9] მოვალს ტირილი, და ტირილისაგან გამოვალს მოკლებაჲ[10] და განშორებაჲ ბოროტთაჲ.[11]

Ჩ. (53) ეძიებდი თუ, რაჲთა მძლე ექმნე გულისთქუმათა, და უმეტესსა ნუღარას გამოეძიებ, რამეთუ ესე შეეტყუების[12] მოქმედებასა შენსა.

ᲩᲨ. (54) გულისთქუმათა დამჴსნელ არს, პირველად უკუე,[13] ზედაჲსზედა და სიფრთხილით[14] ლოცვაჲ; ამისსა შემდგომად — დამჭირვაჲ გონებისაჲ, და შთობაჲ მოგონებისაჲ[15] არა გამოტევებად უწესოსა სიტყუასა, და შეუტყუებელსა[16] ჯეროვნისა საკმრისასა, რწმუნებითა, ვითარმედ გამომწულილ(35vD)ველ[17] მსაჯულ[18] არს უფალი, და ვითარმედ შემოკრებაჲ გონებისაჲ[19] და მოლოდებაჲ საშჯელისაჲ[20] უჩინო ჰყოფენ შინაგანსა ცუნდრუკება(47rC)სა, და დააჭნობენ მოზა(35vK)რდსა გულისთქუმასა, რომლითა იქმნის ჰაერ-კეთილობაჲ,[21] და სიხარული[22] ესევითარსა მას სულსა შინა.

---

1 შეექუსვის C, თანა-შეექუსჯს H, თანა-შეექუსის K. 2 დაგიტკბებინ ACHK, დაგიტკბებიან DE. 3 მოელოდე + შენ K. 4 ჟ˜ა]ვ˜ა E. 5 მოელოდე K. 6 განუმზადებელთა AC, განუმზადებელსა DEHK. 7 მოიგონოს HK. 8 არ˜ნ K. 9 ლმობიერებასა რაჲ შინა არნ, რამეთუ — E. 10 მოკლება K. 11 ბოროტთა HK. 12 შეეტყუᲬბის HK. 13 უკ˜Წ HK. 14 სიფრთხილით ACK, სიფიცხლით DE. 15 და შთობაჲ მოგონებისაჲ — AC. 16 შეუტყუᲬბელსა HK. 17 გამომწულიველ C, გამომწულვილველ H. 18 მაჯ˜ლ H. 19 გონებისა HK. 20 საშჯელისაჲ AC, სასჯელისაჲ DE, სასჯელისა HK. 21 ჰ˜ერ-კეთილობაჲ E. 22 სიხარულსა K.

ჩჷ. (55) მოითმინე ადგილსავე მას, რომელსაცა სჯდე,[1] წინააღდგომითა სულმოკლებისაჲთა,[2] რამეთუ არათუ მიმოსლვითა და მიმოცვალებითა მომშჯდნებიან ვნებანი, არამედ გონებისა შემოკრებითა, და გჯკმს ქონებაჲ მოთმინებისაჲ, რაჲთა ნებასა ღმრთისასა ქმნითა მივემთხჯნეთ აღთქუმათა.

ხოლო რომელი მო(541rE)წყინებისა მიერ მიმოიტაცებოდის, შორს არს მოთმინებისაგან, ვითარცა სნეული (69rA) სიმრთელისაგან. ვინაჲცა არა მოწყინებასა შინა სათნოებაჲ, არამედ მოთმინებასა შინა იცნობების, ხოლო მოთმინებაჲ განახლებული (52rH) განმტკიცნების შექცევითა გონებისაჲთა[3] ხედვასა და წურთასა მოსალოდებელთასა, რამეთუ ამიერ რაჲ განპოხნეს გონებაჲ, მიიღებს ძალსა, ვითარ-იგი კორცნი მიღებითა საჭმელთა[4] — ტკბილსაჭმელთა და ნოყიერთაჲთა,[5] ხოლო უკუეთუ უნაწილო იქმნეს სული ამის მადლისაგან და ჭეშმარიტისა[6] პატივისა გლახაკ და უძლურ იქმნეს,[7] ვინაჲცა, შენ განიყარო რაჲ ვნებულ-მოყუარებაჲ[8] ნივთიერთა ვნებათაჲ, შეაქციე გონებაჲ საღმრთოსა მას მოქმედებასა, და არღარა გიკმს მიმოყვანებაჲ კორცთაჲ[9] ადგილითი-ადგილად,[10] და განჭრაჲ[11] მიმოსლვათა მიმართ, თჯნიერ სამართალისა[12] მიზეზისა და წინამძღუართა მიერ ბრძანებისა, რამეთუ სასუფეველი[13] ცათაჲ შინაგან ჩუენსა არს. (1)

ჩჸ. (56) დაუმძიმებელად და დაუბრკოლებელად დაიცევ თავი შენი, რომელსაცა ადგილსა მჯდომარე იყო, რაჲთა კეთილად წარემართო უფლისა მიერ. ხოლო უკუეთუ შე(47vC)ურაცხისმყოფელ მოჰკდე, იხილე, ნუსადა განეფინოს შენ ზედა შეურაცხებაჲ უმჯობესისაგან, და[14] (36rD) იქმნე მთავარ არაღირსთა საქმეთა.

ჩჹ. (57) სახე სრულებისა[15] არს სიხარული და მხიარულე-

1 შჯდე CH, სჯდე ADEK. 2 სულმოკლებისათა H. 3 გონებისათა H. 4 საჭმელთა — K. 5 ნოყიერთაჲთა CDEK, ნაყოფიერთაჲთა A, ნაყოფიერთათა H. 6 ჭ˜ტბისა A, ჭ˜ტებისა C, ჭეშმარიტისა DE. 7 იქმნეს ACHK, იქმნას DE. 8 ვნებულ-მოყ˜რებაჲ AK, ვნებულ-მოყუარობაჲ DE. 9 ~ კორცთა მიმოყვანებაჲ ACHK. 10 ადგილითი-ადგიდ ACHK, ადგილითი-ადგილად DE. 11 განჭრა H. 12 სამართლისა DE. 13 სასუფელი A, სსფ˜ლი C. 14 და — H. 15 სრულებისაჲ AC.

(1) ლუკა 17,21.

ბაჲ წარმატებათა ზედა მოყუსისათა, ხოლო[1] მწარისა ჩუეულებისა[2] და ბოროტისა გულისსიტყჳსა – ურვაჲ[3] და მწუხარ(69vA)ებაჲ მოყუსისა სათნო-ყოფილებისათჳს.[4]

ᲩᲬ.[5] (58) რაჲსა[6] სწუხ, Ჭ კაცო, კეთილსაქადულობასა (541vE) ზედა წარმართებულისასა![7] ნუუკუე[8] ამის და მის ვისიმე[9] ცხორებისაგან განვრდომითა[10] არსა ცხორებაჲ[11] შენი? ნუუკუე[12] მრავალთა განვრდომითა[13] ზეცათა სასუფეველისაგან შენმცა ჰმეუფებდია? ნუუკუე[14] შენ მარტოსა ოდენ[15] დაგიტევსა სასუფეველი ცათაჲ? ანუ შენ მხოლოჲსადა განმზადებულ არსა[16] სამოთხისა სიხარული, რამეთუ გიმძიმს მრავალთა ცხორებაჲ?

ნუმცა უკუე[17] განჰყიდი საქმეთა წმიდისა ტრფიალებისათა და წესიერსა მოქალაქობასა განსცვლი სიბორგილედ და მწარედ მძჳნვარებად ჩუეულებათა.[18]

ნუმცა ვინ გაცთუნებს შენ; ნუ კაცი, ნუ ეშმაკი, ნუ გულისსიტყუაჲ, დადარნებული მოგონებასა შინა გულისასა, რამეთუ შეუძლებელთაგანი (52vH) არს სათნოებისაჲ[19] სიმტკიცით წარმატებაჲ, არათუ თანა-შეეზავოს სიყუარული. რამეთუ დაღათუ აქუნდეს ვისმე ჩუენგანსა[20] ყოველი მეცნიერებაჲ, რომელი-ესე არა ადვილ[21] არს, და ყოველი სარწმუნოებაჲ ვიდრე მთათა ცვალებადმდე, სიტყუათაებრ[22] მოციქულისათა, და სიყუარული არა აქუნდეს, არარაჲ სარგებელ-ეყოს, (1) არამედ შორს დაშთეს მარ(36rK)თლისაგან გზისა, ზეცი(48rC)სა ბჭეთა მიმართ მიმყვანებელისა.[23] ვინაჲცა[24] გჳკმან მრავალნი ცრემლნი, განმათავისუფლებელად ჩუენდა საკრველთაგან სიძულილისა და შურისა და ამპარტა(70rA)ვანებისა, და ყოვლისა საეშმაკოჲსა ბიწისათა,

1 ხოლო] რამეთუ H. 2 ჩუᲬულებისა K. 3 ურვა K. 4 სათნოჲ-ყოფილებისათჳს E. 5 ნ˜ე – DE (ამის შემდეგ DE-ში თავების აღრიცხვა არეულია. 6 რასა H. 7 წარმართებისასა E. 8 ნუუკუᲬ CDHK. 9 ვისმე DE, ვისიმე HK. 10 განვრდომითა ACK, განვრდომილთა DE. 11 ცხორებაჲ ADE, ცხოვნებაჲ CH. 12 ნუუკუᲬ CDH. 13 განვრდომილთა AC, განვრდომითა DE. არსა ცხორებაჲ შენი? ნუუკუე მრავალთა განვრდომითა – K. 14 ნუუკუᲬ CDHK. 15 ოდენ – H. 16 არსა CHK, არს DE, განმზადებულ არს] განმზადებულსა A. 17 უკუᲬ CDHK. 18 ჩუᲬულებათა HK. 19 სათნოებისა AH, სათნოებისაჲ CDE. 20 თქუენგანსა H. 21 ადჳლ H. 22 სიტყჳსაებრ K. 23 მიმყუნებელისა H. 24 ვინაცა H.

(1) I კორ. 13,2.

რამეთუ ეშმაკეული გულისსიტყუაჲ არს მწუხარებაჲ ვისგანმე რჩეულებასა ზედა წარმართებულთასა, რამეთუ ეშმაკთა განიკუთნეს რაჲ სიძულილი, სასწრაფო არს მათდა (36vD) ყოველთა კაც(542rE)თა[1] მყის წარწყმედაჲ.[2] ხოლო წმიდათა, მიბაძვებითა მეუფისა[3] მათისაჲთა,[4] ყოველთა კაცთა[5] ჰნებავს ცხორებაჲ და მეცნიერებასა ჭეშმარიტებისასა მოსლვაჲ,[6] (1) რამეთუ სიყუარულითა რაჲ თხემდგმულ[7] იქმნეს, მოყუასი ვითარცა თავი თჳსი შეიყუარეს. (2)

ჩჵ.[8] (59) უკუეთუ წმიდა ხარ, ნუ აღჰზუავნები[9] განკრძალულებასა შენსა[10] ზედა, არამედ[11] სიმდაბლით ევედრე უფალსა, რაჲთა მცველ შენდა იქმნეს, ვიდრე აღსასრულამდე,[12] რამეთუ მრავალგზის ვენაკმანცა მყის ზედა-მისლვითა ოთხფერკთაჲთა,[13] მოულოდებელად განხრწნა ნაყოფი თჳსი უდებებითა[14] მცველისაჲთა.

ჩჸ.[15] (60) უკუეთუ სიმდიდრე გაქუს, ნუ დიდ-ჰმზრახვალობ,[16] რამეთუ არღა[17] განთავისუფლებულ ხარ ჭირთაგან, ღელვათა და მომზირალთაჲსა,[18] ვინაჲცა არღა მტკიცე არს მომღებელობაჲ მათი მალიადითა და უცნაურითა შეცვალებითა, ვითარცა* წერილ არს: „ვიხილენ მონანი ცხენთ-მსხდომნი და მთავარნი მონებრ მიწასა ზედა მავალნი“.

ჩჹ.[19] (61) უკუეთუ ყუავილოვან ხარ ასოთა შუენიერებითა,[20] ნუ აღჰზუავნები[21] ძლიერებისათჳს კორცთაჲსა,[22] არამედ გულისკმა-ჰყოფდ,[23] რაოდენნი (48vC) და რაბამნი ჭირნი მოჰკ(70vA)იდვან კორცთა. რამეთუ, რომელთაცა ვხედავთ უკურნებელთა ვნებათაგან შეპყრობილ(53rH)თა, ანუ ნაკიდ-მოვრდომილთა[24] ასოჲ-

* მინაწერი კიდეზე: „შეისწავე“ C.

1 კაცთაჲ ACDE. 2 წარწყმედა HK. 3 მ˜წფისა K. 4 მათისაჲთაჲ E, მათისათა HK. 5 კაცთაჲ C, კაცთა ADEHK. 6 მოსლვა K. 7 თხემდგმულ ACHK (korufwqente~), თხემდგომილ DE. 8 ნ˜ზ DE. 9 აღჰზუავნები ADE, აღზუავნები CK. 10 შენსა – DE. 11 არამედ] და E. 12 აღსასრულადმდე HK. 13 ოთხფერკთათა H. 14 უდებებითა CDE, უდებებით A. 15 ნ˜ DE. 16 დიდ-მზრახვალობ ACK, დიდ-ჰმზრახვალობ DEH. 17 არღარა DE. 18 მომზირალთასა H. 19 ნ˜თ E. 20 შუ˜ნიერებითა HK. 21 აღზუავნები CHK. 22 კორცთასა H. 23 გულისხუმა-ჰყოფდ DE. 24 ნაკიდ-მორდომილთა ADE, ნაკიდ-მოვრდომილთა CHK (hkrwthriasmeno~ – კიდეებ-მოკვეთილი, akrwthriazw ზმნის მიმღეობა).

(1) I ტიმ. 2,4. (2) მათე 19,19; 22,39; მარკ. 12,31-33; ლუკა 10,27.

თა,[1] ანუ არაწმიდათა სულთაგან შფოთებულთა,[2] არა ესრეთ იშვნეს მუცლითგანვე, არამედ უმრავლესნი მყის შეიცვალნეს. რამეთუ გუშინ ზეშთ-ყუავილოვანი[3] ჰასაკითა,[4] დღეს ძნიად საკურ(542vE)ნებელთა ვნებათაგან დაჭნობილი მდებარე არნ.

ეკრძალე თავსა შენსა;[5] ნუუკუე,[6] შემდგომად არა-მრავლისა ჟამისა, მათგანად შეირაცხო, რამეთუ მათისავე[7] მისგანი ხარ ბუნებისაჲ.[8] ვინაჲცა, რაჟამს სხუათა თანა ვიხილოთ რაჲმე შემაწუხებელთა სენთაგანი, თავნი თჳსნი სარკებრ მის შორის განვიხილნეთ, რამეთუ არა უწყით, რაჲ შვეს[9] ხვალემან,[10] რამეთუ მრავლითა უშუერებითა[11] და წ(37rD)ყლულებითა აღსავსე არს გუამი ჩუენი,[12] რომლისა მიერ ვიცნათ[13] რაჲ უძლურებაჲ თჳსისა ბუნებისაჲ, ნულარა ვართ ამპარტავან და არა თანა-მოტკივარ,[14] არამედ თანალმობითა ჩუენითა ურთიერთას, მოვიგოთ ადვილ-დაგებაჲ მეუფისაჲ,[15] რომელი შემძლებელ არს წყლვად და კუალად კურნებად, შთაყვანებად[16] ჯოჯოხეთად და აღმოყვანებად.[17] (1) რამეთუ დაღათუ წუთჟამ მრთელოჲს გუამი ჩუენი, არამედ არა უწყით, რაჲ შვეს ხვალემან.

ᲰᲒ.[18] ნუ აღჰზუავნები[19] მცოდველსა[20] ზედა, ნუცა არა-მცოდველსა აღაზრზენ ცოდვად, რამეთუ ორ(71rA)ნივე ესე შეუტყუებელ[21] და ზღვევოან,[22] ხოლო გიკმს[23] თუ საკმრად[24] წარმოდგინებაჲ თავისა თჳსისაჲ, თითოეულსა[25] მათგანსა სახედ[26] მიეც თავი თჳსი კეთილთა საქმეთა(36vK)თჳს. დასთხევდ ცრე-(49rC)მლთა წინაშე უფლისა, რაჲთა დაცემული აღგადგინოს[27] უფალმან. ხოლო მდგომარე არა წარსატყუენველ[28] გყოს[29] ცოდ-

1 ასოთა H. 2 ~ შფოთებულთაგან სულთა K. 3 ზეშთ-ყუავილოვანი A, ზეშთ-ყუავილოვანნი C, ზესთ-ყუავილოვანი DE, ზეშთა-ყუავილოვანი H. 4 ჰასაკითაჲ E. 5 შენსა ADE, თჳსსა CH. 6 ნუუკუᲩ CHK. 7 მათსავე E. 8 ბუნებისა HK. 9 შუᲩს H. 10 ხუალემან H. 11 უშუᲩრებითა HK. 12 ჩემი E. 13 ვიცნათ AC, ვიცანთ DE, ვცანთ K. 14 თანა-მტკივარ AC, თანა-მოტკივარ DEHK. 15 მ˜ფისაჲ DE, მეუფისა H, მ˜Ჩფისა K. 16 შთაყუნებად H. 17 აღმოყუნებად H. 18 ნ˜თ ACD, ჲ˜ E. 19 აღჰზუავნები ADE, აღზუავნები CK, აღზუავჰნები H. 20 ცოდვილსა H. 21 შეუტყვებელ H, შეუტყუᲩბელ K. 22 ზღუვეოან H, ზღვეოან K. 23 გიკმს] იგი კამს H. 24 საკმარად H. 25 თითოელსა A. 26 საქმედ H. 27 აღადგინოს DEH. 28 წარსატყუᲩნველ H. 29 გყოს A, ყოს CDEHK.

(1) I მეფ. 2,6; ტობი 13,2.

ვისაგან, რამეთუ ერთი არს მსაჯული,[1] შემძლებელი ცხოვნებად და წარწყმედად.

Ა.[2] (63) ნუ აღაშფოთებ ბანაკსა კაცთა მოღუაწეთა, გალობად უფლისა მდგომარეთასა, სილაღითა გულისსიტყჳსაჲთა[3] ყვანებული,[4] რაჲთა არა მოგი(543rE)ჯდეს შენ წყლულებაჲ ღმრთივ მოვლინებული, რამეთუ ღმრთისა მიმართ ცოდვაჲ ძნელ[5] და შეუნდობელ, ხოლო სულნი[6] წინაჲსწარმეტყუელთანი წინაჲსწარმეტყუელთა[7] დაემორჩილებიან, რამეთუ არა დაუწყნარებლობისაჲ[8] არს ღმერთი, (53vH) არამედ მშჯდობისაჲ.

ᲘᲨ.[9] (64) ჭაბუკ რაჲ იყო, დუმილსა იღუწიდ და უცონელობასა, რამეთუ უცონელობაჲ შენ დაუმძიმებელად ვისდამე დაგიცავს. ხოლო დუმილი ლამპარსა სულისასა დაუშრეტელად დაიცავს,[10] რაჟამს არა უტეოს[11] დაბნელებად სიბოროტისა მიერ.

ᲘᲚ.[12] (65) თანამყოფ შენდა იყავნ სიმდაბლე ყოვლადვე და ყოველსა შინა, რასაცა იქმოდი. რამეთუ ვითარცა ჴორცნი მოქენე არიან სამოსლისა,[13] დაღათუ სიცხე იყოს, გინა სიცივე, ეგრეთვე, სული, მოუკლებელად (37vD) მოქენე არს სიმდაბლისა სამოსელსა, რამეთუ დიდ მონაგებ და ზეშთააღმატებულ[14] არს სიმდაბ(71vA)ლე. და ესე უწყიან ყოველთა, რომელნი ურცხჳნელად მზიდველ იქმნნეს უღელსა მისსა, ვინაჲცა[15] აღირჩიე შიშულივ და უკამურმან სლვაჲ უფროჲს,[16] ვიდრე ამისგან განშიშულებაჲ, რამეთუ მოყუარეთა მისთა საფარველ[17] უფალი არს.

ᲘᲛ.[18] (66) ვითარცა შეუძლებელ არს მენავეთაჲ სამარადისოდ ყოფაჲ ნავსა შინა, და პანდუქიონსა შინა დავანებულთაჲ[19] — არაოდეს განსლვაჲ[20] მიერ (49vC) ადგილით, ეგრეთვე ჩუენიცა შეუძლებელ არს საუკუნოდ ყოფაჲ საწუთოსა ამას შინა. რამეთუ[21]

---

1 მსაჯულ C, მს˜ჯლ H. 2 ჲ˜ ACHK, ჲ˜ა DE. 3 გულისაჲთა A, გულისსიტყჳსაჲთა (logismwn) CDE, გულისსიტყჳსათა HK. 4 ყუანებული H. 5 ძნელა E. 6 სულნი — HK. 7 წინაწარმეტყ˜ლთა E. 8 დაუწყნარებელობისაჲ DE, დაუწყნარებლობისა H. 9 ჲ˜ბ DE. 10 დაჰმარხავს DE, დაიცავს ACHK. 11 უტეოს ACHK (sugcwrousa = დამთმობი, „შემნდობელი“, მიმტევებელი = მიმშვები, ნებისდამრთველი), აუფლოს DE. 12 ჲ˜გ DE. 13 სამოსლისა + და E. 14 ზეშთააღმატებულ ACHK, ზესთააღმატებულ DE. 15 ვინაცა H. 16 უფროს H. 17 საფარველი A. 18 ი˜დ DE. 19 დავანებულთა H. 20 განსლვა H. 21 რამეთუ] და HK.

ვითარ-იგი[1] მუნ მოგზაურ და მენავე ეწოდა მათ,[2] ეგრეთვე აქა ჩუენ[3] – მსხემ და წარმავალ. ამის[4] მიმართ რაჲ ვხედვიდეთ[5] გონებისა თუალითა, განვემზადნეთ განსლვად საწუთოჲსაგან.[6]

ᲝᲝ.[7] (67) რაჟამს იხილო თავი თჳსი მდიდრად და თავდგმულად[8] სათნოებითა, მაშინ უმეტეს(543vE)ისა სიმდაბლისა მოქენე ხარ, რაჲთა საფუძველი[9] რაჲ ყოვლად სავსებით დაცვულ იყოს შეუძრველად, და დაუცემელად ეგოს ნაშენები შენი, და ფრიადითა კრძალულებითა – ნაყოფი შენი.

ᲝᲠ.[10] (68) რომელი უთხრიდეს მოყუასსა ჴნარცუსა, თჳთვე შთავარდეს მას,[11] და რომელი მახესა დაუდგმიდეს მოძღუარსა თჳსსა, უშჯულო[12] არს იგი და ბოროტადმსახურ. ვინაჲცა[13] მის-თანავე დაისაჯოს, რომელმან-იგი ქველისმოქმედი[14] და მოძღუარი მისცა ჴელსა უშჯულოთასა.[15]

ᲝᲢ.[16] (69) ერისკაც ჰყოფს კაცსა არათუ (54rH) სამოსელი და თმანი, არამედ სახე-ბოროტებაჲ, და განბნევაჲ (72rA) სოფლიოთა მიმართ და ნივთიერთა გულისთქუმათა, რამეთუ ამათ შინა სული ბილწ იქმნების.

ᲝᲮ.[17] (70) მონაზონ ჰყოფს კაცსა არათუ აღკუეცაჲ[18] და საბლარდნელი, არამედ სურვილი ზეცისაჲ და საღმრთოჲ მოქალაქობაჲ, რამეთუ ამათ შინა გამოჩნდების სათნოჲ[19] ცხორებაჲ.

ᲝᲘ.[20] (71) პირველ განსაცდელისა ნუ განიდიდებ თავსა თჳსსა, რამეთუ მრავალგზის მო-რაჲ-ვიდა განსაცდელი, (37rK) ამხილა დგომის[21] მგონებელთაცა.[22] (38rD)

ᲝᲒ.[23] (72) ვჰგონებ რომელ პირველ განსაცდელთა ვერცაღა თავსა თჳსსა იცნობ, თუ რაბამ ანუ რაოდენ ხარ ძალითა. ვინაჲ-

1 ვითარ-იგი + მათ K. 2 მათ – K. 3 ∾ ჩუენ აქა A. 4 ამას ACH, ამ˜ს DE. 5 ვხედჴდეთ H. 6 საწუთოსაგან K. 7 ჲ˜ე DE. 8 **korufoumenon**. აქვე, ნე (58) თავში **korufwqente~** სიტყვა 'თხემდგმულად' არის ნათარგმნი. 'თავდგმულებას' ('აღვსების', 'შესრულებისა' და 'დაგვირგვინების' მნიშვნელობით) ეფრემ მცირე ახსენებს რომ. 13,9-ის თარგმანშიც. 9 საფუძველი ACHK (**to qemeqla**), საყუარელი D, საყურელი E. 10 ჲ˜ვ DE. 11 მას + შინა K. 12 უსჯულო ADEHKL, უშჯულო C. 13 ვინაცა H. 14 ქუ‹ბ›ლისმოქმედი H. 15 უსჯულოთასა ADEHKL, უშჯულოთასა C. 16 ი˜ზ DE. 17 ჲ˜‹ბ› E. 18 აღკუ‹ბ›ცა HK. 19 ს˜ღჲ H, ს˜ღთო K. 20 ჲ˜თ E. 21 დგომისა E. 22 მქონებელთაცა AC, მგონებელთაცა DE. 23 ჲ˜თ AHK, ჲ˜‹ბ› CE.

ცა ჯერ-არს (50rC) განმტკიცებაჲ გონებისაჲ,[1] და მღჳძარე ჭირის -წჳმათა მიმართ.

Ჷ.[2] (73) ვითარცა ცეცხლი ბრძმედსა შინა გამოსცდის ოქროსა და ვეცხლსა, ეგრეთვე განსაცდელთა შინა გამოიცადების ჴორციელთა სულები.

ᲩᲔ.[3] (74) ძალმწედ ქონებითა უფლისაჲთა, ნუ შეშინდებით[4] განსაცდელთა შინა, არამედ[5] ახოვნებით[6] აღვსწუთებოდით გჳრგჳნსა ზეცისა ჩინებისასა ქრისტეს მიერ, რამეთუ გჳრგჳნოსან ჰყოფს (544rE) უფალი ყოველთა მოყუარეთა მისთა.

ᲷᲚ.[7] (75) უკუეთუ ჰფარავ ასოთა შენთა, არა-ხილვად ვისგანმე შიშულად, დაიცევ შენცა არა-განცდაჲ[8] სხჳსა ვისმე სიშიშულისაჲ,[9] თჳნიერ სნეულებისა ჭირისა, რაჲთა არა სახენი რაჲმე უშუერნი[10] დასახნე[11] გონებასა შენსა შინა.

ᲷᲚ.[12] (76) უკუეთუ განგებულებისა აღვსებითა სცხებდე სნეულსა ზეთსა, დაიცვენ თუალნი, ყელნი და ენაჲ, არა ზეშთაგარდა(72vA)ვლად[13] საზღვართა სიწმიდისათა, რამეთუ ესე შუენის[14] ღმრთისმსახურებასა.[15]

ᲷᲝ.[16] (77) ძრწოლით შეახე ყელი სხჳსა ასოთა, ვითარმცა თჳთ სიწმიდეთა შეეხებოდე,[17] რამეთუ ჭეშმარიტად წმიდა არს ტაძარი უფლისაჲ, საკჳრველ სიმართლითა, (1) რამეთუ იტყჳს: „არა უწყითა,[18] რამეთუ ტაძარნი ღმრთისანი ხართ, და სული წმიდაჲ[19] მკჳდრობს[20] თქუენ შორის? რომელმან განხრწნეს ტაძარი ღმრთისაჲ, განხრწნეს იგიცა ღმერთმან,* რამეთუ[21] ტაძარი ღმრთისაჲ წმიდა არს, რომელ-ეგე თქუენ ხართ“. (2) ესე რაჲ

* აქ ცალკე თავია გამოყოფილი DE-ში (თავი ო˜გ), მაგრამ ეს გამოყოფა ლოგიკური არაა, რადგან პავლეს ეპისტოლის ციტირება გახლეჩილი გამოდის).

1 გონებისა H. 2 ო˜ AHK, ჲ˜ზ E. 3 ჲ˜თ E. 4 შევშინდებით HK. 5 არამედ – K. 6 ახოვანებით DE. 7 ო˜ E. 8 არა-განცდად H. 9 სიშიშულისა HK. 10 უშუᲩრნი CHK. 11 დასხნე ACDE, დასახნე (egcaraxh~ – გამოკვეთო, გამოსახო) HK. 12 ო˜ა E. 13 ზეშთა-გარდავლად ACH, ზესთა-გარდავლად DE. 14 შუᲩნის K. 15 რამეთუ ესე შუენის ღმრთისმსახურებასა – H. 16 ო˜ბ E. 17 შეეხებოდე ACHK, შეეხებოდი DE. 18 უწყითა CDE. 19 წმიდაჲ AC, ღმრთისაჲ DEHK. 20 დამკჳდრებულ არს K. 21 რამეთუ ACHK, ვითარ DE.

(1) ფს. 64,5-6. (2) შდრ. I კორ. 3,16-17.

უწყით, ყოვლითა[1] დაცვითა დავიცვნეთ[2] გულნი[3] თჳსნი.[4]

ᲐᲗ.[5] (78) დაიცევ თავი თჳსი არა თანამქცევ-ყოფად ყრმისა, რამეთუ მრავალთა განხრწნეს[6] და საძაგელ იქმნნეს, და უკუანაჲსკნელად ამაო იქმნნეს.

ᲐᲘ.[7] (79) წოლასა შენსა შინა ნუ დაირეც თავსა თჳსსა გარეგან საკმრისა, რამეთუ შესატ(54vH)ყჳსად ძალ-უც ფუფუნებასა (50vC) განკურვებად[8] კორცთა და უფროჲს[9] აღტყინებად ნაკუერცხალთა[10] გულისთქუმისათა.

ᲐᲘᲑ.[11] (80) მწოლარენი ოქროსართულთა[12] შინა[13] და ცხედართა ზედა პილოჲსძულისათა[14] და ქვითა[15] შენადგამთა, მარადის (38vD) ჰნატრიან შრომათა შინა განბრწყინვებულთა, დაღათუ არა თავს-იდებენ ბაძვასა მათსა.

ᲐᲘᲒ.[16] (81) ყოველსავე იქმოდე და (544vE) იგონებდ სათნოყოფისათჳს ღმრთისა, რამეთუ, ესე რაჲ მოგონებაჲ წარკდის,[17] მის თანა წარწყმდების[18] ყოველი სასყიდელი მოქმედებისაჲ.[19]

ᲐᲓ.[20] (82) განამტკიცენ შრომანი მცირესა[21] ამას ჟამსა, რაჲთა საუკუნესა[22] საუკუნეთასა განისუენო,[23] რამეთუ შენ მუნ წარხჳდე, და საქმე (73rA) შენი ეგოს.

Ე.[24] (83) უკუეთუ მუშაკი ხარ, ნუ მწუხარე ხარ კეთილისა მისთჳს მგზავრობისა, რამეთუ არავინ სიმდიდრით შექცეული სახიდ[25] თჳსად,[26] მწუხარებით განიჭრებინ.

ᲕᲖ.[27] (84) ნუ განსცდი მოყუასსა მიზეზითა ვეცხლისმოყუარეებისაჲთა,[28] რაჲთა არა მიიღო მისთჳს ცოდვაჲ, არამედ გულისკმაყავ[29] წერილი: „ნუ იქმნებით ბრძენ თავით თჳსით“, (1) რამეთუ (37vK) უსამართლოთა სასუფეველი ღმრთისაჲ ვერ დაიმკჳდრონ. (2)

1 წ˜თა H. 2 დაიცვენით K. 3 გულნი ACHK (kardian), გონებანი DE. 4 თჳსნი] ჩუენნი C. 5 ო˜დ DE. 6 განხწნეს E. 7 ო˜ე DE. 8 განკურვებაჲ DE. 9 უფროს H, უფროსღა K. 10 ნაკუერცხალთა K. 11 ო˜ვ DE. 12 ოქროსართულსა DEK. 13 ქუეშე DE, შინა ACHK. 14 პილოჲსძულისათა AC, პილოჲსძუალისათა DE, პილოსძუალისათა H. 15 ქვით DEHK. 16 ო˜ზ DE. 17 წარკდის A, წარკდეს DEHK. 18 წარკდების ACHK, წარწყმდების DE (oichsetai). 19 მოქმედებისა HK. 20 ო˜Თ DE. 21 მცირეს E. 22 საუკუნებსა AHK, საუკუნესა CDE. 23 განისუენო HK. 24 ო˜თ DE. 25 სახედ C. 26 თჳსსა ACHK, თჳსად DE. 27 Ზ˜ DE. 28 ვეცხლისმოყუარეებისათა HK. 29 გულისხუმა-ყავ DE.

(1) იგავნი 3,7; რომ. 12,16. (2) I კორ. 6,9.

ᲘᲦ.[1] (85) ნუმცა არს კელი შენი განმარტებულ მიღებისათჳს, არამედ უფროჲსღა[2] მიცემისათჳს.

ᲘᲨ.[3] (86) სულგრძელ იყავ, რაჲთა იყო დიდცნობა, რამეთუ კეთილ ნიჭ არს სულგრძელებაჲ, რომელი განჰკდის ნავღელფიცხელობასა[4] და ძჳრისკსენებასა და სულმოკლებასა, და მშჳდობითსა დაწყნარებასა შეუქმს სულსა.

ᲘᲮ.[5] (87) უკუეთუ წუთჟამისა დიდებისა მკედრობათაგანი ხარ, რომელი ყუავილებრ[6] თივისა დავარდების, და იჯმნი[7] საოცრებისაგან მისისა, განამტკიცენ შრომანი ვიდრე აღსასრუ-(51rC)ლადმდე,[8] ნუსადა შენ ძლით იგმოს სახელი ღმრთისაჲ ურწმუნოებით მეტყუელთაგან:[9] არცაღა ღმერთმან მისმან აცხოვნა იგიო, არამედ ვითარცა თქუა უფალმან, — „ესრეთ ბრწყინევდინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა, რაჲთა იხილნენ საქმენი თქუენნი კეთილნი, და ადიდებდენ მამასა თქუენსა, რომელ არს ცათა შინა“. (1) რამეთუ ქუეყანისაცა (545rE) მეფისა მკედარ[10] ქმნულთა,[11] უკუეთუ არა აჩუენონ[12] გამოცდილებაჲ მათი მტერთა ზედა მეფისათა, უმეტესთა ნიჭთაგან (73vA) მიუღებელად (55rH) დაშთებიან. ხოლო რაჟამს ყოველივე ყონ, მცირედი საგზალი აქუს მათ. რაჲ არს იგი, ვთქუათ, გარნა[13] ცუდადზუაობაჲ და გემოვნებანი მუ(39rD)ცლისანი, ხოლო რომელნი განეწყვნენ[14] სულთა მიმართ უკეთურებისათა,[15] თანა-აღრიცხულ იქმნებიან მკედრობასა ზეცათასა, და სიხარულისა მათისა არა იყოს დასასრულ,[16] რამეთუ ვითარცა ანგელოზნი იყვნენ ცათა შინა. (2)

ᲘᲩ.[17] (88) უკუეთუ ჰზი კრებულთა[18] შინა, გინა თჳსაგან დაყუდებით, საძიებელსა შენსა ნუ უდებ ხარ, ესე იგი არს, გულსა წმიდასა და სულსა შემუსრვილსა, რამეთუ ამათი მომგებელი არა შეურაცხ-იქმნეს უფლისა მიერ. (3) ხოლო დიდი ზღვევაჲ[19] არს ამათი უგულებელსყოფაჲ.[20]

---

1 პ˜ა DE. 2 უფროსღა HK. 3 პ˜ბ DE. 4 ნავღელფიცხლობასა DEH. 5 პ˜გ DE. 6 ყუავილებ K. 7 იჯმნის H. 8 აღსასრულამდე DE. 9 მეტყუწლთაგან K. 10 მკედართ DE. 11 ქმნილთა K, ქმნ˜ლთა H. 12 აჩუწნონ CHK. 13 გარნა] რ˜ა K. 14 განეწყუნეს K. 15 უკუეთურებისათა E. 16 დასასრული HK. 17 პ˜დ DE. 18 კრებულსა HK. 19 ზღუწვა H. 20 უგულებელსყოფა HK.

(1) მათე 5,16. (2) შდრ. მათე 22,30; მარკ. 12,25. (3) შდრ. ფს. 50,19.

ᲣᲗ.[1] (89) ნუ ჰგოდლოდ[2] ენამჭევრობასა ზედა, განდიდებითა თავისა თჳსისადთა,[3] არამედ საქმით მიუთხრობდ მოძღურებასა უწიგნოთა და უსწავლელთასა, რადთა იყო[4] მოწაფე უფლისა მოციქულთა, რამეთუ გარეშეთა სიბრძნესა[5] ზედა სიქადული განგდებულ არს, უფროდსღა[6] ქრისტიანეთათჳს,[7] რამეთუ რომელი იქადოდის, უფლისა მიერ იქადოდენ. (1)

ᲣᲮ.[8] (90) შემოსითა სამოსელთადთა ნუ იქადი, მომჴსენებელი ელიადს[9] ხალენისად[10] (51vC) და ესაიადს[11] ძაძისად,[12] ვითარცა წერილ არს: „წარვედ და მოიჴადე ძაძად წელთაგან შენთა, და ცანდალნი წარიჴადენ[13] ფერჴთაგან შენთა“. (2) და ნათლისმცემელისაცა სამოსელსა ნუ დაივიწყებ, რადთა არა სამოსლისა ბრწყინვალებითა ჰსა(74rA)ჩინოებდე,[14] (545vE) არამედ საქმითა კეთილითა ბრწყინვიდეს ნათელი შენი წინაშე ყოველთადსა,[15] რადთა იდიდოს უფალი. (3)

ᲣᲘ.[16] (91) სარწმუნოებისათჳს რად ჰმეტყუელებდე,[17] სცნობდ, უკუეთუ გიქმნიან-მე-ა საქმენი[18] სარწმუნოებისანი. ხოლო უკუეთუ[19] სიტყუად ოდენ და სმენად წადიერ ხარ, გერქუას შენცა[20] წერილი: „გნებავსა[21] ცნობად, კაცო ამაოო, ვითარმედ სარწმუნოებად თჳნიერ საქმეთადსა[22] მკუდარ არს?“ (4) რამეთუ რომელნი-იგი მკუდარ არიან, იგინიცა აღიარებენ,[23] ვითარმედ იციან ღმერთი, ხოლო სა(38rK)ქმით უარ-ჰყოფენ,[24] სიტყჳსაებრ სამოციქულოდსა, საძაგელ არიან და ურჩ (55vH) და ყოვლისა მიმართ კეთილისა საქმისა[25] გამოუცდელ. (5) ვინადცა შენ მდაბალი ცნობად გაქუნდინ, რადთა არა სიმაღლედ რად აღიყვანო, დაეკუეთო[26] დაცემითა განსაკრთომელითა.

---

1 ᲣᲗ DE. 2 ჰგოდლოი DE. 3 თჳსისათა K. 4 იყოს H. 5 სიბრძნეთა H. 6 უფრ᾽ს H, უფროდს K. 7 ქ᾽ეანეთათჳს ACHK. 8 ᲣᲮ DE. 9 ელიას HK. 10 ხალენისა DEHK. 11 ესადადს C. 12 ძაძისა H. 13 წარიჴადენ ACHK, წარიჴსნენ DE. 14 ჰსაჩინოებდე ACHK, ჰსაჩინოობდე D, ჰსაჩინიოობდე E. 15 ყოველთასა H. 16 ᲣᲘ DE. 17 ჰმეტყუᲩლებდე H. 18 საქმენი + საქმენი A. 19 უკეთუ H. 20 შენცა DEHK, შენ AC. 21 გნებავს AC, + კაცო DE. 22 საქმეთასა HK. 23 აღიარებენ ACHK, აიარებენ DE. 24 უვარ-ჰყოფენ DEH. 25 ~ საქმისა კეთილისა HK. 26 დაეკუᲩთო HK.

(1) II კორ. 10,17. (2) ეს. 20,2. (3) შდრ. მათე 5,16. (4) იაკ. 2,20. (5) ტიტე 1,16.

მარადის ევედრებოდე ღმერთსა კმ(39vD)ობით[1] მისსა მიმართ: „დასდევ, უფალო, საცოჲ პირსა ჩემსა, და კარი ძნელი — ბაგეთა ჩემთა. ნუ მისდრეკ გულსა ჩემსა სიტყუათა მიმართ უკუთურებისათა, მიზეზებად მიზეზთა ცოდვისათა, კაცთა თანა, მოქმედთა უშჯულოებისათა,[2] და არა თანა-ვეთნო[3] რჩეულთა მათთა თანა“. (1) რამეთუ ენაჲ მცირე ასოჲ არს და დიდად მოქადულობს.[4] (2)

ᲣᲪ.[5] (92) წარტყუენვაჲ[6] ნაქონებთაჲ[7] და ტანჯვანი და სიკუდილისა ქადებანი მრავალთა შემარყეველ ექმნნეს, ხოლო სხუანი ამათ მიერ (52rC) გჯრგჯნოსან იქმნნეს. სხუანი ვეცხლისმოყუარებისა[8] ძლით განმცემელ იპოვნეს. სხუათა ცუდად(74vA)მზუაობრობისათჯს[9] ჭეშმარიტებაჲ შეურაცხ-ყვეს. სხუანი სიბორგილითა გემოთმოყუარებისაჲთა[10] უშჯულოებად[11] შთავარდეს. გარნა მხოლოდ მათ ოდენ სძლეს მას, რომელსა-იგი აქუნდა სიმტკიცე[12] სიკუდილისაჲ,[13] ესე იგი არს, ეშმაკი, (3) რომელთა მარადის თავთა შორის თჯსთა (546rE) აქუნდა უფალი, რამეთუ ძლევა ჩუენდა უფალი არს. ვინაჲცა დაღათუ წარემატებოდი კეთილთა საქმეთა შინა, ნუ მაღლად-ჰმზრახვალობ,[14] და დაღათუ ფრიად განსწირვიდე თავსა[15] თჯსსა, ნუ წარიკუეთ[16] ცხორებისა თჯსისა სასოებასა, რამეთუ ნეტარ არს იგი, არა ხოლო კეთილად დამწყებელი, არამედ უბრალოდ სრულმყოფელიცა. ნუმცა უკუე[17] განვსცემთ თავთა[18] თჯსთა დღე ყოველ უქმებასა, არამედ კეთილად[19] ვმოქმედებდეთ მეათერთმეტესა ჟამსა შინა,[20] რაჲთა ჩუენცა ღირს ვიქმნნეთ დრაჰკნის მოღებად ჯელისაგან უფლისა.

Ჩ.[21] (93) უკუეთუ გყვეს[22] შენ თანა მოწაფე, და უდებებითა

1 კმობ H. 2 უშჯულოებისათა C, უსჯულოებისათა ADEHK. 3 თანავე სათნო H. 4 დიდ-მოქადულობს A, დიდად მოქადულობს CDEK. 5 ᲣᲪ DE. 6 წარტყუᲬნვაჲ H, წარტყუᲬნვა K. 7 ნაქონებთა K. 8 ვეცხლისა-მოყუარებითა H. 9 ცუდადმზუაობარობისათჯს E. 10 გემოთმოყუარებისათა K. 11 უსჯულოებად A, უშჯულოებად CK, უსჯულოვებად DE. 12 სიმტკიცეს E. 13 სიკუდილისა H. 14 მაღლად-ჰმზრახვალობ ACH, მაღლად-მზრახვალობდ DE, მაღლად-მზრახვალობ K. 15 თ˜ვს E. 16 წარიკუᲬთ HK. 17 უკუᲬ CHK. 18 თ˜ვთ E. 19 კეთილა C. 20 ჟამსა შინა AC ∼ შინა ჟამსა DE. 21 Ჩ˜თ DE. 22 გყუᲬს H.

(1) ფს. 140,3-4. (2) იაკ. 3,5. (3) ებრ. 2,14.

თჳსისა წარმდებებისაჲთა განდგეს უღლისაგან კეთილმსახურებისა, ნუ უცხო-იჩენ ამათ[1] ზედა, ნუცა ადგილ-სცემ მწუხარებასა, უფროჲს განლევად გონებისა შენისა, ნუუკუე[2] თავსა თჳსსა ავნო, და მას არაჲ[3] არგო. არამედ გულად-(56rH)იღე მსახური ელისე წინაჲსწარმეტყუელისაჲ. ხოლო უკუეთუ უმეტესად ბოროტებად გარდასდრკეს, შეჰრაცხე მოციქულთაგან განმცემელ ქმნულად. და ვინმცა იყო ესოდენ (75rA) უცნობო და ბოროტადმსახურ, რომელ მოძღუარსამცა და(40rD)აწერა მიზეზი მისისა დაცემულებისაჲ,[4] და არა ბოროტ-(52vC)ნებასა მოწფისასა,[5] რამეთუ თჳთმფლობელად შეუქმნიეს ღმერთსა კაცი. ვინაჲცა[6] პატივნი[7] და[8] პატიჟნი მიელიან; კეთილ[მოღუაწ]ეთა* — პატივნი და გჳრგჳ[ნნი],* ხოლო გარდამავალთა და შეურაცხის-მყოფელთა — გუემანი[9] და ტანჯვანი, რამეთუ არს ცოდვაჲ სასიკუდინე. ხოლო თავსა თჳსსა იგი მოუგებს სიკუდილსა, რომელი დაადგრეს სიბოროტესა შინა, და არა შეიცვალოს უჯეროთაგან ჯეროვანთა მიმართ.

ᲬᲮ.[10] (94) რაჟამს იხილო თავი თჳსი[11] მო(546vE)ქადულად კითხვასა ზედა საღმრთოთა სიტყუათასა,[12] და განმგდებელად სულიერთა სწავლათა, იცან სული შენი სენსა ძნელსა შთავრდომილად, რამეთუ დასაბამ ბოროტმზრახვალობისა[13] არს ესე, (38vK) რამეთუ ამით დასნეულებულთა ნაყოფი სიკუდილისაჲ მოიწინიხეს.

ᲬᲯ.[14] (95) მჭედლობისა ჴელოვნების[15] მოსწავლენი არცა მტუერსა[16] ერიდებიან, არცა უროჲსცემასა,[17] არცა ცეცხლით შეტუსვილებასა,[18] არამედ იპყრობენ შანთთა რკინისათა, მოღუაწებით და მოსწრაფებით, გამოღებად მიერ ჭურჭლებსა კეთილ-

* აქ D-ში რესტავრაციის დროს ქაღალდით დაუფარავთ რამდენიმე ასო ორ სტრიქონში. სწორედ ეს ადგილებია თეორ ლაქად დატოვებული E ხელნაწერში, რაც, მრავალრიცხოვან ერთნაირ ვარიანტებთან ერთად, ადასტურებს, რომ სწორედ D არის E ხელნაწერის დედანი.

1 ამას HK. 2 ნუუკუᲩ HK. 3 არ˜ჲ E, არა H. 4 დაცემულებისა HK. 5 მოწფისასა AH, მწ˜ფისსა C, მოწაფისასა DE. 6 ვინაცა HK. 7 პატივ˜ნი E. 8 და — E. 9 გუᲩმანი HK. 10 ჟ˜ DE. 11 თჳსი ACHK, შენი DE. 12 სიტყუათასა ACHK (qeiwn logiwn), წერილთასა DE. 13 ბ˜რტმზრახვლობისა E. 14 ჟ˜ა DE. 15 ჴელოვნების AH, ჴელოვნების DE. 16 მტუᲩრსა HK. 17 უროსცემასა HK. 18 შეტუსჯლებასა H.

საკმარებსა.[1] ეგრეთვე ჩუენცა, ნუ მოვიწყინებთ ვედრებად ურთიერთას, რაჲთა უპატიოთაგან პატიოსნისა გამოყვანებითა ღირს ვიქმნნეთ წოდებასა მას ბუნებათა (75vA) უზეშთაესისა დიდებისასა, რამეთუ წერილ არს: „უკუეთუ გამოიყვანო პატიოსანი ულირსებისაგან, ვითარცა პირი ჩემი იყო. და ნეტარ“, (1) რომელსა აქუნდეს თესლი სიონს და სახლეული იერუსალიმს.[2]

ᲗᲚ.[3] (96) საღმრთოთა წყალთა[4] მიერ მორწყე სული შენი, რაჲთა ნაყოფიერ იქმნეს და ყუავილოვან; ყოს ნაყოფი სიმართლისაჲ.[5] ხოლო გჯკმს ჩუენ მიდევნაჲ[6] სარგებელსა სულისასა, (53rC) ვითარსახედ[7] ცხოველთა კმელისათა, მდელოსა მწუანვილთასა.[8] რამეთუ სულისა მრთელისანი ძლიერ არიან კორცნი მოქმედებად კეთილთა. ხოლო იგი რაჲ დაეცეს (56vH) ბილწთა[9] გულისსიტყუათაგან, საჭირო არს კორცთაცა[10] განხრწნაჲ[11] სიბოროტისა მიერ. ვინაჲცა, ნე(40vD)ტარ არს, რომელმან საწუთოსა ამას[12] ცხორებასა[13] შინა კეთილად მოივაჭროს საუკუნოჲსა[14] ცხორებისა სახლები. რამეთუ განმდიდრებული წარვიდეს დაუჭნობელად ცხორებად, (547rE) რომლისა მიმთხუევაჲ[15] მეყავნ ჩუენ ყოველთა, მეოხებითა ყოველთა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტეს სათნო-ყოფილთაჲთა,[16] ამენ.[17]

1 კეთილსაკმრებსა DE. 2 იერუსალიმს C, ი˜ᲬᲚიმს DEH, ი˜ᲬᲚმს K. 3 ჟ˜ბ DE. 4 წერილთა AC, წყალთა DE (to nama – ცვარი, ნამი). 5 სიმართლისა HK. 6 მიდევაჲ DE, მიდევნა HK. 7 ვ˜რ სხ˜ᲬᲓ DE. 8 მწუავილთასა C. 9 ბილთა A. 10 კორცთა HK. 11 განხრწნა HK. 12 საწუთოჲსა ამის AC, საწუთოსა ამას DE, საწუთოსა ამის HK. 13 ცხორება A. 14 საუკუნოსა K. 15 მიმთხუᲬვაჲ H, მიმთხუᲬვა K. 16 სათნოყოფილთათა HK. 17 ა˜ნ CDEHK.

(1) იერ. 15,19.

მართლისა ცხორებისათჳს, თავნი პთ[1] *

Ⴢ. (1) მართლისა ცხორებისათჳს თუ გსურის, სიმდაბლესა იღუწიდ, რამეთუ თჳნიერ მისსა მართალი ცხორებაჲ ვერ იქმნების.

Ⴣ. (2) მოგზაურმან კაცმან წარწყმიდოს თუ დასაბამი გზისაჲ,[2] ესევითარი იგი უცხოსა სოფელსა შეცთომილ არს, და[3] რომელმან მიდრიკოს თავი თჳსი გზისაგან მდაბალთაჲსა,[4] ვერ აღიდგას (76rA) კარავი თჳსი ბანაკებსა შორის[5] ღირსთასა.

Ⴤ. იქმოდე სიმდაბლით[6] ყოველთა საქმეთა შენთა, სახელსა ზედა მაცხოვრისა ჩუენისა ქრისტესსა,[7] რამეთუ ამის მიერ ზეცად ამაღლდეს ნაყოფი შენი, რამეთუ ამპარტავანებაჲ ემსგავსა ხესა ამაღლებულსა, ყოვლით-კერძო დაჭმულსა, მქონებელსა რტოთა ადვილ-შესამუსრველთასა, და, აღსრული[8] მას ზედა, ადვილად[9] დაეკუეთის[10] სიმაღლით.

Ⴥ. დასაბამი კაცისა დატევებულებისა — განშორებაჲ მისგან სიმდაბლისაჲ.[11] და დატევებულ იქმნეს[12] რაჲ ღმრთისაგან, [იშთო]ბვოდის* ვითარცა საუ[ლ, სული(53vC)სა მიერ]** ბოროტისა.

⴦. შთობად[13] მძჯნვარედ შეჰრაცხე ზედა-დართვაჲ[14] ცოდვათაჲ,[15] და არა დამჭირვაჲ ვიდრე ჟამადმდე სიკუდილისა, დიდროობათა[16] მისთაჲ.[17]

---

* ბერძნულ გამოცემებში, ბოლო თავის ორად გაყოფის ხარჯზე, ეს თხზულება 90 თავადაა დაყოფილი. სხვა ადგილებშიც ქართული თარგმანის თავების აღრიცხვა ზედმიწევნით არ ემთხვევა თავების აღრიცხვას ბერძნული ტექსტის გამოცემებში. ამიტომ აქ ორივე აღრიცხვას წარმოვადგენთ: ასომთავრულით — ქართული თარგმანის თავებისას, არაბული ციფრებით — ბერძნული გამოცემებისას.

** აქაა თეთრი ლაქები D-ში (და, შესაბამისად, მისგან გადაწერილ E-შიც), რესტავრაციის დროს გაუმჭვირვალე ქაღალდით რამდენიმე ასოს დაფარვის გამო.

1 პთ + მამაო, გუაკურთხენ A; ~ გკ˜ხნ, მამაო C. 2 გზისა K. 3 და — A. 4 მდაბალთასა HK. 5 შორის AC, შინა DE. 6 სიმდაბლითა DE. 7 ქ˜ესა DE, ქ˜სსა C, ქ˜ა H. 8 აღსრული CDEHK (anelqwn), აღსასრული A. 9 ადვილ HK. 10 დაეკუ©თის HK. 11 სიმდაბლისა HK. 12 იქმნნეს A. 13 ეთობ˜ად H. 14 ზედა-დართვა K. 15 ცოდვათა HK. ცოდვათაჲ + და არა დამჭირვაჲ ცოდვათაჲ A. 16 დიდრობათა H. 17 მისთა EHK.

Ꙗ. უკუეთუ გამოწულილვით გულისჴმა-ჰყოფდე,[1] ჰპოვნე მახენი მტერისანი, ყოვლით-კერძო განმარტებულნი, შთაფლულნი[2] თაფ-ლსა შინა და სიტკბოებასა, რაჲთა, რომელსა ენებოს გემოჲსხ-ილვაჲ[3] თაფლისაჲ,[4] მახისა (547vE) მიერ შეპყრობილ იქმნეს.

Ꙗ. ნუ გსურის ესევითარისა მის თაფლი(39rK)სა, და არა შეიპყრა მახითა, რამეთუ სიტკბოებაჲ მისი უკუანაჲსკნელ ნავღ-ლითა და სიმწარითა აღავსებს ტრფიალთა თჳსთა.

Ꙗ. სიმდაბლე შეიყუარე და საეშმაკოჲსა[5] მახისაგან[6] არაოდეს შეპყრობილ იქმნე, (57rH) ფრიად (41rD) უზენაეს რაჲ იყო მახეთა მტერისათა, მალიადითა მით (76vA) ფრთითა აღსუბუქ-ბული მარადის.

Ꙗ. უკუეთუ იხილო ვინმე განჭაბუკებული შუენიერად[7] სახ-ითა, და ყუავილოვანად სამოსლითა, მქონებელი[8] სიზრქესა[9] გუამისასა, ნუ ეშურები, ნუცა შფოთებ, არამედ მმარხველ[10] იქმენ ცნობისა, და იხილო იგი შემდგომად მცირედისა დაშ-რეტილი, რამეთუ მხოლოდ იგინი აღყუავნეს[11] და განბრწყინდეს, რომელნი ზრახვისაებრ[12] ღმრთისა მოქალაქობდეს.

Ꙗ. მოსწრაფე-ქმნილნი სათნო-ყოფად ღმრთისა — არა მიხედ-ვიდეს ყუავილოვანთა ცხორებითა, ზედამიწევნით ცნობითა,[13] ვითარმედ,[14] ვითარცა ყუავილი თივისაჲ[15] მსწრაფლ განჴმენ. ხოლო ჩუენ, უდებთა, ვიხილით თუ ვინმე მსუქანედ ჴორცითა, ფეროვნად ღაწჴთა,[16] ამას ვჰნატრიდით,[17] დაღათუ დასასრულად უღმრთოებისა მიწევნულ არნ ესევითარი იგი, და შორს (54rC) განვაგდით თავთა თჳსთაგან სატკივარი ცხორებაჲ, არა მეც-ნიერებითა, თუ ვითარი[18] პატივი აქუს მოღუაწეთა ცხორებასა. ამისთჳსცა სიწმიდე მოძაგებულ არს ჩუენგან, და უბიწოებაჲ საძულელ-ქმნულ[19] არს.

---

1 გულისხუმა-ჰყოფდე DE. 2 შთაფლულნი — H. 3 გემოსხილვა HK. 4 თაფლისა HK. 5 საეშმაკოსა HK. 6 მახესაგან E. 7 შუჱნიერად HK. 8 მქონებელი ACH (periferonta), მჩუენებელი DE. 9 სიზრქეს E. 10 მმარხველ ACDE (egkrath~), მმარხუჱლ H, მზრახველ K. 11 აღყუავნეს CDE, აყუავნეს A, აღყუავდეს HK. 12 ზრახჴსაებრ H. 13 ზედამიწევნით ცნობითა — C. 14 არამედ K. 15 თივისა HK. 16 ღაწუთა DE. 17 ვნატრიდ-ით HK. 18 ვ˜რ K. 19 საძულელ-ქმნილ DE, სულელ-ქმნ˜ლ H.

ᲠᲨ. ნუ შევემშჭუალვით,[1] (548rE) ძმანო, ყრმებრთა მღერის-ყუავილთა,[2] არამედ სრული ცხორებაჲ მოვიგოთ მარადის, რაჲთა არა დაკლებულ ვიქმნნეთ სიხარულისაგან მოღუაწეთაჲსა,[3] და მივეცნეთ სატანჯველთა საუკუნეთა.

ᲠᲩ. ნეტარ არს, რომელი განპოხ(77rA)ნეს კეთილითა სასოებითა, და განბრწყინდეს კეთილთაგან მოგონებათა, რამეთუ სიქადული მისი დიდ და დაუსრულებელ.

ᲠᲪ. დაყუდებასა მივედევნნეთ, რაჲთა ვიხილნეთ რაჲ თჳსნი შეცოდებანი, დავმდაბლდეთ მარადის, და არა რაჲთა ვზრდიდეთ ზუაობისა ანუ სიბოროტისა გულისსიტყუათა, ვითარცა გესლიანთა მჴეცთა.

ᲠᲫ. შევიყუაროთ დაყუდებაჲ, რაჲთა გუაქუნდეს წმიდაჲ გული, და ხრწნილებისაგან ცოდვათაჲსა შეუმწინკულებელად[4] დაიცვეს ტაძარი, რომელ გუერწმუნა.[5] (41vD)

ᲠᲬ. კეთილ არს ლოცვაჲ სულთქუმასა თანა და ცრემლთა, და ამათ — მყუდროებით დათხეულთა, ხოლო სასმენელად ჴმობაჲ კაცთმოთნებისა[6] სასწაული არს. ხოლო რომელი მეცნი(57vH)ერებით[7] და სარწმუნოებით ილოცვიდეს,[8] წინა-ხედავს უფალსა წინაშე[9] მისსა, რამეთუ მის შორის ცხოველ ვართ და ვიძრვით და ვართ. (1)

ᲠᲭ. უკუეთუ დაბრმობილ არს გული შენი, ტიროდე წინაშე ღმრთისა, რაჲთა დააწთოს შენ ზედა განათლებაჲ მეცნიერებისაჲ,[10] და ნუ ჰკდემ მჯურვალებითა გულისაჲთა მჴმობელთა[11] მისსა მიმართ.

ᲠᲮ. რომელი ჰკდემდეს მშრო(54vC)მელთა, მონად მისცა მან მზაკუვარსა[12] თავი თჳსი, აღსრულებითა ბილწთა ნებათა მისთაჲთა.[13] (39vK) ესევითარმან მან არა პოოს[14] მადლი, განმზადებული მოშიშთათჳს უფლისათა.

---

1 შევემშჭუალვით AC, შევემსჭუალვით DEHK. 2 მღერის-ყუავილთა A, მღერის-ყუავილთა CHK (aqurma — საბავშვო სათამაშო), მღიერის ყუავილთა DE. 3 მოღუაწეთასა K. 4 შეუმწიკულებელად ACK, შეუმწიკლვებ˜ლდ H. 5 გუწრწმუნა HK. 6 კაცთმოთმინებისა E, კაცთა მოთნებისა H. 7 მეცნიერები DE. 8 ილოცვიდე E. 9 წინაშე — H. 10 მეცნიერებისა HK. 11 ჴმობელთა C. 12 მზაკუარსა H. 13 მისთათა H. 14 პოვოს C.

(1) საქმე მოც. 17,28.

ᲘᲐ. ხოლო შენ,[1] მოღუაწეო, მეცნიერებით ჰყოფდ მარადის საქმეთა შენთა, და ნუმცა მიზეზ-ვსცემთ მეძი(77vA)ებელთა მიზეზისათა.

ᲘᲑ. ვაჲ უწყალოსა და ვაჲ[2] (548vE) მზაკუვარსა[3] და ვაჲ მშუებელსა,[4] რამეთუ მწარედ შეემთხჳოს მას[5] ჯოჯოხეთი, რამეთუ მონად მისცემს თავსა თჳსსა, მიზეზისათჳს ნაყროვნებისა,[6] და ღმერთსა უარ-ჰყოფს,[7] რაჲთა მთავრობაჲ და პატივი პოოს[8] ამაოებასა შინა სოფლისასა; მყის მოიწია სიკუდილი, და განაკმო სასჯნე[9] იგი, რომელი ბრწყინვალეთა მათ სანოვაგეთა შეიკრებდა ზედაჲსზედა, და განაქარვა მთავრობაჲცა, რომლითა უარჰყოფდა[10] შემოქმედსა თჳსსა. მიერითგან დაითხიის მიწასა ზედა გუამი იგი უბადრუკისაჲ,[11] ვითარცა სკორე, და წარიყვანის სული ადგიდ თჳსსა.

ᲘᲒ. შუებათა[12] რაჲ სოფლისათა განიცდიდე, ეკრძალე, რაჲთა არა მიიზიდო,[13] რამეთუ მათ შორის დაფარულ არს მახე სიკუდილისაჲ,[14] რამეთუ მეთევზურმანცა არა შიშულივ შთააგდის[15] სამჭედური.

ᲘᲓ. გულისთქუმასა მტერი ვითარცა ჴორცსა[16] იჴუმევს სამჭედურსა ზედა, რაჲთა ყოველი სული თანამდებ თავისა თჳსისა ყოს ყოვლადბილწმან[17] მან.

ᲘᲔ. პირველ შეპყრობილი სული მახე არს სხჳსაცა ნებისა მიმართ მისისა, რამეთუ დაუტკბობნ (42rD) იგი გამოუცდელთა სულთა სიმწარესა მას ვეშაპისასა,[18] რამეთუ კაკაბიცა შეპყრობილი მახე[19] არნ[20] არა-შეპყრობილთა[21] მახისა მიერ, რამეთუ დადგის იგი მონადირ(58rH)ემან, და გარემო მისსა[22] მოადგნის[23] მახენი. (55rC) მიერითგან თჳსითა ჴმითა უწოდნ[24] კაკაბი იგი

1 ხოლო შენ AHK] მაშინ DE. 2 ვაჲ – H. 3 მზაკვარსა H. 4 მშუზბელსა HK. 5 მათ K. 6 ნაყროვანებისა K. 7 უარ-ჰყოფს ACHK, უვარ-ჰყოფს DE. 8 ჰპოოს H. 9 სასჯნე ACD (o laimo~ – ყელი, ყანყრატო, საყლაპავი), ოსასჯნე E, სიმჯნე H. 10 უარ-ჰყოფდა AC, უვარ-ჰყოფდა DEH. 11 უბადრუკისა H, უბადრუკისაჲ + მის C. 12 შუზბათა HK. 13 მიზიდოჲ H. 14 სიკუდილისა HK. 15 შთაგდის DE. 16 ჴ˜რცა E. 17 ყ˜დ ბიწმან DE. 18 ვეშ˜პის˜სა EH. 19 მახესა H. 20 არს AC, არნ DEHK. 21 არღა-შეპყრობილთა DHK. 22 მისსა – C. 23 მოადგის H. 24 უწოდნ AC, უწოდინ DE.

მახედ მოსლვად კეთილადმფრინვ(78rA)ალეთა[1] მათცა.

ϰϬ. სათნოებასა იღუწიდე რაჲ, ნუ მოიწყენ ჭირთა შინა, რამეთუ თჳნიერ ტკივილთა შრომისათა, სათნოებაჲ არა იცნობების.

ϰϭ. ზე გაქუნდინ შრომათა შინა[2] თუალი სულისაჲ, და ხედვიდე რაჲ ზეგარდამოსა მადლსა, არღარა იჳმნე შრომათაგან. (549rE)

ϰϮ. შურებოდე[3] შრომასა, ღირსსა[4] შრომისასა, რაჲთა[5] განერე ტკივილსა ამაოთა შრომათასა, რამეთუ შრომანი მართალთანი ნაყოფსა ცხორებისასა აღმოაცენებენ, ხოლო ცოდვილთანი აღსავსე არიან შთობითა.[6]

ϰϯ. საღმრთოდ დაითმინენ ჭირნი აწინდელისა საწუთოჲსანი,[7] და არა ამაო იქმნე სასოებითა წმიდათაჲთა,[8] რამეთუ სასწორსა მტერისასა აქუს თავსა შორის თჳსსა მწუხარებაჲ, მშობელი სიკუდილისაჲ.[9]

ϰϰ. რომელნი ამაოსა საწუთოსა მუშაკობენ, ჰნებავს[10] მათ, რაჲთა შეუბრკუმან[11] მეცნიერებით მშრომელთა, რაჲთა არა მახლობელად აქუნდეს მამხილებელი, ხოლო დაცემაჲ[12] მათი გჳრგჳნოსნად[13] გამოაჩინებს ღმრთისმსახურებისა მოღუაწეთა.

ϰϱ. სიმდაბლესა მოიღუაწებდ, რაჲთა არარაჲ დაგჭირდეს კეთილად ქმნულთაგანი,[14] ხოლო ესე თუ განიშორო, ცუდად მაშურალთა თანა იპოო[15] შენცა.

ϰϲ. ჴელის-აპყრობაჲ რაჲ სულისა ვისისაჲმე[16] გენებოს,[17] ყოვლით-კერძო მოიკრძალე თავი თჳსი, ვითარცა გონიერმან, რაჲთა არა დაინთქა გემო(78vA)ვნებათა[18] გულისსიტყუათაგან, (40rK) და ნავთსაყუდელსა შინა იქმნეს[19] დანთქმაჲ.[20]

ϰϳ. უკუეთუ ნავთსადგურ[21] გნებავს ყოფაჲ,[22] წინა-საკუეთე-

1 კეთილადმფრინვალეთა AC, კეთილადმფრინველთა DE, კეთილმფრინველთა K. 2 შენთა HK. 3 ჰშურებოდე DE. 4 ღირსსა C, ღირს ADE. 5 რამეთუ DE. 6 შთობითა ACHK (agconh), შფოთობითა (sic.) DE. 7 საწუთოსანი H, საწუთროს˜ნი K. 8 წმიდათათა H. 9 სიკუდილისა HK. 10 ჰნებავნ HK. 11 შეუბრკუმენ K. 12 დაცემა K. 13 გჳრგჳნოსანად DE. 14 ქმნ˜ლთაგანი DK, ქმნილთაგანი E. 15 იპოვო A. 16 ვისისამე H. 17 გენებოს A, გინდეს CDEHK. 18 გემოვნებითა K, გემოვნებითთა H. 19 იქმნის ACH. 20 დანთქმა HK. 21 ნავთსადგურად DE. 22 ყოფა HK.

ბელნი[1] ძლიერნი მოიდ(55vC)გენ,[2] რაჲთა არა ადვილად შეირყეო-
დინ[3] არმურისაგან გულისთქუმათაჲსა,[4] და ნავ(42vD)თდამნთქელ[5]
იყო, ნავთსაყუდლისა[6] წილ.

ᲮᲠ. ნუ შეათხზავ[7] საჭესა საჭესა, უკუეთუ სუბუქი რაჲმე
დაშთომილ იყოს შენ შორის, რამეთუ რომელსა უნდეს აღმოყვ-
ანებაჲ[8] მღჳმედ შთავრდომილისაჲ,[9] მჴნისა გულისსი(58vH)-
ტყჳსაჲ[10] უჴმს პყრობაჲ, რაჲთა არ(549vE)ა მისისა საჭისაგან
შთაიზიდოს მისვე მთხრებლისა მიმართ, რამეთუ ვნებულთა სი-
ტყუათა რაჟამს პოონ ადგილი, ვითარცა აფქიონითა[11] რაჲთმე
შთაიზიდვენ სულსა.

ᲮᲚ. მარადის ევლტოდე[12] სავნებელთა ზრახვათა, და იყოს
ფრიადი ჰაერ-კეთილობაჲ[13] სულსა შინა შენსა.

ᲮᲚ. საკიცხელ იქმნების მონაზონი, რომელი არა გულისკმი-
სყოფითა სულიერითა იქმოდის ყოველთა საქმეთა მისთა, რამეთუ
უმანკო და ბრძენ ყოფაჲ ჩუენ ყოველთაჲ ჰნებავს სიტყუასა.

ᲮᲝ.[14] უკუეთუ არა გამოკურვებულ ხარ სულითა წმიდითა,
ნუ გნებავს სმენაჲ[15] სხჳსა გულისსიტყუათაჲ, რამეთუ ორკეცი
ბრძოლაჲ ჰპოო[16] მათგან: პირველად უკუე[17] — სმენილთა[18] მათ
ჴსენებითა შებილწებაჲ[19] სულისაჲ;[20] ამისსა შემდგომად — თჳთ
მის გულისსიტყუათა მთხრობელისაგანცა[21] მოა(79rA)რთუამნ
წინააღდგომასა,[22] რაჟამს არამჴნითა სულითა ვერ გარე-მიაქცი-
ნის ვნებანი, ძალითა ჯუარშემოსილითა. რამეთუ ესევითარი იგი
რაჟამს კუალად თჳსითა უდებებითა მათვე ვნებათა შთავარდის,
მიერითგან ვითარცა მბრძოლსა მიხედავნ,[23] რომელი-იგი პირვ-
ელ აღერჩიის[24] განმმართებელად. ხოლო მან, უკუეთუ გულისკმი-
ერ[25] იყოს, დავიწყებაჲ იჩემენ თხრობილისა მის მიმართ.

---

1 წინა-საკუწთებელნი HK. 2 მოიგენ AC, მოიდგენ DEHK (kaqedraiw-son). 3 შეირყეოდენ K. 4 გულისთქმათასა H, გულისთქუმათასა K. 5 ნავთდამთქმელ AH, ნავდამთქმედ K. 6 ნავთსაყუდელისა C, ნავთსაყუდლისა ADE. 7 შეათხზავთ DE. 8 აღმოყუნებაჲ H. 9 შთავრდომილისა HK. 10 გულისსიტყჳსა HK. 11 აფთიონითა ACHK, აფქიონითა DE. 12 ველტოდე E. 13 ჰერ-კეთილობაჲ E. 14 კ˜დ E. 15 სმენა K. 16 ჰპო E. 17 უკუწ HK. 18 სმენილთათა DE. 19 ბილწებაჲ DE. 20 სულისა HK. 21 მთხრობელისაგანცა AC, მთხრებლისაგანცა DE, მთხრობ˜ლისაგანცა HK. 22 წინააღმდგომსა AC, წინააღდგომასა DHK, წინ-აღდგომასა E. 23 მიხედ˜ვნ DE. 24 აღერჩიის ADCH, აღერჩიოს E. 25 გულისკმიერი ACHK.

(35) რამეთუ ვითარცა-იგი შეეწყუდიის[1] ვისმე ტრედი სახ-
ლსა შინა, რომელმან (56rC) პოის[2] რაჲ სარკუმელი განღებუ-
ლი, და[3] განვიდის სახლით, არა კუერთხითა,[4] არცა ქვითა[5]
ჰყოფენ მოწოდებასა მისსა, არამედ მარცულები მიაცურიის[6] და
გულისკმიერებით ღონე-ჰყოფენ კუალად შეპყრობად მისსა.[7] ეგრეთვე
ფრიადისა გულისკმისყოფისა[8] და გამოცდილებისა მოქენე არს,
რომელსა უნდეს (550rE) განწმედაჲ ბიწისა (43rD) გულისსი-
ტყუათაჲსა.[9]

ᲮᲗ.[10] წიგნისკითხვასა თუ იკუმევ, ნუ ხოლო სისწრაფესა
და რიტორებრიობასა[11] ოდენ მიედევნები,[12] ნუცა ესენი ოდენ
არიან სასწრაფო შენდა, ნუსადა თავმოთნებისა ეშმაკმან[13] წყ-
ლას გული შენი, (59rH) არამედ მოისთულებდ-ცა[14] მიერ ნაყოფ-
თა სულისა კურნებისათა, ვითარ-იგი ბრძენი ფუტკარი ყუა-
ვილთაგან შეიკრებნ თაფლსა.

ᲮᲮ.[15] ვითარცა ცუდადმზუაობარი კაცი, გლახაკი სიმდიდ-
რისაგან, სახელ-სდებნ თუ თავსა თჳსსა მეფე, (79vA) არა
იყვის იგი მეფე.[16] ეგრეთვე მონაზონი ფარულად მჭამელი და
ტრაპეზსა ზედა ძმათასა მჩემებელი მარხვისა[17] და უზმობისაჲ,[18]
არა მოღუაწე არს, რამეთუ ქსელსა დედაზარდლისასა ქსოვს
ესევითარი იგი, ვინაჲთგან არა მართალსა გზასა წმიდათასა
საგრობს, არამედ კაცთმოთნებასა,[19] რომელთა მიმართ სული
წმიდაჲ იტყჳს: „უფალმან განაბნინა ძუალნი (40vK) კაცთა-
მოთნეთანი“.[20] (1)

ᲮᲘ.[21] უკუეთუ[22] გიჯმნიეს სოფლით, იღუწიდ საქმესა შენსა,
რაჲთა საძიებელსა მას მარგალიტსა[23] მიემთხჳო, რამეთუ ვიეთ-

1 შეეწყუდის K. 2 პოჲს C. 3 და – HK. 4 კუწრთხითა HK. 5 ქჳთა K. 6 მიაცურიის ACDH, მიაცურის EK. 7 მისსა + ᲮᲗ. ხოლო DE. 8 გულისკმისა K. 9 გულისსიტყუათასაჲ H. 10 ლ˜ვ] კ˜ვ E, – A. 11 რიტორებრივობასა HK. 12 ~ ნუ ხოლო სისწრაფესა ოდენ მიენდვები (sic. DE) და რიტორებრიობასა DE. 13 ეშმკმ˜ნ E. 14 მოისთულებდ AC, მოსთულებდ-ცა DE. 15 ლ˜ზ] კ˜ზ E, ლ˜ვ CHK, – A. 16 ~ არა იყვის იგი მეფე, თავსა თჳსსა მეფე DE. 17 მარხჳსა K. 18 უზმობისა HK. 19 კაცთმოთნებასა AC, კაცთმოთნეთასა DEHK. 20 კაცთმოთნეთანი K (anqrwpareskwn). 21 კ˜Წ E, ლ˜ზ C. 22 და უკუეთუ H. 23 მაგალიტისა E.

(1) ფს. 52,6.

მე სოფლით განშორებულთა იჯმნეს საწუთოჲსაგან,[1] რომელთამე მჴედრობაჲ დაუტევეს, რომელთამე სიმდიდრე განაბნიეს, ხოლო უკუანაჲსკნელ[2] თჳსისა ნებისაებრ[3] სლვითა დაეცნეს, რამეთუ არარაჲ არს უძჳ(56vC)რეს თჳსისა ნებისა დამტკიცებასა, და არა ნებისაებრ ღმრთისა მოქალაქობასა. ესევითართა მათ სამეუფოჲთ[4] ბჭით იჩემეს[5] განშორებაჲ საწუთოთა საქმეთაგან, ხოლო ჭირის[6] კართაჲთ[7] კუალად უშინაგანესვე იპოვნეს.

ᲬᲒ.[8] ვითარცა ძენი ისრაელისანი[9] შემდგომად (550vE) რკინისა საკუმილით გამოსლვისა და მეწამულით[10] ზღჳთ განრინებისა, და ესოდენთა[11] ნიჭთა მიღებისა თჳსსა ნებასა შედგომითა კმელსა ზედა დაინთქნეს[12] და ესოდენისა მის სიმრავლისაგან ორნი ოდენ დაშთეს, რომელთა სიტყუაჲ ღმრთისაჲ[13] არა[14] (43vD) განამწარეს და ზრახვაჲ[15] მაღლისაჲ[16] სიწმიდით დაიცვეს. (80rA)

Შ.[17] სოფლით განშორებულთა არღარაჲ[18] ზიარებაჲ[19] აქუს სოფლისა თანა. ესევითარნი ესე დაღათუ თავად[20] დაიდგინნენ,[21] ვითარცა არა მთავარნი[22] არიან, და კუალად, გარდაიდგინნენ[23] თუ, კუალად[24] იგივე არიან გულისსიტყჳთა. ხოლო რომელნი მიდრკენ კეთილადმსახურისა გულისსიტყჳსაგან, ესენი საწადელთა მიმართ სოფლისათა ჴელისჴელ არიან, და მიერითგან არღარა (59vH) არნ მათდა სათნოებისათჳს ღუაწლი,[25] არამედ უღლის განმგდებელნი[26] უმოღუაწესად აშენებენ, რომელი ძუელ-სადვე[27] დაარღჳეს, რამეთუ ვითარცა ქალწული ღირსად დაცვული, სასუენებელთა შინა შეყენებული, განიხრწნეს რაჲ საცნობელითა, განაგდებს სირცხჳლსა, ურიდებით ქმნად უჯეროჲსა.[28] არცა ღმრთისაგან ეშინინ, არცა კაცთაგან ჰრცხუენინ,[29] (1) არამედ

1 საწუთოსაგან HK. 2 უკუანაჲსკნელი E. 3 ~ თჳსისაებრ ნებისა K. 4 სამეუფოთ EH, სმწფოთა K. 5 იჩემეს CDEHK (upekriqhsan), იჯმნეს A. 6 ჭირს E. 7 კართაჲთა C, კართათ HK. 8 ლ˜Წ CHK. 9 ი˜ᲬᲚისანი ACDEK, ი˜ᲬᲚისნი H. 10 მეწამულითა E. 11 ესეოდენთა DE. 12 დაინთქნეს AC (enauaghsan), დაიდგნეს DE. 13 ღ˜ჲ AC, უფლისაჲ DE. 14 არაჲ DE. 15 ზრახვა HK. 16 მაღლისა HK. 17 ლ˜თ HK. 18 არღარა H. 19 ზიარება HK. 20 თავად – K. 21 დაიდგინენ HK. 22 მთავანი E. 23 გარდაიდგინენ K. 24 გარდაიდგინნენ თუ, კუალად ACD, – E. 25 ღუაწლ E. 26 უღელისგანმგდებელნი H, უღლისგან განმგდებელნი K. 27 ძუᲬᲚსადვე HK. 28 უჯეროსა HK. 29 ჰრცხუᲬᲜინ HK.

(1) შდრ. ლუკა 18,2.

ამით ვერ განერეს ჴელთა ღმრთისათა, რამეთუ დღემან მან განაცხადოს საქმე თითოეულისაჲ,[1] რამეთუ ცეცხლითა[2] გამოცდად არს. (1)

ჵC.[3] ნეტარ არს, რომელი საქმით ქადაგებდეს სათნოებასა, რამეთუ თქუმაჲ რაჲსმე[4] თჳსსა (57rC) სათნოებისასა, და ქმნაჲ[5] წინააღმდგომისაჲ[6] ვერვის აცხოვნებს, ვითარ-იგი ვერცა სიწმიდისათჳს მზრახვალი და არაწმიდებისა მოქმედი გჳრგჳნსა მიემთხუევის.[7]

ჵQ.[8] ნუ განიკაფები გონებითა, ხედვიდე რაჲ გემოთ(551rE)-მოყუარეთა, უშიშად მოქმედთა გემოვნებისათა, რამეთუ ყუავილი მათი სულმყრალობითა აღსავსე არს, ხოლო სათნოების მოქმედთაჲ — ნათელსა შინა ბრწყინავს, (80vA) აღსავსე სულნელებითა, ხოლო შენ დაადგერ სათნოებასა შინა, რაჲთა მათგანცა საკჳველ იქმნე, რომელნი ნოტიათა და განჴსნილთა გემოვნებათა აღატყინებენ, რამეთუ დაღათუ არა ცხადად ინებონ ამისი ქმნაჲ, არამედ თავთა შორის თჳსთა ჰნატრიდენ-ვე მოქმედთა სათნოებისათა.

ჵQ.[9] რაჟამს იხილნე გუამნი მოქმნილებით ბრწყინვალედ (44rD) ბილწებითისა გულისთქუმისათჳს, ნუ გიკჳრს მათ ზედა, ნუცა გაცთუნებნ შენ ფერი ტყავისაჲ,[10] შემდგომად მცირედისა მტუერად[11] დაჴსნადი, არამედ თავსა შორის თჳსსა (41rK) სულთქუმით ფსალმუნებდ:[12] „მოიჴსენე, უფალო, — იტყოდე, — რამეთუ მიწანი ვართ. კაცი ვითარცა თივა დღენი მისნი, და[13] ვითარცა ყუავილი ველისაჲ[14] ეგრე[15] აღყუავდეს,[16] რამეთუ სულმან განვლო მის შორის, და არა იყოს, არცა იცნობოს მერმე ადგილი მისი. ხოლო წყალობაჲ უფლისაჲ საუკუნითგან და ვიდრე უკუნისამდე მოშიშთა მისთა ზედა“. (2) და ესრეთ მად(60rH)ლითა ღმრთისაჲთა[17] არღარა იყო ტყუე[18] ბოროტისა.

---

1 თითოეულისა HK. 2 ცეცხლითა AC, ცეცხლით DEHK. 3 ᲛᲬ HK. 4 რასმე AC, რასმე DEH. 5 ქმნა HK. 6 წინააღმდგომისა HK. 7 მიემთხუᲬვის CHK. 8 ᲛᲬ HK. 9 ᲛᲬ CHK. 10 ტყავისა HK. 11 მტუᲬრად HK. 12 ფსალმონებდ DE. 13 და – DEK. 14 ველისა HK. 15 ეგრეთ H. 16 აყუავდეს C, აღყუავნეს HK. 17 უფლისაჲთა C. 18 ტყუᲬ ACHK.

(1) შდრ. მათე 3,12; 13,40; ლუკა 3,17. (2) ფს. 102,14-17.

ᲐᲝ.[1] ევედრე უფალსა ტკივილით, რაჲთა მოგმადლოს შენ მადლი სრული[2] სიწმიდისაჲ,[3] რაჲთა ღამისაცა საოცრებათა შინა განერე მზაკუვარებათა მტერისათა, ვითარსახედ ვინმე იხ-ილის თავი თჳსი, დევნილი[4] (57vC) მჴეცისა ანუ სხჳსა რაჲსა-განმე ლამპრითა ცეცხლისაჲთა,[5] და მიმორბინ სახლითი-სახ-ლად, არა შეწუვად[6] ცეცხლისაგან.

ᲐᲞ. (45) ვითარ-იგი[7] ვერ ეგების თჳნიერ შრომისა, საკმ-(81rA)რითა[8] ოდენ მოსყიდაჲ წერილთა დასწავლისა,[9] გი(551vE)ნა სხჳსა ჴელოვნებისაჲ,[10] ეგრეთვე ვერ ეგების მონაზონ ყოფაჲ[11] თჳნიერ მოღუაწებისა და მოთმინებით მდგომარეობისა.

ᲐᲠ. (46) ვითარცა თავი უპატიოსნეს გაქუს ზეშთა[12] ყოველ-თა ასოთა გუამისა შენისათა, და გინათუ ქვაჲ გეცემინ, ანუ არგანი, გინა მახჳლი, სხუათა ასოთა წინა-მიპყრობითა აღსუბუ-ქებად გნებავნ წყლულებასა თავისასა, მეცნიერებითა, ვითარმედ თჳნიერ ამისსა ცხორებაჲ საწუთოსა[13] ამას შინა შეუძლებელ არს, ეგრეთვე ყოველთასა უპატიოსნეს შენდა იყავნ სარწმუნოე-ბაჲ წმიდისა და ერთარსისა[14] სამებისაჲ,[15] რამეთუ თჳნიერ მის-სა შეუძლებელ არს ცხორებაჲ ვისიმე, ცხორებითა ნამდჳლვე[16] ჭეშმარიტითა.

ᲐᲢ. (47) ყოვლითა გულითა შენითა ესევდ უფლისა მიმართ, და მზაკუვარებასა ბოროტისმოქმედთასა განერე ადვილად,[17] რამეთუ არა უგულებელს-ყვნეს უფალმან, რომელნი ჰმონებდენ მას.

ᲐᲣ. (48) აზრზენდა მეგჳპტელაჲ[18] (44vD) ცთუნებად[19] ღმ-რთისმოყუარისა იოსებისსა, და მძლავრ მიიზიდვიდა გარდაქცე-ვისა პირსა ზედა, (1) ხოლო ჭაბუკი იგი შეაცურევდა სულსა თჳსსა ყოვლისა მპყრობელისა ჴსენებითა, რაჲთა არა შეიწუას

1 მ˜გ CK. 2 სრულისა K. 3 სიწმიდისა HK (pneuma swfrosunh~ teleia~). 4 დევნილი A, დევნული CDE, დევნ˜ლი HK. 5 ცეცხლისათა HK. 6 შეწუჲდ H, შეწვად K. 7 ვითარ-იგი ACHK, რამეთუ იგი DE. 8 საკმ˜რთა K. 9 დასწავლისა ACHK, დასწავლისაჲ DE. 10 ჴელოვნებისა HK. 11 ყოფა K. 12 ზეშთა ACH, ზესთა DE, – K. 13 საწოთოსა A. 14 და ერთარსისა – K. 15 სამებისა HK. 16 ნამდჳლვე ACH, ნანდჳლვე DE, ნანდვილვე K. 17 განერე ადვილად A ∼ ადვილად განერე CDEHK. 18 მეგჳპტელთა K. 19 ცთონებ˜დ DE.

(1) დაბ. 39,7-12.

ცეცხლისაგან უსჯულოჲსა,[1] და მოიკრძალვიდა[2] საგრძნობელთა, რაჲთა არა ადგილ-სცეს უცხოთა გულისსიტყუათა, და ტყუე[3] იქმნას არაწმიდისა დედა(81vA)კაცისაგან, რამეთუ მარადის (58rC) ხედვიდა მას, ვითარცა მახესა სიკუდილისასა, და მოთმინებითა განსაცდელისაჲთა[4] გჳრგჳნო(60vH)სან იქმნა და მეფე ეგჳპტისა.

ᲨᲘ. (49) ჰგონებდეს[5] შჯულის-გარეგანნი[6] ბაბილონს[7] შინა, ზედა-აღდგომად[8] სული(552rE)სა ღირსისა, რაჲთა ბილწებით[9] შეაგინონ, ხოლო მან შემწედ ქონებითა ღმრთისა მაღლისაჲთა[10] ადვილად დააკუეთნა[11] იგინი, რამეთუ კრებაჲ შეეკრიბა[12] ნეტარისა მის ზედა, ვითარ იგინი ჰგონებდეს, და არა ცნეს ცუდისმზრახვალთა, რამეთუ მას შინა ეგულებოდა მათ მიღებაჲ განჩინებასა სიკუდილისასა, რამეთუ არა მოიკიცხვის[13] დაუძინებელი თუალი ღმრთისაჲ.

ᲨᲒ. (50) იწროსა და საჭიროსა გზასა ვიდოდით, ძმანო, რაჲთა პატიოსან ქმნილთა მცველად გუაქუნდეს ღმერთი.

Ჰ. (51) მარგალიტნი მარადის უშინაგანესთა[14] სა(41vK)უნჯეთა შინა იცვებიან, ხოლო უკმარნი-რე ნივთნი უბანთა ზედა სკორებრ მიმოიდებიან.

ᲰᲚ.[15] (52) უკუეთუ ვინ[16] გაგინებდეს რაჲ,[17] წარმოგითხრნეს ბოროტნი, რომელ გექმნენ,[18] თავსა თჳსსა აბრალე უფროჲს, ვიდრეღა მას, რამეთუ შენ ესევითართა საქმეთა მიერ სირცხჳლეულ გიქმნიეს თავი თჳსი, რომელთა სმენითა სხჳსაგან თქუმულად ვერ თავს-იდებ. და-ნუ-მას-ადუმებ ქადებითა რისხვისაჲთა,[19] არამედ თავი თჳსი განჰმართე[20] არა-ქმნად ბოროტისა, რამეთუ სიმყრალე საქმისაჲ[21] განგაქიქებს შენ, ვითარმედ მკლველ ხარ სულისა შენისა.

ᲰᲛ.[22] (53) განრცხი თავი თჳსი სინანული(82rA)სა მიერ

1 უშჯულოჲსა C, უსჯულოჲსა ADE (anomou), უსჯულოსა H, უსჯულოთასა K. 2 მოიკრძავიდა E. 3 ტყუჱ HK. 4 განსაცდელისათა H. 5 ჰგონებდეს ACHK, იგონებდეს DE. 6 შჯულის-გარეგანნი C, სჯულის-გარეგანნი ADE. 7 ბაბილოვნს D, ბაბილოვს E. 8 ზე-აღდგომად E. 9 ბიწებით E. 10 მაღლისათა HK. 11 დააკუჱთნა HK. 12 შეკრბა C, შეეკრიბა ADEHK. 13 მოიკიცხჳს H. 14 უშიგანესთა C. 15 ნ˜ C. 16 ვინ A, ვინმე CDEHK. 17 რაჲ – C. 18 გექმნენ DEHK. 19 რისხჳსათა HK. 20 განმართე K. 21 საქმისა HK. 22 ნ˜ა C.

უჯეროთა საქმეთაგან, და ძაგებაჲ[1] გინებისაჲ[2] ვერღარა შეგეხ-
ოს[3] შენ.*

ᲰᲚ.[4] (54) წინა-აღუდგინე თავი თჳსი ცოდვასა, ჭ ცხორები-
სა მუშაკო, და ნუ გეშინის[5] განსაცდელთა ზედა-მოსლვისაგან,
რამეთუ გამოცდილებამან არაჲ ავნოს[6] (58vC) მჴნესა მოღუაწესა.

ᲰᲝ. (55) ცეცხლისა-მიერივე (552vE) ცეცხლსა[7] წინა-აღუ-
დგების; თიჴაჲ[8] რაჟამს უმწუარ იყოს, უძლურ არს და ადვილ-
დასაჴსნელ, ხოლო რაჟამს ცეცხლსა ეზრახოს და გამოცხობაჲ
მიიღოს, ზღუდე ექმნების ცეცხლსა, დამაყენებელ წყალსა, და
ვითარცა ლაგჳნსა შინა[9] წყალი, ესრეთ საჴუმილსა თავსა შორის
თჳსსა შეუცავს მის შორის აღგზებულები ალები, ხოლო საჴუ-
მილი იგი თიჴითა შენებულ არს.

ᲰᲜ. (56) იქმენ შენცა გამოცხობილ ჭირთა (61rH) და გან-
საცდელთა შინა, და წინა-აღუდეგ განმაჴურვებელთა გულისთქუ-
მათა, რაჲთა არა ვითარცა უცხობელი ალიზი წჳმისა[10] ცუართა
მიერ დაიჴსნას, რომელ-იგი გგონიეს ქონებაჲ სიმაგრისაჲ.[11]

ᲰᲞ. (57) ნუ მისი გგონიეს კეთილ ყოფაჲ, რომელიცა შენ[12]
კეთილსაგონებელ გიჩნდეს, არამედ წამებულისაჲ კაცთაგან ღმრთი-
სმსახურთა.

ᲰᲢ. (58) ისმინე ჴმაჲ უფლისაჲ, რაჲთა შეგეწიოს შენ, და
ჴელნი დაასხნეს[13] მაჭირვებელთა შენთა, და მტერნი შენნი დაამ-
დაბლნეს, რაჲთა არა ურჩ იქმნე რაჲ, გესმეს: „მიავლინა მათდა
სლვისაებრ გულთა მათთაჲსა“.[14]

ᲰᲘ. (59) იღუაწე არა-მონებად თჳსსა ნებასა, არამედ მორ-
ჩილ იქმენ მოშიშთა უფლისათა, და წყალობითა ღმრთისაჲ(82vA)თა
შეჰმუსრო[15] თავი ვეშაპისაჲ.[16] ხოლო რაოდენჟამ ადვილად შთა-
მოიზიდვოდი ნებათა შენთა მიმართ, უწყოდე თავი თჳსი შორს
ყოფად სრულებისაგან, და რაოდენ შორს იყო სრულებისაგან,
ეგოდენ მოქენე ხარ სწავლისა და მოძღურებისა.

---

* აქ წყდება D-ში 44v. ხელნაწერს აკლია ერთი ფურცელი.

1 ძაგება K. 2 გინებისა HK. 3 შეგემთხჳოს HK. 4 ნ˜ბ C. 5 გეშინინ D, გეშინი E. 6 ავნო K. 7 ცეცხლისა DE. 8 თიჴა K. 9 შ˜ს K. 10 წჳმის DEHK. 11 სიმაგრისა HK. 12 კეთილ ყოფაჲ, რომელიცა შენ – DE. 13 დაასხნე A, დაასხნეს CDEK (**epibalh**). 14 მათთასა HK. 15 შემუსრო K. 16 ვეშაპისა HK.

ჩᲒ. (60) მოითმინე ჭირი უფლისა[1] მიერ, რაჲთა სიხარული მოგატყუას[2] შენ. მოითმინე შრომაჲ,[3] რაჲთა ჰპოო ნაყოფიერი სასყიდელი. (553rE)

Ɔ. მკუეთელი[4] ჰკუეთს[5] კლდესა, და მჭედელი (59rC) სცემს[6] რკინასა, რაჲთა მიიღონ[7] სასყიდელი.

ƆᲨ. (61) რომელი ევლტოდის ბრძოლასა, მან არცა იავარი მიიღოს, და რომელი ევლტოდის[8] სწავლასა, ბრძენთა შორის ნაწილი არა განიღოს.[9]

ƆᲧ. (62) აღვედ სიმაღლედ და იხილნე ქუეყნიერნი ყოველნი მდაბლად და უნდოდ. ხოლო უკუეთუ (42rK) შთამოხჳდე სიმაღლით, დაგიკჳრდეს სახლიცა მოგლესილი.

ƆᲪ. (63) ამაღლდი მეცნიერებად, ჭ ღმრთისმსახურებისა მუშაკო, და ნაცვალად საჯდომელისა ამან გიტჳრთოს შენ და დაგიცვას მრავალთა შებრკოლებათაგან, რამეთუ არა უტევებს იგი ტრფიალსა თჳსსა თქუმად რასმე ანუ ქმნად დასაქცეველად მსმენელთა.

ƆᲫ. (64) ყნოსა მეცნიერებისა კაცისა შორის, ყოვლადვე ბრალობაჲ თავისა თჳსისაჲ,[10] ხოლო მისი ბრალობაჲ[11] ამით საცნაურ არს, რაჲთა არა განიკითხოს მოყუასი,[12] ვითარცა თჳთ მათვე ბრალთა თანამდებმან.

[ƆᲬ]. (65) ორნი მონანი ცთომილნი შეიწყუდინეს[13] საპყრობილესა, მისვე ერთი(83rA)სა ბრ(61vH)ალისათჳს, ხოლო უცნობოჲ[14] იგი აყუედრებდა[15] თჳსსა მას თანა-მონასა.

ჰრქუა განრღუეულსა:[16] „შენ გეტყჳ, აღდეგ, აღიღე ცხედარი შენი და წარვედ სახიდ[17] შენდა!“ (1) და მყის მრთელ იქმნა კაცი იგი. ხოლო კეთროვანსა[18] ჰრქუა: „მნებავს, განწმიდენ!“[19] (2) და მყის განწმიდნა იგი კეთრისა მისგან. (116rC) ხოლო ლაზარე ოთხისა დღისაჲ აღადგინა მკუდრეთით უფალმან სიტყჳთა, (3) (60rI) და რაჲთა არა თითოეულისა წარმოთქუმითა განმავრცობელად სიტყჳსა საგონებელ ვიქმნე, რამეთუ საქმენი მისნი ურიცხუ[20]

---

1 აღუარებდ BCIK, აღუვარებდ ADEH. 2 მოწყალებათა HK. 3 იჭენებიან (wqountai) – განიდევნებიან, უკუიქცევიან. 4 ძღუ^ბნსა AHK. 5 ნებეჭულსა DE. 6 მათდა – DE. 7 მფ^ბნსა AHIK. 8 საეჭუ ABCHIK, საეჭჳ DE. 9 არცა C. 10 ძღუ^ბნსა ACHK. 11 მეფისა ABDEI, მეუფისა CH. 12 ნუმცა IK. 13 ნუცა ორგულებით – DE. 14 მოუკედ ABCI, მოუკდე DE. 15 თქუმად ABC] თქუმადმდე შენდა DE. 16 განრღუ^ბულსა AHK. 17 სახიდ ABC, სახედ DEI. 18 კეთოვანსა A. 19 განწმიდენი HIK. 20 ურიცხ I.

(1) მარკ. 2,11; ლუკა 5,24; მათე 9,6. (2) მათე 8,3; მარკ. 1,41; ლუკა 5,13. (3) იხ. იოანე 11,1-44.

არიან, ხოლო რომელმან-იგი ცრემლით[1] დაალტჳნა ფერჯნი მისნი და თმითა თჳსითა წარჰკოცნა,[2] (1) მისნი ცოდვანი სიტყჳთ დაჰკს(183rA)ნნა[3] და ჰრქუა: „ნუ გეშინინ, ასულო; სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ; წარვედ მშჳდობით!“ (2)

რამეთუ წყაროჲ[4] არს მოუკლებელი, კაცთათჳს აღმომაცენებელი[5] კურნებისაჲ.[6] ნუ ორგულებ, რამეთუ არა განგაგდოს,[7] შენ[8] ცხორებად შენდა მნებებელმან, რომელმან თქუა: „უკუეთუ თქუენ, უკეთურთა, იცით მისაცემელი კეთილი მიცემად შვილთა თქუენთა, რაოდენ უფროჲს მამამან თქუენმან ზეცათამან მოსცეს[9] კეთილი, რომელნი სთხოვდენ მას!“ (3) მოუკედ უკუე[10] მამასა მოწყალესა, ცრემლით აღუარებდ[11] ცოდვათა შენთა[12] და იტყოდე:

ლოცვაჲ

ვცოდე ცად მიმართ და წინაშე შენსა, უფალო ღმერთო ყოვლისა მპყრობ(122vB)ელო, და არა ღირს ვარ წოდებად ძედ შენდა, (4) არცა ახილვად და ხილვად სიმაღლესა ცისასა, სიმრა(643rE)ვლისაგან უსამართლოებათა (128rH) ჩემთაჲსა,[13] (5) არცა სახელის-დებად დიდებულსა სახელსა შენსა ბაგეთა მიერ ჩემთა[14] მწინკულევანთა[15] და ცოდვილთა, რამეთუ უღირს ვყავ თავი ჩემი ცისა და ქუეყანისა, ვინაჲთგან შენ განგარისხე, სახიერი მეუფე.[16]

გევედრები, უფალო, გევედრები, ნუ განმაგდებ მე პირისა შენისაგან, ნუცა განმეშორები ჩემგან, რაჲთა არა წარვწყმდე,[17] რამეთუ არათუმცა კე(107vD)ლმან შენმან დამიფარა[18] მე, აწვე ეგერა წარწყმედილმცა[19] ვიყავ, და ქმნულ[20] ვითარცა (89rK)

---

* „ლოცვაჲ“ ABIK-ში მიწერილი კიდეზე, CDEH-ში – ტექსტშივე.

1 ცრემლითა A. 2 წარჰკოცნა ABDEH, წარკოცნა IK. 3 დაკსننა K. 4 წყარო HIK. 5 აღმომაცებ˜ლი A. 6 კურნებისა EHK. 7 განგადოს B, განგაგდოს ACDE. 8 შენ – DE. 9 მოსცე D. 10 უკუ˜ AChK. 11 აღუვარებდ A, აღუარებდ BCDEHIK. 12 ცოდვათა შენთა – IK. 13 ჩემთასა HIK. 14 ∾ ჩემთა მიერ A. 15 მწიკულევანთა ABChK. 16 მ˜ფ˜ ADEHIK, მ˜ეფე C. 17 წარვსწყმდე I. 18 დამფარა IK. 19 წარწყმედულმცა IK. 20 ქმნ˜ლ HIK.

(1) ლუკა 7,44. (2) ლუკა 8,48. (3) მათე 7,11; ლუკა 11,13. (4) ლუკა 15,21. (5) შდრ. ფს. 5,11.

მტუერი[1] წინაშე პირსა ქარი(116vC)სასა; და[2] ვითარცა არაოდეს[3] გამოჩინებული[4] საწუთოსა ამას შინა, რამეთუ (183vA) ვინაჲთგან დაუტევე გზაჲ შენი, არა შემემთხჳა მე დღჱ[5] კეთილი, რამეთუ ცოდვათა[6] შინა კეთილ საგონებელი დღჱ[7] მწარეთა[8] უმწარეს არს.

ხოლო ამიერითგან ვესავ მადლისა მიერ შენისა განძლიერებითა ჩემდა ზრუნვასა[9] ჩემისა ცხორებისასა, და აწ შეგივრდები ვედრებით: ჴელი აღმიპყარ შეცთომილსა გზისაგან სიმართლისა!

მოჰფინე ჩემ ზედა[10] სიმრავლე წყალობათა შენთაჲ, ვითარცა უძღებსა შვილსა, რამეთუ სირცხჳლეულ ვყავ ცხორებაჲ ჩემი განბნევითა სიმდიდრესა[11] სიტკბოებისა შენისასა. შემიწყალე მე და ძჳრუჴსენებელ ექმენ შესუარულსა (60vI) ცხორებასა ჩემსა, ვითარცა მეძვისა მის და მეზუერისასა,[12] და ვითარცა ავაზაკი შემიწყალე მე, რომელი-იგი ქუეყანასა ზედა განწირულ იყო ყოველთაგან, ხოლო შენ შეიწყნარე იგი და მკჳდრად სამოთხისა გამოაჩინე, მიითუალე ჩემიცა უჴმრისა მონისა შენისა სინანული, რამეთუ მეცა განწ(643vE)ირულ ვარ ყოველთაგან, რამეთუ შენ, უფალო, მოხუედ[13] არა მართალთა ცხოვნებად,[14] არამედ ცოდვილთა სინანულად მოუწოდე! (1)

ილოცევდი, საყუარელო, და აღუვარებდი.[15] ხოლო თანამოქმედ ეყავნ (48rB) ლოცვასა შენსა საქმეცა, რაჲთა წარემართოს ლოცვაჲ შენი, ვითარცა საკუმეველი წინაშე ღმრთისა.[16] (2) და გესმეს, ვითარმედ: „ჰ კაცო, დიდ არს სარწმუნოებაჲ შენი! გეყავნ შენ, ვითარცა გნებავს!“ (3)

მან თავადმან ღმერთმან, წინამძღუარმან შეცთომილთამან[17] და აღმმართებელმან დაცემუ(184rA)ლთამან მოგეცინ თქუენ სრულყოფაჲ ცხორებისა უბრალოჲსაჲ,[18] და დაგადგინენინ[19] თქუენ მარჯუენით[20] მისსა დღესა მას, მართალმან[21] მან მსაჯულმან.

1 მტუჱრი AHK. 2 და – ABHIK. 3 არდეს K. 4 გამოჩენილი IK. 5 დღჱ C, დღე ABDEI. 6 ცოდვასა I. 7 დღჱ C, დღე ABDEI. 8 მწარეთა + უმწარეთა DE. 9 ზრუნვასა + შინა HIK. 10 ჩემ ზედა – AC. 11 სიმდირესა B. 12 მეზუჱრისასა AHK. 13 მოხუჱდ AHK. 14 ცხოვნებად] წოდებად K. 15 აღუარებდი ABCHIK, აღუვარებდი DE. 16 ღ˜ჲ EI. 17 შეცთუმილთამან A. 18 უბრალოჲსა I. 19 დაგადგინენ HIK. 20 მარჯუჱნით A. 21 მართალმან ABCHIK, მართალთამან DE.

(1) მათე 9,13; მარკ. 2,17; ლუკა 5,32. (2) ფს. 140,2. (3) მათე 15,28.

რამეთუ მისსა შუენის[1] დიდებაჲ, პატივი და თაყუანისცემაჲ, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა ყოველთა (117rC) მიმართ ნათესავთა საუკუნეთაჲსა,[2] ამენ.[3] (128vH)

ვითარმედ არა ჯერ-არს ფიცი,[4] არცა ძჯრისზრახვაჲ, თავი მა.*

უფალი და მაცხოვარი ჩუენი იესუ ქრისტე იტყჳს: „კუალად გესმა, რამეთუ ითქუა პირველთა მათ მიმართ: არა ცუდად ჰფუ-ცო,[5] არამედ მისცე უფალსა ფიცი შენი! ხოლო[6] მე გეტყჳ თქუენ არა-ფუცვად ყოვლადვე; ნუცა ცასა, რამეთუ საყდარი არს ღმრთისაჲ; ნუცა ქუეყანასა, რამეთუ კუარცხლბეკი არს ფერჯთა (108rD) მისთაჲ; ნუცა იჩრუსალიმსა,[7] რამეთუ ქალაქი არს მეუფისა[8] დიდისაჲ; ნუცა თავსა შენსა ჰფუცავ, რამეთუ ვერ ძალ-გიც ერთისა თმისა განსპეტაკებად გინა დაშავებად! ხოლო იყავნ თქუენი სიტყუაჲ ჰჩ[9] ჰე,[10] და არაჲ[11] — არა! ხოლო უმეტესი ამათსა უკეთურისაგან არს. (1)

და ვითარ ჩუენ ვიკადრებთ გარდასლვად მცნებასა შემოქმე-დისა ჩუენისასა,[12] მეტყუელისა[13] მისებრ: „დასხნეს ცათა შინა პირნი (644rE) მათნი და ენაჲ მათი ეთრია ქუეყანასა ზედა. (2) რამეთუ იკადრებ უშიშად აღებად პირსა და სიტყჳსგებად ცად მიმართ; ფიცად და ძჯრისსიტყუად, და არა გეშინის, ნუსადა ცეცხლისა მანგალმან, რომელი იხილა წინაჲსწარმეტყუელმან, დაივანოს სახლსა შენსა, ვიდრემდის განგფხურას[14] შენ ცის-ქუეშით,[15] რომელი იკადრებ აღებად პირსა[16] ღმრთისა[17] ზედა[18] ყოვლისა მპყრობელისა,[19] რომლისა მიმართ[20] ანგელოზნი და მთავარანგელოზნი, ქე(184vA)რობინნი[21] და სერა(61rI)ფიმნი[22]

---

* ბერძნულში ეს „სწავლაჲ“ 43-ე თავადაა აღრიცხული.

1 შუჩნის AC, შვენის H, ჰშუჩნის K. 2 საუკუნეთასა H. 3 ა˜ნ ABHIK, ამინ CDE. 4 ფიც E. 5 ჰფუცუ A. 6 ხოლო — A. 7 ი˜ჩლმსა ABCH, იჩ˜ლიმსა DEIK. 8 მ˜ფისა A, მეფისა BDEI, მეუფისა C.][მ˜ჩფისა K. 9 ჰე ADEHK, ჰჩჲ CI. 10 ჰჩ ABCI. 11 არა AHK. 12 მცნებასა შემოქმედისა ჩუენისასა ABCI ∼ შემოქმედისა ჩუენისა მცნებასა DE. 13 მეტყუჩლისა A. 14 განგფუხურას A. 15 ცის-ქუჩშით ACHK. 16 პირსა A, პირისა BDE-HIK. 17 ღ˜ჲ EHIK. 18 ზედა — DE. 19 მპყრობელისაჲ I. 20 მ˜რ I. 21 ქერობინნი ABHIK, ქეროვიმნი DE. 22 სერაფინმნი A.

(1) მათე 5,37. (2) ფს. 72,9.

მიხედ(48vB)ვად ვერ იკადრებენ, არამედ შიშით და ძრწოლით წინა-უდგან და აქებენ სახე(89vK)ლსა მისსა საშინელსა და დიდებულსა და პატიოსანსა, ვითარცა წერილ არს: „კადნიერნი და ლაღნი დიდებათათჳს არა ძრწიან, არამედ ჰგმობენ; სადაღა ჯერეთ ანგელოზნი ძლიერნი და აღმატებულნი ძალითა, არა მოაწევენ მათ ზედა გმობითსა საშჯელსა,[1] ხოლო ესე, ვითარცა პირუტყუნი ცხოველნი, შობი(117vC)ლნი ბუნებით მოსასრველად და წარსაწყმედელად, რომელსა-იგი უმეცარ არიან, ჰგმობენ, განსახრწნელითა მათითა განიხრწნენ[2] მისაღებელად სასყიდელსა უსამართლოებისასა“. (1)

ხოლო შენ, რამეთუ კაცი ხარ, არა იცნობა თავსა თჳსსა? ანუ გგონიესა,[3] ვითარმედ კაც-კეთილობასა მიგმადლებს შენ საქმე ეგე? — არა! — გეტყჳ შენ, — არამედ მოსასრველ და წარსაწყმედელ გექმნეს შენ (129rH) საქმე ეგე, რამეთუ სხუათაცა სულებსა შეამწინკულებ,[4] თანამოქმედ-ქმნილი სატანაჲსი.

მოციქული იტყჳს: „ასწავებდით და ჰმოძღურიდით თავთა თჳს(644vE)თა ფსალმუნითა[5] და ქებითა და გალობითა სულიერითა, უგალობდით და აქებდით გულთა[6] შინა თქუენთა უფალსა“. (2) ხოლო შენ[7] ნაცვალად ამისსა წინააღმდგომსა ასწავებ — მგმობრობასა[8] და ფიცსა, და ჰყოფ თავსა თჳსსა და მობაძავთა შენისა უგუნურებისათა შვილ გეჰენიისა,[9] რამეთუ პირი, (108vD; 185rA) რომელი დაჰბადა შენ შორის მეუფემან[10] დიდებისმეტყუელებად[11] თჳსსა, ესე შენ სიმწარითა აღივსე. ამიერითგან დასცხერ, კაცო, ნუუკუე[12] თჳთ სიტყუაჲ ეგე, რომელსა შეურაცხ-ჰყოფ,[13] ალ იქმნეს პირსა შინა შენსა, და შეწუას[14] ენაჲ შენი!

რამეთუ უკუეთუ კაცმან კაცისა მიმართ ბრძოლა ყვის, შემდგომად მშჯდობის ყოფისაცა ჰრცხუენინ[15] პირისპირ მისსა მისლვაჲ, ვითარ შენ, დღეს სოფელსა შინა მყოფი და ხვალე

1 საშჯელსა ABCH, სასჯელსა DEIK. 2 განიხრწნენ ADEHIK, განიხრწნენ B. 3 გგონიეს DE. 4 შეამწიკულებ ACHK. 5 ფსალმონითა DE. 6 გ˜ლბათა AC. 7 შენ — C. 8 მგმობრობასა A, მგმობარობასა BDE. 9 გეჰწნიისა B. 10 მ˜ფწმან ADEHK. 11 დიდებისმეტყუწლებად A. 12 ნუუკუწ ACHK. 13 შეურაცხ-ყოფ K. 14 და შეწუას ACHK] დაგეწუას BDEI. 15 ჰრცხუწნინ A.

(1) II პეტ. 2,10-13. (2) ეფეს. 5,19.

წინაშე საყდარსა მისსა მომლოდე[1] წარდგომისაჲ, იკადრებ* ესევითართა სიტყუად და არა გეშინის! ნუსადა გარდამოჴდეს ცეცხლი ზეცით[2] და შეგჭამოს შენ, რამეთუ იკადრებ აღებად პირისა შენისა ყოვლისა-მპყრობელისა ზედა! არცა მეჭუელ[3] ხარ, ნუუკუე[4] განიპოს ქუეყანაჲ ქუეშე-კერძო[5] შენსა (118rC) და შეგჭამოს, უფროჲსლა, შთაგნთქას შენ, ვითარცა დათან და აბირონ. (1)

ნუ სცთები, ჭ კაცო! შეუძლებ(61vI)ელ არს განრომაჲ ჴელთაგან შემოქმედისა ჩუენისათა! ისმინე მეტყუელისაჲ:[6] „რომელნი ჰგმობენ, სიტყუაჲ მისცენ ღმერთსა, რომელსა ეგ(645rE)ულების განშჯაჲ[7] ცხოველთა და მკუდართაჲ.[8]

ვიდრემდის განვარისხებთ ესოდენთა კეთილთა ჩუენდა მომნიჭებელსა, რომელმან მიიღო მიწაჲ ქუეყნით,[9] დაჰბადა კაცი და შთაჰბერა მას სული ცხორებისაჲ.[10] რომელმან ყოველივე დაამორჩილა ქუეშე[11] ფერჴთა მისთა; მძინარეთა გუცავს და მდგომარეთა გუფა(185vA)რავს; მშიერთა გუზრდის და შიშუელთა[12] შეგუმოსს; სულმოკლეთა ნუგეშინის-გუცემს, გუსწავლის და გუწყალობს; რომელმან მხოლოდშობილიცა ძე თჳსი მისცა ცხორებისათჳს ყოველთაჲსა; ხოლო ჩუენ,[13] ნაცვალად[14] ქველისმოქმედებათა მისთა, ეკალსა და კუროჲსთავსა გამოვიღებთ; (129vH) რომელთა აღსასრული დასაწუველ[15] არს!

ამიერითგან მოუკედ[16] კაცთმოყუარესა და ძჯრუჴსენებელსა ღმერთსა, თხოვად მისგან[17] საცოჲ[18] პირსა შენსა და კარი, მცველი ბაგეთა შენთა. (2) (90rK)

არა ხედავა წინაჲსწარმეტყუელსა, ვითარ შიშით და ძრწოლით ეზრახების ღმერთსა წმიდითა ლოცვითა? და იტყჳს: „უფალო, მესმა სმენაჲ შენი და შემეშინა; უფალო, განვიცადენ საქმენი შენნი და დამიკჳრდა!“ (3) და კუალად: „დავიცევ და შემი-

*აქ წყდება 48vB ფურცლის ტექსტი.

1 მისსა მომლოდე ABCHIK ∾ მომლოდე მისსა DE. 2 ზეცით – I. 3 მეჭუწლ ACHK. 4 ნუუკუწ ACHK. 5 ქუწშე-კერძო A. 6 მეტყუწლისაჲ A, მეტყ˜ლისა HK. 7 განშჯაჲ C, განსჯაჲ ABDEIK. 8 მკუდართაჲ ACI, მკუდართა DE. 9 ქ˜ყნით A. 10 ცხორებისა HK. 11 ქუწშე A. 12 შიშუწლთა A. 13 ჩუენ – HIK. 14 ნაცვალად ACH, ნაცვლად DEIK. 15 დასაწველ IK. 16 მოუკდეთ AC, მოუკედ (proselqe) DEIK. 17 მისგან – A. 18 საცო K.

(1) იხ. რიცხ. 16,27-32. (2) ფს. 140,3. (3) ამბაკ. 3,2.

ძრწუნდა გული ჩემი კ̃მისაგან[1] ლოცვისა ბაგეთა ჩემთაჲსა, და[2] შეედვა ძრწოლაჲ ძუალთა ჩემთა და ჩემ შორის შემიძრწუნდა[3] ძალი[4] ჩემი". (1)

ხოლო უკუეთუ ჰგიეთ(109rD)-ღა[5] შეურაცხისმყოფელობასა[6] ზედა მართლმსაჯულისასა, ვისმინოთ მოციქულისა, მეტყველისაჲ: „ანუ სიმდიდრესა სიტკბოები(118vC)სა და სულგრძელებისა მისისასა შეურაცხ-ჰყოფა? უ(645vE)მეცარ ხარ, ვითარმედ სიტკბოებაჲ ღმრთისაჲ სინანულად მოგიყვანებს შენ?[7] სიფიცხლისაებრ[8] და შეუნანებელისა გულისა შენისა იუნჯებ თავისა თჳსისა რისხვასა, დღესა მას რისხვისა და გამოცხადებისა მართლ(186rA)მსაჯულობისა ღმრთისასა,[9] რომელმან მიაგოს თითოეულსა საქმეთა მისთაებრ. (2) ვინაჲცა სხჳთ იტყჳს: „უკუეთუ ცოდვით ცოდოს კაცმან კაცისა მიმართ, ილოციან მისთჳს უფლისა[10] მიმართ, ხოლო უკუეთუ შესცოდოს უფალსა, ვინღა ილოცოს[11] მისთჳს?"

შევინანოთ უკუე,[12] ძმანო, ვიდრემდის განვამწარებთ შემოქმედსა ჩუენსა! უკუეთუ ნავთსაყუდელი წარვწყმიდოთ,[13] ვითარღა ვცხონდეთ[14] ჟამსა ზამთარისა და (62rI) შფოთისასა? უკუეთუ უფალი განვარისხოთ, ვისსაღა მივივლტოდით ჟამსა ჭირისა და იწროებისასა?

ხოლო მე, საყუარელნო, არათუ ვითარცა საქმით მოქმედმან ჭეშმარიტებისამან მიგიწერე თქუენ ესე, არამედ, ვითარცა ძმაჲ, თანამზრახვალ ვარ,[15] რამეთუ არათუმცა უფალი შემეწია მე, კნინღა და-მცა-ემკჳდრა ჯოჯოხეთს სული ჩემი! ვინაჲ თქუენცა გლოცავ მე, უსაწყალობელესი[16] კაცთაჲ, ვედრებად ჩემთჳს უფლისა[17] მიმართ, პირველ აღსასრულისა აჴოცად სიმრავლესა[18] ცოდვათა ჩემთასა, არა სირცხჳლეულ ყოფად ჩემდა სასოებისაგან ჩემისა, და ჟამსა აღსასრულისასა მოხედვად ჩემდა სიმ-

1 კ̃ისაგან A. 2 და – C. 3 შეძრწუნდა C. 4 ძ̃ლი ADI, ძალი (h iscu~) CK, ძუალი DEI. 5 ჰგიეს-ღა I. 6 შეურაცხისმყოფელობა A. 7 შენ + ხოლო DE. შენ + ხოლო შენ IK. 8 სიფიცხისაებრ AC. 9 ღ̃ჲსა E. 10 ღ̃ჲ I. 11 ილოცავს AC, ილოცოს DEIK. 12 უკუ̃ AC̃K. 13 წარვსწყმიდოთ IK. 14 ვცხონდეთ ADEI, ვცხოვნდეთ CI. 15 ∼ ვითარცა თანაძმაჲ, მზრახვალ ვარ A. 16 უსაწყალობელესი + ყოველთა I. 17 ო̃ჲ EI. 18 სიმრავლისაგან IK. (1) ამბაკ. 3,16. (2) რომ. 2,6.

რავლისაებრ წყალობათა მისთაჲსა, რაჲთა სარწმუნოთა და ნათლით შემოსილთა ანგელოზთა მიერ მიუძღუეს[1] (130rH) სულსა ჩემ ცოდვილისასა სულთა თანა (646rE) თქუენთა, განსასუენებელად[2] მართალთა.

რაბამი შიში და ძრწოლაჲ გგონიეს თქუენ ჟამსა მას ქონებად სული(186vA)საგან, რამეთუ, უკუეთუ შორად (119rC) სოფლად წარსრული დგის და საკჯრველებით ხედავნ ერსა უცხოსა და სხუა-ენასა ქუეყანასა ზედა, რომელი არაოდეს ეხილვის; რომელი შიში გგონიეს ყოფად (54rB) სულისათჳს, რაჟამს სოფლისა ამისგან მიიცვალოს ყოფადისა მიმართ, რამეთუ ხედვიდეს მაშინ[3] რომელი არაოდეს ეხილვის.[4] ვინაჲცა ყოვლითა სულითა და გულითა მერმესა მას ვზრუნვიდეთ,* საყუარელნო! ვჰმონებდეთ ღმერთსა ყოვლითა ძალითა ჩუენითა, დავიცვნეთ მცნებანი მისნი ყოვლითა[5] შეძლებითა ჩუენითა; შევიყუაროთ საშინელი იგი და უზენაესი[6] პატივთაჲ სახელი, (109vD) და მოყუასი — ვითარცა თავი თჳსი, რაჲთა ღირს ვიქმნნეთ სმენად კურთხეულისა ჴმისა:[7] „მოვედით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო, და (90vK) დაიმკჯდრეთ მიერ სოფლის დაბადებითგან განმზადებული თქუენთჳს სასუფეველი“.[8] (1)

კურთხეულ არს ღმერთი, რომელი აღმავსებს ჩუენ კურთხევითა მისითა, რამეთუ ყოველთა საუკუნეთა წყალობაჲ მისი.[9]

თავი მბ.[10] ძმისა ვისმე მიმართ, რომელი იკითხვიდა სიტყუასა ამას,[11] ვითარმედ: უმჯობეს არს ქორწინებაჲ, ვიდრე განჯურვებაჲ* (2)

მიგებაჲ: ისმინე მოციქულისა, მეტყუელისაჲ:[12] „მნებავს ყოველთა კაცთა ყოფად, ვითარცა მე, არამედ თითოეულსა თჳსი

*აქედან B-ს რამდენიმე სტრიქონი აკლია ფურცლის ამოხევის გამო.

*ბერძნულში ეს „სწავლაჲ“ 44-ე თავადაა აღრიცხული.

1 მიუძღუწს AHK. 2 განსასუწნებელად A. 3 რომელი არაოდეს ეხილვის; რომელი შიში გგონიეს ყოფად სულისათჳს, რაჟამს სოფლისა ამისგან მიიცვალოს ყოფადისა მიმართ, რამეთუ ხედვიდეს მაშინ — DE. 4 ეხილვოს ADK, ეხილვის CE. 5 ყ˜ი DE, ყოვლითა AIK. 6 უზენაჲესი D. 7 ჴმისაჲ I. 8 სს˜ფი I. 9 მისი + ამინ A. 10 მგ A. 11 ამას — C. 12 მეტყუწლისაჲ A, მეტყუელისა I.

(1) მათე 25,34. (2) I კორ. 7,9.

მადლი აქუს ღმრთისა[1] მიერ, რომელსამე ესრეთ, და რომელსამე — ეგრეთ“. (1) ცხად არს, ვითარმედ ერისკაცთა და მონაზონთა შორის განყოფილებასა ჰყოფდა, რაჟამს თქუა: „თითოე(62vI)ულსა თჳსი მადლი აქუს ღმრთისა[2] მიერ; რომელ(187rA)სამე ესრეთ, და რომელსამე — ეგრეთ“. და არცა სოფლიონი დააყენნა შჯულიერად[3] ქორწინე(646vE)ბისაგან, არცა განკრძალულნი დააბრკოლნა[4] მმარხველობისაგან, ესრეთ თქუმითა: „თითოეულსა თჳსი მადლი აქუს ღმრთისა[5] მიერ; რომელსამე ესრეთ, და რომელსამე — ეგრეთ“. (119vC) რამეთუ სოფლიოთა უბრძანებს და ეტყჳს: „ხოლო სიძვისათჳს თითოეულსა თჳსი ცოლი ესჳნ“. (2) და კუალად: „პატიოსან არს ქორწილი ყოვლითავე, და საწოლი — შეუგინებელ, ხოლო მეძავნი და მემრუშენი საჯნეს ღმერთმან“. (3) ხოლო განშორებულთა წინა-დაუდვა მარხვაჲ, თქუმითა: (130vH) „ყოველი მოღუაწე ყოველსავე იმარხავნ“. (4) ვინაჲცა (54vB) ორნი საბრძოლელნი წინა-დაგჳსხნა სიტყუამან, ვითარცა პირველ თქუმულ არს.[6]

ხოლო შენ, მონაზონო, ცან და იხილე, რომელსა დასსა დაწესებულ ხარ, და რაჲ არს ნიში, რომელ გმოსიეს,[7] და რანი არიან ლოცვანი და აღთქუმანი, რომელ აღგითქუმან ღმრთისადა. რამეთუ მათდა მიმართ მიგჴდის სიტყუასა, ვითარცა თქუა მაცხოვარმან: „პირისა[8] შენისაგან[9] გსაჯო შენ“. (5) ვინაჲცა, ვითარცა პირველ ვთქუთ, სოფლიოთა უბრძანა შჯულიერად[10] ქორწინებაჲ, ხოლო განშორებულთა — მმარხველობაჲ და შჯულიერად[11] მმარხველობაჲ.

რამეთუ, უკუეთუმცა ყოველთა უბრძანებდა სიტყუაჲ, — „უმჯობეს არს ქორწინებაჲ, ვიდრე განჴურვებაჲ“, (6) — არამცა ვინ იღუწიდა სათნოებასა; არა ელია (187vA) თეზბიტელი, არცა ელისე, არცა იოვანე, და რაოდენთა გამოისაჭურისნეს თავნი

1 ღ˜ჲ DEIK. 2 ღ˜ჲ EIK. 3 შჯულიერად ABC, სჯულიერად DEIK. 4 დააბრკოლნა] დააყენნა K. 5 ღ˜ჲ EIK. 6 ~ თქუმულ არს პირველ A. 7 გმოსიეს ACK, გმოსეს BDE. 8 პისაგ˜ნ I. 9 პირისა შენისაგან ABC ~ პირისაგან შენისა DEIK. 10 შჯულიერად ABC, სჯულიერად CDEIK. 11 სჯულიერად ADEIK.

(1) I კორ. 7,7. (2) I კორ. 7,2. (3) ებრ. 13,4. (4) შდრ. რომ. 14,5. (5) ლუკა 19,22. (6) I კორ. 7,9.

თჳსნი სასუფევლისათჳს ცათაჲსა, და უბიწოდ (110rD) დაუცვნეს ჯორცნი თჳსნი ღმერთსა; არამცა[1] თჳთ მოციქული (647rE) იმარხვიდა, არათუმცა ხედვიდა ყოფადსა სასყიდლის -კუალადგებასა.[2]

ნუმცა[3] ვიგონებთ სიტყუად, ვითარცა ვიეთნიმე მიზეზ-იდგმენ[4] და იტყჳან: „იგინი მართალნი იყვნეს, ხოლო მე ცოდვილ ვარ!“ რამეთუ[5] იგინი* ამისთჳს მართალ იქმნნეს, რომელ სიმართლით და ღირსებით წარვლეს ცხორებაჲ თჳსი საწუთოსა ამას შინა.

რაჲ-მე უკუე[6] ვთქუათ? (120rC) რამეთუ მართალნი უჯორცო[7] იყვნესა, და არა მათცა ჯორცნი ესხნესა? — ისმინე მოციქულისა მეტყუელისაჲ:[8] „დაღათუ ჯორციתა ვალთ, არა ჯორციელად ვმოგზაურობთ“. (1) რამეთუ სა(63rI)ჭურველნი ჩუენისა მჴედრობისანი არა ჯორციელ, არამედ[9] ძლიერ არიან ღმრთისა[10] მიერ, დარღუევად[11] ძნელოვანთა. (2)

ცხად არს, ვითარმედ იგინიცა იბრძო(81rK)ლებოდეს, ვითარცა ჯორციתავე შემოსილნი, არამედ წინა-აღუდგებოდეს. ვინაჲ კუალადცა მოციქული იტყჳს: „აღვიკრძალავ ჯორცთა და დავიმონებ, (217rB) ნუუკუე[12] სხუათა უქადაგებდე და მე გამოუცდელ ვიპოო“.[13] (3) ხოლო ჴელპყრობილ რაჲ გუყოფდენ[14] ჩუენ სათნოებისა მიმართ, იტყჳს: „მობაძავ ჩემდა იქმნენით,[15] ვითარცა მე ქრისტესა“.[16] (4)

ვეკრძალნეთ[17] უკუე,[18] ძმანო, ნუუკუე[19] (131rH) თჳსთა გულისთქუმათა აღსრულებად[20] (188rA) მნებებელნი სამოციქულოსა მცნებასა ზედა დავჰკრებდეთ მიზეზსა უმეცრებითა ძალსა სიტყჳსასა, რამეთუ წერილ არს: „სულნი მზაკუვარნი[21] შეიცთუნნენ

*ამის შემდეგ რამდენიმე სტრიქონი დაკარგულია B-ში ფურცლის მოხევის გამო.

1 არცამცა IK. 2 სასყიდლის-გებასა E. 3 ნუცა ADE, ნუმცა CIK. 4 მიზეზ-იდგმენ ABCK, მიზეზ-იდგმიდენ DE. 5 რამეთუ ABCIK, ხოლო DE. 6 უკუჱ ACK. 7 უჯორცონი IK. 8 მეტყუჱლისაჲ A. 9 ჯორციელ არამედ ACIK] ჯორციელად BDE. 10 ღ˜ჲ EI. 11 დარღუჱვად AC, დარღვევად I. 12 ნუუკუჱ ACK. 13 ვიპოვო I. 14 გუყოფდეს A. 15 იქმნეთ AC. 16 ქ˜ესსა H. 17 ეკრძალენით H. 18 უკუჱ AC. 19 ნუუკუჱ ACH. 20 აღმასრულე-(188rA)ბელად A, აღმასრუბელად C. 21 მზაკვარნი I.

(1) რომ. 8,4; შდრ. II კორ. 10,3. (2) II კორ. 10,3-4. (3) I კორ. 9,27. (4) I კორ. 11,1.

ცოდვითა“. და კუალად: „მცოდველისა კაცისა დიდ[1] მახე, ხოლო მართალი სიხარულსა და შუებასა[2] შინა იყოს“.

რაჲსა ესე გესმა, ძმაო, ვითარმედ: „უმჯობეს ა(647vE)რს ქორწინებაჲ, ვიდრე განკურვებაჲ“; (1) და ესე არა გესმა, რასა ზედა-დაჰრთავს და იტყჳს, ვითარმედ: „ამიერითგან ჟამი შემოკ-ლებულ არს, რაჲთა, რომელთა ესხნენ ცოლ,[3] ვითარცა არა სხმულ იყვნენ; და რომელნი ტიროდინ, ვითარცა არა მტირალნი იყვნენ;[4] და რომელთა უხაროდის, ვითარცა არა უხაროდის;[5] და რომელნი იყიდდენ, ვითარცა არა აქუნდეს, და მკუმეველნი ამის სოფლისანი, ვითარცა არა მკუმეველნი[6] იყვნენ, რამეთუ წარ-ვალს სახე ამის სოფლისაჲ“. (2)

ვინაჲცა, მონაზონო, ნუ უგულებელს-ჰყოფ (120vC) მომცე-მელსა შენდა ესევითარისა მადლისასა, ნუცა უსმ ხარ მისსა შენდამი მოციქულისა მიერ თქუმასა, ვითარმედ: „ნუ უდებ-ჰყოფ შენ შორისსა მადლსა, რომელი მოგეცა შენ დასხმითა კელთა (110vD) ხუცობისათაჲთა, ნუუკუე[7] გარდამავალ ჰყო თავი თჳსი კუალად შენებითა მისითა, რომელი დაარღჳე“. (3) არამედ მის-ცენ უფალსა აღთქუმანი შენნი, რამეთუ[8] წერილ არს: „კეთილ იყო[9] შენდა არა-აღთქუმაჲ,[10] ვიდრე აღთქუმაჲ[11] და არა-მიცე-მაჲ“. იღუაწე უკუე[12] შჯულიერად[13] სრულ-ყოფად სრბისა შენისა, რაჲთა გაქუნდეს კადნიერებაჲ (188vA) მოციქულისა თანა სი-ტყუად: „ღუაწლი კეთილი მომიღუაწებიეს, სრბაჲ აღმის-რულებიეს,[14] სარწმუნოებაჲ და(217vB)მიმარხავს; ამიერითგან მიმე-ლის მე სიმართლისა გჳრგჳნი, რომელი მომცეს მე უფალმან დღესა მას, მართალმან მან მსაჯულმან; არა ხოლო მე, არამედ ყოველთა, რომელთა შეიყ(63vI)უარეს გამოჩინებაჲ მისი“; (4) მისსა[15] დიდებაჲ საუკუნეთა, ამინ.[16]

---

1 დიდი C. 2 შუებასა ACH. 3 ცულ A. 4 და რომელნი ტიროდინ, ვითარცა არა მტირალნი იყვნენ — H. 5 ვითარცა არა უხაროდის — DE. 6 მკუმეველ I. 7 ნუუკუე AH. 8 რამეთუ ADE, ვითარცა C. 9 იყოს A. 10 აღთ˜ქმაჲ A. აღთქმა H. 11 ვიდრე აღთქუმაჲ — DE. 12 უკუე ACH. 13 სჯულიერად ABDEHI, შჯულიერად C. 14 სრბაჲ აღმისრულებიეს — C. 15 მისა H. 16 ა˜ნ ACI, ამინ E.

(1) I კორ. 7,9. (2) I კორ. 7,29-31. (3) იხ. გალატ. 2,18. (4) II ტიმ. 4,7-8.

სწავლაჲ მგ, შიშისათჳს ღმრთისა*

ეკრძალე თავსა თჳსსა, საყუარელო, ნუუკუე[1] უდებებასა და განცხრ(648rE)ომასა შინა წარსწყმიდო ჟამი. განვეკრძალნეთ თქუმულთა ამათ უფლისათჳს[2] და ვისმინოთ[3] ესე: „ვენაკი დაჰ-ნერგეა[4] შენდა?[5] — გარე-მოადგ მას ზღუდე! სამოთხე დაასხა? — სცევდ ნაყოფთა მისთა, რაჲთა უკუანაჲსკნელსა შენსა ზედა გიხაროდის, და ნუ შეუტევებ[6] ღორთა შენთა[7] ნაშრომთა შენთა (131vH) ზედა, რაჲთა არა მოაოკრნენ იგინი; რამეთუ რაჲ სარგებელ არს, ძმანო, უკუეთუ დღეს დავყუდნეთ, და ხვალე ქალაქებსა და დაბნებსა მიმოვრბიოდით, და ვჰყოფდეთ, რაჲ-იგი[8] არა სათნო[9] არს ღმრთისაჲ.[10]

რაჲ სარგებელ არს, ძმანო, უკუეთუ ერთსა დღესა ვაშენებ-დეთ, და ორსა ვარღუევდეთ;[11] რამეთუ ესრეთ თუ ვმო(91vK)-ქმედებდეთ, (121rC) ვითარ სრულ იქმნეს საქმე ჩუენი?

რაჲ არს ჩუენი და სოფლისაჲ! რაჲ არს ჩუენი და მოქმედე-ბათა მომკუდრისა[12] ჩუენდა სოფლისათაჲ![13] საზრდელისათჳს[14] არსა მიმოსლვაჲ ჩუენი? — კმა არიან ჴელნი ჩუენნი მსახურე-ბად ჴორცთა, თანამოქმედებითა ჩუენდა (189rA) უფლისაჲთა.

„არავინ მჴედარ ქმნილიო, — თქუმულ არს, — შეეთხზვის საწუთოჲსა საქმეთა, რაჲთა მჴედართმთავარსა სათნო ეყოს“. (1) და კუალად: „ღამე და დღე ვიქმთ, რაჲთა არავის დაუმძიმოთ“. (2) რაჲ არს ჩუენი და დაბნებისა გზათაჲ, ჵ მონაზონო! რამეთუ,[15] უკუეთუ დაყუდებით მსხდომარენი სენაკთა შინა ვნებულთა გულისსიტყუათა და აჩრდილებსა საქმეთასა სიმჴნით წინააღდგო-მად[16] ვერ შემძლებელ (111rD) ვართ, (648vE) ვითარ არა უფროჲს ადვილ წარსატყუენვ(96rB)ელ[17] ვიქმნეთ, რაჟამს შთავაბნინეთ თავნი თჳსნი ნატყუენავსა[18] შორის უცხოთესლთასა!

---

* ბერძნულში ეს „სწავლაჲ“ 45-ე თავადაა აღრიცხული.

1 ნუუკუ CH. 2 ო˜ჲთჳს EI. 3 ვისმინნეთ ACHI, ვისმინოთ DE. 4 დაჰნერგა I. 5 შენდა AC, შენდად DEHI. 6 შეუტეობ A. 7 „შენთა“ ჯერ დაუწერიათ, შემდეგ წაუშლიათ A. 8 რა H. რაჲ I. 9 სათნოჲ CDE, სათნო HI. 10 ღ˜ჲ DEI. 11 ვარღუ CD ვდეთ AH. 12 მომკუდრისა ACI, მომკუდარისა DE. 13 სოფლისათა AC, სოფლის˜თა I. 14 საზრდელისა DE, საზრდელისათჳს ACI. 15 რამეთუ — A. 16 წინააღმდგომად I. 17 წარსატყუ CD ნველ A. 18 ნატყუ CD ნავსა A.

(1) II ტიმ. 2,4. (2) I თეს. 2,9; II თეს. 3,8.

არამედ ნუუკუე[1] და გინდეს თქუმის, ვითარმედ: „ბრძანებითა წინამძღუართაჲთა იძულებით მივეახლებით დაბნებსა!“

უკუეთუ ბრძანებასა და მორჩილებასა ქუეშე[2] ჰყოფ ამას, შიშითა ღმრთისაჲთა ჰყოფდი მსახურებასა ამას![3] არამედ[4] არიან ვიეთნიმე მიზეზითა მორჩილებისაჲთა მოქმედნი ურჩებისანი, და თჳსსა გულისთქუმასა ჰნებავს აღსრულებაჲ ძუელისა[5] მისებრ კაცისა. ეკრძალე, ვითარცა ბრძენი, ნუსადა ნაცვალად ოქროჲსა და ვეცხლისა შემოიღო კეცი და თიჯაჲ, და (64rI) მორჩილებისა წილ ურჩებაჲ სრულ-ჰყო.

რამეთუ, რაჲ ირგეს მათ, რომელნი ისო ნავესსა და ქალებს თანა წარვიდეს განმსტურობად[6] ქუეყანისა, რაჟამს მიზეზითა მორჩილებისაჲთა ურჩებაჲ სრულ-ყვეს! ჭეშმარიტებაჲ არა დაიც(189vA)ვეს და უფლისაგან გან(132rH)დგეს და (121vC) გარდააქცინეს გულნი ძეთა ისრაელისათანი[7] უფლისაგან.[8] ვინაჲცა, შენ რაჟამს წარივლინებოდი მსახურებად, შიშითა ღმრთისაჲთა ჰყოფდი, ვითარმცა ყოვლადვე ღმერთი განიცდიდა საქმეთა შენთა. უკუეთუ წარხუალ მსახურებად წმიდათა, და შეურაცხ-ჰყოფ მას[9] წინააღმდგომისა ქმნითა, ღმერთსა შეურაცხ-ჰყოფ, და შუებულ[10] თუ ჰყოფ ნებებათა შენთა, არა მორჩილებასა ჰყოფ, არამედ ურჩებასა.

ხოლო უწყებაჲ შენი მნებავს, (649rE) ვითარმედ: ვითარცა ადიდებენ ღმერთსა შენ შორის, რომელთა გიხილონ შენ მონასტერსა შინა დაყუდებით მმონებელი მეუფისა ქრისტჱსი,[11] ეგრეთვე დაბრკოლდებიან[12] შენ ძლით, რომელთა გიხილონ შენ[13] ქალაქებსა და დაბნებსა[14] შინა, მოქმედად არა-სათნოსა ღმრთისასა. და რომელი სასყიდელი იყოს შენდა, რაჟამს სწყლა სჯნიდისი ძმისაჲ![15]

აწ უკუე,[16] მიითუალო თუ სწავლაჲ ჩემი, და შიშითა უფლისაჲთა დაეყუდო, იდიდოს ღმერთი შენ შორის და იყოს შენდა ძალ ყოვლისა მიმართ სათნოებისა. (96vB)

---

1 ნუუკუჱ AC. 2 ქუჱშე A. 3 ამას ABC, მას DE. 4 არამედ BCDEI (all), რამეთუ A. 5 ძუჱლისა A. 6 განმსუტურობად A. 7 იჱ˜ლისათანი ABCDHI. 8 ო˜ჲგან I. 9 მ˜ს D. 10 შუჱბულ AH. 11 ქ˜სი ABCH. 12 ეგრეთვე დაბრკოლდებიან – DE. 13 შენ – AC. 14 დაბნებსა ABCI, დაბსა D, დაბასა E. 15 ძმისა შენისაჲ I. ძმისა შენისა H. 16 უკუჱ ACH.

არამედ მრავალგზის მტერი შთაგიგდებნ შენ და გეტყჳნ: „ჯერეთ ჭაბუკ ხარ; იკუმიენ გულისთქუმანი შენნი და სიბერესა შეინანო; რამეთუ, რაოდენთა ჰგონებ სოფელსა შინა მშუებელთა[1] და ზეცისათაგან[2] არავე დაკლებულთა! და შენ ჭაბუკ ხარ; ჭამე,[3] სუ და მიიხუენ[4] გემონი (92rK) სოფლისანი, და სიბერესა შენსა შეინანო,[5] (111vD) და[6] რად გნებავს ამით ჰასაკითგან ჭირვებად ჯორცთა შენთა! ნუსადა უძლურებასა შთაჰვარდე!" (190rA)

არქუ ამათსა შთამგდებელსა შენდა: „უკუეთუ სიჭაბუკესავე შინა დავემთხჳო აღსასრულსა, და სიბერედ ვერ მივიწიო, რაჲ სიტყუა-უგო[7] წინაშე საყდრისა ქრისტჱსისა?[8] რამეთუ ვხედავთ მრავალთა ჭაბუკთა მომკუდრად, და მოხუცებულთა — დღეგრძელად, რამეთუ (122rC) საქმენი უფლისანი[9] გამოუკულეველ არიან. და ვითარ შემაცთუნებ[10] და იტყჳ, ვითარმედ: „სიბერესა შენსა[11] შეინანო"![12] — ნუუკუე[13] მაქუსა მაშინ სიტყუად მსაჯულისა, ვითარმედ: ჭაბუკ ვიყავ, რაჟამს დავემ(649vE)თხჳე სიკუდილსა; არამედ განმიტევე მე,[14] რაჲთა შევინანო!? — უეჭუელად[15] მანცა მრქუას მე: ესოდენთა წელთა მიგიშუ შენ, და მრავალგზის რაჲ (64vI) სცოდე, სულგრძელ ვიქმენ შენ ზედა, და არა მყის მოგკალ შენ, არამედ მოგცენ შენ[16] წელნი და ჟამნი და ადგილნი, რომელთა შინა სთესო (132vH) თესლი სინანულისაჲ; ხოლო შენ, ჟამნი, რომელ მე მოგცენ სინანულად, ცოდვათა და გემოვნებათა შინა განჰლიენ!"

განცხადებულად უკუე[17] უწყოდი,[18] ძმაო, ვითარმედ, უკუეთუ შეურაცხ-ჰყო შიში ღმრთისაჲ, და განსცე თავი თჳსი ცოდვასა, შეურაცხ იქმნე, რამეთუ, რომელმან ვნებულ-გემოვნებად[19] განსცნეს ასონი თჳსნი, არა ხოლო ყოფადსა საუკუნესა შეწუხნეს, არამედ თჳთ ამასვე საწუთოსა, არათუ მსწრაფლ შეინანოს,

1 მშუჱბელთა AH. 2 ზეცისაგან I, ზეცისათაგან ACDE. 3 ჭამე — A. 4 მიიხუჱნ AHK. 5 შეინანო + რამეთუ რაოდენთა ჰგონებ სოფელსა შინა DE. 6 და — C. 7 სიტყუა-უგო AC, სიტყუაჲ უგო BDEI. 8 ქ˜სისა ABCDEH. 9 უფლისანი ABCH (**Kuriou**), სოფლისანი DE. 10 შემაცთუნებ C, შენ მაცთუნებ ABDEHI. 11 შენსა — ABCHI. 12 შევინანო A (**peri to gera~ sou metanoh~**). 13 ნუუკუჱ ACH. 14 მე — A. 15 უეჭუჱლად A, უჱჭუჱლად A. 16 მოგცენ + შენ DE. 17 უკუჱ AC. 18 უწყოდე AI. 19 ვნებულ-გემოვნებად ABC (**th hdupaqeia**), ვნებულ-გემოვნებათა DE.

რამეთუ ემსგავსოს[1] ძონძსა მიმოგდებულსა, რომელი რაჟამს ყოველთა იჯუმიიან, უკუანაჲსკნელ მოსაწყინ(49rB)ელად და დასათრგუნველად აქუნდის იგი. (190vA)

უკუეთუ განიწმედ თავსა თჯსსა ამათ ყოველთაგან, და ქრისტჱს[2] სათნო-ყოფაჲ გნებავს, დაიცევ უბიწოებაჲ ჯორცთა შენთაჲ სიყუარულითა ღმრთისაჲთა, რომელ-იგი[3] არს სუეტ[4] ყოველთა სათნოებათა, რაჲთა ემსგავსო პორფირსა სამეუფოსა, და ბრწყინვალე იყო შორის ძმათა, ვითარცა მთიები. და ზედააღდგომილნიცა შენდა უფალმან მიაქცინეს, რამეთუ შიში უფლისაჲ, რომელი შეიყუარე, გექმნეს შენ ზღუდე, და ჰპოო მადლი წინაშე ღმრთისა[5] და კაცთა.

განიფრთხვე უკუე[6] და ეკრძალე თავსა თჯსსა მეცნიერებითა ამისითა, ვითარმედ არა უმეცარ (650rE) არს მტერი შინაგან კლიტეთა და მოქლონებისაცა მონადირებად (122vC) სულთა უდებებით მყოფთა.

არამედ ნუუკუე[7] და თქუას ვინმე უგუნურთაგანმან, ვითარმედ: „არა კმა ვარ წინააღდგომად ვისსამე, (112rD) არამედ მყის თანაწარვჰყვები[8] ვნებათა“.

ნუ იქადი ამას ზედა, რამეთუ არა კრძალულება არს ესე, არამედ დაჯსნილება და უგუნურება, რამეთუ სიბრძნე იტყჯს: „ნუ პირ-აღებ[9] სულსა შენსა ზედა,[10] და ნუცა შეირცხუენ[11] დასაცემელად შენდა“. უკუეთუმცა აგრძენ ავაზაკისა მიერ განთხრად ღობესა[12] სახლისასა, თავს-იდევ-მცაა ქუე[13] დებაჲ და წარტყუენვაჲ[14] შენი მისგან? არამცა აღსდეგა[15] და სდევნე ავაზაკი? და ვითარ არა ჰზრუნავ[16] სიწმიდისათჯს გუამისა შენისა, არამედ ხრწნილებად განსცემ ტაძარსა ღმრთისასა! რამეთუ[17] მოციქული

1 ემსგავსოს (omoiwqhsetai) C, ემსგავსო ADEI. 2 ქ˜ს ABCI. 3 რომელ-იგი ABCI, რომელი-იგი DE. 4 სუჱტ A. 5 ღ˜ჲ I. 6 უკუჱ AC. 7 ნუუკუჱ AC. 8 თანა-წარვჰყვები (sunapagomai) ABDI, თანა-წარჰყვები CE. 9 პირ-აღებ AC (mh labh~ proswpon = ყვედრებას ნუ მოაწევ?), პირ-ათნებ BDI, პირ-ათნევ E. 10 ∼ ზედა შენსა AB; – შენსა ზედა DE. 11 შეირცხუჱნ A. 12 ღორებსა (sic.) E. 13 ქუჱ AC. 14 წარტყუჱნვაჲ A, წარტყუენაჲ I. 15 აღსდეგაა C. 16 იზრუნავ AC, ჰზრუნავ B, ზრუნავ DE. 17 რამეთუ DE, რაჟამს ABC.

იტყჳს: „რომელმან ტაძარი ღმრთისაჲ განხრ(92vK)წნეს, განხრწნეს იგი ღმერთმან“.* (1)

ვხედავთ,[1] ვითარ ადიდებს (191rA) უფალი, რომელნი სიჭაბუკითგან[2] სიბერედმდე[3] ჰმონებდენ მას, რამეთუ თქუა იერემიაჲს[4] მიმართ წინაჲსწარმეტყუელისა: „მოვი(133rH)კსენენ წყალობანი სიჭაბუკისა შენისანი, და სიყუარული (65rI) სრულებისა შენისაჲ, შედგომად შენდა უკუანა წმიდისა ისრაჱლისა“.[5] (2) ხოლო სიჭაბუკითგან ვიდრე სიბერედმდე[6] საცთურისა გულისსიტყუათადა შედგომილსა ვითარ ამხილა წინაჲსწარმეტყუელმან თქუმითა: (49vB) „დაძუელებულო[7] ბოროტთა დღეთაო, აწ მოიწინეს ცოდვანი შენნი, რომელნი[8] გექმნნეს[9] პირველ“. (3) ამისთჳსცა სული წმიდაჲ ჰნატრის მათ, რომელთა თავთა თჳსთა ზედა აღიღ(650vE)ონ უღელი ქრისტჱსი,[10] და ეტყჳს: „კეთილ არს კაცისა, რაჟამს აღიღოს უღელი სიჭაბუკითგან თჳსით“. (4)

განვიფრთხოთ უკუე,[11] საყუარელნო, ნუსადა ფრიადი სულგრძელებაჲ ღმრთისაჲ დასაშჯელ[12] ჩუენდა იქმნეს, რამეთუ არა გუნებავს სინანული, არამედ დღითი-დღე დავსძინებთ[13] ბრალთა ჩუენთა![14] ვინმცა გულად-იღო დღე[15] საშჯელისაჲ,[16] და არა ძრწოდა! თანა-(123rC)შევატყუნეთ თქუმულნი ესე, საყუარელნო, ჟამსა მკისასა, რამეთუ მოიწიის რაჲ[17] იგი, იტყოდის ვინმე, ვითარმედ: „ორნიღა[18] თუენი[19] არიან და გარდაჴდეს სიცხე!“ რაჲმე ვყოთ, საყუარელნო, რაჟამს დავისაჯნეთ ცეცხლსა საუკუნესა!

კუალად, ზამთრისა მოსლვასა თქჳს[20] ვინმე: „სხუანიღა ორნი ანუ სამნი თუენი[21] არიან, და გარდაჴდეს ქადებაჲ სიცივისაჲ!“

---

* „რამეთუ მოციქული იტყჳს“, და პავლეს ეპისტოლის ამ ადგილის ციტირება ბერძნულ გამოცემებში გამოტოვებულია.

1 ვხედავთ ABC, ვხედავ DE. 2 სიჭაბუკითგან ABCI, სიგლახაკითგან DE. 3 სიბერემდე BC, სიბერერემდე D, სიბერედმდე AIK. 4 იერემიას I. 5 ი˜ჱლისა ABCI. 6 სიბერედმდე ABCI, სიბერემდე DE. 7 დაძუჱლებულო A. 8 რომელნი ABC, რომელ DEI. 9 გექმნეს I. 10 ქ˜სი AC. 11 უკუჱ A. 12 დასაშჯელ ABCI, დასასჯელ DE. 13 დავსძინებ DE. 14 ჩ˜ნთა ABC, ჩემთა DE. 15 დღჱ C. 16 საშჯელისაჲ BC, სასჯელისაჲ ADEI. 17 რა B. 18 ორნიღა + თუ A. 19 თუჱნი A. 20 თქჳს AC, თქუს BDE, თქუას I. 21 თუჱნი A.

(1) I კორ. 3,17. (2) იერ. 2,2. (3) დან. 13,52. (4) გოდ. იერ. 3,27.

რაჲ ვყოთ, საყუარელნო, რაჟამს დავისაჯნეთ შემდგომად სიკუდ-ილისა ქუეშე-კერძო[1] ქუეყანისა?[2] (191vA)

უკუეთუ ვინმე სნეულებასა შთავარდეს, და ღამე ძილი განეყ-ენოს მისგან, ზედაჲსზედა მიხედავნ სარკუმელთა სახლისათა და სურინ ხილვად ნათლისა. რაჲ-მე[3] ვყოთ, (112vD) ძმანო, უკუეთუ დავისაჯნეთ ბნელსა გარესკნელსა, სადა-იგი ტირილი თუალთაჲ და ღრჭენაჲ კბილთაჲ; სადა-იგი არღარა არს სასოე-ბაჲ ხილვად[4] ნათლისა დაუსრულებელთა საუკუნეთა!

ეგრეთვე, რომელი ექსორია-იქმნის,[5] რიცხუავნ იგი დღეთა და თუეთა[6] და წელთა, მომლოდე აღსასრულსა დროჲსასა, ხოლო რომელი დაისაჯოს ყოფადთა საუკუნეთა, ვერცაღა[7] დღეთა უძლებს რიცხუვად, ვერცა ღამეთა, არცა თუეთა,[8] არცა ჟამთა, რამეთუ წიაღუვლე(651rE)ლ და დაუსრულებელ არიან იგი საუკუნენი, რომელთა[9] შინა აქა მტირალნი და მგლოვარენი ნუგეშინისც-(50rB)ემულ იქმნენ[10] მაშინ, ხოლო რომელი იშუებდეს,[11] ცოცხ-ლივ (133vH) მკუდარ არს, ვითარცა იტყჳს მოციქული, (1) და კუალად მაცხოვარი: „ვაჲ, რომელნი აწ[12] იცინიან, რამეთუ ტიროდინ“. (2)

განვიფრთხოთ უკუე,[13] საყუარელნო, ამის საწუთოჲსაგან, ვტიროდით აწ, რაჲთა ნუგეშინისცემულ ვიქმნეთ; დავეყუდნეთ სიმდაბლით თჳსთა სენაკთა, რაჲთა იხი(123vC)ლოს (65vI) უფალ-მან სიმდაბლე ჩუენი და ნუგეშინისცემულ იქმნეს ჩუენ ზედა, რამეთუ წერილ არს, ვითარმედ: „სიმდაბლესა შინა ჩუენსა მო-მიჴსენნა ჩუენ უფალმან“. (3) და კუალად: „ვითარცა სწყალობს მამაჲ შვილთა, შეიწყალნა უფალმან მოშიშნი მისნი“. (4) ხოლო უფალმან მომეცინ ჩუენ სრულყოფ(192rA)ად ცხორებისა უბრალ-ოჲსა, რამეთუ მისი დიდებაჲ უკუნისამდე, ამენ.[14]

---

1 ქუ̃შე-კერძო A. 2 ქუ̃ყანისა A. 3 რაჲ-მე C. 4 ხილვად BDEI, ხედვად AC. 5 ექუსორია-იქმნის C. 6 თუ̃თა AC. 7 ვერცაღა ABC, ვერცა DE. 8 თუ̃თა A. 9 რ̃ლსა AC. 10 იქმნენ ACDEI, იქმნნენ B. 11 იშუ̃ბდეს AC. 12 აწ – I. 13 უკუ̃ ACH. 14 ამინ BC, ა̃ნ ADI.

(1) I ტიმ. 5,6. (2) ლუკა 6,25. (3) ფს. 135,23. (4) ფს. 102,13.

სწავლაჲ მ˜დ, სიყუარულისათჳს[1]* (93rK)

საყუარელო,[2] უკუეთუ ღირს იქმნე ცნობასა განკითხვისასა, გინათუ მადლსა კურნებათასა, იხილე, ნუუკუე[3] უნაყოფოდ აღესრულო, რაჲთა არა მაშინ იტყოდი რაჲ — „შემიწყალე!“ — და გესმეს მარცხენეთა თანა, ოდეს-იგი განარჩინეს[4] მეუფემან[5] მართალნი ცოდვილთაგან, ვითარმედ: „არა გიცნი თქუენ!“ (1) რამეთუ წერილ არს: „არა ყოველმან, რომელმან მრქუას მე — უფალო, უფალო! — და შევიდეს იგი სასუფეველსა ცათასა, არამედ რომელმან ყოს ნებაჲ მამისა ჩემისა ზეცათაჲსაჲ.[6] რამეთუ მრავალთა მრქუან მე მას დღესა შინა:[7] უფალო, უფალო, არა სახელითა შენითა ვწინაჲსწარმეტყუელებდითა[8] და სახელითა შენითა[9] ეშმაკთა განვასხემდით და სახელითა შენითა ძალთა მრავალთა ვჰყოფდით? და მაშინ აღუვარო[10] მათ, ვითარმედ: ა(651vE)რაოდეს გიცნენ თქუენ; განმეშორენით ჩემგან მოქმედნი უშჯულოებისანი!“[11] (2) რაჲსათჳს-მე? — არამედ ამისთჳს, რამეთუ სიყუარული არა დაიცვეს, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: „რომელსა არა უყუარდეს ძ(113rD)მაჲ თჳსი, რომელი იხილა, ღმერთი, რომელი არა იხილა, ვითარ ძალ-უც შეყუარებად!“ (3) რამეთუ წერილ არს: „მონამან, რომელმან უწყოდის[12] ნებაჲ უფლისა[13] თჳსისაჲ და არა ყოს, იგუემოს[14] ფრიად, ხოლო რომელმან არა უწყოდის და ყოს რაჲმე ღირსი წყლულებათაჲ, იგუემოს[15] მცირედ“. (4) (50vB)

და მოციქული იტყჳს: „მერმეცა უმეტესი გზაჲ გიჩუენო[16] თქუენ: ენასაღა თუ კაცთა და ანგელოზთასა ვიტყოდი, და სიყუარული არა მაქუნდეს, (124rC) ვიქმენ რვ(192vA)ალ მჴმობელ, ანუ

---

* ბერძნულში ეს „სწავლაჲ“ 46-ე თავადაა აღრიცხული.

1 ∼ სიყუარულისათჳს, მდ I. 2 საყუარელო AIK, საყუარელნო DE. 3 ნუუკუᲗ AC. 4 განარჩინეს ABCI, განარჩინის DE. 5 მეუფემან BC, მფ˜Თმ˜ნ ADI. 6 ზეცათაჲსაჲ ABC, ზეცათაჲსა DEI. 7 მას დღესა შინა — DE. 8 ვწინაჲსწარმეტყუᲗლებდითა A. 9 „ვწინაჲსწარმეტყუელებდითა და სახელითა შენითა“ C-ს გადამწერს გამორჩენია, და მოგვიანებით შეუვსია კიდეზე 10 აღუარო ABC, აღუვარო DE. 11 უსჯულოებისანი ADEI. 12 იცოდის I, უწყოდის ABCDE. 13 ო˜ჲ EI. 14 იგუᲗმოს AC. 15 იგუᲗმოს A. 16 გიჩუᲗნო A.

(1) მათე 7,23; 25,12; ლუკა 13,25-27. (2) მათე 7,21-23. (3) I იოანე 4,20. (4) ლუკა 12,47-48.

წინწილა (134rH) მღალადებელ; დაღათუ მაქუნდეს ყოველი სარწმუნოებაჲ ვიდრე მთათა ცვალებადმდე და სიყუარული არა მაქუნდეს,[1] არარაჲ ვარ. დაღათუ შევაჭამო[2] ყოველი ნაქონები ჩემი, და[3] დაღათუ მივსცნე ჯორცნი ჩემნი დასაწუველად, და სიყუარული არა მაქუნდეს, არარას ვირგებ. სიყუარული სულგრძელ არს და ტკბილ, სიყუარული არა ეშურების, არა განლაღნების, არცა აღზუავნების; არა ეძიებს თავისასა,[4] არა განფიცხნების, არა შეჰრაცხს ბოროტსა; არა უხარის სიცრუვესა ზედა, არამედ უხარის ჭეშმარიტებასა ზედა; ყოველსა თავს-იდებს; ყოველი ჰრწამს; ყოველსა ესავს; ყოველსა დაითმენს. სიყუარული არასადა[5] დავარდების". (1)

აჰა, გასმიეს, საყუარელო, ძა(66rI)ლი სიყუარულისაჲ! ესე მოიგე თავისა თჳსისად ყოველთა შინა საქმეთა შენთა, რაოდენ ძღუანებულ იყო მადლისა მიერ, რაჲთა მი(652rE)იღო[6] ქებაჲ ღმრთისა[7] მიერ.

გლოცავ თქუენ, საყუარელნო ჩემნო ძმანო, მომიკსენეთ[8] მე უკმარი მონაჲ ლოცვათა შინა თქუენთა, რაჲთა სიტყუანი ჩემნი არა დამძიმდენ ჩემ ზედა, მოსლვასა მას უფლისა[9] და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ[10] ქრისტესსა, რამეთუ არარაჲ თავსა ჩემსა შემიცნობიეს, გარნა საშინელი რაჲმე მოლოდებაჲ საშჯელისაჲ,[11] (2) და ცეცხლისა შური მგულებელ არს შეჭმად წინააღმდგომთა. (3) არამედ მომეცინ[12] უფალმან თქუენ თანავე, რჩეულთა მისთა, მეცა უღირსსა შესლვად სასუფეველსა მისსა, წყალობათათჳს მისთა, ხოლო უფალმან მოგეცინ თქუენ (193rA) სიყუარული მისი გულთა შინა თქუენთა, რამეთუ მისსა[13] დიდებაჲ უკუნისამდე, ამენ.[14]

---

1 მაქუნდეს + ვიქმენ რვალ მკმობელ და DE. 2 შევჭამო D. 3 და – I. 4 თავისასა BDEI] თავისა თჳსისასა AC. 5 არა I. 6 მიიღო ABCI, მოიღო DE. 7 ღ˜ჲ E. 8 მომიკსენეთ – I. 9 ო˜ჲ EI. 10 ი˜ჯ ABCI, ი˜ჯჲს DE. 11 საშჯელისაჲ BC, სასჯელისაჲ ADEI. 12 მომეცინ + მე I. 13 მისი AC, მისსა BDEI. 14 ა˜ნ ABCI, ამინ DE.

(1) I კორ. 13, 1-8. (2) შდრ. I კორ. 4,4. (3) შდრ. ეს. 26,11.

სწავლად ევლოგის მიმართ*

ნაყოფისა მიმართ სიყ(124vC)უარულისადსა[1] მიხედვითა, ძმაო, ვისწრაფე მოწერად შენდა, რომლისათჳს გებრძანა ჩემდა.[2] (97rB)

დასაბამ კეთილ (113vD) შიში უფლისად, (1) ხოლო სიბერე პატიოსან სულსა შინა (93vK) ქრისტესმოყუარისასა.

რომელი ეკრძალებოდის თავსა თჳსსა ყოველსავე ადგილსა, ცხონდეს. რომელსა უყუარდეს ზრახვად ერისკაცთად, სოფელი არღა მოუძულებიეს.

ვითარაცა რომელი აღაგზებდეს[3] ცეცხლსა, აღატყინებს ალსა, ეგრეთვე სოფლიონი ზრახვანი აღსძრვენ ვნებათა გულსა შინა მონაზონისასა.

არგებდე რად, ძმაო, დამთხუეულ(134vH)თა[4] შენდა, თავსა თჳსსა ნუ ავნებ.

რომელსა უყუარდეს თანაზრახვად დედათად, აღადგინებს იგი თავსა თჳსსა ზედა ეშმაკსა სიძვისასა.

რაჟამს კეთილი სმენად ესმეს შენთჳს მშობელთა შენთა, უფროდს ღჳნისა მებრუობისა განიხარონ.

რომელსა უყუარდეს მთრვალობად, ფრიად იზღვიოს, რამეთუ იტყჳს (652vE) და იქმს, რად-იგი უჯერო არს, და წარიპარავს თჳსსა სიმდიდრესა და მისცემს უცხოთა, ვითარცა უცხოსა, რამეთუ მთრვალობამან დაუბნელის გონებად მისი.

განკრძალულ იქმენ, ძმაო, რამეთუ კრძალულებად შობს მშჳდობითსა[5] დაწყნარებასა, ხოლო მშჳდობითი დაწყნარებად შობს უვნებელობასა.

იყავნ კრძალულებად შენი თანა-შეუღლებულ სიმდაბლისა, რადთა იქმნე ჭეშმარიტ მონაზონ და დაიმკჳდრო სიყუარული და სიწმიდე. (193vA)

მრავალმეტყუელებად,[6] ძმაო, დაუბნელებს გონებასა, ხოლო

---

* ბერძნულში ეს „სწავლად“ წმ. ეფრემის 50-თავიანი კრებულის („სიტყუანი სწავლისანი მონაზონთა მიმართ“) 47-ე თავადაა აღრიცხული.

1 სიყუარულისა AC. 2 ჩედა A. 3 აღაგზნ˜ბდეს ADE, აგზნებდეს C. 4 დამთხუწულთა A. 5 მყუდროებითსა I, მშჳდობითსა ABCDE. 6 მრავალმეტყუწლებად A.

(1) შდრ. იგავნი 1,7.

გონებაჲ დაბნელებული მოიღებს ურცხჯნოებასა, ხოლო ურცხ-ჯნოებაჲ დედა[1] (66vI) არს სიძვისა.[2]

რომელსა უყუარდეს დუმილი, უშფოთველად დაადგრეს, არამედ[3] არცაღა მოყუასი განამწაროს.

ხოლო სიცილი და კადნიერებაჲ ახალმონაზონსა ვითარცა სამსა(125rC)ლაჲ ავნებს, და შეუგვანებელ არს მონაზონისა, რამეთუ აწ მგლოვარეთა და მტირალთა ჰნატრის უფალი. (1)

ძლეულება[4] მონაზონისა არს ცუდისა რაჲსმე სმენაჲ.

ტრაპეზსა ზედა ჯერ-არს დუმილი. შეიყუარე დუმილი, საყუ-არელო,[5] რაჲთა დაადგრეს შენ თანა კრძალულებაჲ. და დაი-ცე(97vB)ვ კრძალულებაჲ, რაჲთა დაგიცვას[6] შენ სიძვისაგან.

რომელი წინა-აღუდგებოდის და ურჩ იყოს წინამძღურისა, არა დაიყოვნოს მან შთავრდომად ბოროტთა შინა. ხოლო რომელი ერჩდეს სწავლასა უაღრესისასა,[7] იხარებდეს იგი მართალთა თანა.

რომელი იქადოდის თჯსსა[8] ძალსა (653rE) ზედა, განაგდებს თავისაგან თჯსისა შეწევნასა ღმრთისასა, ხოლო რომელი (114rD) იქადოდის, უფლისა[9] მიერ იქადოდენ.

რომელსა უყუარდეს მიმოგანბნევაჲ და სძულდეს დაყუდე-ბაჲ, ფრიად იჭირვოდის; ხოლო რომელი სიმდაბლით დაყუდე-ბულ იყოს, იხარებდეს უფლისა[10] მიერ.

რომელმან არა გულს-იდგინოს მოთმინებით დგომაჲ (135rH) ლოცვასა შინა, ფრიადი დაშჭირდეს,[11] ხოლო[12] რომელი დგეს კრძალულებით და შიშით და[13] მოთმინებით, მისი ლოცვაჲ სას-მენელ იქმნეს.

რომელი უქმადმე(194rA)ტყუელებდეს[14] ჟამსა ლოცვისასა, მრ-ჩობლნი ბრალობანი პოვნეს, რამეთუ აცთუნებს ლოცვისა და ფსალმუნებისაგან,[15] რომელსა-იგი ჰზრახავს,[16] და[17] რამეთუ აშ-ფოთებს მახლობელადცა[18] მისსა მდგომთა.

---

1 დედა ACI, დედაჲ BDE. 2 სიძვისა AC, სიძვისაჲ BDEI. 3 ხოლო DE, არამედ ABCI. 4 ძლეულებაჲ I. 5 ~ საყუარელო, შეიყუარე დუმილი A. 6 დაგიცვას ABCI, დაგიცვეს DE. 7 უვაღრესისასა C. 8 თჯსსა C, თჯსა ADE. 9 ო˜ჲ EI. 10 ო˜ჲ EI. 11 დასჭირდეს A. 12 ხოლო] მას I. 13 და – AC. 14 უქმადმეტყუჩლებდეს A. 15 ფსალმონებისაგან DE. 16 ზრახავს DE. 17 და – DE. 18 მახლობელად CI.

(1) მათე 5,4; ლუკა 6,20-21.

რომელსა უყუარდეს მოღუაწებაჲ, უმჯნეს იქმნების, ხოლო რომელსა უყუარდეს[1] მთრვალობაჲ, არცა ერთსა რას დაუთმოს.

რომელსა უყუარდეს (94rK) უქმებაჲ, ცუდისგამომეძიებელ იყოს, რამეთუ მრავალი ბოროტი ასწავა უქმებამან, ხოლო რომელსა უყუარდეს მოქმედებაჲ, შეუწუხებელად დაადგრეს.

რომელი იქადდეს დიდებულებასა ზედა მშობელთასა, (125vC) გამოუცდელ არს, რამეთუ განწყობასა შინა ბრძოლისასა არარაჲ არგონ მას.

პატივ-სცემდ,[2] ძმაო, დიდთა და მცირეთა, რაჲთა აღგამაღლოს შენ უფალმან, რამეთუ რომელმან დაიმდაბლოს თავი თჳსი, ამაღლდეს. (1)

დაუმდაბლე თავი თჳსი წინამძღუარსა, და ზედამდგომელებსა ძმათასა ერჩდი უფლისა[3] მიერ. რამეთუ ესე არს ნაყოფ შიშისა უფლისა,[4] ხოლო სიმდაბლე გამოჩნდების არათუ უაღრესთა[5] მიმართითა ოდენ დამდაბლებითა, არამედ უდარესთ(653vE)აცა (109rB) მიმართ პატივისმცემელობითა,[6] რამეთუ წერილ არს, ვითარმედ: „მადიდებელნი ჩემნი ვადიდნე, ხოლო შეურაცხისმყოფელნი (67rI) ჩემნი უპატიო[7] იქმნნენ“.[8] (2) ვინაჲცა ჩუენ ვადიდებდეთ ღმერთსა, რაჲთა[9] მადიდნეს ჩუენ ყოველთა თანა წმიდათა მისთა. და რაჲთა ვადიდებდეთ მას? — არამედ დაცვითა მცნებათა მისთაჲთა, რამეთუ[10] წერილ არს, ვითარმედ: „არა სიტყჳთ არს სასუფეველი ღმრთისაჲ, (194vA) არამედ ძალითა“. (3) და კუალად: „არა ყოველმან რომელმან მრქუას მე — უფალო, უფალო! — და შევიდეს იგი[11] სასუფეველსა ცათასა, არამედ რომელმან ყოს ნებაჲ მამისა ჩემისა ზეცათაჲსაჲ“.[12] (4)

ყოვლისა წინა, ძმაო, გეშინოდენ ღმრთისა[13] ჭეშმარიტებით, და შიშმან მისმან განანათლნეს თუალნი გონებისა შენისანი. გიყუარდინ სიმდაბლეცა, რამეთუ საღმრთოდ დამდაბლებაჲ ზღუდე არს შეურყეველ პირისაგან მტერისა, და კლდე წინამცემელ და

1 რომელსა უყუარდეს BDEI] უყუარდეს თუ AC. 2 პ˜ტვსცემდ D. 3 ო˜ჲ EI. 4 ო˜ჲ EI. 5 უვაღრესთა C. 6 პატივმცემელობითა I. 7 უპატივო I. 8 იქმნნენ ABI, იქმნენ CDE. 9 რ˜ლ C. 10 რამეთუ] ვითარცა C. 11 იგი — I. 12 ზეცათაჲსა ACDE, ზეცათაჲსაჲ B, ზეცათასა I. 13 ღ˜ჲ EI.

(1) მათე 23,12; ლუკა 14,11; 18,14. (2) I მეფ. 2,30. (3) I კორ. 4,20. (4) მათე 7,21.

შემმუსრველ სივერაგეთა და ი(114vD)სართა ბოროტისათა განკურვებულთა. (1)

უკუეთუ დაიდვა გულისსიტყუასა შენსა ღმრთისათჳს[1] მოთმინებად, გინებისა (135vH) და შეურაცხებისა და ზღვევისად, იყო ვითარცა მკნე მბრძოლი, მარადის შეჭურვილი წინააღმდგომთა ზედა, რამეთუ მაშინ მტერთაცა იხილონ რად ესოდენი მოსწრაფებად შენი, დაეცნენ პირისაგან შენისა, ხოლო უკუეთუ (126rC) გნებავს ოდენ[2] სრბად, და დაშრომად[3] არა, — რად[4] სარგებელ არს!

სიწმიდე კორცთა შენთად დაიცევ სიყუარულით, რამეთუ სიყუარული დედა არს სათნოებათა, ხოლო უბიწოებად სიწმიდისად — სანთელ და სიმტკიცე; ამათდა სასანთლე — დაყუდებად, და ზღუდე ამათდა — შიში უფლისად.

დავიცვ(654rE)ათ, ძმაო, სიწმიდე კორცთა ჩუენთად სიყუარულითა ღმრთისადთა, რადთა თანა-აღმრაცხნეს ჩუენ უფალმან წმიდათა თანა ანგელოზთა მისთა, რამეთუ სიწმიდისმოყუარესა ზედა იხარებს სული წმიდად და მიჰმადლებს მას[5] მოთმინებასა. ხოლო სიწმიდე წარემართების მარხვითა და სიმშჯდითა, და სიყუარული — დაყუდებითა.

ვინადცა გჯმს ჩუენ კრძალვად ყოვლისაგან ძმისა (195rA) უწესოდ მავალისა; (2) (109vB) ნუუკუე[6] შთაუგდოთ იჭჯ მხედველთა ჩუენთა, რამეთუ მოციქული იტყჯს: „წინა-განვიზრახავთ კეთილსა წინაშე ღმრთისა[7] და კაცთა; ხოლო უკუეთუ ვინმე ძლევის-მოყუარეობს, ჩუენ ესევითარი[8] ჩუეულებად[9] არა[10] გუაქუს, არცა ეკლესიათა ღმრთისათა“. (3)

ისმინე კუალად მეტყუელისადცა:[11] „შენ სადმე[12] კეთილად ჰმადლობ, ხოლო მოყუასი არა აღეშენების“. (4) რამეთუ რადსა განიშჯების[13] აზნაურებად ჩემი სხჯსა სჯნიდისისაგან! ვინადცა (94vK) კეთილ არს შეწყნარებად სწავლისად ღმრთისმოშიშთა

1 ღ˜დთ˜ს I. 2 გნებავს ოდენ ABCDE ∾ ოდენ გნებავს I. 3 დაშრომა I, შრომად CDE. 4 არა, რად ACI] არარად DE. 5 მას — DE. 6 ნუუკუ̊ A. 7 ღ˜დ EI. 8 ესე I. 9 ჩუ̊ულებად A. 10 არა + არა I. 11 მეტყუ̊ლისადცა A, მეტყუელისაცა I. 12 სადამე DE. 13 განიშჯების B, განისაჯების ACDE, განისჯების I.

(1) იხ. ეფეს. 6,16. (2) II თეს. 3,6. (3) I კორ. 11,16. (4) I კორ. 14,17.

კაცთაგან, და არა თავთა თჳსთა სათნო-ყოფად, მეტყუელისა[1] მისებრ: „თითოეული თქუენი მოყუასსა სათნო-ეყოფოდენ[2] აღ-საშენებელად“. (1) (67vI) და კუალად, რაჲთა ჰრცხუენეს[3] წინაა-ღმდგომსა, და არაჲ[4] აქუნდეს ბოროტი საქმე, რამეთუ თქუა უფალმან დიდებისამან: „ესრეთ ბრწყინევდინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა, რაჲთა იხილნენ საქმენი თქუენნი კეთილნი და ადიდებდენ მამასა თქუენსა[5] ზეცათასა“. (2)

ნუმცა მიზეზითა ქვე(126vC)ლისსაქმედ მიმცემელობისაჲთა წარვსწყმედთ სიწმიდესა, რამეთუ ჩუეულებაჲ[6] არს მტერისაჲ, კეთილისა მიზეზი(654vE)თა ქმნად ბოროტისა. რამეთუ რომელი ცოდვიდეს, და ჰგონებდეს დაფარვასა, (115rD) სცთების, რამეთუ არა არს დაფარული, რომელი არა განცხადნეს. (3)

უკუეთუ შთაგითესოს შენ[7] მტერმან გულისთქუმაჲ ჴორცთაჲ, თქუ მისსა[8] (136rH) მიმართ: „ნუ იყოფინ ჩემდა მერმეცა შეწუხ-ებაჲ სულისა წმიდისაჲ, რომლითა აღვიბეჭდე დღედ გამოჴს-ნისა, (4) (195vA) რამეთუ კმა არს ჩემდა გარდასრული ჟამი, ვინაჲცა წერილ არს: „ყოველი ცოდვაჲ, რომელი ქმნეს[9] კაცმან, გარეგან ჴორცთა არს, ხოლო რომელი ისიძვიდეს, თჳსთა მიმა-რთ ჴორცთა ცოდავს“. (5)

ხოლო გონებითთა[10] ბრძოლათათჳს ზოგს-რე განსწავლულ ვარ, ვითარმედ: ძმასა ჰკითხა სხუამან ძმამან და თქუა: „ბილწნი გულისსიტყუანი აღმაშფოთებენ მე!“ ხოლო მან მიუგო: „წმიდა-თა მამათა იშჯთ ვიეთმე უბრძანიან შინაგან[11] შეშუებად[12] გუ-ლის(55rB)სიტყუათა, და მაშინღა ბრძოლად მათდა; ხოლო უუძლუ-რესთა ამცნებდიან[13] ყოვლად არა თანა-ზრახვად მათდა, ნუსადა[14] დაყოვნებამან ჴსენებისამან ქმნას ვნებაჲ ძნიად საკურნებელი“.

მაშინ თქუა ძმამან: „და რაჲ არს შინა-შეშუებაჲ[15] გულისსი-ტყუათაჲ და ესრეთ ბრძოლაჲ[16] მათდა მიმართ?“

---

1 მეტყუწლისა A. 2 სათნო-ეყოფოდენ BI, სათნო-ეყოფვოდენ ACDE. 3 ჰრცხუწნეს A. 4 არა I. 5 თქუწნსა A. 6 ჩუწულებაჲ A. 7 შენ – C. 8 თქუ მისსა] თქ˜მისა HI. 9 ქმნას BC. 10 გონებითა C. 11 შიგან B, შინაგან ACDEI. 12 შეშუწბად AC. 13 ამცნებდინ A. 14 ნუსადა ABCI, თქუენდა E (D-ში ეს სიტყვა ბუნდოვნად წერია, წაშლილია) + და DE. 15 შინა-შეშუწბაჲ A. 16 ბრძოლა E.

(1) რომ. 15,2. (2) მათე 5,16. (3) მათე 10,26; მარკ. 4,22; ლუკა 8,17. (4) ეფეს. 4,30. (5) I კორ. 6,18.

ხოლო მან მიუგო და ჰრქუა: „თუ რაჲ არს შეშუებაჲ[1] და ესრეთ ბრძოლაჲ მათდა მიმართ,[2] ისმინე: რაჟამს შემოიხუნეს მტერმან მოგონებანი ბილწნი და გულისსიტყუანი მწინკულევანნი,[3] მყის წარმოუდგენს დედაკაცსა პირკეთილსა ანუ მსგავსსავე მისსა უჯეროსა მიზეზსა განხრწნისასა შემაცთუნებე(655rE)ლსა; და ესე რაჲ იხილის მან, რომელი გონებითა იბრძო(127rC)ლებინ, არა შეშფოთნის ესევითართა მათ გულისსიტყუათაგან, არამედ დგის სიმჯნით წინააღდგომად მათდა, და მძაფრიად[4] ჰბრძავნ მათ, რამეთუ განუღის მათ და შინა შემოაწყუდინის, და ვითარცა შინა-შემოვიდიან იგინი, თანა-შემოტანე(196rA)ბითა ნივთისა მის, რომლითა ჰბრძოდიან, ჰკითხის მათ და ჰრქჯს:[5] ესე არსა დადგრომილი თქუენ შორის, რომლისათჯს დღე ყოველ მარადის მაშფოთებთ მე და აოცნებთ[6] გონებასა ჩემსა და აღაშფოთებთ[7] სულსა? მნებავს უკუე[8] გამოწულილვით ცნობად, რაჲ არს საჯ(68rI)მარებაჲ მისი!“ და ბრძანის მოღებად მისთჯს მახჯლსა გონიერებითსა, და მიიღის რაჲ, განაპის მჯდომი იგი მისი გონებითი, და თქჯს: „მნებავს ცნობად, რასა (95rK) ვჰპ(115vD)ოებ ამას შინა, — შუენიერებასა[9] ანუ მყრალობასა!“ და განაპის რაჲ, (136vH) პოვის შინაგან მისსა, რაჲ-იგი ყოველთა უწყით, რამეთუ განცხადნის კერძოჲ[10] იგი გულისთქუმისა ბილწებისაჲ.

ხოლო წინააღმდგომთა იხილიან რაჲ ძლეულებაჲ იგი, მოწევნული[11] მათ ზედა, შფოთებდიან და უნებნ შემრღუევად[12] გულისსიტყუაჲ იგი[13] ძმისაჲ, რაჲთა დაანთქან გონებაჲ მისი სხუათა მიერ გულისსიტყუათა, (55vB) და განაქარვონ[14] ღუაწლი იგი წინაგანწყობისა მისისაჲ, რამეთუ ეშინინ, ნუსადა სრულიად განცხადნეს[15] სირცხჯლი მათი.[16]

ხოლო რომელი-იგი[17] წინააღდგომით ჰბრძავნ მათ, თქჯს მათდა მიმართ: „რაჲსა[18] გნებავს შემოღე(655vE)ბად[19] სხუაჲ სხჯსა

1 შეშუებაჲ A. 2 ხოლო მან მიუგო და ჰრქუა: თუ რაჲ არს შეშუებაჲ და ესრეთ ბრძოლაჲ მათდა მიმართ — I. 3 მწიკულევანნი ABC, მწინკულევანნი DE. 4 მძაფრიად ABI, მზაფრიად C, მძლაფრიად DE. 5 რქჯს I. 6 აოცნებთ BDEI (fantazete), აცთუნებს A, აცთუნებთ C. 7 აღაშფოთებს AC. 8 უკუე AC. 9 შუენიერებასა A. 10 კერძო I. 11 მოწევნილი I. 12 შემრღუევად A. 13 იგი — A. 14 განაქარვოს AC. 15 განცხადნენ E. 16 მათი BC, მისი DE. 17 რომელი C. 18 რასა I. 19 შემოღებად ABC, შემოღებაჲ DE.

წილ, რამეთუ არა გიტევნე თქუენ განსლვად, ვიდრემდის გამოვიძიო ყოველი გამოწულილვად საქმისად, უკუეთუ ნამდჯლვე[1] შეყუარების[2] ღირს არს საქმე, რომელსა თქუენ აქებდით!“ მაშინ შეაწყუდიის ძმამან (196vA) ბრალი იგი უშინაგანესსა[3] საუნჯესა, ვიდრე (127vC) მესამედ ანუ მეოთხედ დღედმდე, და შემდგომად ამისსა განაღის ძმამან კარი, ცნობად ბრალისა მის მნებებელმან, და პირველ[4] შესლვადმდე[5] მისსა შინაგან, შეემთხჯის დაუთმენელი სიმყრალე, ვიდრემდის დაიყვის პირი და საყნოსელნი ჴელითა, და უჩუენებნ[6] წინააღმდგომისა გულისსიტყუათა, და თანამოქმედთა ცოდვისათა, დასასრულსა საქმისასა, წამისყოფითა მათდა მიმართ; ამისსა შემდგომად ჰრქჯს:[7] „რასა მომიგებთ ამისსა მიმართ?“ ხოლო იგინი სირცხჯლეულნი დაიკსნნიან,[8] ვითარცა კუამლი ჰაერისაგან, და ესრეთ იქმნის ძმად იგი უმაღლეს ვნებათა, თანამოქმედებითა მადლისადთა, და აღუარებნ უფალსა და ეტყჯნ: „გმადლობ შენ, უფალო ღმერთო ჩემო, რამეთუ არა მიმეც მე ჴელთა მტერთა ჩემთასა, არამედ განმარინე მე მახისაგან მონადირეთადსა, (1) და მადლმან შენმან განმანათლა მე გულისკმისყოფად ამათდა, რამეთუ არა ძალითა ჩემითა ვიკსენ საბრკეთა მათგან“.[9]

დავიდვათ უკუე,[10] ძმაო, მარადის შიში ღმრთისად წინაშე თუალთა ჩუენთა, რადთა მან დამიფარნეს ჩუენ, რამეთუ თჯნიერ საფარველისა ღმრთისა[11] კაცი არარად არს, და ფრიად არს ჰავკელოვნებად მტერთა ჩუენთად, არამედ უმეტეს არს შეწევნად ღმრთისად, რომელი გარე-(116rD)შეიც(656rE)ავს კაცსა, გარ(68vI)ნა არა (137rH) შეგუენდობვის[12] ხილვად მისი თუალითა ჩუენითა. (56rB)

შევიყუაროთ უკუე[13] ყოვლითა ძალითა ღმერთი, მაცხოვარი და შემწე ჩუენი, და მოყუასი ვითარცა თა(197rA)ვნი თჯსნი. (2)

---

1 ნამდჯლვე ABC, ნანდჯლვე EI. 2 შეწყნარების I, შეყუარების ABCDE (agaphsew~). 3 უშინაგანესა I. 4 პ˜დ AC. 5 შესლვადმდე ABC, შესლვამდე DE. 6 უჩუჩნებ A. 7 ჰრქჯს ACI, ჰრქუას BDE. 8 დაიკსნიან I. 9 მათგან AC, მათთაგან BDEI. 10 უკუჩ AC. 11 ღ˜დ EI. 12 შეგუჩნდობვის A, შეგუჩნდობის I. 13 უკუჩ AC.

(1) შდრ. ფს. 123,7. (2) მათე 22,37-39; მარკ. 12,30-31; ლუკა 10,27.

გაქუნდინ,[1] საყუარელო ძმაო, გონებასა[2] შენსა დღე აღსასრულისა შენისაჲ, რაჟამს მდებარე იყო ჭილსა შენსა ზედა სულთა-ბრძოლასა შინა. ჭ-მე! ჭ-მე! რაბამიღა შიში (128rC) შეიცავს სულსა მას ჟამსა, საყუარელო ძმაო! უკუეთუ რაჲმე კეთილი ექმნეს საწუთოსა ამას შინა, რომელსა შინა მსხემობდა, უკუეთუ ჭირი და ყუედრებაჲ[3] დაეთმინოს უფლისათჳს,[4] და სათნოებაჲ წინაშე მისსა ექმნეს, ფრიადითა სიხარულითა აღყვანებულ იქმნეს ზეცად, (95vK) წინამძღურობითა წმიდათა ანგელოზთაჲთა.

1 განგდებისა E. 2 საქმეთა A. 3 შემთხუჱვასა A. 4 ზედა – I. 5 ღ˜ღდყ˜ვ I. 6 ო˜ჲ EIK. 7 ღ˜ჲ EIK. 8 შთამაგდე ABC. 9 უფალი მათ BC, ∾ მათ უფალი DE. 10 ხადოდიან ABC, ხადიან DE. 11 შეგუჱმთხჯოს A. 12 ო˜ჲ EI. 13 მეტყუჱლისა A. 14 ზედა – DE. 15 საწუთროჲსასა DE. 16 განვიძუარცოთ I. 17 დაეკუჱთები A. 18 სულგრძელებაჲ] მოთმინებაჲ I. 19 მეტყუჱლისა A.

(1) იონა 2,3-4.

ფოთებ მე? ესევდ ღმერთსა, რამეთუ მე აუვარო[1] მას, მაცხოვარსა პირისა ჩემისასა და ღმერთსა ჩემსა“. (1)

ეტყოდე შენცა და არქუ: „რად სულმოკლე ხარ, ჶ[2] სულო ჩემო!“ ნუუკუე[3] მარადის გჯემსა ჩუენ საწუთოსა[4] ამას მკჯდრობაჲ? ისმინე მეტყუელისაჲ:[5] „მსხემ ვარი მე ქუეყანასა ზედა, ვითარცა ყოველნი (223rA) მამანი ჩემნი“.[6] (2) მოიგონებდ პირველ შენსა მკჯდრთა ამის მონასტრისათა, რომელსა აწ შენ ჰმსხემობ;[7] სცნობდ და იხილე, ვითარმედ, ვითარცა იგინი, ეგრეთვე ჩუენ წარყვანებად ვართ ნებითა ღმრთისაჲთა (152vC) ამის საწუთოჲსაგან; ხოლო უკუეთუ მართალთა ცხორებაჲ შემდგომად აღსასრულისაღა (133vD) არს, ვითარ-იგი წინაჲსწარმეტყუელი სურვილითა ყოფადისა ცხორებისაჲთა ჯმობს და იტყჯს: „ვითარ-სახედ[8] სურინ[9] ირემსა წყაროთა მიმართ წყალთასა,[10] ეგრეთ სურის სულსა ჩემსა შენდამი, ღმერთო!“ (3) ოდეს მოვიდე და ვეჩუენო[11] პირსა ღმრთისასა; რამეთუ ვითარცა საპყრობილედ შეჰრაცხდეს წმიდანი აწინდელსა ცხორებასა. ამისთჯს სხუაჲ იტყჯს: „აწ განუტეო[12] მონაჲ შენი, მეუფეო,[13] სიტყჯსაებრ შენისა, მშჯდობით!“ (4) ეგრეთვე მოციქულსაცა გულისთქუმაჲ აქუნდა განჯსნად ჯო(226rB)რცთაგან და ქრისტეს თანა ყოფად.

(71) ორნი ძმანი ბერნი შფოთ იყვნეს ურთიერთას[14] და შეემთხჯა ერთსა მათგანსა სნეულებაჲ. მივიდა უკუე[15] ძმაჲ ვინმე ხილვად ბერისა, (85rI) და ჰლოცვიდა ბერი ძმასა მას, და ჰრქუა: (156rH) „ბრძოლაჲ გუაქუს მე და მას რომელსამე[16] ბერსა, და მინდა, (683rE) რაჲთა ჰლოცვიდე მას, რაჲთა დავიმეგობრნეთ“. მიუგო ძმამან მან: „ჰეთუმცა[17] ძალ-მედვა მე კეთილისყოფაჲ[18] ვისიცა, გარნა რომელი მიბრძანე მე,[19] ვჰლოცვიდე, მამაო“. და გამო-რაჲ-ვიდა ძმაჲ იგი, განიზრახვიდა თავსა შორის თჯსსა:

---

1 აუარო B, აღუვარო DE, აღუარო ACI. 2 ჶ – A. 3 ნუუკუჷ AC. 4 საწუთოჲსა I. 5 მეტყუჷლისაჲ A. 6 ჩ˜ნნი CI. 7 ჰმსახურებ C. 8 ვ˜რ ს˜ხჷდ D. 9 სურინ ABCI, სურის DE. 10 წყალთასა AC, წყალთაჲსა BDEI. 11 ვეჩუჷნო A. 12 განუტეო AC, განუტევო BI, განუტევე DE. 13 მფ˜ჷო DI. 14 ორთიერთას D. 15 უკუჷ AC. 16 რომელსამე ACI, რომელსა BDE. 17 ჰჷთუმცა A. 18 კეთილისყოფად A. 19 მე – AC.

(1) ფს. 41,6. (2) შდრ. ფს, 118,19. (3) ფს. 41,2. (4) ლუკა 2,29.

ნუუკუე[1] არა თავს-იდვას ბერმან, უკუეთუ აწვე ჰლ(223vA)ოცვიდეს (109vK) მას, და უმეტესი განფიცხებად იქმნას,

და განგებითა ღმრთისადთა მოართუნა ვინმე ძმასა მას ხუთ-ნი ლელუნი და მცირედი ტუტად,[2] და გამოარჩია[3] ძმამან მან ერთი ლელჯ და მცირედი ტუტად,[4] და მიართუნა ბერსა სენაკად მისსა და ჰრქუა: „ესენი ვინმე მოართუნა ბერსა, და მან მარქუა მე: მიიხუენ[5] ესენი ბერისა!“

და ვითარცა ესმა ესე[6] ბერსა მას, განკჯრვებულ იქმნა და თქუა: „ჩემდა წარმოგზავნნაა[7] ესენი მან?“

და ძმამან ჰრქუა:[8] „ჰე,[9] მამაო!“

ხოლო ბერმან ჰრქუა:[10] „მამაო,[11] კეთილად მოხუედ!“[12] და განეშორა მიერ ძმად იგი სენა(153rC)კად თჯსა,[13] და მოიღო მიერ სხუადცა ლელჯ და მცირედი ტუტად, მიართუნა სხუასა მას ბერსა, მოუდრიკნა მუკლნი და ჰრქუა: „მიიხუენ[14] ესენი, მამაო, რომელ წარმოსცნა შენდა მან[15] ვინმე ბერმან!“

ხოლო ბერმან ჰრქუა: „დავიმეგობრენითა?“ და ძმამან მიუგო: „ჰე,[16] მამაო, ლოცვითა შენითა!“

და თქუა ბერმან: „დიდებად ღმერთსა!“

და დაიმეგობრნეს ბერნი იგი მადლითა ღმრთისადთა. რამე-თუ[17] ცვალნა იგინი ძმამან მან სიყუარულად სამთა მიერ ლე-ღუთა და მცირედისა ტუტისა, და ვერ ცნეს ბერთა, რად-იგი ყო ძმამან მან.

(72) საკრებულოსა შინა საკმარ იყო ძმად დად(683vE)გინებად განსაგებელსა ზედა; გამოირჩია წინა(134rD)მძღუარმან ძმად, ვი-თარი (226vB) სთნდა.

და ეგულებოდა რად ძმასა მას დატევებად სენაკისა თჯსი-სად, შეჰვედრნა ჭურჭელნი თჯსნი სხუასა ძმასა (224rA) და ჰრქუა: „უკუეთუ შემემთხჯოს მე გამოსლვად განმგეობისაგან,[18] კუალად მომცენ მე ესენი!“ ხოლო მან აღუთქუა მიცემად.

---

1 ნუუკუ AK. 2 ტუტად (to sukaminon) – თუთა. 3 გამოარჩინა A. 4 და გამოარჩია ძმამან მან ერთი ლელჯ და მცირედი ტუტად – I. 5 მიიხუნ A. 6 ესე – BCDEI. 7 წარმოგზავნნა ABDE, წარმოგზავნნაა I. 8 ჰრქუა A, თქუა A. 9 ჰ AI. 10 თქუა A. 11 მამაო – AC. 12 მოხუდ AC. 13 თჯსსა A. 14 მიიხუნ A. 15 შენდა მან CI] შენმან BDE. 16 ჰ A. 17 რამეთუ AI] ხოლო BDE. 18 განმგეობისაგან + და BDE.

და შემდგომად მრავლისა ჟამისა განეყენა ძმაჲ იგი განმგეობისაგან და თქუა: „უფროჲს განვისუენებ დაყუდებით სენაკსა შინა ჩემსა!“ და ჰრქუა ძმასა მას: „მომცენ, რომელნი დამესხნეს შენ თანა!“ (156vH) ხოლო მან არა ინება მიცემაჲ.

და ვითარცა იხილა ძმამან მან, რამეთუ განფიცხნებოდა, და არა უნდა მიცემაჲ,[1] დაიდუმა.

მაშინ სხუაჲ ძმათაგანი ჰლოცვიდა მას (85vI) და ეტყოდა: „ყავ სიყუარული, უკუეთუ რაჲმე დადვა შენ თანა ძმამან მან, ნურას დააკლებ მისსა; ნუუკუე[2] საშჯელმან[3] გარე-განგკადოს შენ!“

ხოლო მან მასცა მიუგო, ვითარმედ: „არარაჲ მაქუს მისი!“

და შემდგომად ხუთისა გინა ათისა დღისა, შეუკდეს ძმასა მას მიმხუეჭელსა[4] ჭურჭელთასა გულისსიტყუანი და ფრიადითა ჭირითა განიყვანეს იგი საკრებულოჲთ. და ვითარ-იგი წინამძღუარი ასწავებდა არა-განსლვად, აგინა მას და ესრეთ წარვიდა.

ხოლო ჯკონომოსმან ბრძანებითა (153vC) წინამძღურისაჲთა განაღო სენაკი ძმისაჲ მის და მას შინა პოვნილნი ჭურჭელნი განუყვნა ძმათა.

და შემდგომად[5] მცირედთა დღეთა შეინანა ძმამან მან,[6] და, უკუმოიქცა[7] რაჲ ადგიდ თჯსსა, პოვა სენაკი თჯსი განღებული, და ჭურჭელი მისი განყოფილი. (684rE) შეწუხნა ფრიად, და არა დაეყოვნა[8] მისაგებელსა, რაჲთა ეყოს მასცა, ვითარ-იგი მან უყო ძმასა. (224vA; 110rK)

(73) ძმამან ჰკითხა ძმასა ვისმე და ჰრქუა: „მამასა დაუწესებიე მე მისლვად პურისსაქმარსა, შექმნად პურისა ძმათაჲსა, და მოქმედნი იგი ერისკაცნი არიან და უბნობენ უჯეროსა, და ვერ ვირგებ სმენითა მათითა; რაჲ-მე უკუე[9] ვყო?“

ხოლო მან მიუგო და ჰრქუა: „არა (83rB) გიხილვანა ყრმანი წერილისა მოსწავლენი[10] ერსა შორის, და თითოეული თჯსსა წიგნსა იწურთის, და არა მოყუსისასა?[11] უწყის, რამეთუ თჯსსა უნებს მოძღურისა წარმოთხრობაჲ, და არა სხჯსასა. ხოლო

1 მიცემაჲ + და I. 2 ნუუკუჱ A. 3 სასჯელმან BDEI. 4 მიმხუჱჭელსა A. 5 შემდგომად – I. 6 მან AC, – DEI. 7 უკუმოიქცა ADI, უკმოიქცა CE. 8 დაეყოვნა ACIK, დაეყოვნებოდა BDE. 9 უკუჱ A. 10 მოსწავლელნი D. 11 მოყუსისა C, მოყუასისასა DE.

უკუეთუ გძლევს შენ ვნებაჲ, ისმინე მეტყუელისაჲ:[1] ყოვლისავე გამომცდელთა[2] უკეთესი შეიკრძალეთ“. (1)

(74) რომელი განამრავლებდეს სიტყუასა ძმათა შორის, განამრავლებს (134vD) თავისა თჳსისა სიძულილსა და ბრძოლასა; ხოლო რომელი ერიდებოდის ბაგეთა, შეყუარებულ იქმნეს.

დიდ ნათელ სულისა არს შიში უფლისაჲ და განმდევნელ[3] მისგან ბნელისა და წმიდა-მყოფელ მისსა.

(75) ძმანო, ლოცვასავე თანა საქმეცა განვაშუენოთ,[4] რამეთუ სასყიდელ არს, უკუეთუ უზაკუველად სრულ-ვჰყოფდეთ საქ-(157rH)მესა, რამეთუ რომელი ჴდომითა ანუ თავის-მოყუარულობითა[5] ანუ ვეცხლისმოყუარებითა[6] უგულებელს-ჰყოფდეს საქმესა, ესმეს წერილისაჲ: „საქმისაებრ[7] ჴელთა მისთაჲსა მიეც მას“. (2) (86rI)

რომელი კეთილითა სჯნიდისითა იქმოდის, ვითარცა ღმრთისა[8] და არა ვითარცა კაცთასა,* ღირს იქმნეს ჴმისა (684vE) მის კურთხეულისა: (154rC) „კეთილ, მონაო სახიერო და სარწმუნოო! მცირედსა ზედა სარწმუნო იქმენ;[9] მრავალსა ზედა დაგადგინო შენ; შევედ სიხარულსა უფლისა[10] შენისასა“. (3)

(76) უკუეთუ იჯმნე[11] საწუთოჲთ და გამოხჯდე[12] ქუეყანით შენით და ნათესავისაგან შენისა, და განგისუენოს შენ უფალმან ღმერთმან შენმან, ადგილსა, რომელსაცა გეგულებოდის მიერითგან განსუენებაჲ, ნუ გნებავს თავისა შენისა გამოღებად სახელი ადგილსა მას, დაღათუ მთავარ და დიდ იყავ[13] ქუეყანასა შენსა, არამედ თქუ გულისსიტყუასა შინა შენსა, ვითარცა წინაჲსწარმეტყუელმან: „გლახაკ და დავრდომილ[14] ვარი მე; ღმერთო ჩემო, შემეწიე მე!“ (4) და ღმერთი შეგეწიოს შენ და აღგამაღლოს შენ.

(77) **კითხვაჲ:** რაჲსათჳს სულმოკლე იქმნების ძმაჲ სენაკსა შინა?

---

* აქ წყდება A ხელნაწერის ტექსტი.

1 მეტყუჳლისაჲ A. 2 გამოცდილთა C. 3 განმდევნე D. 4 განვაშუჳნოთ A. 5 თავისა მოყუარულობითა I. 6 ვეცხლისმოყუარულობითა DE. 7 საქმისაებრ ABC, საქმეთაებრ DE. 8 ღ˜ჲ EI. 9 იქმენ + და C. 10 ო˜ჲ EI. 11 იჯმნე BCI, იქმნე DE. 12 გამოხჯდე BCDE. 13 იყო C. 14 დავრდომილი I.

(1) I თეს. 5,21. (2) ფს. 27,4. (3) მათე 25,23. (4) ფს. 69,6.

მიგებაჲ: ვიდრემდის ქუეყნიერნი[1] ეოცნებოდინ (83vB) სულსა თითოფერნი გულისთქუმანი ამის სოფლისანი და ამაონი გემოვნებანი,[2] გულისსიტყუათა მიერ კუეთებულნი სულისადა,[3] დაჰკსნიან სიმტკიცესა მისსა, ვინაჲცა სულმოკლე იქმნის ძმაჲ სენაკსა შინა ჯდომად. ხოლო უკუეთუ მოიძულოს მან სოფელი ესე და საცთური მისი, და წარუდგინოს[4] თავი თჳსი მონად უფალსა ყოვლითა გულითა და სულითა, ვერ უძლოს მის ზედა სულმოკლებამან, და მიერითგან განსუენებით[5] იქმნ საქმესა (110vK) თჳსსა, მაშინ წინა-აღუდგებინ[6] მას ბრძოლაჲ ცუდადმზუაობრობისაჲ, და ამასცა სდევნის მონაჲ უფლისაჲ მოკსენებითა თჳსისა ბუნებისა უძლურებისაჲთა, (685rE) და თუ[7] ვისნი ნიჭნი არიან იგი, მეტყუელისა მისებრ: „რაჲ გაქუს, რომელი არა (135rD) მიგიღებიეს? ხოლო უკუეთუ მიგიღებიეს, რაჲსა იქადი, ვითარცა არა-მიღებულსა?“ (1) კუალად ამისი ბრძოლაჲ არს უძლურებისა მიმართ კო(154vC)რცთაჲსა; ხოლო მონამან უფლისამან არცა ამისგან შეიშინოს, მეტყუელისა მისებრ: „ვინ განმაშორნეს ჩუენ სიყუარულისაგან[8] ქრისტჱსისა;[9] ჭირმან ანუ იწროებამან, ანუ დევნამან, ანუ სიყმილმან, გინა[10] შიშულოებამან“, (2) და შემდგომი. ხოლო ყოველთა ვნე(157vH)ბათა სული სიძვისაჲ[11] შეუდგს.[12] ევლტოდე სიტყუათა ბილწთა, და განერე გულისსიტყუათა მწინკულევანთა.[13]

(78) უკუეთუ გჳბრძანონ ჩუენ წინამძღურთა თანა-წა(86vI)რყოლად ძმათა ჩუენთა გარეგან საქმედ, წადიერებით მივრბიოდით; ნუმცა ვებაძვებით უუდებესთა, რამეთუ რომელსა ეძლოს და არა თანა-დაშურებოდის, მრავალსახედ დააჭირვებს თავსა თჳსსა; პ ი რ ვ ე ლ ა დ უკუე[14] სასყიდელსა განეკუეტის; მ ე ო რ ე დ, მიზეზ სცემს დრტჳნვად და ძჳრისზრახვად, ქმნითა საქმესა თავისმოყუარულობისასა; ხოლო არა უღირს მოსწრაფეთა მიხედვად უუდბეს-

1 ქ˜ყნიერი I. 2 გემოვნებანი CB, გულისთქუმანი + და DE. 3 სულისადა] გულისსიტყუათადა I. 4 წარუდგინოს BC, წარმოუდგინოს DE. 5 განსუენებით BC, განსუჱნებით K, განსუენებულ DE. 6 წინა-აღოდგებინ D. 7 და თუ BC] დაღათუ DE. 8 სიყუარულისაგან BDEI, სიყუარულისა მისგან C. 9 ქ˜სისა BCD. 10 გინა BC, ანუ DE. 11 სიძვისა I. 12 შეუთქს I. 13 მწიკულევანთა C. 14 უკუჱ C.

(1) I კორ. 4,7. (2) რომ. 8,35.

თა[1] ძმათა, რამეთუ არავინ ჟამსა სთულობისასა[2] ჰრქჳს მოყუასსა, რომელი არა შეიკრებნ თავისა თჳსისად იფ(84rB)ქლსა, ვითარმედ: „არცა მე[3] შევიკრებ, ვინაჲთგან შენ არა შეიკრებ!“ არამედ თითოეულსა ვიდრე ჟამი აქუნდეს, შეიკრებს თავისა თჳსისა საზრდელსა, მისთჳს და საცხოვართა თჳსთა(686vE)თჳს, რაჲთა უნაკლულოდ ეგოს, და უკუეთუ ჯორციელთა[4] შინა ესოდენი მოსწრაფებაჲ არს, რაოდენ უფროჲს სულიერთა!

(79) წინა-წარძღუანებად პატივი ბერთა — კეთილ, და თანალმობაჲ უძლურთაჲ ჯეროვან არს; ხოლო ბრძენნი ბერნი — საცხებელ ძმათა და სიმტკიცე სულისა.

(80) დასაბამ ამპარტავანებისა — არა ძალისაებრ თანა-დაშრომაჲ ძმათაჲ; ხოლო შევკრბებოდით რაჲ საქმედ, ნუ მრავლისმეტყუელ[5] ვართ, არამედ მოსწრაფებაჲ ჩუენი იყავნ, რომლისათჳსცა გამოვედით. (155rC)

(81) უშიშოებაჲ შობს ამპარტავანებასა, ხოლო ამპარტავანებაჲ — დედა ურჩებისა; ხოლო სიმდაბლემან და სიმშჳდემან მომგებელი მათი შემშჭუალულ[6] ყვიან შიშსა უფლისასა, ვითარცა სუეტი, დაფუძნებული ტაძარსა შინა უფლისასა.

(82) შეუტყუებელ მონაზონისა[7] თანა-ქცევაჲ დედაკაცისაჲ. ხოლო ქალწულისა თანა ნუცაღა (135vD) ყოვლად მიეახლები, უკუეთუ ყოვლად არს-ღა შენ თანა ჯორციელი ცნობაჲ, რამეთუ მონაზონი ღჳნო-სუმული, რომელი იქცევინ დედათა თანა, არარაჲთ განყოფილ არნ მათგან, რომელთა ცეცხლსა შთააგდიან თავი თჳსი. ხოლო რომელი ევლტოდის მიახლებასა მათსა,[8] განერეს ვითარცა ქურციკი საფრჯესა,[9] და ვითარცა მფრინველი მახესა. (111rK)

(83) ძმაო, შურებოდე სიჭაბუკითგან შენით, რაჲთა არა შეინანო აღსასრულსა შენსა; (158rH) ნუ ჰბაძავს გული შენი კაცთა ცოდვილთა, რამეთუ წერილ არს: „ნუ ეშურები ბოროტისმოქმედთა, ნუცა ჰბაძ(687rE)ავ უშჯულოების[10] მყოფელთა, რამეთუ ვითარცა თივაჲ[11] მსთუად განკმენ, და ვითარცა მხალი

1 უუდებესთა D. 2 სთულობისასა BCI, სთლობისასა DE. 3 მე BCI, — DE. 4 ჯორციელთა BC, ჯორცთა DE. 5 მრავლისა მეტყუელ C. 6 შემსჭუალულ DEI. 7 მონაზუნისა D. 8 მათსა + და DE. 9 საფრჯესა B, საბრჯესა CDEI. 10 უსჯულოების DE. 11 თივა I.

მწ(87rI)უანვილისაჲ მსწრაფლ დამოცჴვენ.[1] ესევდ უფალსა და ყავ სიტკბოებაჲ. (1)

(84) ძმაო, უკუეთუ ძმაჲ შენი ბო(84vB)როტად იქცეოდის, ასწავებდ მას და არქუ: „დასცხერ, ძმაო, რამეთუ არა შეგიგავს[2] ქცევაჲ ეგე!“ მოართუემდ მას სახესაცა ერთისა დაცემულთაგანისასა; არა ვითარმცა ბრალსა ძმისასა ჰბასრობდ, არამედ რაჲთა მსმენელსა სარგებელ ეყო, რაჲთა მიხედვითა მისდა შედგომილისა ზღვევისაჲთა ევლტოდის ბრალსა. მოართუ მას[3] ჴსენებაჲ სათნოყოფილთაცა უფლისათაჲ, და განურჩიენ მას ორთავე მისაგებელნი; და უკუეთუ ისმინოს შენი, შეიძინე ძმაჲ შენი, ხოლო უკუეთუ დაადგრეს მასვე ცნობასა ზედა, და სხუათაცა სწავლასა (155vC) უსმ იყოს, აღსრულებითა საქმესა შეურაცხისმყოფელობისასა, დაიცევ თავი შენი მისგან და ილოცევდ მისთჴს უფლისა[4] მიმართ, მეტყუელისა მისებრ, ვითარმედ: „უკუეთუ ვინმე არა ერჩის სიტყუასა ჩუენსა, ეპისტოლითა ამით შეისწავეთ, და ნუ ვითარცა მტერი შეგირაცხიეს, არამედ ვითარცა ძმასა ასწავებდით; და ნუ თანა-აღერევით მას, რაჲთა შეჰრცხუენდეს“; (2)

(85) რამეთუ ვინ იხილა ოდესცა მოყუასი მავალად[5] გზასა, რომელსა შინა შთაიჭრა და მოკუდა, და არა ივლტოდა[6] გზისა მისგან, რაჲთა არა მასვე დაცემასა შთავარდეს.

(86) ნუ სცთები, ძმაო, განძღომითა მუცლისაჲთა, და ნუ დაითრვები ღჴნითა, რომლითა არს (687vE) სიბილწე, (3) რამეთუ არარაჲ არს შესაძინელ[7] შენდა, თჴნიერ ქმნაჲ ნებასა უფლისასა.

(87) დაიცევ, ძმაო, სიწმიდე ჯორცთა შენთაჲ, რამეთუ უკუეთუ ესე დაიცვა სიყუარულითა ქრისტჱსითა, ყოველი სათნოებაჲ ადვილად შეუძ(136rD)ლო წარმართებად,[8] რამეთუ სულსა წმიდასა, დამკჴდრებულსა შენ[9] შორის,[10] უხაროდის შენ შორის,[11] რამეთუ ტაძარსა ღმრთისასა მოაკუმევ სიწმიდითა და მართლი-

1 დამოცჴვენ BCDE, დამოსცჴვენ I. 2 შეგიგავს BCI, შეგგავს DE. 3 მოართუ მას BCI, მოართუამს DE. 4 ო˜ჲ I. 5 მავალად BI, – DE. 6 ივლტოდა BCI, ივლტოდის DE. 7 შესაძინებელ DE. 8 წარმართებად BC, განმართებად DE. 9 შენ BDEI, ჩუენ C. 10 შენ შორის – I. 11 **To gar Agion Pneuma to enoikoun en soi, cairei en soi.**

(1) ფს. 36,1-3. (2) II თეს. 3,14. (3) ეფეს. 5,18.

თა გულისსიტყჳთა, ამისთჳს განგაძლიეროს შენ ყოვლისა მიმართ საქმისა კეთილისა.

სამნი ესე არიან ჭურჭლებ[1] სულისა, საქმრად სათნოებათა და წარსამართებელად საღმრთოჲ(123rB)სა სიწმიდისა: მარხვაჲ მუცლისაჲ; შეკ(158vH)რძალვაჲ ენისაჲ და აღჳრ-სხმაჲ თუალთაჲ. უკუეთუ ორნი იგი შეიკრძალნე, ხოლო თუალნი არა შეიკრძალნე განტევებისაგან, ვერ მტკიცედ იპყრა სიწმიდე, რამეთუ ვითარცა სოლინარი შემუსრვილი წარსწყმედს (87vI) წყალსა, ეგრეთვე თუალნი განტევებულნი წარსწყმედენ გონებასა სიწმიდისაგან.

რაჟამს საჭმლისა გულისთქუმაჲ აღვიდეს გულად შენდა, ესრეთ არქუ გულისსიტყუასა: „შეჰრა(156rC)ცხე, ვითარმედ გუშინ მიგიღიეს[2] საჭმელი იგი; დღეს არა უზმაჲვე[3] (111vK) აღსდგებოდეა?“

ხოლო უკუეთუ ურგებისა სიტყჳსა კითხვად აღგძრვიდეს შენ, არქუ გონებასა შენსა: „შეჰრაცხე, ვითარ-თუმცა გიკითხავს, და მოუგიეს მოყუასსა, და დადუმებულ არს!“

ხოლო უკუეთუ მიმოხედვად გაწუევდეს, არქუ: „ამისთჳს ჰზი აქა, (688rE) რაჲთა არა განიცადო შუენიერებაჲ სხჳსაჲ!“

თავსა თჳსსა ეკრძალე, და ნუ უდებ ხარ, რაჲთა იქმნეს გონებაჲ შენი შემშჭუალულ[4] შიშსა უფლისასა, მეტყუელისა მისებრ: „განმშჭუალენ[5] შიშითა შენითა ჴორცნი ჩემნი, რამეთუ საშჯელთა[6] შენთაგან შემეშინა“. (1)

(88) ვჰგონებ, ვითარმედ შეუგავს მონაზონსა, უფროჲსღა ჭაბუკსა, არა გამოსლვად სენაკით თჳნიერ ვარიმანდისა[7] ანუ სხჳსა რაჲსმე საბლარდნელისა, რომელი-იგი სახეკეთილობასა მისცემს მას, რამეთუ შიშულითა კუართითა გინა მოკლითა რაჲთმე ჭაბუკურად სლვაჲ ბილწ არს მონაზონისა,[8] რამეთუ წერილ არს: „მოირტყ[9] და მოიკუართენ სანდალნი შენნი და მოიბლარდნე სამოსელი შენი და შემომიდეგ მე!“ (2)

1 ჭურჭლებ BDE, ჭურჭელ CHIK. 2 მიგიღიეს BC, მიგიღებიეს DEIK. 3 ~ არავე უზმაჲ K. 4 შემსჭუალულ IDE. 5 განმშჭუალენი B, განმსჭუალენ DE, განჰმსჭუალენ I. 6 სასჯელთა I. 7 ვარმანდისა I. ვარიმანდი (katanwtion) – მხრებზე მოსასხამი. 8 მონაზონისაჲ I. 9 მოირტყ BCI, მოირტყენ DE.

(1) ფს. 118,120. (2) საქმე მოც. 12,8.

არა ჯერ-არს მონაზონისა ვნებულებით ბანად კორცთა[1] გინა ფერკთად, რამეთუ ვითარცა გემოთმოყუარენი კორცთა და სამოსელთა განშუენებითა მოინადირებენ თავთა თჳსთა გემოვნებათა, ეგრეთვე ღმრთისმსახურებისა მოღუაწენი წინააღმდგომითა[2] განეწყობვიან[3] წინა(136vD)აღმდგომთა.

(89) არა ჯერ-არს ყოვლადვე ქმნად (123vB) რასმე[4] საჩუენებელად კაცთა, არამედ ყოველსავე წმიდითა გონებითა, ვითარცა წინაშე ღმრთისა,[5] მეცნიერისა საიდუმლოთა დაფარულთადსა, და ვითარცა მის მხოლოდსაგან მომღებელთა მოსაგებელისათა. (159rH)

არა ჯერ-არს უცხოდ (156vC) ზრახვად შემოღებად, უფროდსღა ჟამსა ლოცვისასა, რადთა არა განკუეთა-ვსცეთ ურთიერთას. აჰა ე(688vE)სერა, ძმანი ჩუენნი იქმან და ჩუენ მიმოვვარდებით; იგინი სმენითა საღმრთოთა[6] წერილთადთა ირწყვებიან, ვითარცა ქუეყანად წყურიელი წჳმისაგან, ხოლო ჩუენ რაჟამს შინაცა ვი(88rI)ყვნეთ, გარე განბნეულ ვართ გულისსიტყჳთა! იგინი ფრთხილ არიან, ხოლო ჩუენ უდებ ვართ! იგინი იღჳძებენ ლოცვათა შინა, ხოლო ჩუენ ძილითა და მცონარებითა შეგჳკრვან თავნი თჳსნი! იგინი მიიწინეს გჳრგჳნთა, ხოლო ჩუენ დავშთით უდებებასა შინა ჩუენსა; იგინი უფალსა სათნო-ეყვნეს, ხოლო ჩუენ — სოფელსა!

განვიფრთხოთ უკუე[7] ჩუენცა, რადთა ვეწინეთ, რამეთუ ყოველი მთხოველი მიიღებს, და მეძიებელი ჰპოებს, და მრეკალსა განეღების. (1) რამეთუ ტკბილ უფალი ყოველთა ზედა, და წყალობანი მისნი ყოველთა შინა საქმეთა მისთა; მისსა დიდებად საუკუნეთა უკუნისამდე, ამენ.[8] *

* მომდევნო თავები (90-100) ქართულ თარგმანში აღარაა. როგორც ჩანს, მთარგმნელს ბოლონაკლული დედანი ჰქონია.

1 კორცთა BC, კორცთად DEI. 2 წინააღდგომითა C. 3 განეწყობვიან BC, განეწყვებიან D, განეწყობიან I. 4 რასმე BCI, – DE. 5 ღ˜Ა EI. 6 ს˜ღᲐთა I. 7 უკუᲗ C. 8 ამინ B, ა˜ნ CDI.

(1) მათე 7,8; ლუკა 11,10.

სიყუარულისათჳს

გეშინოდენ ღმრთისა,[1] საყუარელო, და მცნებანი მისნი დაიცვენ, და იხილნე თჳთ შეურაცხისმყოფელნი იგი შენნი მსწრაფლ უკუანა-კერძო შენსა, დაღათუ არა აქა, არამედ მუნ.

დაიცევ სიყუარული, ვითარცა გუ(112rK)გაჲ თუალთაჲ, რამეთუ ცხორება[2] არს მას შინა და ნათელ! დაიცევ იგი, რამეთუ სიხარულ არს ყოველთა შემტკბობელთა მისთა, მონაგებ საღმრთო,[3] ანგელოზებრ პატივ; დაიცევ იგი; უკუეთუ შეიყუარო იგი, განახლდეს, ვითარცა ორბისა სიჭაბუკე შენი. (1) უკუეთუ დაიცვა იგი, იყოს[4] შენდა სიხარულ წინაშე ღმრთისა;[5] უკუეთუ შეიყუარო იგი, ყოველსა შინა წარჰმართნეს[6] საქმენი შენნი; უკუეთუ შეიყუარო იგი, დაიმკჳდროს შენ თანა მადლმან ღმრთისამან, და იყ(688rE)ოს მადლი იგი წყარო, აღმომაცენებელ კურნებისა[7] ყოველთა კაცთა, და სულნელებამან[8] მისმან (124rB) ახაროს გულსა შენსა, რამეთუ არს იგი სუეტ ყოველთა (157rC) სათნოებათა. არა არს მის შორის მწუხარებაჲ სიკუდილისაჲ, არამედ ასწავებს სიმართლესა და სიმჯნესა, მოთ(137rD)მინებასა და მშჯდობასა. სახლ არს ღმრთისა,[9] დაიცევ იგი. თავადმან უფალმან მოგუანიჭენ ჩუენ იგი და ნაყოფნი მისნი. მისსა დიდებაჲ უკუნისამდე, ამენ.[10]

საყუარელნო, ვიყუარებოდით ურთიერთას, და მტერი სირცხჳლეულ იქმნეს, რამეთუ (159vH) არა დასცხრების იგი აღდგინებად ღელვისა[11] და შურისა მონათა ზედა ღმრთისათა,[12] რამეთუ, რომელნი-იგი[13] შედგომილ იყვნენ ზრახვასა მტერისასა, იხილონ რაჲ მათ შორის ძმაჲ, რომელი ყოვლითა სულითა სათნოდ ჰმონებდეს უფალსა, არა სათნო-უჩნს, არამედ სივერაგეთა აღადგენენ, მნებებელნი წარდევნად მისსა, რამეთუ ეშინინ, ნუუკუე[14] წარემა(88vI)რთოს რაჲ ჭეშმარიტითა ღმრთისმოშიშებითა, უძლიერეს მათსა იქმნეს. და ესრეთ, იგი განიდევნოს რაჲ და

1 ღ˜ჲ EI. 2 ცხორებაჲ EI. 3 ს˜ღთჲ I. 4 იყოს + იგი I. 5 ღ˜ჲ EI. 6 წარმართნეს C. 7 კურნებისაჲ I. 8 სურნელებამან C. 9 ღ˜ჲ DI. 10 ა˜ნ CEI, ამინ BD. 11 ღელვათა I. 12 ღ˜ჲთა I. 13 რომელნი CBI. 14 ნუუკუ C.

(1) ფს. 102,5.

წარვიდეს, უბრალო იქმნეს მიერ განშორებისათჳს, ხოლო მიზეზ-ქმნილნი მისდა — არა უბრალო იყვნენ.[1]

ესრეთ იოსებ[2] მონად მიისყიდა ეგჳპტედ.[3] ხოლო ღმერთმან, რომელი მას[4] სულსა შინა აქუნდა, არა უგულებელს-ყო იგი, არამედ მისცა მას მადლი და სიბრძნე წინაშე ფარაოჲსსა, მე-ფისა მეგჳპტელთაჲსა, და დაადგინა იგი მთავრად ეგჳპტესა ზედა, და ყოველსა სახლსა თჳსსა, და რომელთა განწირეს იგი, მირბიოდეს ძღუნითა, (688vE) არა ვითარცა ძმასა თანა, არამედ ვითარცა მეფესა და უფალსა ყოვლისა ეგჳპტისასა,[5] რამეთუ წერილ არს: „უფალი განაქარვებს ზრახვასა წარმართთასა, შეუ-რაცხ-ჰყოფს გულისსიტყუასა ერთასა, და შეურაცხ-ჰყოფს ზრახ-ვასა მთავართასა. ხოლო ზრახვაჲ უფლისაჲ უკუნისამდე ჰგი-ეს“. (1) და კუალად: „უფალი მწე ჩემდა, და არა შემეშინოს, რაჲ მიყოს მე კაცმან“. (2)

დავიცვათ უკუე[6] სიყუარული არა-დაბრკოლებითა ერთისა (157vC) მცირეთაგანისაჲთა, რამეთუ უფალსა და მაცხოვარსა ჩუენსა იესუ ქრისტესა უბრძანებიეს,[7] ვითარმედ: „უმჯობეს არს მისსა, რაჲთა დამოიკიდოს წისქჳლი (124vB) ვირით საფქველი ქედსა თჳსსა,[8] და დაინთქას უფსკრულსა ზღჳსასა, ვიდრე დაბ-რკოლებად ერთსა მცირეთაგანსა, ჩემდა მომართ მორწმუნესა. (3) ამენ[9] გეტყჳ თქუენ, რამეთუ ანგელოზნი მათნი მარადის ხედ-ვენ[10] პირსა მამისა ჩემისა ზეცათაჲსასა.[11]

ვიყუარებოდით ურთიერთას, საყუარელნო ძმანო, რაჲთა იხ-ილოს უფალმან სარწმუნოებაჲ და ერთნებაობაჲ ჩუენი,[12] რომელ გუაქუს[13] (112vK) ურთიერთას შიშისათჳს მისისა, და განიხაროს ჩუენ შორის, ვითარცა წერილ არს: (137vD) „იხარებდეს უფალი ქმნულთა თჳსთა ზედა“. (4)

განიფრთხვე,[14] ძმაო, და ეკრძალე თავსა თჳსსა, რამეთუ

---

1 იყვნენ BDE, იქმნენ I. 2 იოსიფ DE. 3 ეგჳტედ D. 4 მ˜ს DEI. 5 ეგჳპტისასა BCDE, ქუეყანისასა I. 6 უკუ˜ E. 7 უთქუამს BCI, უბრძანებიეს DE. 8 თჳსსა BCI, მისსა DE. 9 ა˜ნ BD, ამინ C. 10 ხედვენ BCI, ჰხედვენ DE. 11 ზეცათაჲსასა BI, ზეცათაჲსა DE. 12 ~ სარწმუნოებაჲ ჩუენი და ერთნებაობაჲ C. 13 გუაქუნდეს C. 14 განიფრთხუ˜ K.

(1) ფს. 32,10-11. (2) ფს. 117,6; შდრ. ფს. 55,5; 55,12. (3) მათე 18,6. (4) ფს. 103,31.

ფრიად არიან სივერაგენი მტერისანი, რამეთუ უკუეთუ იხილოს ეშმაკმან ძმაჲ, განფრთხობად მნებე(160rH)ბელი, სხუასა[1] უუდბესთა[2] ძმათაგანსა აღადგენს მის ზედა, ვიდრეღა მრავალგზის ჴელიცა მიაყოფიის მას ზედა. მერმე, იქმნეს რაჲ სიყუარული, თჳთ მას სიყუარულსაცა სივერაგით განამრავ(689rE)ლებნ კადნიერ ყოფად ურთიერთას, არა სათნოებისათჳს,[3] არამედ რაჲთა ესევითარითა მით სიყუარულითა შეუმრღჳნეს გონებანი მათნი, და თანა-შეაზაოს[4] გულისსიტყუასა (89rI) მათსა ვნებულ-გემოვნებაჲ, და იქმნეს დიდი ბოროტი. ვინაჲცა, შემდგომად განწირვისა,[5] მრავალგზის ესოდენ აღაორძინებს სიძულილსა, რაჲთა ზეშთაგარდაჰრიოს[6] უჯეროსა მას სიყუარულსა მათსა. ხოლო მოშიშმან ღმრთისამან არაოდეს ვინ შეიყუარის, თჳნიერ ზეგარდამოჲსა სიბრძნისა, რამეთუ წერილ არს, ვითარმედ: „ზეგარდამოჲ სიბრძნე პირველად სიწმიდე არს, მერმე მშჳდობა“,[7] (1) და შემდგომი:

უკუეთუ ძმათა თანა ჰმკჳდრობ,[8] ნუ ჩუეულ ხარ ბრძანებად. არამედ უფროჲსღა, სახე-ეყავ მათ[9] კეთილთა საქმეთათჳს და ერჩდი (158rC) სხუათა მიერ თქუმულსა შენდა. ხოლო უკუეთუ იტყოდი-ცა ჟამსა საკმარებისასა, ვითარცა თანამზრახვალი ექმენ. და უკუეთუ სხუაჲ ძმაჲ წინა-აღუდგეს შენ მიერ თქუმულსა, ნუ აღიძრვი გონებითა, არამედ დაუტევე ნებაჲ შენი სიყუარულისათჳს და მშჳდობისა: რამეთუ უკუეთუ ეშმაკი რისხვისა და გულ(125rB)ისწყრომისაჲ[10] სიმშჳდითა განჰკადო შენგან, არღარაჲ ეძლოს შენ ზედა. ვინაჲცა არქუ წინააღდგომით[11] მზრახვალსა შენდამი: „მე, კურთხეულო,[12] ესრეთ განცდითა, ვითარცა მსოფლელმან ესე ვთქუ, და შემინდვე მე უმეცრებისათჳს. ხოლო იქმენინ ეგრე, ვითარცა შენ გითქუამს!“ და[13] ესრეთ მართლუკუნ-იქცეს უქმად და სირცხჳლეულად შფოთთა ამათ მწმასნელი ეშმაკი. რამეთუ (689vE) ძლევის-მოყუარებაჲ და თჳსსა ნებასა დამტკიცებაჲ აღადგინებს შფოთსა და რისხვასა ძნიად საკურნებელსა, და რისხვაჲ წიაღთა შინა უღმრთოთასა განდ-

1 სხუათა I. 2 უუდბესთა BCI, უუდებესთა DE. 3 სათნოებათათჳს I. 4 თანა-შეაზავოს BC, თანა-შეაზაოს DEI. 5 განწირვისა + და DE. 6 ზესთაგარდაჰრიოს DE. 7 მშჳდობაჲ CEI. 8 მკჳდრობ I. 9 მათ BI, მას DE. 10 გულისწყრომისა I. 11 წინააღმდგომით I. 12 კ˜ხლო DE. 13 და – I.

(1) იაკ. 3,17.

ისუენებს, და წამი გულისწყრომისა მისისაჲ დაცემა[1] მისსა. და მოციქული ამცნებს და ეტყჳს: „მონისა უფლისა[2] არა ჯერ-არს ლალვაჲ“. (1) (138rD)

კუალადცა მოციქული რაჲ იტყოდის, სიწმიდე თქუენი განშორებად თქუენდა სიძვისაგან, რამეთუ ღუაწლი დიდი არს შორის სიწმიდისა და[3] ბილწებისა თანა, მოქმედნი ბილწებისანი შთაუგდებდიან და ეტყ(160vH)ოდიან ამათ:[4] „აჰა არავინ გხედავს შენ, და ვისგან გეშინის!“ ხოლო თანამოქმედნი სიწმიდისანი წინააღუდგებოდიან მათ, ვითარმედ: „ღმერთი მხედავს და ანგელოზნი მისნი, და ვითარ შენ იტყჳ, — ვინ გხედავს შენ!“ განმცდელი ეტყჳნ: „ჯერეთ აქა არავის ვხედავთ!“ რამეთუ წერილ არს: (89vI) „დააბრმნა იგინი სიბოროტე(113rK)მან მათმან, და არა ცნნეს საიდუმლონი[5] ღმრთისანი“. მიუგიან თანამოქმედთა კეთილ(158vC)ისათა: „წინაჲსწარმეტყუელი ჴმობს და იტყჳს: გულისჴმა-ყავთ,[6] უგუნურნო ერისანო და ცოფნო! ოდეს-მე გულისჴმა-ჰყოთ?[7] რომელმან დაჰნერგა ყური, არა ესმისა? ანუ რომელმან შექმნა თუალი, არა ხედავსა?[8] (2) და სხუასა ფსალმუნსა[9] შინა იტყჳს: უფალო, გამომცადე მე და მიცან მე, შენ სცან[10] დაჯდომაჲ ჩემი და აღდგომაჲ ჩემი; შენ სცნენ გულისსიტყუანი ჩემნი შორით. (3) და შემდგომი ფსალმუნისაჲ.[11] და მოციქული იტყჳს: მის შორის ცხოველ ვართ, და ვიძრვით და ვართ. (4) ვითარ შენ მეტყჳ, ვითარმედ: „არავინ გხედავს შენ“, რამეთუ თჳთ უფალი იტყჳს, (125vB) ვითარმედ: ამენ[12] გეტყჳ თქუენ, დაღათუ ესენი დუმნენ, ქვანიცა ღაღადებდენ-ვე“. (5) (690rE)

ამათ იგონებდ გულისსიტყუასა შინა შენსა,[13] და ცოდვაჲ არა[14] გეუფლოს შენ, არცა მწუხარებაჲ რაჲმე ცოდვისაჲ[15] გეწიოს შენ, არამედ მშჳდობაჲ და სიხარული სულითა წმიდითა, რამეთუ

1 დაცემა BCDE, დაცემასა I. 2 ო˜ჲსაჲ B, ო˜ისა D, ო˜ჲ EI. 3 შორის სიწმიდისა და B] და წმიდა DE (წ˜ჲ D). 4 ამას I. 5 საიდუმლონი — DE, საჲდუმლონი C. 6 გულისჴ˜ჲ-ყავთ E. 7 გულისჴ˜ჲ-ჰყოთ EI. 8 ანუ რომელმან შექმნა თუალი, არა ხედავსა? — I. 9 ფსალმონსა D. 10 ცან CI, სცან BDE. 11 ფსალმონისაჲ D. 12 ამინ B, ა˜ნ CDI. 13 შენსა + შენ ზედა E. 14 არ˜ჲ D. 15 ცოდვვისაჲ B, ცოდვისა I.

(1) II ტიმ. 2,24. (2) ფს. 93,7-8. (3) ფს. 138,1 (4) შდრ. რომ. 14,8; გალ. 2,20. (5) ლუკა 19,40.

ცოდვასა ბნელი და არმურაანსა[1] მწუხარებასა შთაგდებაჲ შეუდგს[2] მოქმედთა მისთაჲ, ხოლო სიწმიდესა — სიხარული და მშჯდობაჲ.[3] ვინაჲცა დაყუდებით რაჲ მჯდომარე იყვის სენაკსა შინა თჳსსა, ესრეთ იხარებნ სული მისი სულითა წმიდითა, ვითარცა ჩჩჳლი ძუძუთა შორის დედისა თჳსისათა. ამისსა შემდგომად კუალად იქცის მადლი და ჰყოფნ მას მგლოვარე და მტირალ, ჴსენებითა პირველ ქმნულთა[4] ცოდვათაჲთა, რაჲთა არა გარდარეულითა სიხარულითა განლაღებულსა შეუბრკუმეს; და ცრემლთა მათ მიერ[5] განბრწყინდების სული ხედვად ზეცისათა, ნიჭთა მათებრ საუფლოთა.

დიდი ნიჭი არს სიწმიდე, სიყუარულისა[6] თანა ქრისტჱსისა,[7] მეტყუელისა მისებრ: „ნეტარ იყვნენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ“. (1)

მან თავადმან უფალმან, აღმადგინებელმან დაცემულთამან, და მაცხოვარმან განწირულთამან[8] და სინანულითა განმაახლებელ(138vD)მან (161rH) ცოდვისა მიერ შემწინკულებულთა[9] ასოთა-(159rC)მან უბიწოდ დაიცვენინ ჴორცნი თქუენნი და სამშჯნველი და სული, (2) რამეთუ მისი არს დიდებაჲ უკუნისამდე, ამენ.[10]

უკუეთუ დაეყუდოს მონაზონი სენაკსა შინა თჳსსა, მრავალთა შფოთთაგან იჴსნების; ხოლო ჩჩჳლი საცნობელითა უკუეთუ მიეახლოს შფოთსა, არაჲ სარგებელ-იყოს, გარნა სრულმან[11] გულისსიტყჳთა სარგებელი მოისთულოს,[12] არამედ ე(92rI)გრეთცა დაყუდებაჲვე[13] უმჯობეს არს, ვითარ რასა ვიტყჳ:

ძმაჲ წარვალნ ქალაქად, (290vE) შეემთხჳის[14] მას სიმრავლე კაცებისაჲ, და ხედავნ რომელთამე მოცინარად, და რომელთამე — მტირალად, სხუათა — მფუცავად დიდისა ფიცისა, სხუათა — მგმობრად.[15] ხოლო ძმაჲ იგი მხე(126rB)დველი უკუეთუ უძლურ

1 ალმურაანსა B, არმურაანსა DE, ალმურუანსა I. 2 შეუთქს BI. 3 მშჯდობაჲ + და E. 4 ქმნულთა B, ქმნ˜ლთა DI, ქმნილთა B. 5 მიერ — I. 6 სიყუარულისა BC, სურვილისა DE. 7 ქ˜სისა BDI, ქ˜ესისა C. 8 და მაცხოვარმან განწირულთამან — DE. 9 შემწიკულებულთა CDE. 10 ამინ BCD, ა˜ნ I. 11 სრულმან BCI, სულიერმან DE. 12 მოისთლოს I. 13 დაყუდებაჲვე BCI, დაყუდებაჲ DE. 14 შეემთხჳის BCI, შეემთხჳა DE. 15 მგმობრად C, მგმობარად DEI.

(1) მათე 5,8. (2) შდრ. I თეს. 5,23.

იყოს გულისსიტყჳთა, მყის ფარისეველისაჲ[1] იგი შეემთხუევის თქუმად: „გმადლობ შენ, უფალო ღმერთო, რამეთუ არა ვარ სწორ ამათ კაცთა!“ (1) ანუ მრავალგზის ვნებადცა რადმე გარდაექ-ცის. ვინაჲცა უმჯობეს არს დაყუდებაჲ, უფროჲსღა უუძლურ-ესთათჳს.[2] (113vK)

ხოლო სრულმან გულისსიტყჳთა, იხილნეს რაჲ პირველ თქუმულნი იგი, განცჳბრებად მოვალს სულგრძელებასა ზედა ღმრთისასა, და იტყჳნ[3] თავსა შორის თჳსსა: „ეჰა, რაბამღა სულგრძელებაჲ ღმრთისაჲ, რამეთუ იგმობებოდის[4] რაჲ ჩუენ-გან, სულგრძელებით თავს-იდებს და არა განრისხნების, შეურა-ცხყოფილი იტჳრთავს, და არა ძჳრსა[5] იჳსენებს, არამედ ყოველ-სავე მოგუმადლებს ჩუენ სიმდიდრით მოსაღებელად; გუსწავლის და გუწყალობს, ნებებითა ყოველთა სინანულად მოყვანებისაჲთა, ფრიადისა სახიერებისა მისისათჳს. ხოლო მე რაჲ ვყო, ცოდვი-ლმან, რამეთუ მტუერი და მიწაჲ გინებისა დათმენად ვერ შემ-ძლებელ ვარ, არცაღა სიტყუასა ძმისასა ტჳრთვაჲ მნებავს, არამედ გინებული განვრისხნები, და ქებული აღ(159vC)ვზუავნები. ვაჲმე, ვაჲმე, ცოდვილსა!“ — ამათ ზედა ლმობიერ იქმნის ძმაჲ იგი, ვიდოდის და ადიდებდის ღმერთსა, და იტყოდის: „დიდებაჲ შენდა, ღმერთო,[6] დიდებაჲ შენდა! და კუალად ვიტყჳ: დიდებაჲ შენდა, მხოლოო სახიერო!“

საყუარელნო, უკუეთუ ოდესმე ბილწთა გულისსიტყუათა აღაშფოთნენ[7] (691rE) გონებანი თქუენნი, ნუ განვსწირავთ თავ-თა თჳსთა, არამედ მოვიჳსენნეთ წყალობანი ღმრთისანი, რამეთუ არაოდეს იბრალოს მენავეთმოძღუარი ნავის -||უფლ(161vH)ისაგან,* ვითარმცა ჰრქუა: „რად მიუშუ ღელვათა კუეთებად ნავისა ჩე-მისა!“ არამედ ამას, ვითარმედ: „რად უდებ-ჰყავ და არა ჰბრძოდე ღელვათა!“ და ვითარმედ: „რად არა მიივლტოდე წინამდებარესა ნავთსაყუდელსა!“ (რომელ არიან წყალობანი ღმრთისანი).

რაჟამს აღადგინოს მტერმან ჩუენ ზედა კუეთებაჲ (92vI) ბილწთა გულისსიტყუათაჲ, ყუ(126vB)რთა კაცთასა შესლვად

* აქ, 138-ე ფურცლის შემდეგ D-ს აკლია ერთი ფურცელი.

1 ფარისეველისა I. 2 უუძლესთათჳს I. 3 იტყჳნ BI, იტყჳს DE. 4 იგმებებოდის DE. 5 ძჳრს C. 6 ღმერთო + ჩუენო C. 7 აღაშფუთნენ D.

(1) შდრ. ლუკა 18,11.

ვერ-შესაძლებელი, კუალად-იქცის სიტყუად ამას: „წარსწყმიდე ყოველი;[1] არცა ერთიღა არს შენდა სასოებაჲ ცხორებისაჲ!“ — ამას რაჲ იტყჳნ, ჰნებავნ ჩუენი დანთქმაჲ სასოწარკუეთილებითა.[2] ხოლო შენ ნუ ირწმუნებ მის მიერ თქუმულთა, რაჲთა არა სწყლა თჳსი სჳნიდისი და წარჰგზავნო სასოწარკუეთილებად, არამედ რაოდენ მათ სასოწარკუეთილებითა[3] დაამძიმონ სული,[4] ესოდენ ჩუენ[5] სასოებითა ყოფადთა კეთილთაჲთა აღუსუბუქოთ თავთა თჳსთა, მოკსენებითა ღმრთისა[6] წყალობათაჲთა, რაჲთა არა დაამძიმონ რაჲ წინააღმდგომთა, დაანთქან სული გულისსიტყუათა მიერ.

ვინაჲცა, რაჟამს[7] მათ გურქუან:[8] „რაჲსათჳს[9] წარსწყმიდე! ვერღარა ძალ-გიც ცხორებად!“ — ვთქუათ მათდა მიმართ: „ჩუენ გუაქუს ღმერთი მოწყალე და სულგრძელი; არა განვსწირავთ თავთა თჳსთა ცხორებასა, რამეთუ, რომელმან ბრძანა სამეოცდაათ შჳდგზის მიტევებაჲ მოყ(160rC)უსისაჲ, (1) ფრიად (691vE) უფროჲს მიუტევებს ცოდვათა მათთა, რომელთა დაუთმონ მაცხოვარებასა მისსა!“

ხოლო უკუეთუ დაეცნენ რაჲ იგინი, ამიერ-კერძო სხჳთ მირბიოდიან და თქუან: (114rK) „აჰა, გაქუს[10] ღმერთი მოწყალე და სულგრძელი და მიმტევებელი ცოდვათაჲ, რაჲსა არა უფროჲსად იკუმევთ[11] გემოვნებათა სოფლისათა? და მერმე შეინანოთ!“ — ვთქუათ მათდა მიმართ: „რომელ[12] ვყავთ, ვყავთ! ხოლო აწ წერილი რაჲ გჳწამებს უკუანაჲსკნელის[13] ჟამის ყოფასა, (2) რომლისაღა ჟამისა მიხედვითა უგულებელს-ვყოთ ცხორებაჲ თავთა თჳსთაჲ,[14] ბოროტისყოფად წინაშე უფლისა[15] ღმრთისა ჩუენისა!“

უკუეთუ ესრეთ მრავალღონედ ჰბრძოდი ეშმაკთა, ემსგავსო კაცსა, რომელი ზინ ხესა ქუეშე, რომელმან, რაჟამს ზედამოეტევნიან მას მძჳნვარენი მჴეცნი, აღისწრაფის სიმაღლედ ხისა, და მჴ(127rB)ეცთა ვერარაჲ ავნიან მას. ხედ შეგერაცხენ შიში

1 ყოველი BC] ყური DE. 2 სასოწარკუეთილებითა E. 3 სასოწარკუეთილებითა BCI, სასოწარკუეთილებად DE. 4 სული + ჩუენი E. 5 ესოდენ ჩუენ — E. 6 ღ˜ჲ I. 7 რაჟამს — E. 8 გრქან E, + რ˜ჟს C. 9 რაჲსათჳს — BEI. 10 გაქუს BCI, აქუს E. 11 იკმევთ E. 12 რომელი I. 13 უკუანაჲსკნელისა I. 14 თჳსთა E. 15 ო˜ჲ I.

(1) მათე 18,22. (2) იხ. I იოანე 2,18.

ღმრთისაჲ, და იყოს მადლი ღმრთისაჲ თანამოქმედ შენ(162rH)და[1] ყოველსავე შინა, ვიდრეცა ხჳდოდი, და დააკუეთნეს მტერნი შენნი ქუეშე[2] ფერჴთა შენთა.

ესრეთ უჴმს მორწმუნეთა სლვაჲ აწინდელსა ამას საწუთოსა, რაჲთა, უკუეთუ შეგუემთხჳოს ჩუენ სიხარული, გინა წარმა(93rI)რთებითა, გინა მადლთა მიერ, მოველოდით, ვითარმედ არა შორს არს მწუხარებაჲ. ხოლო უკუეთუ გუეკუეთოს ჩუენ მწუხარებაჲ, არა განვიწირნეთ, არამედ მოველოდით სიხარულსა, მახლობელ ჩუენსა[3] ყოფადსა. მოვიხუნეთ სახედ ნავით მავალნი ზღუასა,[4] (692rE) რომელნი-იგი ზედააღდგომასა შინა ქართა და ზამთრისა მძაფრისასა[5] არა განსწირვენ თავთა თჳსთა ცხორებასა, არამედ წინა-აღუდგებიან[6] ღელვათა, მოლოდებითა ჰაერკეთილობისაჲთა, და კუალად, მიმღებელნი მყუდროებისანი მოელიან ღელვასა. ვინაჲ (160vC) მარადის ფრთხილ არიან, ნუუკუე მყის იქმნეს რაჲ ზედააღდგომაჲ ქართაჲ, პოვნეს იგინი განუმზადებელად და დაანთქნეს ზღუასა შინა.

ესრეთ ჩუენ გჳჴმს განცდით მოლოდებაჲ ორისაჲვე, რამეთუ რაჟამს მოიწიოს მოლოდებული, არა უცხო უჩნს შემწყნარებელსა, რამეთუ არა ეპოების განუმზადებელად. ვინაჲცა მოწევნასა ჩუენ ზედა ჭირისა ანუ იწროებისასა, მოველოდით განსუენებასა და შეწევნასა, ღმრთისა[7] მიერ მოვლინებულსა ჩუენ ზედა, რაჲთა არა, დაყოვნდეს რაჲ ჭირი, ვითარცა არაოდეს ყოფილთა[8] ცხორებისა სასოებისაჲთა, შექმნას მან ჩუენ შორის სიკუდილი. ეგრეთვე სიხარულისა მოწევნასა ჩუენ ზედა, ჭირსა მოველოდით, რაჲთა არა გარდარეულითა სიხარულითა დაგუავიწყდეს გლოვაჲ.

უკუეთუ თანალმობით მიხჳდე სწავლად ძმისა, პირველ უბნობადმდე[9] მისსა, არქუ გულისსიტყუასა შენსა: „უკუეთუ არა გისმინოს, ნუ განჰრისხნები, ნუცა აღშფოთნები, (127vB) რაჲთა არა სავნებელად გარდაგექცეს მოშრომაჲ ესე, და ძმასა დასდვა

1 ~ თანამოქმედ შენდა იყოს მადლი ღმრთისაჲ H. 2 ქ˜შწ H. 3 ჩუენდა CE. 4 ~ მავალნი ზღუასა ნავითა E. 5 მძლაფრისასა E. 6 წინა-აღუდგებიან BCI, წინა-ღუდგიან E. 7 ღ˜ჲ EI. 8 ყოფითა C. არაოდეს ყოფილთა B ~ არა ყოფილთა ოდეს E. 9 უბნობადმდე BCI, უბნობად E.

მიზეზი. აჰა მოსრულ ხარ; უკუეთუ ისმინოს შენი, მადლი ღმერთსა! ხოლო უკუეთუ ვერ გულსავსე (692vE) იყოს კაცი ესე რწმუნებად შენ მიერ თქუმულთა, ნუ განჰრისხნ(162vH)ები, რაჲთა[1] თანალმობისა და რისხვისა დაყენებისა (114vK) სასყიდელი ზოგად და მზად მიიღო ღმრთისაგან, ვითარცა სახელისა მისისათჳს მოქმედმან ამისმან".

საყუარელო, ზეცისა საუნჯისა სურვიელ ხარ, და ღირს ყოფაჲ ღმრთისაჲ აღგი(93vI)რჩევიეს. ისმინე მეტყუელისაჲ: „უკუეთუ გნებავს (139rD) სრულ ყოფაჲ, წარვედ, განყიდე ნაქონები შენი და მიეც გლახაკთა და გაქუნდეს საუნჯე ცათა შინა. და მოვედ და შემომიდეგ მე", (1) და კუალად: „რომელსა უყუარდეს მამაჲ ანუ დედაჲ უფროჲს ჩემსა,[2] არა არს (161rC) ჩემდა ღირს, და რომელმან არა აღიღოს ჯუარი თჳსი და შემომოდგეს მე, არა არს ჩემდა ღირს". (2) ვინაჲცა თჳნიერ ჯუარისა ტჳრთვისა შეუძლებელ არს შედგომაჲ[3] უფლისაჲ, რამეთუ შემდგომად თქუმისა, — „წარვედ, განყიდე მონაგები შენი და მიეც გლახაკთა, და გაქუნდეს საუნჯე ცათა შინა", (3) — ზედა-დაჰრთო[4] და ჰრქუა:[5] „და მოვედ და შემომიდეგ მე!" რამეთუ არა, რაჟამს ჰრქუა: „გაქუნდეს საუნჯე ცათა შინა", ზედა-დაჰრთო: „ამიერითგან დაიძინე და განისუენე"; არამედ ჰრქუა: „მოვედ და შემომიდეგ მე". (4) ნუ ხოლო განშორებასა კმა-იყოფ, არამედ შემდგომთაცა შრომათა მიმართ გამოცდილ იყავ, რამეთუ მიერითგან უმრავლეს არს წყობაჲ[6] და ღუაწლი წინააღმდგომისა[7] მიმართ, რომელმან უკუეთუ რაჲთ უძლოს შეძრვად გულისსიტყუაჲ შენი ზეციერისა ზრახვისაგან, უკუანაჲსკნელსა უძჯრეს ჰყოფს პირველისა, და გარწმუნებს, რაჲთა, რომელ-ი(693vE)გი უხუებით განაბნიენ, აწ მათგანსა უუნდოესსა დაუყენებელად მოიგებდე, და რაჲთა შჯულიერისა[8] ქორწინებისა უარმყოფელი მრუშებისა ბრალსა შთაგაგდოს, და ბილწებისა ტრ(128rB)ფიალ-ყოფად გასწრაფებნ. ვინაჲცა ფრიადი სიფრთხილე საჭმარ არს, ვიდრე-

1 რამეთუ CEHI. 2 ჩ˜ა E. 3 შედგომა I. 4 დაჰრთო — C. 5 ჰრქუა B, თქუა + ამიერითგან დაიძინეთ E. 6 წყალობაჲ E. 7 წინაამღდგ˜მისა D. 8 სჯულიერისა E.

(1) მათე 19,21; მარკ. 10,21; ლუკა 18,22. (2) მათე 10,37-38. (3) მათე 19,21. (4) მათე 19,21; მარკ. 10,21; ლუკა 18,22.

მდის განვიდეთ ჴორცთაგან, რომელ არს აქაჲ ესე ასპარეზი ჴორცთაჲ ღუაწლთა მიმართ.[1]

საყუარელო, უკუეთუ ჰმკჳდრობდე შესაკრებელსა მოღუაწეთა ძმათასა და გთნავს მათ თანა ყოფაჲ მონებად უფლისა,[2] იქმენ მდაბალ ყოველსა შინა, რაჲთა უბადრუკისა და გლახაკებრისა ცხორებისაგანცა მოსრულნი განსწავლნეს კეთილად-ქცევამან[3] შენმან მისვე სახისა მიმართ, და აღადგინნენ მათ სულნი მათნი წარსამართებელად სათნოებისა, და რაჟამს გჳბრძანონ[4] ჩუენ წინამძღუართა თანა-წარყოლაჲ ძმათაჲ საქმედ, წადიერებითმცა (161vC) მივრბით.

ხოლო (163rH) გნებავს თუ თქუმად — „ჴორცნი ჩემნი არა თავს-იდებენ ეგოდენსა შრომასა, ვითარ მდაბიოთანი“,[5] — ცხად არს ესე, ვითარმედ ყოველთა ვერ ძალ-უც სწორისა სიმძიმისა ტჳრთვაჲ, ხოლო მორ(94rI)ჩილ ყოფაჲ და კეთილ-მომკი(139vD)თხველ და კეთილ-ცნობაობაჲ ყოველთადა მიცემულ არს შეძლებად. აჩუენე ჭეშმარიტებითი წადიერებაჲ, და უეჭველად[6] აღგისუბუქონ სიმძიმე შენი მხედველთა უძლურებისა შენისათა. გარნა ნუ უტევებ მათ სრულიად[7] ა(693vE)ღსუბუქებად შენგან სიმძიმესა, არამედ ჰლოცევდ მათ და არქუ: „მეცა თქუენ თანა მინებს ქონებაჲ ნაწილისაჲ! და მათ თანა დაშურებოდე ძალისაებრ, რომელი მიგმადლა შენ ღმერთმან“.

რამეთუ (115rK) გულთმეცნიერმან ღმერთმან, რომელმან შემქმნნა ჩუენ და მოგუცა სული ცხორებისაჲ, უწყის თითოეულისაჲ, ვითარიცა ძალი მიუცემიეს.

ხოლო უკუეთუ შემდგომად სოფლით გამოსლვისა წინააღმდგომსა მცნებათა მისთასა ვიქმოდით, ამაოება[8] იქმნების საქმე გამოსლვისა ჩუენისაჲ.

ნუმცა მოვალს მტერი და დასთესავს სურვილსა გარდასრულთა საქმეთასა გონებასა შინა შენსა. ნუცაღა ყოვლად თავსიდებ თანაზრახვასა ესევითართა მათ გულისსიტყუათასა, რამეთუ

---

1 ჴორცთაჲ ღუაწლთა მიმართ DE] ღუაწლთაჲ BCI. 2 ო˜ჲ E. 3 კეთილმან ქცევამან I. 4 გჳბრძანონ BI, გჳბრძანოს DE. 5 მდაბლიოთანი DE. 6 უეჭუწლად D. 7 სრულიად] მ˜დის C (ამ სიტყვას თავზე უზის დაეჭვების გამომხატველი მრავალწერტილი). 8 ამაოებაჲ I.

ჴსენებაჲ გარდასრულთა საქმეთაჲ სიმაღლესა ცნობისასა (128vB) შობს, პირუტყუებრ მომჴსენებელთა მათთა თანა. ხოლო რაჟამს არა აქუნდეს ადგილი, რაჲთა სიმაღლე იგი ცნობისაჲ საქმით ქმნას შენ შორის, მაშინ ჰავჩუეულებისა ცნობასა მოგცემს. უწყია, თუ რაჲ არს ჰავჩუეულებაჲ? — ვნებაჲ ბოროტი, რომელი უფალმან განაქარვენ, რამეთუ მისი არს დიდებაჲ უკუნითი-უკუნისამდე, ამენ.[1]

1 ამინ BD, ა˜ნ I.

მისივე, მოთმინებისათჳს და ჟამთა აღსასრულისათჳს და მეორედ (162rC) მოსლვისათჳს ქრისტჱსისა[1]

ბრწყინვალე არს ცხორებაჲ მართალთაჲ; ხოლო ვითარ განბრწყინდების? — არამედ მოთმინებისა მიერ! ესე შეიყუარე, მონაზონო, ვითარცა დედაჲ სიმჯნისაჲ, რამეთუ (694rE) მეფსალმუნე[2] გუასწავებს და იტყჳს: „დაუთმე უფალსა, დაიცვენ გზანი მისნი“. (1) ხოლო პავლე გიჩუენებს, ვითარ მოიგო სათნოებაჲ; გიბრძანებს და იტყჳს: „ჭირი მოთმინებასა შეიქმს. ამით რაჲ იღუწიდე,[3] ჰპოო წყაროჲ კეთილთაჲ — სასოებაჲ, ხოლო სასოებაჲ არა არცხუენს“. (2)

დაემორჩილე უკუე უფალსა და ევედრე მას და ამით ჰპოო შემდგომიცა, რომელ არს, მოგცნეს ყოველნი თხოვანი გულისა შენისანი. რაჲ არს ამისსა უსა(94rI)ნატრელეს, — მოგებაჲ ესევითარისა მეუფისა,[4] სასმენელთაჲ მოწყალედ მსმენელად! ვისმცა არა უნდა განღებულად ქონებად და მორჩილ თჳსსა ყოფად სას(140rD)მენელთა მსაჯულისათა!

მუშაკ სათნოებისა ხარ, ძმაო; მოგიმიზდა[5] შენ ქრისტემან, ძმაო, სასძლოჲსათჳს მისისა, მოქმედებითა ვენაჯისა მისისაჲთა. ვიდრე ჟამი გაქუს-ღა, იქმოდე კეთილსა. ისმინე პავლესი, მეტყუელისაჲ: „რომელიცა სთესოს კაცმან, იგიცა მოიმკოს“. (3) სთესევდ სულსა შინა, რაჲთა მოიმკო ცხორებაჲ საუკუნოჲ. რამეთუ, „რომელი სთესვიდეს ჯორცთა შინა, — თქუმულ არს, — ჯორცთაგანვე მოიმკოს ხრწნილებაჲ“. (4) და კუალად: „სთესევდით თავთა თჳსთათჳს სიმართლედ, რაჲთა მოისთულოთ[6] ნაყოფი ცხორებისაჲ. (5)

ნუ სულმოკლე ხარ შრომად წინაჲთვე ხედვითა (85rB) სასოებისაჲთა, რამეთუ სადა ღუაწლნი, მუნ გჳრჯნიცა. (6) ამათითა მიხედვითა სცხებდ თავსა თჳსსა მოთმინებისა მიერ, მარადის უკმობდ თავსა შენსა: „მჯნე იყავნ და განძლიერდინ გული

1 ქ˜სისა C, ქ˜სსა BI, + გუაკურთხენ, მამაო BCI. 2 მეფსალმონე D. 3 იღჳწიდე D. 4 მ˜ფისა I. 5 მოგიმიზდა B, მოგიმზადა DE. 6 მოისთლოთ CDE.

(1) ფს. 36,34. (2) რომ. 5,3-5. (3) გალატ. 6,7. (4) გალატ. 6,8. (5) იქვე. (6) II ტიმ. 2,5.

შენი და დაუთმე უფალსა“. (1) და (694vE) კუალად: „განჰმზადენ განსავალად საქმენი შენნი და მომზადებულ იყავ აგა(162vC)რაკად. აგარაკ არს სოფელი ესე. მიიღე კეთილად ორ-თოჯად ახალი და ძველი აღთქუმაჲ, განწმიდე ყანობირი შენი ეკალთაგან მარხვითა, ლოცვითა, მღჳძარებითა. უკუეთუ გაქუნდეს ღობე, არა შემოვიდეს შენდა მჯეცი (ეშმაკსა ვიტყჳ); ვითარცა კეთილი სავენაჯე[1] მოიშრომე სული შენი, და ვითარცა-იგი მცველნი ვენაჯებისანი ტყუელვენ ჯელითა და ჯმობენ ჯმითა, და ესრეთ ბგერებითა აყენებენ მომზირალთა, ეგრეთვე შენცა ჯმობდ ლოცვით, ღაღადებდ[2] ფსალმუნებით,[3] და სდევნნე მზაკუვარნი[4] მჯეცნი და მელნი, რომელ არიან ეშმაკნი, რომელთათჳს იტყჳს წერილი: „იპყართ თავთა თჳსთად მცირები მელები“, (2) და შემდგომი.

ყოვლადვე ეკრძალებოდე მტერსა, უკუეთუ ესროდის გულსა შენსა გულისთქუმითა უჯეროჲთა, უკუეთუ შურდლვიდეს[5] სულსა შენსა შთაგდებითა ბილწთა გულისსიტუყუათაჲთა, წინა-აღუდგინე მას ფარი სარწმუნოებისაჲ, დაიდგ ჩაფხუტი სასოებისაჲ, იჯა-(95rI)დე მახჳლი სულისაჲ, რომელ არს სიტყუაჲ ღმრთისაჲ, (3) და ესრეთ შეჭურვილი მტერსა ზედა, მოთმინე იყავ, და ნუ სულმოკლე ხარ ბრძოლასა შინა, არამედ განიფრთხვე ყოველსა შინა და თქუ, ვითარმედ: „არა უმეცარ ვართ სივერაგეთა მისთა“.

„გიხაროდენ მარადის, — ვითარცა წერილ არს, — სიმდაბლე თქუენი ცხად იყავნ ყოველთა მიმართ კაცთა“. (4) შიში ღმრთისაჲ განაბრწყინვებდინ გულსა (695rE) შენსა. ნუ იქმნები მჯედარ ფარის -დამგდებ, (140vD) ნუცა მოშიშ და მცონარ მუშაკ; ნუ ევლტი გჳრგჳნთა. საწუთოჲ მცირე არს, ხოლო საშჯელი[6] გრძელ. ამისსა მიმართ ხედევდ, ჰ მონაზონო, (85vB) მჯნე იყავნ და განძლიერდინ გული შენი და დაუთმე[7] უფალსა. (5) ემსგავსე დავითს და ერთისა ქვისა ტყორცებითა[8] დააკუეთე წინააღმდგომი. (163rC) მდგომარე არიან ანგელოზნი მხედველად ცხორებისა შენისა, რამეთუ თეატრო-ქმნილ ხარ ანგელოზთა და კაცთა. (6)

---

1 კეთილი სავენაჯე BCI, კეთილი-სავენაჯისა D. 2 ღაღადებად DE. 3 ფსალმონებით D. 4 მზაკუარნი I. 5 შურლდვიდეს B. 6 სასჯელი DE. 7 დაუთმენ DE. 8 ტყურცებითა D.

(1) ფს. 26,14. (2) ქებაჲ ქებათაჲ 2,15. (3) იხ. ეფეს. 6,14-17. (4) ფილიპ. 4,4-5. (5) ფს. 26,14. (6) I კორ. 4,9.

უკუეთუ გიხილონ შენ მძლედ წარმართებასა შინა, უხარის, ხოლო უკუეთუ ძლეულად, — მჭმუნვარენი განგეშორებიან, რამეთუ ვერ თავს-იდებ,[1] ხოლო ეშმაკნი გუეცინიან.

იკადე უკუე[2] მახჯლისა წილ შიში ღმრთისაჲ, რამეთუ შიში ღმრთისაჲ[3] ვითარცა[4] მახჯლი ორპირი არს, დამჭრელ[5] ყოვლისა გულისთქუმისა[6] მავნებელისა. მარადის გონებასა შინა[7] იპყარ შიში ღმრთისაჲ, მოკსენებითა უკუანაჲსკნელისა მის საშინელისა ჟამისაჲთა. რაჟამს ცანი მკურვალებითა დაიკსნნენ,[8] ხოლო ქუეყანაჲ და ყოველნი მას შინა საქმენი დაიწუნენ, (1) რაჟამს ვარსკულავნი ფურცლებრ[9] დამოცჯოდიან, მზე და მთოვარე დაბნელდენ და არა გამოსცენ ნათელი თჳსი, (2) რაჟამს გამოჩნდეს ძე ღმრთისაჲ და გარდამოკდეს ზეცით ქუეყანად, და ძალნი ცათანი შეიძრნენ, რაჟამს ანგელოზნი მიმორბიოდიან და კმანი საყჳრთანი მოიწეოდიან. ცეცხლი წინაშე მისსა მგზებარე ვიდოდის წარრღუნად სოფლისა, გარემოჲს მისსა ნიავქარი ფრიად, ძრვანი საშინელნი და მეხისტეხანი, რომელნი არაოდეს ყოფილ იყვნენ, არცა ყოფად იყვნენ[10] ვიდრე მუნ (695vE) დღედმდე, ვიდრემდის თჳთ იგიცა[11] ძალნი ცათანი ძრწოლამან შეიპყრნეს. (95vI)

მაშინ ვითართაჲ ჯერ-არს ყოფაჲ ჩუენი, ძმანო ჩემნო! რომელმან შიშმან, რომელმან ძრწოლამან მომიცვნეს ჩუენ! მოიგონებდ, ძმაო, ისრაელსა[12] უდაბნოსა ზედა, რამეთუ ვერ უძლებდეს ტჳრთვად ნისლსა და ალმურსა და კმასა საყჳრთასა, და კმასა მისსა, რომელი იტყოდა შორის ცეცხლისა. არამედ ისწრაფეს, რაჲთა არა შეეძინოს მათ[13] სიტყუაჲ, რამეთუ ვერ იტჳრთვიდეს ჭეშმარიტებით გამოცხადებასა მას; (129rB) დაღათუ არა რისხვით გარდამოკდა, არცა მკსინვარედ (163vC) იტყოდა მათდა მიმართ, არამედ ნუგეშინისცემით გულსავსე ჰყოფდა მათ, ვითარმედ არს მათ თანა ღმერთი.

---

1 თავს-იდებენ CI, თავს-იდებ BDE. 2 უკუწ C. 3 რამეთუ შიში ღმრთისაჲ — C. 4 ვითარცა — BDE. 5 დამჭრელ BCI, დამჭირველ DE. 6 გულისთქუმულისა C. 7 შინა BCI, შენსა DE. 8 დაიკსნენ DEI. 9 ფურცელებრ I. 10 იყვნენ BDE, არიან CI. 11 იგიცა BCI, იგინიცა DE. 12 იწ˜ლსა BCDI. 13 მათ BI, მას DE.

(1) იხ. II პეტრე 3,12. (2) მათე 24,29.

ისმინე, ძმაო ჩემო, უკუეთუ ნუგე(141rD)შინისცემითსა[1] მას გარდამოსლვასა მისსა ვერ უძლეს კაცთა ტჳრთვად, რაჟამს არცა ცანი შეწუვით დაიკჳსნნეს, არცა ქუეყანაჲ და მას-შინანი დაიწუნეს,[2] არცა[3] საყჳრნი კმობდეს ესრეთ, ვითარ-იგი ეგულებ-ის საყჳრსა მას კმობად და განღჳძებად ყოველთა საუკუნითგან დაძინებულთა, არცა ცეცხლი წარჰრღუნიდა ყოველსა სოფელსა და არცა რაჲ სხუაჲ ყოფადთა შიშთგანი იქმნა, და ვერვე უძლეს ტჳრთვად, რაჲ-მე ვყოთ, რაჟამს გარდამოკდეს გულისწყრომითა და რისხვითა მოუთმენელითა, და დაჯდეს საყდართა დიდებისა თჳსისათა და მოუწოდოს ქუეყანასა აღმოსავალითგან მზისაჲთ და[4] ვიდრე დასავალადმდე, და ყოველთა კიდეთა ქუეყანისათა განკითხვად ერისა თჳსისა და მიგებად თითოეულისა[5] საქმეთა მისთაებრ. (1)

ვაიმე, ვაიმე, ვითართაჲ ჯერ-არს ყოფაჲ ჩუენი მაშინ, რა-ჟამს წარ(696rE)ვდგეთ შიშუელნი და ქედდადრეკილნი, (2) გუე-გულებოდის რაჲ შეყვანებულ ყოფაჲ საყდარსა მას წინაშე საშინელსა! ვაიმე, ვაიმე, სადა იყოს მაშინ სიკეთე მტყუვარი და ურგები, ანუ სადა სიმკნე გუამთაჲ! სადა იყოს ვნებულ-გე-მოვნებაჲ კაცთაჲ; სადა კადნიერებაჲ ურცხჳნოჲ[6] და უკრძა-ლველი; სადა[7] შუენიერებაჲ სამოსელთაჲ; სადა გემოვნებაჲ ცოდ-ვისაჲ, ჭეშმარიტად არაწმიდაჲ; სადა იყვნენ წულთა სკორისა გემოვნებად შემრაცხელნი; მაშინ სადა იყვნენ სატანჯველისა ცოდვილთაჲსა შეურაცხისმყოფე(96rI)ლნი; სადა რომელნი ებ-ნითა და მგოსნებითა ღჳნოსა სუმიდეს და საქმეთა* უფლისათა[8] არა მიხედვიდეს!

მუნ სადა იყოს უგულებელსმყოფელობაჲ ულმრთოე(129vB)ბით და ბილწებით ცხორებულთაჲ; ანუ სადა შუებაჲ და ნუკვებაჲ! ყოველნივე წარკდეს, და ვითარცა უძლური ჰაერი, დაიკჳსნნეს! მუნ სადა იყოს ვეცხლისმოყუარებაჲ და მონაგებთა ტრფიალე-ბაჲ, სადა კაცთმოძულე ამპარტავანებაჲ,[9] ყოველთა მომძაგებე-

* აქ C ხელნაწერს ერთი ფურცელი აკლია (163-164 ფფ. შორის).

1 ნუგეშინისცემითსა BCI, ნუგეშინისმცემელსა DE. 2 დაიწუნეს BCD, დაიწუვნეს E. 3 არა I. 4 და – I. 5 თითუეულისა B, თჳთეულისა DE. 6 ურცხჳნო I. 7 სადა] და I. 8 ო˜ჲთა I. 9 ამპარტავნებაჲ DEI.

(1) მათე 16,27. (2) შდრ. ებრ. 4,13.

ლი, და მხოლოდ თავისა თჳსისა ყოფად რადმე მგონებელი! მაშინ სადა იყოს ამაოჲ და ცუდი[1] დიდებაჲ; სადა მძულვარებაჲ,[2] სადა მეფე, სადა მთავარი, სადა წინამძღუარი, სადა ჴელმწიფების-ქუეშენი; სადა რომელნი გოდლოოდეს[3] სიმრავლესა ზედა სიმდიდრისასა და ღმერთსა შეურაცხ-ჰყოფდეს!

მაშინ იხილონ ესრეთ შეეშინოს, შეშფოთნენ, შეიძრნენ; ძრწ(141vD)ოლამან შეიპყრნეს იგინი; მუნ სალმობაჲ, ვითარცა შობადისაჲ, ქარითა მაიძულებელითა შეიმუსრნენ. (1) მაშინ სადა (696vE) იყოს სიბრძნე ბრძენთაჲ, სადა ამაონი სივერაგენი მათნი; შეძრწუნდეს, შეირყინეს, ვითარცა მთრვალი,[4] და ყოველი სიბრძნე მათი დაინთქა! მაშინ სადა იყოს ბრძენი, სადა მწიგნობარი, სადა გამომეძიებელი სოფლისა ამის ამაოჲსაჲ! (2)

ძმაო ჩემო, გულისჴმაჲ-ყავ-ღა,[5] ვითართა გჳღირს ჩუენ მაშინ ყოფაჲ წმიდითა ქცევითა, რაჟამს თითოეულისათჳს,[6] რომელ ვყავთ, სიტყუასა მივსცემდეთ, რამეთუ ვიდრე უქმისა სიტყჳსამდეცა,[7] სიტყუაჲ მივსცეთ მართალსა მსაჯულსა! ვითართა გჳჴმს ჩუენ მაშინ ყოფაჲ, რაჲთა ვპოოთ წინაშე მისსა მადლი ჟამსა მას! რომელმან სიხარულმან შემიწყნარნეს ჩუენ, დადგინებულნი მარჯუენით მეუფისა, რაჟამს მოგჳკითხვიდენ ჩუენ მართალნი! მუნ მოგიკითხვიდეს შენ აბრაჰამ და ისაკ[8] და იაკობ, მოსე, ნოე, დავით, და სხუანი წინაჲსწარმეტყუელნი, მოციქულნი და მოწამენი და ყოველნი წმიდანი, ღმრთისა[9] სათნო-ყოფილნი ცხორებისა შინა ჴორცთა მათთასა, და რაოდენთათჳს გესმის აქა, და დაგიკჳრდების ცხორებაჲ მათი,[10] და აწვე გინდა ხილვაჲ მათი, იგინი (130rB) მუნ მოვიდენ შენდა მიმართ[11] და შეტკბებით მოგიკით(96vI)ხვიდენ შენ, მოხარულნი ცხორებასა ზედა შენსა!

ვითართაჲ ჯერ-არს მაშინ ყოფაჲ ჩუენი, ანუ რაბამ სიხარული იგი გამოუთქუმელი, რაჟამს ჰრქუას მეუფემან[12] მარჯუენითთა მხიარულებით: „მოვედით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო, და

1 ცუდ D. 2 მძლავრებაჲ BI, მძულვარებაჲ DE. 3 გოდლოოდეს BDI, გოდლოობდეს E. 4 მთრვალნი I. 5 გულისჴ˜ჲ-ყავ-ღა EI. 6 თჳთოეულისათჳს DE. 7 ~ უჴმისამდეცა სიტყჳსა DE. 8 ისააკ DE. 9 ღ˜ჲ E. 10 მათი – DE. 11 მ˜რთ I. 12 მფ˜წმ˜ნ DI.

(1) შდრ. I თეს. 5,3. (2) შდრ. I კორ. 1,20.

დაიმკჳდრეთ განმზადებული თქუენთჳს სასუფეველი პირველ სოფლის[1] დაბადებითგან!“ (1) მაშინ, ძმაო ჩემო, მიიღო მეფობაჲ შუენიერებისაჲ და შარავანდედი[2] სიკეთისაჲ ჴელისაგან უფლისა,[3] და მიერითგან ქრისტეს თანა ჰმეუფებდე[4] და (697rE) დაიმკჳდრნე კეთილნი იგი, რომელნი განუმზადნა ღმერთმან მოყუარეთა თჳსთა, (2) და მიერითგან უზრუნველ იყო, არღარა მოშიში[5] არცა ერთითა შიშითა.

გულისჴმა-ყავ,[6] ძმაო, რაბამ არს მეფობაჲ ცათა შინა და მეფობაჲ ქრისტეს თანა! რაოდენ ხილვაჲ პირისა მისისაჲ მარადის! რაბამ მნათობად ქონებაჲ მისი, რამეთუ მაშინ არღარა იყოს შენდა მზჱ[7] ნათელ დღისა, ვითარცა იტყჳს ესაია, არცა აღმოსავალი მთოვარისაჲ განგანათლებდეს შენ ღამე, არამედ იყოს უფალი ნათელ შენდა საუკუნო, და ღმერთი — დიდება[8] შენდა. (3)

აჰა, ძმაო, გასმიეს, ვითარი დიდებაჲ (142rD) მიელის მოშიშთა უფლისათა[9] და დამცველთა მცნებათა მისთასა! ამიერითგან მოიჴსენე ცოდვილთაჲცა წარწყმედაჲ; რაჟამს შეიყვანებოდინ სამშჯავროდ[10] საშინელად; რომელი სირცხჳლი მოიცავს მათ, წინაშე მართლისა მის მსაჯულისა, რაჟამს არა აქუნდეს სიტყუაჲ სიტყჳსგებისაჲ; რაბამი კდემაჲ ეწიოს უბადრუკთა მათ, განისხმოდიან რაჲ მარცხენით მეუფისა! რომელი ბნელი დაეცეს მათ ზედა, რაჟამს იტყოდის[11] მათდა მიმართ რისხვითა მისითა და გულისწყრომითა მისითა შეაძრწუნნეს იგინი, (4) რაჟამს ჰრქუას: „წარვედით (164rC) ჩემგან, დაწყეულნო, ცეცხლსა საუკუნესა, განმზადებულსა ეშმაკისათჳს და ანგელოზთა მისთათჳს“. (5)

